240/2
1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მოამბე

43 - ბ

« მეცნიერება »

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

333

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ВЕСТНИК

ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ им. С. ДЖАНАШИА

43б

ТБИЛИСИ
"МЕЦНИЕРЕБА"
1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მ ო ა მ ბ ე

43ბ

თბილისი
„მეცნიერება"
1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

902/904+737 (479.22)
მ 80

„მოამბეში“ ქვეყნდება ნაშრომები საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ნუმიზმატიკის მნიშვნელოვან საკითხებზე. სტატიები ძირითადად ემყარება სამუზეუმო კოლექციების შესწავლას. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე სამუზეუმო საქმიანობის შესწავლასა და მუზეუმის 1990-1998 წწ. ქრონიკას.

რედაქტორი ლევან ჭილაშვილი

რეცენზენტები: თ. ბერიძე
ნ. ქანთარია

მ 0503020906
M607(06)1999

ISBN99928-51-23-6

© „მეცნიერება“
1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამარა ბედუკიძე

ხალხური ავეჯი სამეგრელოში

სამეგრელო ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისითაა წარმოდგენილი როგორც მოგზაურთა ცნობებში, ისე სპეციალურ გამოკვლევებში[1].

ამ უკანასკნელში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისტემური სახით განხილული და გაანალიზებული როგორც მეურნეობის სხვადასხვა დარგის საკითხები, ერთი მხრივ, ისე მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი მასალა. ამიტომ, ჩვენს თემაში გავითვალისწინებთ ზემოაღნიშნული კვლევა-ძიების შედეგებს და მატერიალური კულტურის მხოლოდ ერთ საკითხს „ხალხურ ავეჯს" გამოვყოფთ, რათა მთლიანობაში კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოდგეს ქართული მატერიალური კულტურის შესწავლის სფერო.

ჩვენი საკვლევი ამოცანის განხორციელება ერთგვარ სიძნელესთანაა დაკავშირებული. როგორც უკვე გამოკვლეულია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და სვანეთში ეროვნული ავეჯის ცალკეული სახეობანი დღემდე შემოინახა. ზოგიერთ კუთხეში, და მათ შორის სამეგრელოში, იგი ფიზიკურად აღარ არსებობს. მაგრამ ეს მდგომარეობა ავეჯის შესწავლის საჭიროებას ვერ მოხსნის, პირიქით, კიდევ უფრო აუცილებელს ხდის მას.

22141

ქართული ავეჯის დამზადების ხელოვნებამ, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სამეგრელოშიც განვითარების საყურადღებო გზა განვლო, ამიტომაც საავეჯე ხის შერჩევა-დამუშავება, ავეჯის სხვადასხვა სახეობის დამზადების თავისებურებათა თუ ტერმინოლოგიის დადგენა ჩვენი თემის ძირითად მიზანს შეადგენს.

ნივთიერი მასალის უქონლობის გამო, სამეგრელოში გავრცელებული ავეჯის ტიპისა თუ ქვეტიპის დადგენა ზეპირ მონაცემებზე დაყრდნობით მოგვიხდა, რაც თავისთავად არც თუ ისე იოლ, მაგრამ საშურ საქმედ გვესახება. ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა საავეჯე ხის შერჩევისა და პირველადი დამუშავების ხალხური წესები, შეგვესწავლა და გამოგვევლინებინა ხალხური დაკვირვება, ცოდნა და გამოცდილება ამ საქმეში, გაგვერკვია სამეგრელოში ხის დამუშავების ტექნიკური მიღწევები, რაც საქართველოში საუკუნოვანი ტრადიციის შედეგია. სამეგრელოში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ხის შერჩევის საკითხს დიდი ყურადღება ექცეოდა. ოსტატები ხის ჯიშებს მერქნის აგებულებისა და დასამუშავებლად ვარგისიანობის მიხედვით არჩევდნენ. ხალხის მიერ ხის აღნაგობის ზედმიწევნით შესწავლამ ამა თუ იმ ხის ჯიშის სხვადასხვა თავისებურებები გამოააშკარავა. ასე მაგალითად, სამეგრელოში სხვა კუთხეების ანალოგიურად, თანაბრად განტოტვილ ხეს ენიჭებოდა უპირატესობა, იგი სწორია და ადვილად დასამუშავებელია, ხოლო ცალგვერდტოტიანი ხვეული და ძნელად დასაჭრელი. უჯრედების განლაგების მიხედვით არჩევდნენ ადვილად და ძნელად დასამუშავებელს. ხალხის დაკვირვებით უჯრედების სიგრძივ განლაგება აადვილებს დამუშავე-

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941. მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, კრებ., თბ., 1979, თ. სახოკია, მოგზაურობანი. ბათუმი, 1985.

ბას (ფიჭვი, ცაცხვი, ნაძვი), არყი, რცხილა ძნელი ხეებია. ასევე ძნელი დასამუშავებელია მოკლე როკიანი ხე. გრძელროკიანი კი ადვილად მუშავდება.

მნიშვნელოვანი იყო მერქნის სიმაგრის ცოდნა მჭრელი იარაღების შერჩევა-გალესვის და მათი მუშაობის დროს (დახერხვა, გარანდვა, დახვრეტა და სხვა). იცოდნენ ისიც, თუ როგორი მერქანი უნდა გამოეყენებინათ ამა თუ იმ ნაკეთობისათვის.

მერქნის ჯიშებს სიმაგრის მიხედვით სამ ჯგუფად ყოფდნენ:

1. რბილი ჯიშები – ნაძვი, ფიჭვი, ცაცხვი, ვერხვი.
2. მაგარი ჯიშები – წიფელი, მუხა, არყის ხე, ნეკერჩხალი.
3. უმაგრესი ჯიშები – ბზა, მსხალი, რცხილა.

რადგან ფიცრის გამოყვანა მორის გულამდე გათლას და გასუფთავებას ნიშნავს, ამიტომ მუხის ფიცარი გამძლე გამოდის. მუხის გულმაგრობა მისგან გამოთლილი ფიცრების, სამორგვე სოლისა და სხვათა სიმაგრესა და ტენის ამტანიანობაში გამოიხატება.

ხალხური დაკვირვების შედეგად გამოიყოფა ჩრდილისამტანიანი ჯიშები. ასეთებად სოჭს, ნაძვსა და წიფელს ასახელებენ. ასეთ ხეებს ათეული და ასეული წლის განმავლობაში შეუძლიათ დაჩრდილულ პირობებში იზარდონ. მაგრამ საქმე მარტო ის კი არაა, რომ ამ ჯიშებს შეუძლიათ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ძლიერი დაჩრდილვის გადატანა, მთხრობელის გადმოცემით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ დაჩაგრულად ნახარდი დაკინინებული ხეები, მიუხედავად მათი ხნოვანებისა, განათების ოპტიმალური პირობების შექმნისას (რაც ხალხის გადმოცემით ტყის გამეჩხერებით უნდა მოხდეს) შედარებით სწრაფად იწყებენ ზრდას. ხალხის ამ დაკვირვების გათვალისწინება უთუოდ მიზანშეწონილია, რადგანაც იგი ზემოთ დასახელებული (ჯიშების) დაკინინებულ მდგომარეობაში მყოფი ხეების გამოსწორებას ითვალისწინებს. ხალხის დაკვირვებამ დაადასტურა, რომ დაჩაგრულად ნახარდი ხეები, მიუხედავად მათი დიდი ხნოვანებისა, განათების ოპტიმალური პირობების შექმნის შემდეგ სიმსხოსა და სიმაღლეში ფრიად ინტენსიურ ზრდას იწყებენ და გიგანტურ სიდიდეებს აღწევენ[2].

მართლაც სპეციალური გამოკვლევებით დადგინდა, რომ სოჭის, ნაძვის, წიფლის ყველა დიდხნოვან ხეს წარსულში გავლილი აქვს ცოტად თუ ბევრად შენელებული ზრდის სტადია[3] ანუ დაჩაგრულობის პერიოდი. ხალხური ცოდნა გვიჩვენებს, რომ დაჩაგრულ პირობებში გაზრდილი ხეები სამასალედ არ ვარგა, რადგან იგი ჰორიზონტალური მიმართულების ვარჯს ივითარებს. ხალხური დაკვირვება გვაუწყებს, რომ წიფელი თავისი სიცოცხლის პირველ პერიოდში, თითქმის ისეთივე ჩრდილის ამტანია, როგორც ნაძვი და სოჭი. სოჭი და ნაძვი სიცოცხლის პირველ პერიოდში თითქმის არ განსხვავდებიან ჩრდილისამტანობის მაჩვენებლებით. განათების შემდეგ, სოჭისა და ნაძვის ზრდის ხასიათში ასევე არ აღინიშნება მკვეთრი სხვაობა. მაგრამ სოჭი უფრო სწრაფია და უკეთ ეგუება შეცვლილ პირობებს, მას ასეული წლების ძლიერ დაჩრდილულ მდგომარეობაში ყოფნის მიუხედავად, კვლავ შეუძლია სიმაღლესა და სიმსხოში კარგი ნამატის მოცემა. გასათვალისწინებელია აგრეთვე დაკვირვება, რომელიც ნაძვნარის გამეჩხერებას შეეხება. ნაძვნარის ძლიერი გამეჩხერება ხალხის თქმით, ქმნის ტენიანობის არახელსაყრელ პირობებს. კორომის გამეჩხერება აშრობს ნიადაგს, ბალახეულ საფარს. ეს კი დამღუპველ პირობებს უქმნის ნაძვნარს. ასევე სიფრთხილეა საჭირო წიფელნარების გამეჩხერების დროსაც.

ამგვარი დაკვირვება უთუოდ გასათვალისწინებელია განსაკუთრებით კი სოჭის, ნაძვის, წიფლის კორომებში ჭრების ჩატარების დროს.

მსოფლიო ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტემპები იმაზე მიუთითებს, რომ, მიუხედავად ქიმიური მრეწველობისა და ზოგიერთი სხვა დარგის დიდი მასშტა-

---

[2] მთხრ. პარმენ კალისტრატეს ძე თოდუა 79 წლის, სოფ. ხობი.

[3] გ ი გ ა უ რ ი , საქართველოს ტყეებში მეურნეობის გაძღოლის საფუძვლები, თბილისი, 1980, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებით ზრდა-განვითარებისა, პერსპექტივაში სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება მერქნის სხვადასხვა პროდუქციაზე არამც თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. ხალხი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა მერქნით სარგებლობას. ეს კი მწიფე კორომებში ხე-ტყის დამზადებას გულისხმობს. ხალხში დანერგილი წესი ხეების დანიშვნისა, რომელიც სამასალე ხეების შერჩევას ემსახურებოდა, ხშირ ტყეში უნდა მომხდარიყო და ამდენად ტყის გაჩანაგების, გამეჩხერების წინააღმდეგ იყო მიმართული. სამეჩხერე ადგილებში ხეების დარგვაც ამ მიზნით ხდებოდა. ყველგან და ყოველთვის ხის მოჭრა სასტიკად იკრძალებოდა. ასეთი მიდგომა სატყეო მეურნეობის გაძღოლის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი უნდა გახდეს დღესაც. ტყეებში მერქნით სარგებლობის ხასიათი და ოდენობა ნაირგვარი იყო, რადგან ის კონკრეტული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით და ტყეების მდგომარეობით განისაზღვრებოდა. როგორც ხალხური გამოცდილება გვიჩვენებს, მერქნით სარგებლობა ზრდადასრულებულ ხის ჭრას გულისხმობს. ე. ი. ხე-ტყის დამზადება აუცილებლად მწიფე კორომებში მიმდინარეობდა. მთის ტყეებში ყოველთვის გამოიყენებოდა ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ტყის ჭრის ისეთი სისტემები, რომელიც ტყის ეროზიასაწინააღმდეგო და წყალმარეგულირებელ მნიშვნელობას ითვალისწინებდა (მოვლითი ჭრა, გამოხშირვა, ზოგან დარგვა). ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ხალხთა კულტურულ დონეს აფასებდნენ და მომავალშიც უდავოდ იმის მიხედვით შეაფასებენ, თუ როგორ სარგებლობდნენ ისინი ტყით და როგორ ავითარებდნენ მას. მსოფლიო სატყეო მეურნეობის განვითარების ისტორია საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, რომ ტყეებისადმი არასწორი, ზოგ შემთხვევაში კი მტაცებლური დამოკიდებულებით ბევრმა ქვეყანამ უდიდესი, ხშირ შემთხვევაში გამოუსწორებელი ზარალი განიცადა. ბევრმა მათგანმა ტყეების გაჩეხვით მიღებული მომენტალური ეფექტი გაჩანაგებული ტყეების აღდგენის მძიმე ტვირთით შეცვლა. როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენს მთის ტყეებში გადაჭარბებული ინტენსივობის ჭრის უარყოფითი შედეგების შესახებ არაერთხელ აღუნიშნავთ. ხალხის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ტყეების ჭრას ნამატი უნდა განსაზღვრავდეს.

საქართველოს ტყეების ექსპლუატაციას დიდი ხნის ისტორია აქვს. ტყე მუდამ დიდ როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მის ეკონომიკაში. შორეული წარსულის ფილოსოფოსებსა და ისტორიკოსებს: ჰეროდოტეს, ჰიპოკრატეს, ქსენოფონტეს, სტრაბონსა და სხვებს მოხსენიებული აქვთ კოლხეთის დაბლობის ძვირფასი ჯიშებისაგან შემდგარი ულრანი ტყეები. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ უძველესი დროიდან საქართველოს ტყეების დიდი ნაწილი გამოყენებული ყოფილა სამეფო და საერისთავო სანადირო ადგილებად, ხოლო ცალკე იყო გამოყოფილი სტრატეგიული მნიშვნელობის სამეფო, საუფლისწულო, საეკლესიო და სხვა დანიშნულების ტყეები. უკვე XIII საუკ. საქართველოს სამეფო კარზე ჰყავდათ ტყეთუხუცესი, რომელიც განაგებდა საქართველოში განსაკუთრებული დანიშნულების დაცვა-მოვლის საქმესო[4].

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კოლხეთის ტყეების ეკოლოგიური მნიშვნელობის შესახებ ცნობები გვხვდება ძველი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის (რომის, საბერძნეთის და სხვა) ისტორიულ და გეოგრაფიულ წყაროებში. შედარებით სრულყოფილ მასალებს გვაწვდიან XVII საუკ. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი და იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. ჟ. შარდენი აღნიშნავს, რომ სამეგრელო თითქმის მთლიანად ტყით იყო დაფარული, თუ არ ჩავთვლით მცირეოდენ სათეს ფართობს. „ქვეყანა, რამდენადაც ვშორდებით ხღვის ნაპირს – წერს იგი – იმდენად თანდათანობით მაღლდება. აქ ისეთი ხშირი ტყეებია, რომ გზებზე და საყანეებში საგულდაგულოდ რომ არ თხრიდნენ ხეებს ძირიანად, ეს ქვეყანა მთლიანად გაუვალ ტყედ იქცეოდა“-ო.

[4] ბ. თარგამაძე, თ. ჩისრაძე, საქართველოს სსრ ტყის რესურსები. თბილისი, 1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ საქართველოში ტყეებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედროსტრატეგიული თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ XI ს. პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებელმა ისტორიული ბრძოლა თურქ-სელჯუკთა ლაშქრის წინააღმდეგ ტყიან ადგილებში გამართა. მან ხე-ტყისაგან ხელოვნური წინაღობები, ჯებირები და ხანდაკები (თხრილები) მოაწყო. ტყეს ამ მიზნით იყენებდნენ XVIII ს. კოლხეთშიც. ისინი, როგორც ჟ. შარდენი აღნიშნავს, აშენებდნენ 30 ან 40 ფუტის სიმაღლის კოშკს, რომელშიც შეიძლებოდა 50–60 კაცის მოთავსება. ეს კოშკი იყო ციხე-დარბაზის გამაგრებული ადგილი, სადაც ინახებოდა ბატონისა და მასთან ერთად თავშეფარებული მთელი სიმდიდრე. ამ კოშკის მახლობლად 5 თუ 6 ხის დაბალი კოშკი იდგა, რომლებშიც სურსათ-სანოვაგეს მალავდნენ და მტრის ალყის დროს აქ ქალები და ბავშვებიც აფარებდნენ თავს. გარდა ამისა, აქვე იყო კიდევ რამდენიმე ქოხი, ზოგი ხით ნაშენი, ზოგი ტოტებისაგან დაწნული, ზოგიც ბამბუკისა და ლერწმისა. მთელ ამ ტერიტორიას გარს ერტყა ტყის კედელი. ხეები ისე მჭიდროდ იდგა ერთმანეთთან, რომ შიგნით შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ გაკეთებული გზით. შეიტყობდნენ თუ არა მტრის მოახლოების ამბავს, გზას ხეებით ჩახერგავდნენ ისე, რომ შეუძლებელი ხდებოდა მისი გადალახვა, კოლხები ამ ციხეში იქამდე რჩებოდნენ, სანამ მტრის თავდასხმის საშიშროება არსებობდა, როგორც კი საშიშროება გაივლიდა, ისინი უბრუნდებოდნენ თავიანთ სახლებს.

საქართველოს მტრები მონღოლები, არაბები, სპარსელები, თურქები და სხვები თავდასხმის დროს ანადგურებდნენ არა მარტო მოსახლეობას და ქართულ კულტურულ ძეგლებს, არამედ ტყეებსაც. ისტორიული ცნობებით დასტურდება, რომ XIV-XVII საუკუნეებში თემურ ლენგის, შაჰ-აბასის და სხვათა ჯარების შემოსევის დროს მათი ერთ მესამედზე მეტი ცულებით ყოფილან შეიარაღებულნი, რათა სტრატეგიული მნიშვნელობის ტყეები გაეჩეხათ და გაენადგურებინათ. ისიც აღსანიშნავია, რომ ტყის სიუხვის გამო კოლხეთის პავა ზომიერი და თბილი ყოფილა. ჟ. შარდენი განცვიფრებულა კოლხეთში მტაცებელი ფრინველების – შავარდენის, მიმინოს და სხვათა სიმრავლით. კოლხეთის ტყეებს ნადირის სიუხვე XIX ს. II ნახევრამდე შემორჩა. აქ ჭარბად იყო ირემი, შველი, ღორი, დათვი, ტურა, მელა, კურდღელი, წავი, ციყვი, მაჩვი და სხვა. ფრინველებიდან – გედი, იხვი, ხოხობი, ტყის ქათამი და სხვა.

საყურადღებოა იტალიელი მისიონერის ა. ლამბერტის მიერ აღწერილი XVII ს. სამეგრელო. მისი გადმოცემით, კოლხეთში ტყის სტრატეგიული და სარწყაო მიზნებით გამოყენების პარალელურად დიდი ყურადღება ექცეოდა ხელოვნური ტყეების, ტყის ხეივნებისა და ბაღპარკების გაშენებას. ცხადია, ხის მწკრივებს გააშენებდა ის, ვისაც კარმიდამოში ასეთი ბუნებრივი ნარგავები არ ჰქონდა. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი მწკრივები (ზოლები) XVII ს. კოლხეთში მასობრივ ხასიათს ატარებდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საქართველოში ხელოვნური ტყის ზოლების გაშენება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება; ა. ლამბერტის ეს ცნობა კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ხელოვნური ტყის ზოლების გაშენება საქართველოში საყოფაცხოვრებო მიზნით მაინც, ორნახევარი საუკუნით უფრო ადრე დაწყებულა.

კოლხეთში რცხილის ზოლებთან ერთად აშენებდნენ ჭადარსაც. „რაც კოლხეთში ხეები მოიპოვება, ყველას სჯობს, ჩემი აზრით, – წერს ა. ლამბერტი – ჭადარი, რომელიც ნიადაგის სინესტის გამო მაღლა იზრდება... იგი ტყეში ან სადმე სხვაგან თავისით როდი იზრდება, არამედ ვისაც უნდა იქონიოს ეს ხე, უნდა დარგოს კარგად და კარგადაც მოუაროს, რადგან მრავალთაგან, ჩვეულებრივ, მხოლოდ რამდენიმე გაიხარებს. აქედან ჩანს, რომ ეს ოდიშში მკვიდრი არ არის, არამედ უცხოა და სხვა ქვეყნიდან შემოტანილი“-ო.

ა. ლამბერტის ეს ცნობა საინტერესოა, როგორც კოლხეთში მცენარეთა ინტროდუქციის დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალა. იგი უნდა გამომდინარეობდეს კოლხეთში სხვადასხვა ინტროდუცირებული ტყის ჯიშების ზრდის შესწავლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზოგადების საფუძველზე, აღსანიშნავია ა. ლამბერტის ეს დასკვნა დღესაც ძალაში რჩება. ზრდისა და გარემოსადმი შემგუებლობის თვალსაზრისით, ჭადარი ერთ-ერთ პერსპექტიულ ჯიშად ითვლება.

ა. ლამბერტის შენიშნული აქვს აგრეთვე, მოსახლეობის მიერ ტყეების მელიორაციული მიზნით გამოყენება. ოდიშის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ხაფხულს ხდვის პირნი და ვაკენი ცხელი და არა გაუძლისი, მთის კერვონი გრილნი, აგარაკოვანნი, კეთილნი. ზამთარ თბილი, არამედ ხაფხულცა სუელი და ნამიანი, და ნოტიო, ქარნი უწყინარ-უვნო, უჯერო და უყინვო, დიდთოვლიანი. მოსავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფიერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად. ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული ადგილ-ადგილას და სხუანი. ხილნი მრავალნი მაღლარნი, ლვინო მსუბუქი და კარგი. აქა არს ლვინო ‘ხარდაგი... ფრიად კეთილი, ძალიან და ქებული ყოველთა შინა. აქ ჰყოფენ აბრეშუმს უმეტეს მრავლად იმერეთისაგან. პირუტყვნი – ცხვარნი მცირედ და სხუანი მრავლად, რამეთუ უვისთ კარგად, მროწლედ და თხა, ცხოვარი და ღორი ერთ არვედ. რამეთუ არა უხმოთ მწყემსი და მძოვარ არან ‘ზამთარ-ზაფხულ ბალახთა. ფრინველნი მრავალნი; ფუტკართაგან თაფლი და ცხვილნი მრავალნი, ვითაითგან ტყეთა შინა მრავლად არიან“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, სამუდამოდ მოისპო ტყეებზე კერძო საკუთრება და იგი საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდა. მიღებულ იქნა გადამწყვეტი ზომები ტყის სწორად აღრიცხვის, ტყეების დაცვის, მოვლისა და მერქნით სარგებლობის უზრუნველსაყოფად[5].

ამ პერიოდში ტყის მეურნეობის მიზნები და ამოცანები მთლიანად დაექვემდებარა სატყეო მრეწველობის განვითარებას და ტყის ექსპლოატაციის მასშტაბების გადიდების ინტერესებს. ხე-ტყის სამრეწველო დამზადება წარმოებდა დასახლებულ პუნქტებთან და გზებთან ახლომდებარე ტყის მასივებში და ნაკლები ყურადღება ექცეოდა რესპუბლიკის დაშორებულ და ძნელადმისადგომ რაიონებში განლაგებულ ტყის ნედლეულის ბაზების ათვისებას. ამის შედეგად, საქართველოს ბევრ რაიონებში მთის ტყეები გადაჭარბებული ჭრის შედეგად გამეჩხერდა. გამეჩხერებულმა ტყეებმა დაკარგეს, ერთი მხრივ, ნიადაგდაცვითი, წყალშემნახვითი და, მეორე მხრივ (სარეველა ბალახების მომძლავრების გამო), ბუნებრივი განახლების უნარი. ომის შემდგომ პერიოდიდან მოყოლებული, ისევე როგორც გასულ წლებში, ტყეების რაციონალური და გონივრული ექსპლოატაციის საქმეში დაშვებული იყო შეცდომები, არ ითვალისწინებდნენ ხალხურ გამოცდილებასა და ცოდნას, რის შედეგად მკვეთრად გაუარესდა რესპუბლიკის ტყეების საერთო მდგომარეობა. აუცილებელია ხალხური გამოცდილების გათვალისწინება, რომელიც ტყეებში ჭრის დროს მერქნით სარგებლობის რეგულირებას ეხება. ამ გამოცდილების მიხედვით, მერქნით სარგებლობა წლიური ნამატის მიხედვით უნდა დგებოდეს. იგი გარემოს ეკოლოგიური მოთხოვნილების წინააღმდეგ არ უნდა იყოს მიმართული. სწორედ ამ მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს მრავალსაუკუნოვან ხალხურ გამოცდილებას, რომელიც უზრუნველყოფს: ტყეებისა და განსაკუთრებით მთის ტყეების დაცვით, წყალშენახვისა და სხვა ფუნქციების შენარჩუნება-გაძლიერებას. სამეურნეო თვალსაზრისით, ძვირფასი მერქნიანი სახეობების ბუნებრივი გზით განახლებისათვის, აუცილებელია სათანადო გარემო პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება. როგორც ხალხური დაკვირვება გვაუწყებს, აუცილებელია ტყის ჭრის შეხამება ტყის არსებულ რესურსებთან. ტყის ჭრის წესების დაცვა ხელს შეუწყობს ტყის მეურნეობის ინტენსიფიკაციას.

ხის მერქნის სწორად შერჩევისა და მის დროულ მოჭრაზე დამოკიდებულია შემდგომ დამუშავებული მერქნის ხარისხი. ხის მოჭრა და სხვა ტექნიკური პროცესები

[5] ბ. თარგამაძე, თ. ნიხრაძე, საქართველოს სსრ ტყის რესურსები. თბილისი, 1976 წ., გვ. 218.

ამა თუ იმ ხის ჯიშის წლოვანების გათვალისწინებით სრულდებოდა. ხალხი
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
დასხვა ხის ჯიშის ტექნიკურ ასაკს ანსხვავებდა და ხეებისადმი დიფერენცირებული მიდგომით, სამასალედ მათ ვარგისიანობას სახდვრავდა. ასე მაგალითად, ცაცხვის მოჭრის საუკეთესო დროდ 30-50 წელი ითვლება, წიფლის მოჭრის დრო70–80 წელია, ხოლო არყს 40 წლის ასაკში ჭრიან. 100 წელი ფიჭვის ტექნიკური სიმწიფის ასაკად მიაჩნიათ. ხალხის პრაქტიკული ცოდნა ცხადყოფს, რომ ასაკგადასული ხის მერქანი კარგავს თავის მადალ თვისებას და მყიფე ხდება. ამგვარ ხეებს სამასალედ არ ჭრიდნენ. სამასალე ხეს ნუკრი არ უნდა ჰქონოდა. სცოდნიათ ხეების დანიშვნაც. საგანგებოდ არჩევდნენ ხის მოჭრის დროსაც. სამასალე ხის მოჭრის საუკეთესო პერიოდად შემოდგომის დასაწყისი (ტყის ზედა სარტყელში) ან გვიანი შემოდგომაა (ტყის შუა სარტყელში) მიჩნეული. ხალხური ტრადიცია ზრდის პერიოდში (აპრილი) ხის მოჭრას კრძალავს, რადგან მაშინ ფესვებიდან მიღებული სახრდო ტოტებშია გადასული და ხის ტანი გამოფიტულია. შენიშნულია, რომ ასეთი ხე მოჭრის შემდეგ ჭიანდება. მიზანშეწონილია ფოთოლგაცვენილი ეული ხის მოჭრა. საქართველოში ყველა კუთხეში ფიქსირებული ხის საჭრელი პერიოდების ხალხური განსაზღვრა ემთხვევა სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულ პერიოდებს, რომელიც მერქნიან ჯიშებში ჭიჭინომელების გაჩენასა და მათ მოძრაობას შეეხება[6].

ხალხი ძველთაგანვე იცნობდა და არც სამეგრელოსათვის ყოფილა უცხო ხის განკურნების სხვადასხვა ხერხი: დაზიანებული ქსოვილის დანით აჭრა, ნავთით გაშენდა და სხვა. რაც XIX ს. ყოფილა გამოყენებული და დღესაც ჰპოვებს პრაქტიკულ გამოყენებას. ახალ მთვარეზე ხის მოჭრა, ისე როგორც სხვაგან, სამეგრელოშიც აკრძალული იყო, რადგან ხალხის დაკვირვებით ახალ მთვარეზე ხის წვენი მოძრაობს და ჭიასაც (კიკილი) ხის ტანში აბრუნებს. ხალხის რწმენა, რომ წელიწადის განსაზღვრულ დროში მოჭრილი ხე მთვარის გარკვეულ ფაზაში უნდა მოქცეულიყო, ემპირიული ცოდნიდან გამომდინარე ჩანს და საწარმოო გამოცდილებას უკავშირდება. სამასალედ მოჭრილი ხის ქერქიანად დატოვებას ერიდებოდნენ, რადგან ქერქი გაშრობის პროცესში თუ ეს პროცესი სანგრძლივია, ხელს უწყობს სიდამპლის განვითარებასა და ქერქის მღრღნელის მიერ მორის დაზიანებას. ხის მოჭრას მოსდევდა ქერქის გაცლისა და დამორვის თანამიმდევრული პროცესები. ხის დამუშავების პირველი საფეხური მორის გამოყვანა იყო. ხალხი მერქნის დამუშავების სამ სახეობას განასხვავებს: დაპობა, ჩაჭრა, გათლა. დაპობას მიმართავენ, როცა ბოჭკოების გასწვრივ ანაწილებენ მერქანს. ჩაჭრა ბოჭკოების განივად სრულდებოდა. ნაკეთობის გამოყვანა გათლით იწყებოდა. ყველა ზემოთ ხსენებული პროცესის შესასრულებლად სხვადასხვა ზომის ცული იხმარებოდა. მერქნის დაპობის დროს სოლისებურ საჩეხს იყენებდნენ, რომელიც მერქანში დარტყმის ძალით იჭრებოდა. შენიშნული იყო, რომ მაგარ ჯიშებში, ტენიანობის გაზრდის შედეგად მერქნის სიმყარე მცირდებოდა და მერქანი ადვილად პობადი ხდება. რბილი ჯიშები ტენიანობის გამო ფუვდება. დეფორმირებული მერქანი კი ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს საჩეხი იარაღისათვის, რომელიც ეხება ფორმაშეცვლილ მერქანს და ვერარ ანაფოტებს მას. ყინვა რბილი ჯიშების ტენიანობას ამცირებს. ტენიანობის შემცირება კი მათი პობადობის უნარის გაზრდას იწვევს. ამიტომ რბილი ჯიშების დაპობას ყინვაში ამჯობინებდნენ. რადგან მაგარი ჯიშების სიმაგრე ყინვაში მატულობს და „იარაღი მერქანს ეჭიდება“, მათი პობა ყინვების დაწყებამდე ყოფილა სასურველი. მორებს დაფიცრავდნენ. დაფიცვრის პირველ საფეხურს „დამოთხვა“ წარმოადგენდა. ფიცრის გამოსაყვანად მოკლეტარიანი ხელცული იხმარებოდა.

---

[6] ა. ჭ ო ლ ო კ ა ვ ა , მთათუშეთის ცხვირგრძელა ხოჭოების ფაუნის სახეობრივი შემადგენლობის შესწავლისათვის. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXX:1, 1963, გვ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს იმ ემპირიულ კოდნას, რომელიც ხალხმა წლების მანძილზე გამოიმუშავა მერქნის დამუშავებისა და მისი შენახვის საქმეში. ეს მდიდარი გამოცდილება უთუოდ იმ სასარგებლო ტრადიციის შედეგია, რომელსაც თაობიდან თაობაში გადასვლით შემოუნახავს თავი. სამეგრელოში, ისეროგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საგანგებოდ იცავდნენ მასალის გაშრობის წესს. მართებულად არის შენიშნული, რომ მასალის ფორმის შეცვლას მერქნის ბოჭკოების არათანაბარი შეშრობა იწვევს, რომ ფიცრის დაბრეცის მიზეზი მისი გვერდითი ნაწილის შეკუმშვაში მდგომარეობს. სწორედ ამას ითვალისწინებდნენ და ფიცრებს ერთმანეთზე ისე აწყობდნენ, რომ მათი წლიური შრეები სხვადასხვა მხარეს ყოფილიყო მიმართული.

გაქერქილი მორები შემოდგომაზე ან ზამთარში ჩამოჭქონდათ. მასალის ჩამოტანის დროს სოფლის მდებარეობა განსაზღვრავდა. ჩამოტანამდე მორებს მიყუდებით აშრობდნენ.

სახლში მოტანილ საფიცრედ გამზადებულ ნაოთხალს – დასამუშავებელ ფიცრებს გარდიგარდმო დააწყობდნენ, მათ შორის ხის ტოტების ან ჯოხების გადებით აწყობდნენ (აღნიშნული ხის სისქე ან ტოტების სისქე ფიცრების სისქეზე მცირე არ უნდა ყოფილიყო). გამშრალ მორებს დაფიცრავდნენ და ავეჯის სხვადასხვა სახეობას აკეთებდნენ. გასაკეთებლად ძირითადად არგუნს – ნაჯახს ხმარობდნენ.

საავეჯე ხის დამუშავების ტექნიკისა და მხატვრული დონის მაჩვენებელი მატერიალური საბუთი სამეგრელოში სამწუხაროდ არ გაგვაჩნია. ხის ავეჯის შესახებ ზეპირ მონაცემებზე დამყარებულმა მასალის მოძიებამ გვიჩვენა, რომ იგი სტანდარტული ავეჯის მარტივ ფორმებს აერთიანებდა. სამეგრელოში ხალხური ავეჯის შემდეგი სახეობები ყოფილა გავრცელებული:

ტ ა ხ ტ ი – ხის ფიცრებისაგან გაკეთებული კედელში ჩამაგრებული საწოლი, რომელიც კუთხიდან კუთხემდე კეთდებოდა;

კ ვ ე ლ ა – გრძელი სკამი, ეს თავისებური დასაჯდომი წარმოადგენს ძელს, რომლის სიგრძე 1/2-2 ალაბამდეა, განი 1/2, 1/4 ალაბი. ამ ძელს თავებთან დატოვებული ჰქონდა ბრტყელი ფეხები. აკეთებდნენ ერთი კაცის დასაჯდომ კველასაც. იგი ტაბაკთან მისაჯდომი იყო:

ტ ა ბ ა კ ი – მაგიდა ოთხფეხი 2 მტკაველი სიმაღლის. იყო სამფეხიანი ტაბაკებიც საქალო და საბავშვო;

ჯ ო რ კ ო – კვეხა – დაბალი დასაჯდომი ერთ ხეში გამოთლილი, დაბალი გამოყვანილი ფეხებით;

ნ ა რ ი – კედელზე მიჭედილი ტახტი;

ლ ო გ ი ნ ი – ხის საწოლს უკეთდებოდა ხისავე თავ-ბოლო, თვითონ მაგრდებოდა, ფიცრის ორთუმელი – სასთუმალი;

ო რ თ უ მ ე ლ ი – სასთუმალი ხის – ბაცანკალი;

თ ა რ ო – ჭურჭლის შესაწყობი.

კ ი დ ო ბ ა ნ ი - ტანსაცმლის შესანახი. უფრო გვიან შემოდის ზანდუკები, თუნუქით მოჭედილი;

კ ა რ ა დ ა – ორკარიანი ერთი მთლიანი უჯრით;

კარადას ზოგან ჰქვია „აშვამკიათი", იხმარებოდა ჭურჭლის შესაწყობად.

ონწე (სოფ. რიყე) – არკვანი–აკვანი ბავშვის ჩასაწვენი.

ბაღ–ხილის შესანახი კიდობანი. (სიმინდის შესანახს მაღაზა ერქვა). (მთხრ. მარგო ავქსენტის ასული ჭურღულია-უბილავა 66 წლის. სოფ. ჭითაწყალი, (გამოთხოვილი ოდიშიდან) 1988 წ.;

ა ფ შ ი რ ხ ე – ხის ბეთქილისაგან (ქერქისაგან) შეკრული კოლოფი, ინახავდნენ წვრილმან ძაფებს და სხვა. სამაწვნე კოლოფსაც აფშირხე ერქვა, ისიც ხის ქერქისაგან იმავე წესით იკვრებოდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა რ ა ჩ ხ ე – წნელისაგან მოწნული დასაფარებელიც ჰქონდა, ეკიდა საჭურჭლეს ბო მხარზე გაკეთებულ კანჭზე - კაჭზე. ინახავდნენ დარჩენილ ღომს. კოჭების შესანახი თარო ჯარგვალსა და ფაცხაში ქალების დასაჯდომ მხარეს კეთდებოდა;

ს ა კ ი ზ ე – საკოჭე ხის ყუთი, რომელიც კედელზე მაგრდებოდა.

ჩ ა ჩ ა მ უ ტ ა – ჭყინტი ყველის შესანახი გულამოღებული მორი (იქ ღვივდებოდა და ამოჰქონდათ ყველი. ხოშში ჩაჩამუტა საკოჭესაც ერქვა.

კიდობნები დიდი და მცირე.

ავეჯის ოსტატებისათვის მთავარ პრობლემად ავეჯის ზოგიერთი სახეობის, კერძოდ, ასაშენებელი ავეჯის აწყობა რჩებოდა, რაც ყველას არ შეეძლო. მეავეჯეთა ადგილიც კარგ ხელოსანთა შორის სწორედ ამ ასაშენებელი ავეჯის ხარისხის მიხედვით განისაზღვრებოდა.

მეგრელი ოსტატები ასაშენებელი ავეჯის კიდობნის კედლის წყობის ორ წესს ასახავდნენ: ფიცრის ფიცარზე მიწყობა და წვერებით „კოტების" (ხის სამჭელები) ფიცრების შენება. ასაშენებელი ავეჯის ნაწილებს ცალ-ცალკე ამზადებდნენ. პირველად ჩარჩო კეთდებოდა. ხალხის დაკვირვებით, რადგან ჩასაწყობი ავეჯის აშენება ფეხ-დირეთი იწყებოდა, ამიტომ ამ ნაწილისათვის მაგარი ჯიშის ხეს არჩევდნენ და, როგორც სხვა კუთხეებში, პატივით და ნაცარწყლით პოხავდნენ. როგორც ხალხური დაკვირვებიდან ჩანს, შვეულად მდგომი დირეების ქსოვილი ტენიანობის შემწოვი და ადვილად შლადია, ამის გამო კიდობნებს და სხვა სათავსებელ ავეჯს ქვაზე დგამდნენ. მილერი დაღესტნური ხის ჯიშების აღწერისას ხის ქსოვილის ამავე თვისებაზე ამახვილებს ყურადღებას.

ადრიდანვე გავრცელებული წესის მიხედვით, ასაშენებელი ავეჯის ერთ-ერთი სახეობის – კიდობნის შემდეგ ზანდუკის კეთების ორგვარი ხერხი შეინიშნება: დირეებში ფიცრების ჩასმის წესით და დირეების გარეშე აწყობა. აწყობის პროცესში ფიცრებს ერთმანეთს აშორებდნენ და „საფხაჭს" მოუსვამდნენ. საფხაჭი მარტივი გასასწორებელი იარაღია, რომელიც სწორ თარაზოსმაგვარ ხეში ჩასმული ლურსმნითაა წარმოდგენილი. იგი ფიცრების საბოლოო გასასწორებლად იხმარებოდა. მას ერთი კუთხე ჩაჭრილი აქვს და ზედ ლურსმანია ჩაბმული, რომელიც გასმის დროს ასწორებს ფიცარს. საფხაჭის ვასმის შემდეგ ფიცრის ზედმეტი ნაწილი გამოიყოფოდა, რომელსაც ნაჯახით მოსთლიდნენ. ამის შემდეგ, როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, ფიცარი ფიცარს მიაჯდებოდა. ფიცრებს ხის სამჭვალით – წკერებით – კოტებით ამაგრებდნენ. თუ ფიცარს სინესტე შეეყვებოდა შიპს მეტად უჭერდნენ, რათა გაშრობის შემდეგ კარგად ჩამჯდარიყო თავის წყვილ ფიცარში. ასე გამზადებულ კედლებს „ჩანგლით" (იარაღია) მოსწევდნენ და ხის ურუს დაკვრით დაამთავრებდნენ კედლის შენების პროცესს. შვერილის ბუდეში ჩასმის წესით ულურსმნოთ დამზადებული კიდობანი სვანური ავეჯის ამ სახეობასთან პოულობს ანალოგს და იგი სამეგრელოში შონურის სახელითაა ცნობილი.

ამგვარად, სვანურის ანალოგიური წესით დამზადებული კიდობანი ჩარჩოს გარეშე იყო გაკეთებული. კიდობნის თუ ზანდუკის დეტალების ამგვარი დაკავშირება ზედაპირის მთლიანობას ჰქმნიდა და ნახელავს ერთ ხეში გამოკვეთილის იერს აძლევდა.

მეგრელ ოსტატებს სვან მეავეჯეთა მსგავსად, კიდობნის დეტალები სხვადასხვა ჯიშის ხის მასალისაგან უმზადებიათ. რადგან ფიჭვის და ნაძვის ხისაგან დამზადებულ ფიცართა დაჭრელება მათი ცხიმიანობის გამო შეუძლებელი იყო, ამიტომ კიდობნის წინა ხედი ნიგვზისგან უკეთებიათ (კაკლისგან).

სათავსებელი ავეჯის (ნიშა–წალობის და თახჩების) რიგს განეკუთვნება მეგრული კარადა „აშვამკიათი", რომელიც ჭურჭლის შესაწყობად იხმარებოდა. იგი ჩვეულებრივ დირეების აწყობით შენდებოდა და ფიცრების შვერილის ბუდეში ჩასმის წესით მზადდებოდა. მას ფასადის მხრიდან ორი კარი ჰქონდა შებმული. საგებლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყობად ასეთივე კარადა გამოიყენებოდა. ძველ საისტორიო წყაროებში დიდი საგებლის დასაწყობად წალო იხსენიება[7].

XIX საუკუნიდან დიდკარიან ფახჩებს–კედლის კარადას, განჯინას უწოდებდნენ. ასევე განმარტავს განჯინას დ. ჩუბინაშვილიც[8].

ამჟამად, განჯინა ძველ სალიტერატურო ენაში აღიარებული და გავრცელებული ტერმინია.

დღემდე მიღწეული ძეგლების მიხედვით, ქართული საცხოვრებლის ინტერიერში გვხვდება ზემოთ ხსენებული კარადისებური კარებიანი განჯინა, თახჩები კედელში ჩაშენებული, ასევე კედლიდან გამოყოფილი კარადები, რომელიც ბუჯერის (ქვ.რაჭა, იმერეთი), არმანის (ზემო რაჭა) სახელს ატარებს.

მეგრული კარადა „აშვამკიათიც" ამ რიგის დგამს განეკუთვნება.

საწოლი ავეჯი. რაც შეეხება საწოლ ავეჯს, ფიქსირებული მასალის მიხედვით, მეგრული სახლების ფაცხასა და ჯარგვალში ყებურ-კერის ერთ მხარეს, კარებიდან მარცხნივ მთელ კედელზე მიჭედებული იყო საწოლი ლოგინი (მთხრ. ვლადიმერ იოსების ძე დარასელია, 65 წ., სოფ. რიყე, 1987), რომელიც თავისი აღნაგობით მასიურ სადგარებზე დამყარებულ განიერსა და გრძელ ტახტს ჰგავდა. იგი სკამ-ლოგინის სახელითაა ცნობილი. ეს საწოლი თავისებური ტექნოლოგიით სახეობდება. მას რამდენიმე ადგილზე დაბალი სვეტები ჰქონდა ჩალაგებული, რაც მთხრობელთა გადმოცემით, ერთგვარ მიჯნას წარმოადგენდა ერთ ჭერქვეშ მცხოვრები რამდენიმე ოჯახისათვის. პირველად საწოლის სადგარებს აშზადებდნენ. არგუნით - ნაჯახით გაკუთხავდნენ. შემდეგ დირეს გამოთლიდნენ და სკამ-ლოგინის ჩარჩოს შეკრავდნენ. სკამ-ლოგინთან ერთად ედგათ ტახტიც, რომელიც ანალოგიურადვე კეთდებოდა. როგორც სხვაგან, აქაც საწოლის აუცილებელ ატრიბუტს ხის თავსადები ფიცარი ორთუმელი წარმოადგენდა. იგი კონსტრუქციით საქართველოს სხვა კუთხეებში დამოწმებული სათავსქვის – ბაკანალი – ლეთხურამაშ – სასთუმლის ანალოგიური ჩანს.

ყურადღებას იმსახურებს ბავშვის საწოლი აკვანი ონწე (სვანური ჰენწ, რომელიც სვანურთან ჰპოვებს ტერმინოლოგიურ მსგავსებას).

სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდის რაიონში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ონწეს სამი სახეობა დასტურდება, რომელიც ბავშვის საწოლის განვითარების ერთგვარ ასახვას უნდა წარმოადგენდეს. ამათგან მარტივია ონწე-ფიცარი, რომლის გამოყენება მასზე ბავშვის მარტივად გადაკვრაში გამოიხატებოდა. გადასაკრავად იხმარებოდა არტახები. მასზე ბავშვი 3 დღე ეწვათ. მეორე სახე „ამის ონწე-ფიცარი" საშიბაქე ადგილებით იყო გამოყოფილი, ონწე-ფიცრის გამოყენებას ჩვილი ბავშვისათვის აუცილებლად მიიჩნევდნენ და ბავშვის სააკვნედ მომზადების თავისებურ პირობად თვლიდნენ. აკვნის შესახებ მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული სპეციალურ ლიტერატურაში[9], ჩვენ მასზე აღარ შევჩერდებით.

როგორც გამოკვლეულია, საქართველოში აკვნის მრავალგვარი ფორმიდან რწევის პრინციპის მიხედვით, აკვნის სამი სახე გამოიყოფა: უსაგოგავო, უსაგოგავო-მომრგვალებულძირიანი და საგოგავიანი. აკვნის პირველი ორი სახე ვ. ბარდაველიძის მიერ მთიულეთშია დამოწმებული, მესამე, „ქართული აკვანი", რომელსაც საგოგავი გააჩნია გავრცელებულია მთელ საქართველოში და პატ. მკვლევრის კონცეფციის მიხედვით, აღნიშნული საწოლის განვითარებულ სახეობას წარმოადგენს. სამეგრელოში საგოგავიანი აკვანი კეთდებოდა. აკვნის საწოლების ცალ-ცალკე დამზადების

---

[7] საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928წ.

[8] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული, ფრანგული ლექსიკონი. თბილისი, 1847 წ.

[9] იხ. ვ. ბარდაველიძე. ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალები. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1928, გვ. 241. ე. მაჭავარიანი, ბავშვის მოვლა-აღზრდის წესები მთიულეთში. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ.I, XXI-1951, გვ. 232. გ. ჯალაბაძე, ცოტა რამ ქართული აკვნის შესახებ. ჟურნ. „პირიმზე", 1970, N2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ, ხელოსანი „აკვნის შენებას იწყებდა“. აკვნის ნაწილებია: კამარა, რკალი, სახელური, დირე და სარწევი-საგოგავი. აკვნის რკალი ნედლი თხილისაგან წინასწარ მზადდებოდა. მისი კეთების პროცესი ასეთი იყო: თხილის ტოტის მოჭრა-მოდუნვა, თოკით „მოკავება“ და გაშრობის შემდეგ გაშალაშინება. აკვნის შენება დირეთი იწყებოდა. როგორც წესი 4 დირე მზადდებოდა. სიგრძის დირეს რტახუ-სატეხით ორი ნახვრეტი უკეთდებოდა. აკვნის კუთხის დირეში სიგრძის გამირი ჯდებოდა (კუთხის ძირზე ბუდის ამოღება და მასში თელისაგან გამოთლილი საგოგავი ფიცრის ჩასმა აკვნის აწყობის ძირითადი პროცესების დასასრულს წარმოადგენდა). ამგვარად, აშენებული აკვნის სიგრძის გამირზე დამაგრებულ წკერებზე დასაწოლი ფიცრები ეწყობოდა. არტახები და შიბაქი ჩვეულებრივი წესით უკეთდებოდა. აკვანში ჩალას ჩააფენდნენ და მასზე თივიან ლეიბს დებდნენ, აკვანში სამი ფენა ჩალა და თივა იყო დაგებული. ლეიბი მრგვლად ამოჭრილია, ზევიდან გადაფარებულია ქსოვილის ნაჭერი. ჩაჭრილის ირგვლივ იციან მცენარის ფოთლების ჩაფენა (ბუერა). ზამთარში ჩალას და ბამბას უგებდნენ. გოგოების შიბაქი მოგრძო იყო, ოვალური, ბიჭების – მრგვალად გამოთლილი. შიბაქის თავი სანთლითაა შემოლესილი. ზედ შემოხვეული აქვს მიტკლის ნაჭერი. აკვნის ქუჩს დებდნენ თიხის ქოთანს – პატარას. ქართლში და რაჭაში „კვატუშა კოკოშას“, ხოლო იმერეთში მას „ფათქეს“ უწოდებდნენ.

ბავშვს აკვანში ტიტველას აწვენდნენ. ბავშვი აკვანში გამართულად და სწორად უნდა ჩაწოლილიყო, ხელ-ფეხი უნდა ჰქონოდა ჩაკრული. ზემოდან საბანს გადააფარებდნენ და არტახებს გადაუჭერდნენ, ერთს - გულთან და მეორეს – ფეხებთან. ამ დროს მიღებული იყო საგანგებო პატარა მუხლთბალიშის დაგება. გადასაკრავებს და არტახებს ბავშვს და აკვანს ორჯერ გადააკრავდნენ. თავზე ნაჭრის ქუდს დაახურავდნენ და საშუბლეს ბამბის ქსოვილს მიაფენდნენ. სათავე და საკისრე ადგილი აკვანს ჩაღრმავებული ჰქონდა, რომ ბავშვი სწორად წოლილიყო. როგორც გამოკვლეულია, ბავშვს გუდამაყარში „გირგოლაი ქუდს“, იმერეთში გორგოლის ან გვირგვინს შეუერავდნენ და შიგ ჩითს, ბამბას, ბალახს ჩააფენდნენ, ერთგვარად დაგრეხდნენ, მიტკალს გადააკრავდნენ და პირველ ორ თვეს ბავშვს თავქვეშ უდებდნენ[10]. ჩაწვენის დღეების ურჩევდნენ. კარგ სრულ დღეებად სამშაბათი და ხუთშაბათი იყო მიჩნეული. ჩაწვენამდე აკვანს ცეცხლის აღზე შემოატარებდნენ, რათა ავი თვალი განედევნათ. აკვანში ბავშვის ჩაწვენისას ოჯახის უფროსი ქალი აცხობდა ხაჭაპურს და სანთლით ეკვედრებოდა სახლის ანგელოზს ბავშვის გაზრდას.

სამეგრელოში აკვანში ჩაწვენისას პირჯვრის გადაწერა იცოდნენ. ხევსურეთში ოჯახის უფროსი შემდეგი სიტყვებით დალოცავდა ბავშვს: „ჯვარიმც გწერავ ცხრაჯერ“, ხოლო ხევსურეთში ბავშვის გაზრდას „გორის ჯვარს“ ევედრებოდნენ[11]. სამეგრელოში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აკვანში მძინარე ბავშვს დედა ბინას არ გამოუცვლიდა. ბავშვს ძილი დაეკარგებაო. თუ დედას თავის საწოლთან გადმოჰქონდა აკვანი იმ ადგილიდან, საიდანაც მძინარე ბავშვის აკვანს გადმოიტანდნენ მტვერი უნდა წამოვიდეს და ჩაეყარა თავის ფიცართან. ეს წესი ხალხის რწმენით, ძველი ადგილიდან ძილისა და მოხვენების გადმოტანას უსრულველყოფდა.

სახლის გარეთ აკვნის პირველად გადმოტანისას, გამოაცხობდნენ კვერებს, დაილოცებოდნენ. ბებიას აკვანთან ერთად უნდა გამოეტანა კვერები და ჩიტისა და ქათმისათვის უნდა მიეცა. თუ კვერებს მათ შეაჭმევდა ხალხის რწმენით ბავშვი ფეხს ძალე აიდგამდა. ავი თვალის საწინააღმდეგოდ იცოდნენ აკვანზე სხვადასხვა ნივთის შებმა. სამეგრელოში ასეთი იყო სათვალი ძმივი, ტყემლი, ბზირი.

როგორც ცნობილია მკვლევრებს, სულ უკანასკნელ [illegible]მდე, ჩვეულებად ჰქონდათ ყოველ დიდ ხუთშაბათს უებრად კვერის დაკვრა და ასევე „ეძრახად სხვადასხვა

[10] ე. მაჭავარიანი, ბავშვის მოვლა-აღზრდის წესები მთიულეთში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. I, XXI-1951, გვ. 232.

[11] ნ. რეხვიაშვილი, მწყემლობა რაჭაში, თბილისი, 1953, გვ. 147.

ამულეტების გაჭედვა". როგორც ეს დადგენილია ნ. რეხვიაშვილის მიერ, მჭედლები ამ წესით ამზადებდნენ პატარა მინიატურულ „წალდუკებს", რომელსაც შემდგომ აპოტროფეული დანიშნულებით იყენებდნენ. ამგვარ წალდებს აკვანზეც კიდებდნენ ავი თვალის საწინააღმდეგოდ: სამეგრელოში აკვანზე შებმული ამულეტები დიფერენცირებული ფუნქციითაა წარმოდგენილი. ასე მაგალითად: „ თვალის საწინააღმდეგო მძივი, გულის რევის საწინააღმდეგო, თევზის თვალის მძივი (სურდოს საწინააღმდეგო), ღორის კბილი უყმურის საწინააღმდეგო. ამავე მიზნით სამეგრელოში, ისე როგორც სხვაგან, იცოდნენ ბავშვის აკვანში თავის ქვეშ ნალოცი ნახშირის და შავტარიანი დანის ამოდება. სამეგრელოშიც სცოდნიათ აკვანში დანიშვნა. ნიშნად სადედამთილოს მოჰქონდა თვლიანი ბეჭედი, რომელსაც აკვანზე კიდებდნენ. იცოდნენ იღბლიანი და უიღბლო აკვნების გარჩევა. წესად ყოფილა უიღბლო აკვნების ხეზე შემოდება და იღბლიანი აკვნების განათხოვრება[12].

ცარიელი აკვნის დარწევა იკრძალებოდა, რადგან იგი ხალხის რწმენით სიკვდილს მოასწავებდა.

თუ ბავშვი გარდაიცვლებოდა, მისი აკვანი გამართული ელაგათ შვიდამდე. სულის დალევის ადგილზე ნაკვერჩხლის მიყრა საყოველთაოდ იყო გავრცელებული. მონათლულ ბავშვზე სარჯი იცოდნენ, ორმოცზე „ცრემლის სუფრა", ხევში თუ ბავშვი აკვანში გარდაიცვლებოდა იმ ადგილას, სადაც აკვანი იდგა, „სულის ტაბლას" საკმეველს და ლიტრით უმზეურ წყალს გარშემო შემოატარებდნენ. ქართლში იმ ადგილას წყალს თავს უქცევდნენ და სანთელს უნთებდნენ. სამეგრელოში კი, იმერეთში გავრცელებული წესის ანალოგიურად, გარდაცვალების ადგილზე ნაკვერჩხალს მოაყრიდნენ და ფეხით დაფშვნიდნენ.

სასხდომი ავეჯი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებული სასხდომის აღმნიშვნელ ნაირგვარი ტერმინოლოგიიდან (სავარძელი, საკარცხულ-საკურცხილ) სამეგრელოში ტერმინი სკამი და კველა გვხვდება. საბას განმარტებით „სკამი" ბერძნულია. იგი ნახმარია აგრეთვე XIV ს. ძველ „ხელმწიფის კარისგარიგება", „მორთულ-მოკაზმულ მეფეს საღვნეთ წინ წინქვა დასმენ მაღლა სკამითა"[13].

მეგრული სკამი საერთო სასხდომი ავეჯის უმარტივესი ფორმაა. შედგება 4 დირესი, საჯდომის ფიცრისა და ოთხი ფეხისაგან. ამგვარი სკამის კეთება დირეს გამოთლით იწყებოდა. უპირატესობა მუხას ენიჭებოდა. ნაჯახით გულზე გახეთქავდნენ და შემდეგ 4 „ვერშოკის" სისქისას გამოთლიდნენ. ერთ მხარეს სატეხის ღარს ამოუღებდნენ. შემდეგ 2-3 მ სიმაღლის ფეხებს დაამზადებდნენ. თითოეულ დირეს გასაყრელი ყუნწი უკეთდებოდა, რომელიც ბუდეში მაგრდებოდა, ხოლო დირეში – საჯდომი ფეხები. დასაჯდომი ფიცრების სიგანე 20 ოჯს (7სმ) უდრიდა. დირეებისა და სადგარების დამუშავების შემდეგ სკამის ჩარჩოს შეკრავდნენ. დირეების ღარებში საჯდომ ფიცრებს სვამდნენ. ამ პროცესს ღარებში წებოს წასმა უსწრებდა. ზოგჯერ ფიცრებს წებოს გარეშე მიჯრით მიაწყობდნენ და დირეებზე ჩამოცმული „ჩანგლით" შეამჭიდროვებდნენ. ეს სკამი კედელთან იდგა. ასევე კეთდებოდა შედარებით პატარა სკამები – კველები, რომლებიც როგორც საქალებო-საქოლამო, ისე საოსურო-საკაცო მხარეზე იდგა. იყო საუფროსო სამფეხა სკამი, რომელსაც ზე სკამს უწოდებდნენ. იგი ჩვეულებრივი ფორმის სამფეხა სკამს წარმოადგენდა, რომელიც ყებურის – კერის მარჯვნივ იდგა და უფროსი კაცისათვის იყო განკუთვნილი. იგი მარტივია და კონსტრუქციულად სრულიად არ ჰგავს საქ-ს მთიანეთში გავრცელებულ საუფროსო სავარძლებს.

საუფროსოს მხოლოდ მისი სახელწოდება ზესკამი მიგვანიშნებს, რამეთუ კონსტრუქციით იგი არ გამოირჩევა ჩვეულებრივი სამფეხა სკამისაგან. ეს ტერმინი კი ხელმწიფის კარის გარიგებაში გვხვდება და ამდენად არის საინტერესო.

---

[12] ხელმწიფის კარის გარიგება, ექვთ. თაყაიშვილი, რედ., ტფ. 1920, გვ. 1.
[13] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოში, ისე როგორც აღმ. საქართველოს მთიანეთში, ტერმინი სკამ-ხონჩა გადი ხასიათისაა და იგი როგორც საერთო სასხდომი ავეჯის, ისე ინდივიდუალური დასაჯდომის აღმნიშვნელია.

ტაბლა-სუფრები. ჰურობისათვის განკუთვნილ დგამ-ჭურჭელს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხის სუფრებს-ტაბაკებს, რომელიც თავისი აღნაგობით საქართველოს სხვა კუთხეებში დამოწმებული ტაბლა-ტაბაგ ხონჩის ანალოგიური კონსტრუქციის იყო. იგი ჩვეულებრივი სწორკუთხა მოყვანილობის მოგრძო ფიცარს წარმოადგენდა, როგორც წესი სამ ან ოთხ ფეხს ემყარებოდა. სამეგრელოში სუფრად უფეხო ფიცრებიც იხმარებოდა. იგი უმთავრესად ქალებისათვის იყო განკუთვნილი, როგორც არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს ეს უფეხო მაგიდა სამეგრელოში „ხონჩის მაგივრობასაც ეწეოდა. ზედ აწყობდნენ ხორცს და ღომს". ცალკე ჰქონდათ ხორცის დასაჭრელი მაგიდა – ტაბაკი, რომელიც სვანური ლაზრუ-ლა ტაბაგის მსგავსად ამოგობილი ოთხკუთხა ან ოვალური თავით იყო წარმოდგენილი, ამას შინაურ ტაბაგს უწოდებდნენ. ხის მაგიდის სახელი ჯერ კიდევ XVII ს. ტაბლა ყოფილა, რომელიც ოთხკუთხა, სწორკუთხა ან მრგვალთავიანი კეთდებოდა, სამ ან ოთხ ფეხზე იდგა[14].

მაგიდის რამდენიმე სახეობის არსებობა ძველი ხელოვნების ძეგლების მიხედვითაც დასტურდებოდა. XII ს. ხელნაწერი წიგნების მინიატურებზე მრგვალი და ოვალური ფორმის მაგიდებიც შეინიშნება[15], სვანები და მეგრელები ასეთ სუფრას ტაბაკს უწოდებდნენ. მთიულები და ფშავ-ხევსურები – ტაბლას, ხევში – ხონჩას. ყველა ეს მაგიდა დამზადებული იყო ხის სქელი ფიცრისაგან, რომლის სიგრძე 2 მ აღწევდა, სიგანე 36-40 სმ, იდგა ძირითად ოთხ ფეხზე, რომელიც 40 სმ არ აღემატებოდა. ანალოგიური კონსტრუქციის, მაგრამ დიდი ზომის სუფრებს ხმარობდნენ ჭირის, ლხინის თუ მიცვალებულთან დაკავშირებული რაიმე რიტუალის შესრულების დროსაც. იგი ფიგურირებდა იმ დღეობათა წყებაშიც, რომელთაც მეგრულ კალენდარში დიდი ადგილი ეკავა.

ამრიგად, ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ მაგიდის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი ტაბლა ტაბაკი ყოფილა, ხოლო ამავე მაგიდის აღმნიშვნელი სპარსულ-არაბული სახელწოდების სუფრის ხმარება კი, როგორც ჩანს, XVII საუკუნიდანაა სავარაუდო. ტაბლა ტაბაკ-სუფრების ხმარების ტრადიციები უმეტესად მთამ შემოინახა. იგი რელიგიური საწესო დღესასწაულების და ცერემონიალის ატრიბუტი იყო.

ხალხური ავეჯი, რომელიც სამეგრელოში ძირითადად ხალხურ მეხსიერებას შემოუნახავს აქაც, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, უკავშირდებოდა ყოფაში არსებულ ისეთ მნიშვნელოვან წეს-ჩვეულებებს როგორიცაა უფროსის პატივისცემა, უფროსი ქალისა და მამაკაცის ადგილი ოჯახში, მათი მოვალეობა, ოჯახის წევრებს შორის ფუნქციათა განაწილება, გაყრა. როგორც სხვაგან, სამეგრელოშიც არჩევდნენ ყებურის (კერის) ორ მხარეს: საოსუროსა (საქალო) და საქომუნჯოს (საკაცოს), რაც ძირითადად ფაცხასა და ჯარგვალის ტიპის სახლებში იყო დაცული. ადგილების გამიჯვნა, ისე როგორც ინტერიერში, განლაგებული ავეჯის ადგილსამყოფელი კერის მხარეებით განისაზღვრებოდა. ყურადსაღებია, რომ სქესობრივი ნიშნის გათვალისწინებით, ადგილების გამიჯვნის ტრადიცია შემდგომაც დაცულია და კერასთან ჯდომის ზემოთქმული წესი, ბუხრის გაჩენის პერიოდში, მისი მარჯვენა და მარცხენა კედლის მიხედვით სრულდებოდა. კერა ოჯახის გამაერთიანებელ ცენტრს წარმოადგენდა.

---

[14] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938, გვ. 43.

[15] ვ. ართილაყვა, XVI-XVII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1965. გვ. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყებურ-კერის იმ ნაწილს, რომელიც კარიდან მარცხნივ იყო საქალო (საოსურო), მარჯვნივ საქომუნჯო (საკაცო) იყო მიჩნეული. კერის მხარეები, მთხრობელთა გადმოცემით, კერასთან ზურგშექცევით დგომის შემთხვევაში ზუსტად განისაზღვრებოდა. მარჯვენა მხარეზე საკაცო სკამი იდგა, მარცხენაზე კი საქალო კველა (სკამი). ოჯახის უფროსი მამაკაცი აქ კერის თავთან გრძელ სკამზე ჯდა. უფროსი კაცის დასაჯდომიც სკამის ან კველას სახით ყოფილა ცნობილი. ზოგჯერ იგი სწორზურგა იყო. კერის თავთან მდებარე ადგილს აქაც საუფროსო-სასტუმროს ეძახდნენ. ყებურთან მდგომი კველა დაბალფეხიანი კეთდებოდა, ის კედელთან იყო მიდგმული, ზოგჯერ მიმაგრებულიც. ტაბაკებთან მისაჯდომი კველები კი, ტაბაკის შესაფერი, უფრო მაღალფეხიანი უკეთებიათ.

საკაცო კველაზე მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ, სხდომის ეტიკეტს სამეგრელოში მკაცრად იცავდნენ. კაცი მოხდენილად გამართული უნდა მჯდარიყო. ზუსტად იცავდნენ იმ წესს, რომელიც ფეოდალური სამართლის კოდექსშია მითითებული და რომელიც გვაუწყებს: „ჯდომაში ფეხი გარეთი ზეით არ უნდა დაიდო“[16].

განსხვავებული ყოფილა საკაცო და საქალო ტაბაკები. სხვაობა სიმაღლეში შეინიშნებოდა. ისე კი ორივე გინძე ტაბაკი – გრძელი იყო. სქელი ფიცრისაგან გამოთლილი მრგვალთავიანი სამფეხა ტაბაკი (შონური), სვანურ-ლაზრულ ტაბაკის მსგავსად, მხოლოდ ხორცის დასაჭრელად იხმარებოდა.

ფეხიანი ხისორი (ხის გობი) ცომის სახელი იყო, მაგრამ იგი ტაბაკის მაგივრობასაც ეწეოდა.

ყველაფერი ეს ხის კალუ-კაჭზე იყო ჩამოკიდებული საქალო მხარეს ან იქვე გამართულ თაროზე იდგმებოდა. ამავე მხარეს იდგა ტანსაცმლის კიდობანი, კარადა აშჯამკიათი, ოწნე-აკვანი და ქალის მზითვი.

ამრიგად, ხის ავეჯის შესწავლამ სამეგრელოში გვიჩვენა, რომ იგი ძირითადად ქართული ხალხური სტანდარტული ავეჯის მარტივ ფორმებს აერთიანებდა. საავეჯე ხის შერჩევა-შეგულებისა თუ პირველადი დამუშავების პროცესების შესწავლამ ხალხის თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გამოვლენისა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის დადგენის საშუალება მოგვცა.

ინტერიერში ავეჯის განლაგების ტრადიციული წესი და ავეჯთან დაკავშირებული ზოგიერთი ცერემონიალი ავეჯს სამეგრელოში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ოჯახში არსებული ტრადიციების მატერიალურ საბუთად წარმოგვიდგენს.

ამას გარდა, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ იმ ხალხურ გამოცდილებასა და ცოდნაზე, რომელიც სამეგრელოს ტყეების ეკოლოგიურ მნიშვნელობას შეეხება. ტყე ყურადღებას იმსახურებდა, როგორც ნადირობისა და სარეწაო ნადირ-ფრინველთა საბინადრო ძირითადი ობიექტი. სამეგრელოში ნადირობდა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა. აქ გავრცელებული იყო გარეული ღორი, ირემი, შველი და კურდღელი. ფრინველებიდან – კაკაბი, ხოხობი, მწყერი, გარეული მტრედი.

XIX ს. II ნახევარში გაიჩეხა დასავლეთ საქართველოს მათ შორის სამეგრელოს ტყეების უმეტესი ნაწილი. ამჟამად, ამ ტყეებმა მხოლოდ ტოპონიმიკაში ჰპოვა ასახვა: „თხირიში“ (თხილნარი), „ხომალონი“ (ხურმნალი), „ჭყონონა“, „ჭყონა“, „ჭონდიდი“ (ჭყონმუხა), „ნაბუღევი“ (ბალი-ბული) და სხვა. დღევანდელი ზუგდიდის ინეურქალალდის კომბინატისა და მისი შემოგარენის ტერიტორია მუხის ტყით ყოფილა დაფარული, სადაც თავს აფარებდნენ გარეული ღორის კოლტები, ამიტომაც ამ ადგილს ეწოდა „ღორეჯიანი“ (საღორია).

დღეს ეჭვგარეშეა, რომ ტყეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სუბტროპიკული კულტურების ნორმალური ზრდა-განვითარებისა და უხვი და მაღალი მოსავლის მიღების საქმეში. მხოლოდ ოპტიმალური ტყიანობისა და მძლავრი ტყის ზო-

[16] არჩილიანი, ტ. I. ტფილისი, 1936, გვ.8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების შექმნისას არის შესაძლებელი აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, რადგან ტყე არის სრულყოფილი ეკოსისტემის აუცილებელი და უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. ამავე დროს სხვა კომპონენტის (ნადირ-ფრინველის სიუხვე და მრავალფეროვნება, სასოფლო-სამეურნეო, კულტურების მაღალი მოსავალი, რბილი ჰავა და სხვა) განმსაზღვრელი ფაქტორია.

ჩვენი აზრით, სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს საერთოდ და, კერძოდ, სამეგრელოს ტყეების მაქსიმალურად შენარჩუნების, ბუნებრივი ტყის ხოლების დატოვების ხალხურ გამოცდილებასა და აგრეთვე ხელოვნური ტყის ხოლების გაშენების სასარგებლო ტრადიციას.

Л. А. БЕДУКИДЗЕ

НАРОДНАЯ МЕБЕЛЬ В САМЕГРЕЛО

Резюме

Грузинский этнографический быт свидетельствует о разнообразии народной мебели, основная часть которой представляет собой продукцию домашней промышленности и ремесленного производства.

Производство и употребление деревянной мебели в Грузии и, в частности, в Самегрело имеет многовековую историю. Об этом свидетельствуют богатые традиции, связанные с изготовлением некоторых видов народной мебели.

В основу статьи легли этнографические материалы, собранные автором. Рассматриваются разновидности народной мебели; ее связь с архитектурой и ее место в семье.

Народная мебель, более или менее связанная с жилой постройкой или хозяйственным бытом, представляет собой один из материальных памятников, исследование которого имеет определенную ценность для изучения народного искусства и семейного быта.

В работе выявлены традиции изготовления народной мебели и ее художественные разновидности. рассматриваются также по мере возможности религиозные обряды, связанные с употреблением некоторых типов мебели (стола-супра) и в основном являющиеся пережитком языческих верований.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარინე ბოკუჩავა

სადღესასწაულო დღეები საინგილოში

როგორც ცნობილია, დღესასწაულები საზოგადოებრივი ყოფის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, ხოლო ყოფის განვითარებასა და დახვეწაში გადამწყვეტი როლი პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ გარდაქმნებს მიუძღვით. ძირითადად ამით აიხსნება დღესასწაულთა ის დინამიზმი, რომელიც გამოიხატება მათი შედგენილობისა და სტრუქტურის ცვალებადობაში, აგრეთვე ძველი და ახალი ელემენტების ურთიერთშერწყმაში. დღესასწაულებში განსახიერებულია ხალხის მსოფლაღქმა, ტემპერამენტი, ზნეობა, ადამიანური მრწამსი, სამეურნეო საქმიანობა, ყოფისა და ხასიათის თავისებურებები.

დღესასწაულებს ინგილოთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ხასიათისა და შინაარსის მიხედვით, ეს დღესასწაულები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თუმცა თითოეული მათგანი თავისებურად ასახავს იმ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს თუ ყოფით ჩვეულებებს, რომლებიც ქართველი ერის კულტურისა და, კერძოდ, ამ კუთხის ხალხისთვისაა დამახასიათებელი.

ტრადიციულად ინგილოები, ალბათ განსაკუთრებული ისტორიული პირობების გამო, თავშეკავებული ლხინითა და ზომიერი გართობით გამოირჩევიან. მათი გაწონასწორებული ხასიათი ყოველთვის იცავს აქაურ ქართველებს უკიდურესობებისაგან, მაგალითად, რელიგიური ფანატიზმისაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინგილოებს სჭირდებათ ის სახეიმო განწყობილება, რომელსაც ესა თუ ის დღესასწაული ჰქმნის. ისინი დიდი ერთგულებით იცავენ ძველ წეს-ჩვეულებებს, აღნიშნავენ დღეობებს და სამეურნეო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ტრადიციულად დამკვიდრებულ რიტუალებს.

საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, სადაც დღეობების თავად ბარბალობაა მიჩნეული, საინგილოში დღეობების თავად ახალი წელი ითვლება.

ახალ წელს საინგილოში დიდ დღესასწაულად მიიჩნევენ. ამ დროს ისევე, როგორც ბევრ სხვა ხალხურ დღეობებში ქრისტიანულ რელიგიურ წესებთან ერთად მაგიური ხასიათის მოქმედებებიც სრულდებოდა, რომელთა მიზანს მთელი წლის კეთილდღეობისა და უხვი მოსავლის დაბევება წარმოადგენდა.

ახალი წლის ღამეს უფროსი ქალი ან კაცი ბავშვებს მაჯებზე ბამბის ძაფს შეაბამდა. ძაფს შემოახვევდნენ აგრეთვე დედაბოძს და ყველა ჭურჭლეულს. როგორც მოსე ჯანაშვილი აღნიშნავს:„ეს ძაფი მოგვაგონებს რგოლსა, რომელიც ძველთაგანვე ცნობილია, როგორც სიმბოლო ღვთის დაუსაბამობისა და ერთარსებისა; ამ ჩვეულებით ინგილო გამოთქვამს თავის სურვილს, რომ ერთარსმა და დაუსაბამო ღმერთმა ოჯახის ყოველნი წევრნი და ყოველივე მათი ქონება ახალ წელიწადს შეინახოს მთლიანად, დაუზიანებლად და დაურღვევლად“[1].

[1] კრებული ძველი საქართველო. თბ., 1910. მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 176.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წლის რიტუალის ცენტრალურ თემას მეკვლეობის ინსტიტუტი შეადგენდა. აქ, მეკვლეობა ოჯახის უფროსს ევალებოდა. ახალწლის დილით, ოჯახის უფროსი უმძრახად წავიდოდა წყალზე[2], თან წაიღებდა წყლის ჭურჭელს და აბგით პურის მარცვალს, ხელ-პირს დაიბანდა, პურის მარცვალს დაასველებდა, ჭურჭელს წყლით გაავსებდა, ზზად თხილის დაკვირტულ ტოტებს მოტეხდა და ყველაფერს ამას სახლში წაიღებდა. დასახელებულ ყველა ნივთს თავისი განსაზღვრული მნიშვნელობა ეძლეოდა, ასე მაგალითად, თხილის დაკვირტული ტოტები ნაყოფიერების მომტანი უნდა ყოფილიყო. ამავე მიზნით, რაჭაში „საახალწლო სუფრას კახმავდნენ თხილის კუკურებით. თხილის კუკურს ვაუები სახლის კარზე ააყუდებდნენ, იქ ტოვებდნენ ნათლიღებამდე, რაჭველთა ძველებური რწმენით თხილის ტოტზე რამდენი კუკურიც იყო იმდენი წერი პური მოვიდოდა“[3].

კარებთან მისული მეკვლე დააკაკუნებდა; იქიდან გამოსძახებდნენ: ვინ ხარ? რა მოგაქვს? მეკვლე უპასუხებდა – სიკეთე, სიხარული, წყალობაო. ეს კითხვა-პასუხი სამჯერ გამეორდებოდა და მეკვლეს კარს გაუღებდნენ. შინ მისული მეკვლე იტყოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ წმინდა ბასილი, იმის მადლით იყავით პურით და ღვინით აღვსილი“[4].

მეკვლე სახლში შესვლისთანავე წყალს დადებდა კოროთში[5], თხილის ტოტებს – საკანხე (კიდობანზე), პურის მარცვალს კი მიმოაბნევდა სახლის კუთხე-კუნჭულში – ამას „საკენკის დათესვას“ უწოდებდნენ. თანაც ღმერთს შეევედრებოდა: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, ნუ მოგვაკლებ პურსა და სარჩო საბადებელსო“.

„საკენკის დათესვის“ შემდეგ, ყველანი შემოუსხდებოდნენ კერას. ოჯახის უფროსი ჭერიდან ჩამოიღებდა წინა დღითვე დაშზადებულ ერთ კონა ლარტას (კაკლის ნაკაფ ტოტებს) და ყველას თითო ტოტს ჩამოურიგებდა. ერთსაც თვითონ აიღებდა და კერას შეუტყლაშუნებდა. ლარტის ნორჩი კანი სიცხისაგან ერთბაშად დასკდებოდა და ტკაცატკუცს დაიწყებდა. ოჯახის უფროსი ამ დროს ღმერთს შესთხოვდა:„ღმერთო, გაგვამრავლე ყველაფრით, გაგვაბედნიერე“. ოჯახის სხვა წევრებიც „დაატყლაშუნებდნენ“ თავის ღერ ლარტას. ერთ ან ორ ლარტას კი ისევ ჭერში შედებდნენ[6]. შეიძლება ითქვას, რომ ცეცხლის ლოცვა საინგილოში თითქმის ისეთივე სახით დასტურდება, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში (გურია, იმერეთი, ფშავი, მთიულეთ-გუდამაყარი და სხვ.).

ჩემ მიერ მოპოვებული დამატებითი შეგროვილი მასალით, სახლის უფროსი ახალი წლის წინა დღეს ტყიდან ქოთუქს (მორს) მოიტანდა, რომელიც ახალი წლის დილიდანვე კერაში იწვოდა. სახლის უფროსი გამოათრევდა ამ ცეცხლმოკიდებულ მორს კერიდან და კეტს ურტყამდა ისე, რომ მას მრავლად დასცვივნოდა ნაპერწკლები, თანაც ამბობდა: ამდენი ვაუი, ამდენი ქალი, ამდენი ძროხა, ამდენი ხარი, ამდენი ნუგან(აბრეშუმი), ამდენი კრუხი, ამდენი წიწილა და სხვ. ანალოგიურ მოქმედებას ჰქონდა ადგილი როგორც მთელ საქართველოში[7], ასევე კავკასიის სხვა ხალხებშიც, მაგალითად ოსებთან[8].

---

[2] საქართველოს სხვა კუთხეში ამგვარი წესის შესახებ იხ. ვ. ბარდაველიძე „სვანურ დღეობათა კალენდარი“. თბ., 1939. გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987.

[3] ესომი, ახალი წელიწადი და ბოსლობა რაჭაში, „ივერია“, 1980, N2.

[4] მილოცვის ტექსტი მომაწოდა ქეთევან ივანიცკიმ, თბ., 1974 წელს და მთხრობელმა ლიზა ხუციშვილმა, კახი, 1991 წ.

[5] კოროთ – ჯამ-ჭურჭლის დასაწყობი თარო, სახლის აღმოსავლეთ კედელშია მოწყობილი... მეტად პატივსაცემი ადგილია. ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.

[6] მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 12.

[7] იხ. მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1980. მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები გურიაში. გვ. 58-59. ჯ. რუხაძე, ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 157-160.

[8] З. Гаглоева. Из истории древнейших верований южных осетин: праздник “Ног-Бон”. Тб. 1953.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხილავს რა ახალწლის ციკლთან დაკავშირებულ ანალოგიურ მოქმედებებს დასავლეთ საქართველოში, ჯ. რუხაძე ასკვნის, რომ საახალწლო მუგუზალთან, ცხემლის ხესთან (გურია) დაკავშირებული რიტუალები, ერთი მხრივ, მიმბაძველობითი მაგიის პრინციპის მიხედვით, ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა გამრავლების საქმეს ემსახურებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, საახალწლო მუგუზალი, ცეცხლი და ნახშირი ფრინველისა და საქონლის ავი თვალისაგან გამწმენდ, ავადმყოფობისაგან დამცველ საშუალებადაც ითვლებოდა[9].

სპეციალურ ლიტერატურაში ასევე დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ საახალწლო მუგუზალთან დაკავშირებული ეს ჩვეულება სქესობრივი აქტის სქემატურ გამოხატულებას წარმოადგენდა[10]. ოსეთშიც საახალწლო მორი ფალოსად ყოფილა წარმოდგენილი[11]. ძველ ქართულში კი მორი „მამაკაცის ასო სარცხვენელსაც" გამოხატავდა[12]. ე. ი. თუ მორი საახალწლო რიტუალში ფალოსად იყო წარმოდგენილი, იგი გამრავლების საშუალებაც იყო. ასევე ცნობილია მისი ავი თვალისაგან დაცვის ფუნქციაც[13].

ახალი წლის დილისათვის ოჯახის უფროსი უხუცეს ქალს ადრიანად მოამზადებინებდა საახალწლო ხონჩას, რომელზეც ეწყო ჰური, ნახუქი, თაფლით სავსე ჯამი, ერბო და ღვინით სავსე არაწი (საღვინე ჭურჭელი). ხონჩაზე ეწყო აგრეთვე ახალი წლის წინა დღით გამომცხვარი რიტუალური ჰურები, სახლის უფროსისათვის – წალდისა და კულის, ვაჟებისათვის – ღულის, ქალებისათვის – ფურის ძუძუების, გოგონებისთვის კი – ჯვარის ფორმისა.

ხონჩით ხელდამშვენებული ოჯახი თავისი ვენახის მეკვლედ მიდიოდა. მისვლისთანავე უხვმოსავლიან ვაზთან ჩერდებოდნენ, ხონჩას ვაზის გვერდით დადგამდნენ. სახლის უფროსი ვაზს ჯერ გასხლავდა, მერე შესარავდა. ვაზის შესარვისას დიასახლისი ნიადაგს ღვინით ალბობდა. შემდეგ ოჯახის უფროსი ვაზის ძირში წითელ მამალს დაკლავდა, წითელ ბუმბულს მოაცლიდა, აბრეშუმის ძაფით ჭიგოზე და ვაზზე მიაკრავდა და დააყოლებდა:„ღმერთო, ჭურჭუხის საყდარო, ნუ მოგვაკლებ ქვევრებში წითელ ღვინოს". ამის შემდეგ, ოჯახის წევრები ღვინოს ცოტათი მოსვამდნენ და შინ შებრუნდებოდნენ.

როგორც ვხედავთ, ახალი წლის წეს-ჩვეულებათა ციკლში მამალთან და ვაზთან დაკავშირებულ რიტუალს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. საახალწლო ციკლში მამლის ამგვარი მნიშვნელობა დამახასიათებელია საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც (გურია, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა და სხვა).

დასავლეთ საქართველოში ახალი წლიდან დაწყებული ერთმანეთს მისდევდა დღეობები, რომლებიც მიწის მოსავლიანობის გადიდებისა თუ გვალვა-დელგმის საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი და რომელთა სალოცავი და შესაწირავი ფრინველი კვლავ მამალია[14].

ეთნოგრაფიული გამოკვლევები ფრინველებს და განსაკუთრებით კი მამალს ცასთან და მზესთან აკავშირებენ. მამალი, როგორც გამანაყოფიერებელი ძალის მქონე, კავშირს ამყარებს მზესა და მიწასთან. მზის ღვთაების ფუნქციების მქონე მამალს დედამიწის სიმბოლური აღორძინება უნდა გამოეწვია, მამლის კავშირი აგრარულ მეურნეობასთან მზის თაყვანისცემისა და მიწათმოქმედების კულტის განუყრელი კავშირის სახით იყო გაბრეული[15].

---

[9] ჯ. რუხაძე დასახ. ნაშრომი. გვ., 70.

[10] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ. 134.

[11] З. Гаглоева, указ. сочинение.

[12] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი

[13] Л. Штернберг. Первобытная религия в свете этнографии, Л., стр. 305-307.

[14] ჯ. რუხაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

[15] ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1941, გვ. 70-71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინგილოში დამოწმებული ზემოაღნიშნული რიტუალი კიდევ ერთხელ ადასტურებს ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დამკვიდრებულ მოსაზრებას მამალზე, როგორც გამანაყოფიერებელი ძალის მქონე მზის ღვთაების ფუნქციების მატარებელ ფრინველზე.

ოჯახში – კერასთან და ვენახში – ვახთან ჩატარებული რიტუალების შემდეგ ხდებოდა საქონლის მიკვლევა. ბოსელს ბავშვები უკვლევდნენ. თან წაიღებდნენ საქონლისათვის სპეციალურად გამომცხვარ კვერებს, რომლებსაც ჯერ რქებზე წამოაცვამდნენ და შემდეგ შეაჭმევდნენ.

მეკვლეობის ინსტიტუტი საინგილოში საინტერესოა სხვა მხრივაც. ახალ წელს შინაურები, მეკვლეს გარდა (ოჯახის უფროსი მამაკაცი), ელოდებოდნენ გარეშე მეკვლესაც, რომელსაც წინასწარ ირჩევდნენ. მეკვლე უნდა ყოფილიყო ბედნიერი კაცი. თუ კარგი ფეხის იქნებოდა ერთი და იგივე პიროვნება რამდენიმე წელს ზედიზედ შეიძლებოდა ჰყოლოდათ. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ოჯახს რაიმე უბედურება შეემთხვეოდა ან ზარალი მოუვიდოდა მეკვლეს აუცილებლად გამოცვლიდნენ. გარეშე მეკვლეც შევიდოდა თუ არა ოჯახში, აიღებდა კაკლის ლარტას, კერას შეუკეთებდა და ოჯახს დალოცავდა. ამის შემდეგ საახალწლო ლხინი იმართებოდა.

ზემოთ აღწერილის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი საქართველოს მსგავსად საინგილოშიც დღეობა, ახალი წელი, ბუნების ნაყოფიერება აღორძინებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია, რომელშიც მძლავრად ფიგურირებენ ნაყოფიერების სხვადასხვა კულტები: კერის, სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის, ფრინველის, წმ. ბასილის და სხვათა სახით.

წყალკურთხევა (ნათლიღება)

ნათლიღებას ქრისტიანული ეკლესია აღნიშნავს 6(19) იანვარს. ამ დღეს სახარების თანახმად, იოანე ნათლისმცემელმა მდინარე იორდანეში მონათლა იესო ქრისტე. ნათლიღების დღესასწაულს ახლავს წყლის კურთხევა.

საინგილოში ნათლიღების დღესასწაული წყალკურთხევის სახელით მოიხსენიება. საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ეს დღე საინგილოში მიცვალებულის მოსახსენიებელ დღედ ითვლება. წყალკურთხევის დღეს, დილით მთელი ოჯახით მიდიოდნენ სასაფლაოზე, თან მიჰქონდათ ღვინითა და სხვადასხვა სანოვაგით დატვირთული ხონჩა. აუცილებელი იყო ფლავი ქათმით. ამასთან დაკავშირებით, საინგილოში ასეთი თქმულებაც კი არის გავრცელებული: ერთ ღარიბ კაცს სახლისთვის კარები ჩამოუხსნია და გაუყიდია, იმისათვის, რომ წყალკურთხევას სასაფლაოზე „ქათმის ფლავი" გაეტანა.

სასაფლაოზე ყოველი ოჯახი თავისი მიცვალებულის საფლავზე მივიდოდა, სანთლებს დაანთებდა, საკმეველს აკმევდა. შემდეგ იქვე სუფრას გაშლიდნენ, მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ და მიტანილ კერძებს შეექცეოდნენ.

კოტიობა

საინგილოში ადრე გაზაფხულზე კოკისპირული წვიმ[illegible]�ის. სწორედ ამ დროს, ყველიერის წინა კვირაში, ავდრის თავიდან აცილების მიზნით, იმართება დღესასწაული კოტიობა.

შეიყრებოდნენ სოფლის ახალგაზრდა ბიჭები, დაიკავებდნენ ვეება კოტიტს – კოტიტი დიდი დედოფალაა, ქალივით მორთულ-მოკაზმული და დაივლიდნენ სოფელს კარდაკარ. ყველა ჭიშკარზე დააკაკუნებდნენ და მასპინძელს უმღერებდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კოტი, კოტი, კოტმატი
კოტის სალამი მიეცით, კიჰო! კიჰო!
დღეს მოგვეცით ფქვილი,
ხვალ გამოვა მზეო, კიჰო! კიჰო!
ბევრს თუ მოგვცემთ ვაჟი გეყოლებათ,
ცოტას თუ მოგვცემთ, ქალი გაგიჩნდებათ,
ისიც აკვანში გაგისკდებათ, კიჰო! კიჰო!
ჩვენ მშვიდობით, თქვენ გამარჯვებით“.

სახლის პატრონი აუცილებლად გამოუტანდა: ფქვილს, კვერცხს, ბრინჯს (ყველაფერი თეთრი ფერის უნდა ყოფილიყო). თუ მასპინძელი იძუნწებდა, გაუგორებდნენ კოტიტს ჭოში და მიაძახებდნენ: „ კრუხ წიწილამც გაგწყვეტიათ, კიჰო! კიჰო! კიჰო!

ამის შემდეგ, შეგროვილ სანოვაგეს ვისიმე ჭოში მიიტანდნენ, იქეიფებდნენ და თანაც ღმერთს შესთხოვდნენ – ამოდენა წვიმა გვაკმარე, დარი დაგვიყენეო.

კოტიობის მსგავსი აგრარული დღესასწაულები გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში სხვადასხვა თავისებურებებითა და სახელწოდებებით:

მესხეთ-ჯავახეთში გაიგონებთ: „ლაზარ მოდგა კარსა...“ ან ამავე რიტუალს ინგილოურის მსგავსად „კოტი-კოტის” უწოდებდნენ[16].

ამინდის (ტაროსის) წარმართული ღვთაების ელიას საშუალებით გვალვის, წვიმის თუ ავდრისას „მზის თვალის“ (დარის) გამოსათხოვად კახეთში გოგოები იკრიბებოდნენ, „ლაზარეს“ გააკეთებდნენ ხოლმე და სოფელ-სოფელ დადიოდნენ და მღეროდნენ ლექსს წვიმის მოსაყვანად... ან გამოსადარებლად[17], შემდეგ აქაც ჩამოუვლიდნენ სოფელს კომლეურად, სადაც მათ ასაჩუქრებდნენ კვერცხით, ფქვილით და ა. შ.

ლაზარობას ქართლშიაც მიმართავდნენ[18].

ვ. ბარდაველიძე ლაზარობის იდენტურ დღესასწაულად ხევსურეთში გონჯაობას მიიჩნევს[19].

სასურველი ამინდის უზრუნველსაყოფად იმერეთსა და რაჭაში გონჯაობასა და კოხინჯრობას მართავდნენ. ამ დღესასწაულის მთავარი მოქმედი პირი ან სახეს იშავებდა, ან წელს ზემოთ იმურებოდა[20].

ლაზარობას კვალი ჩანს აჭარაშიც[21].

ლაზარობა საქართველოს თითქმის ყველა კუნჭულში მოწმდება. იგი ცნობილია საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველებშიც. კერძოდ, ფერეიდნელ ქართველებში[22].

მიუხედავად იმისა, რომ ინგილოური კოტიობა თავისი ხასიათითა და მიმდინარეობით თითქოსდა არაკალენდარული ლაზარობის იდენტური, სასურველი ამინდის უზრუნველსაყოფი საწესო ქმედებაა, იგი შეიძლება ჩაითვალოს კალენდარულ, საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებულ ბერიკაობა-ყენობის მსგავს აგრარულ დღესასწაულად პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი იმართება წლის გარკვეულ დროს გახაფხულზე – ყველიერის წინა კვირაში. მეორე – მართალია „კოტიობაში“ თითქოსდა არ ფიგურირებს ფალიური ელემენტი, რომელიც ასე მძლავრადაა წარმოდგე-

[16] ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 112.

[17] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1960, გვ. 76.

Г. Ф. Чурсин, Народные обичии и верования Кахетии. Тф., 1905. გვ. 19.

[18] იხ. კრ. შიდა ქართლი, თბ., 1987, მ. მაკალათია, წყლის კულტის გადმონაშთები შიდა ქართლში, გვ. 84.

[19] В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования. Тб., 1957, გვ. 153-154.

[20] ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 176, ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 226.

[21] თ. სახოკია, მოგზაურობანი. თბ., 1950, გვ. 202, ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, 1971, გვ. 234-235.

[22] ხ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ. თბ., 1969, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი „ბერიკაობა-ყეენობაში“[23], მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ კულტის (ფალოური კულტის) ნაშთი ჩანს „კოტიობის“ სიმღერის ტექსტში: „თუ ბევრს მოგვცემთ ვაჟი გეყოლებათ, ცოტას თუ მოგვცემთ ქალი გაგიჩნდებათო“, და რაც მთავარია თვით ამ დღესასწაულის სახელწოდება „კოტიობა“ მიგვანიშნებს წარსულში ფალოური კულტის არსებობაზე ამ დღესასწაულში. ტერმინ „კოტის“ ეტიმოლოგია მოცემული და ახსნილი აქვს ვ. ბარდაველიძეს, როგორც ფალოსის აღმნიშვნელი ტერმინისა[24]. ასევე ცნობილია, რომ „კოტი“ ღვთაება ბოსლოს ბასილას ატრიბუტია და გამრავლება-ნაყოფიერების ფუნქცია მიეწერება.

მესამეც – საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ბერიკას თავზე ფრინველის ბუდე ესურა (მაგ. კახეთში), ქართლში კი ბერიკას ქუდზე მამლის თავი ჰქონდა დამაგრებული[25]. თუმცა „კოტიობაში“ ფრინველის ბუდე არ ჩანს, მაგრამ სიმღერის ტექსტში გვაქვს შეძახილი „კიჰო! კიჰო!, რომელიც უნდა მიუთითებდეს ფრინველის კულტის არსებობაზე ამ დღესასწაულში.

ცნობილია, რომ ბერიკაობიდან ერთი კვირის თავზე იმართება დღესასწაული ყეენობა. საინგილოშიც მსგავსი ვითარება გვაქვს კოტიობიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ – ყველიერის კვირის დღეებში იმართება დღესასწაული „ხინკალხანობა“, რომელიც ძალზე წააგავს ყეენობას და, რაც მთავარია, დრო ამ დღესასწაულების ჩატარებისა – ბერიკაობა-ყეენობა იმართება ადრე გაზაფხულზე, ყველიერში სწორედ იმ დროს, როცა ინგილოური კოტიობა და ხინკალხანობაა.

„ხინკალხანობაზე“ მორთავდნენ ვინმეს ბოქაულის ან პრისტავის ტანისამოსში, დაჰკიდებდნენ მედლებსა და ჯილდოებს, მიამაგრებდნენ ეპოლეტებს და ცხენზე ამხედრებულს დაატარებდნენ კარდაკარ. პროცესიას უკან მისდევდნენ მეჯურნეები და სოფლის ახალგაზრდობა. ყოველ ჭოში შესვლისას იმართებოდა ცეკვა-თამაში, რომელშიაც სტუმრებთან ერთად მასპინძლებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამის შემდეგ მოსულნი აუწყებდნენ სახლის პატრონს, რომ „ხინკალხანმა“ ამ კომლს ამდენი და ამდენი ხარჯი შეაწერა, რასაც მასპინძელი ზედ ხორაგსაც მოაყოლებდა. მეორე დღეს ნაშოვნი ფულის ნაწილით მეჯურნეებს გაისტუმრებდნენ, დანარჩენით კი შეიძენდნენ სურსათ-სანოვაგეს და იქეიფებდნენ, თვითონ ხინკალხანს ქეიფის დასასრულს ტალახში ამოგანგლავდნენ.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად ბერიკაობა-ყეენობა არ არის წარმოშობით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი სხვადასხვა დღეობა, არამედ ყეენობა ბერიკაობის საფუძველზე ჩამოყალიბებული დღესასწაულია, რომელშიაც, ბერიკაობიდან მომდინარე წარმართული ხასიათის ელემენტებთან ერთად, ქართველი ერის ისტორიული წარსულის ცალკეული ეპიზოდებიც აისახა[26]. ვფიქრობთ, იგივე მოსაზრება შეიძლება გამოვიყენოთ „კოტიობა-ხინკალხანობის“ ანალიზისას.

ხინკალხანობის დასასრულს ხინკალხანს ტალახში ამოგანგლავდნენ. ტალახი შავი ფერისაა. შავია აგრეთვე ბერიკას ნიღაბიც.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კოტიობა და ხინკალხანობა ისევე, როგორც ბერიკაობა-ყეენობა, მიწის ღვთაებისადმი (შავი ფერი – ტალახში ამოგანგვლა, კოტი-ბერიკა-ბასილის ატრიბუტი და სხვ.) ბერიკა-ბასილისადმი მიძღვნილი დღესასწაულებია, ამ ღვთაებას კი ადორძინებისა და გამრავლება-ნაყოფიერების ფუნქცია აკისრია. „... ბერიკები თავიანთ თავს წმ. ბასილთანაც აიგივებდნენ. ბასილისა და ბერიკას მსგავსებას ის ფაქტიც უნდა ადასტურებ-

[23] ჯ. რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაულები, თბ., 1966.
[24] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწ. ისტ., თბ., 1941, გვ. 188-191.
[25] ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი. ილუსტრაცია 43.
[26] ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს, რომ ბერიკა და საახალწლო რიტუალური პური ბასილა მამრობითობის აღნიშვნელი ასოთი იყო წარმოდგენილი, ორივეს მიზანს ადამიანის, მცენარეულთა და ცხოველთა განაყოფიერებაზე ზემოქმედების მოხდენა წარმოადგენდა"[27].

კოტიობა და ხინკალსანობა კალენდარულ, ნაყოფიერება-აღორძინებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებად შეიძლება ჩავთვალოთ.

ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ამ ტიპის დღესასწაულები ჯერ კიდევ ძველ აღმოსავლეთსა და ელინურ სამყაროში იყო გავრცელებული. ამ რიგის დღესასწაულები დღემდე შემორჩა ბულგარეთში, რუმინეთში, საბერძნეთსა და სხვ[28].

კ ო რ კ ო ტ ო ვ ა (კორკოტობა) იმართებოდა დიდმარხვის შემოსვლიდან ოცდამეოთხე დღეს. ეს დღე მიცვალებულის დღედ იყო მიჩნეული, თუმც საფლაჭზე გასვლა აუცილებელი არ იყო. ამ დღეს ყველა ოჯახში მიცვალებულების სახელზე მოხარშავდნენ კორკოტს – დაღერღილი ხორბლის ფაფას, რომელსაც ახავებდნენ დანაყილი ნიგვზით, თაფლით, ქიშმიშით ან მხოლოდ ნიგვზის ზეთით. კორკოტობა, როგორც წესი, აპრილში (24-25 აპრილს) მოდიოდა, სწორედ ამ პერიოდში ყორყოტებმა იციან საინგილოზე გადაფრენა. ბავშვებს აშინებდნენ, რომ მარხვის გატეხვის შემთხვევაში მათ ყორყოტები ენას ამოგლეჯდნენ და სამუდამოდ დაამუნჯებდნენ.

უ მ ძ რ ა ხ ო ბ ი ს დ ღ ე. მწუხრის კვირის ხუთშაბათს საინგილოში „უმძრახობის დღეს" ეძახიან. ამ დღეს ოჯახის უფროსი ადრე ადგებოდა, ხმის ამოუღებლად გარეთ გავიდოდა. სახლის ირგვლივ ნაცარს მოაბნევდა, ზაფხულში ჭიანჭველა არ შეგვესიოსო, ბოძებს ჯოხს მიუკაკუნებდა – ბუზები არ დაგვესიოსო, აბრეშუმის ჭიის ლასტებსაც შეანძრევდა. შემდეგ ცულს წამოავლებდა ხელს და იმ ხეებს მოუღერებდა, რომლებიც ნაყოფს აღარ იძლეოდნენ. ამ დროს სახლიდან უჩუმრად რომელიმე ოჯახის წევრი გამოვიდოდა და როცა მოქნეულ ცულს დაინახავდა, შესძახებდა: „ჯერ ნუ სჭრი, თავი დაანებე, პირობას დადებს, რომ დღეის იქით მოისხამს და მეწლედ არასოდეს დარჩებაო. „უმძრახი" ხმას არ გასცემდა და ყველა უნაყოფო ხეს „შეაშინებდა" ასეთი წესით, უკან ადევნებული ოჯახის წევრი კი ყველგან შეაჩერებდა. ზოგჯერ „უმძრახი" უნაყოფო ხეს ცულს რომ მოუღერებდა თვითონ ეტყოდა: „თუ წელს არ დაასხმეხარ, შენ თავ მააჭრევარ" და ერთხელ მსუბუქად ჩაჰკრავდა წალდს. ამის შემდეგ თუ „უმძრახს" სადმე სარეველა ბალახი ან უსარგებლო მცენარე ეგულებოდა, ბარით ამოაგდებდა, რწმენის თანახმად, „უმძრახობის დღეს" ამოგდებული ბალახი ან მცენარე აღარ ამოვიდოდა.

როგორც ვხედავთ, „უმძრახობის დღეს" შესრულებული მაგიური ქმედებაც ნაყოფიერებისადმია მიძღვნილი. ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი მსგავსი მაგიური ქმედებები დადასტურებულია საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მაგალითად, კახეთში „უმძრახობის დღეს" ჩატარებული მაგიური ქმედებების ანალოგიურად ასრულებდნენ ამაღლებას[29].

საინგილოში „უმძრახობის დღეს" აუცილებელი იყო სამარიეჭზე (სასაფლაოზე) გასვლა. ამ დღეს სასაფლაოზე მხოლოდ მამაკაცები მიდიოდნენ, სადაც თავისი მკვდრების საფლაჭზე თავსა და ფეხებთან თითო ბელტ მიწას დადებდნენ და სანთლებსაც ანთებდნენ. სანთლებს მხოლოდ თავის მკვდრებს როდი უნთებდნენ, სანთელს ასევე უპატრონო მკვდრებსაც აუნთებდნენ. სასაფლაოზე აუცილებლად უნდა წაეღოთ ღვინო და ჭინჭრის გირკი. გირკი არის ნახევარმთვარის ფორმის ხინკალი, რომელსაც გულში უდებენ ხორცს, ყველს, სუჭმას (ხაჭოს მსგავსია) ან ჭინჭარს. გირკის ნაპირებს დაფრჩხილავენ ხოლმე.

---

[27] ჯ. რ უ ხ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 17.

[28] Календарные обычаи и обряды в странах зарубежной Европы, Весенние праздники. М., 1977, გვ. 253-256.

[29] Г. Ф. Ч у р с и н. Народные обычаи и верования Кахетии. Тиф., 1905, გვ. 42.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტიანული მოძღვრების მისედვით, ყველაზე დიდ დღესასწაულად აღდგომა ითვლება.

გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვით:აღდგომა „ჩვენთვის უქმეთა უქმეა და დღესასწაულთა დღესასწაული, აღემატება ყველა დღესასწაულს არამარტო ადამიანურს და მიწიერს, არამედ ქრისტიანობრივს და ქრისტესათვის შესრულებითაც ისე, როგორც მზე ვარსკვლავთ აღემატება“[30].

თავდაპირველად ქრისტიანები დღესასწაულს ებრაულ პასექთან ერთად (პასექის თანადროულად) აღნიშნავდნენ. შემდეგში იუდაური ტრადიციებისაგან გათიშვის მიზნით, ქრისტიანული ეკლესიების პირველმა მსოფლიო კრებამ 325 წელს დაადგინა, რომ ქრისტეს აღდგომა ედღესასწაულათ გახაფხულის ბუნიობის (დღე-ღამის გათანაბრების) პირველ კვირას, სავსე მთვარის შემდეგ, ამიტომ აღდგომის დღესასწაულის თარიღი მოძრავია. იგი ხან მარტის, ხან აპრილის და ზოგჯერ მაისის თვეში მოდის.

აღდგომისათვის მზადებას ინგილოები წითელი პარასკევიდან იწყებდნენ. ამ დღეს შეღებავდნენ წითლად კვერცხებს, მოამზადებდნენ ნიგჯხის ზეთიან ფლავს და სხვა სამარხვო კერძებს და ყველაფერს ამას საფლავზე გაიტანდნენ, სანთლებს ანთებდნენ, საკმეველს აკმევდნენ, მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ, სამარხვო საჭმელს შეექცეოდნენ, წითელი კვერცხები კი უკან მიჰქონდათ სახლში და ხსნილისთვის ინახავდნენ.

აღდგომა დღეს ოჯახის დიასახლისი ხონჩაზე დააწყობდა კვერცხწასმულ წითელ ლავაშებს, ქათამს, ტოლმას, თაფლს, ბაქმაზს. ხონჩის თავბოლოში ორ სანთელს დაამაგრებდა, ცეცხლს მოუკიდებდა, წაიღებდა და დადებდა „დადაშას“ – ზედაშეს გვერდით სკამზე ან ტაბლაზე. ოჯახის უფროსი მამაკაცი აღმოსავლეთისაკენ შემობრუნდებოდა, პირჯვარს გადაიწერდა და ღმერთს შეევედრებოდა ოჯახის ბედნიერებას:„ღმერთო და ქურმუხის საყდარო გახსნილებას მუდამ დოგასწარ“, მერე „დადაშას“ ახდიდა, ჯერ თვითონ დალევდა, მერე ოჯახის სხვა წევრებს შეასმევდა ღვინოს და კიდევ ერთხელ დაილოცებოდა.

სახედაშე ქვევრი ინგილოებს ჰქონდათ სამი: ქრისტე ღმერთის სახელზე, რომელსაც აღდგომას ხდიდნენ თავს, ღვთისმშობლის სახელზე, რომელსაც მარიამობას ახდინდნენ და წმინდა გიორგის სახელობის სახედაშე ქვევრი, რომელიც ქურმუსობას გაიხსნებოდა. ღმერთის შიშით დღესაწაულამდე სახედაშე ქვევრს ხელს ვერავინ ახლებდა.

მთხრობელის თქმით – იმისი მიდამოები წმინდა ადგილად ითვლებოდა. ქურდები და ლეკებიც კი ერიდებოდნენ, გაქვავებისა ეშინოდათ, რუსებს კი თურმე დადაშა აეხადათ და იქვე გაქვავებულან.

აღდგომა დღეს ინგილოებს წესად ჰქონდათ „ხუციანთ ოთხთაჭზე“ გასვლა. იქ ჰკლავდნენ ზვარაკს (ყოჩს ან ქათამს) ქრისტეღმერთის სახელზე, წმინდა „კიდბანზე“ და დიდ კიდობანზე (სადაც წმ. ნივთები ინახებოდა) სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ, შემდეგ იქვე ქეიფობდნენ. წესად იყო შეწირული ცხვრის თავ-ფეხის, ტყავისა და ხორცის ხუციშვილების ოჯახისთვის დატოვება. აღსანიშნავია, რომ „ხუციანთ ოთხთაჭზე“ უქმობის ტრადიცია დღესაც გრძელდება.

„ხუციანთ ოთხთაჭზ“ ეძახიან საღმრთო წერილის წიგნებსა და საეკლესიო ნივთებს, რომლებიც ხუციშვილების ოჯახში ინახებოდა დიდ კიდობანში. დღეს ეს ნივთები იქ აღარ არის. 1937 წელში ადგილობრივ მთავრობას მათი კონფისკაცია მოუხდენია.

[30] Григорий Богослов. I, გვ. 662.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუციშვილების ოჯახი მთელს საინგილოში, უპირველეს ყოვლისა, იმითაცაა ცნობილი, რომ მას ინგილოთა გამაჰმადიანების დროსაც რჯული არ შეუცვლია. ამ ოჯახის წარმომადგენლებმა მიუხედავად ძალდატანებისა არ უღალატეს მამა-პაპათა სარწმუნოებას. ხუციშვილების გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის სახლში ინახებოდა ეკლესიიდან წაღებული სახარება და სხვა საეკლესიო სიწმინდენი. მაგრამ ხუციშვილები ამ ნივთების მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენას და პასიურ შენახვას როდი დასჯერდნენ. ოთხთავის დაცვის ადგილმა შეცვალა მაჰმადიანთა მიერ გაუქმებულ-განადგურებული ეკლესიები და იდუმალ სამლოცველოდ იქცა. „ხუციანთ ოთხთავს" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგილოებისათვის ყველანაირი ძნელბედობის უამს, იგი, ქურმუხის წმ. გიორგის სალოცავის შემდეგ ყველაზე წმინდა ადგილად ითვლებოდა. ქართველობა სწორედ აქ იკრიბებოდა (აღდგომას, მარიამობას და ზოგიერთ სხვა დღეებშიც) და ასრულებდა ქრისტიანულ წირვა-ლოცვას. მართალია დღეს საეკლესიო ნივთები და წმ. წიგნები იქ აღარ არის, მაგრამ შემორჩენილია დიდი კიდობანი, რომელშიაც წინათ ინახებოდა ეს საეკლესიო ნივთები, არის აგრეთვე პატარა წმინდა კიდობანი[31], რომელშიც ტრადიციისამებრ ინახება ბამბა და ცვილი სანთლების დასამზადებლად. „ხუციანთ ოთხთავის" ჭოში სწორად უნახავთ მორწმუნეთა მიერ შესაწირად მიყვანილი ქათმები, რომელთაც ჭოში ცოცხლად უშვებდნენ ხოლმე.

ინგილოთათვის „ხუციანთ ოთხთავის" მნიშვნელობაზე მეტყველებს ერთი ლეგენდაც: „ერთხელ მდინარე ქურმუხი ადიდებულა და ხუციანთ ოთხთავს წალეკვით დამუქრებია, მაშინ უნახავთ სწორედ, რომ ოთხთავის თაჯზე ცეცხლოვანი ჩიტების მსგავსი სამი ანგელოზი დაფრინავდა. ამ დროს საიდანღაც გრძელთმიანი ქალი გამოჩენილა და ქურმუხისათვის ხელით უნიშნებია ოთხთავი არ წალეკოო, თვითონ წყლის გაღმა გასულა, ოთხთავის კარ-მიდამო კი წალეკვას გადარჩენია".

აღდგომა დღეს საგვარეულო საყდრებზე გასვლაც იცოდნენ. საინგილოში საგვარეულო საყდრებს ეძახიან წმინდა ხეებს. წმინდა ხეები ძირითადად ცაცხვებია. აქ ბევრ გვარს აქვს თავისი საგვარეულო საყდარი[32]. ოჯახს „სალმრთო" ყოჩთან ან მამალ ვარიასთან ერთად საალდგომო ხონჩაც მიჰქონდა. „საყდარზე" მისულები სანთლებს დაანთებდნენ, საკმეველს აკმევდნენ, ილოცებოდნენ – ღმერთს შესთხოვდნენ ოჯახის წევრების ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, შემდეგ სალმრთოებს დაკლავდნენ და სუფრას შლიდნენ. წყალდიდობის თავიდან აცილების მიზნით, წმინდა ხეებთან სალმრთოებს კოკისპირული წვიმების დროსაც კლავდნენ ხოლმე. უბანი ან გვარი სალმრთოს კლავდა მორიგეობით ან შეკრებილი თანხით.

სასურველი ამინდის უზრუნველყოფისადმი მიძღვნილი მაგიურ-რელიგიური ქმედება „სალმრთოს დაკვლა" მსგავსია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დამკვიდრებული დღეობების (ელიობა, კოხინჯრობა, სვამლობა და სხვ.)[33] დროს ჩატარებული ასეთივე მაგიურ-რელიგიურ ქმედებებისა.

წმინდა ხეებთან სალმრთოების დაკვლა ადრე გაზაფხულზეც ხდებოდა სამიწათმოქმედო სამუშაოების დაწყებამდე. ღმერთს ევედრებოდნენ უხვმოსავლიან წელს, განსაკუთრებით კი ბრინჯის მოსავალს შესთხოვდნენ. ამ შემთხვევაშიც სალმრთოს კლავდა უბანი ან გვარი. სალმრთოდ, როგორც წესი, არჩევდნენ ყოჩებს, იშვიათ შემთხვევაში კი – ბულასაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცხვარი განაყოფიერებისა და აღორძინების ძალის შემცველ ცხოველადაა წარმოდგენილი, ყოველწლიურად მის დაკვლას კი იმ მიზ-

[31] წმ. „კიდობანი" ყველა ოჯახშია, კორთეში დევს ხოლმე.

[32] ცნობილია „ქიტიანთ საყტარ" – თოფალში ქიტიაშვილების მამულში წმინდა ადგილად მიჩნეული ხეები. ეპიტაშვილების საყდარი, ასევე წმინდა ხეების ჯგუფი.

[33] ნ. ბრეგაძე, მემინდვრეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი რაჭა-ლეჩხუმში. მაცნე, 1964, N2.

ნით მიმართავდნენ, რომ იგი მეორე წელს ქვეყანას ახალი ეხერგიით მოვლენოდა, ოჯახს დედამიწა გაეხაყოფიერებინა[34].

ამ რწმენას მისდევდნენ მთელ საქართველოში: ქართლში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, აფხაზეთში და სხვ.

ახლა რაც შეეხება თვით კულტის ობიექტს – „წმინდა ხეებს" სთხოვდნენ ოჯახის წევრების ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, კარგ დარს და უხვ მოსავალს. ინგილოური „საყდართ გასვლა" ან წმინდა ხის თაყვანისცემა, კიდევ ერთხელ ადასტურებს ხის კულტის ფართოდ გავრცელებას და სიძლიერეს საქართველოში. საერთოდ კი ხის კულტი ჩვენში შუა ბრინჯაოს ხანიდან ვითარდება და იგი გვევლინება სათემო და სატომო ნაყოფიერების ღვთაებად.

„სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე ყველა ხალხში გავრცელებული ნაყოფიერების უნივერსალური ემბლემაა". ეს ბუნებრივია, ჯერ ერთი, იგი ნიადაგიდან არის აღმოცენებული და ნიადაგის ნაყოფიერების სიმბოლური განსახიერებაა. მეორეც, თვით არის ნაყოფის მომცემი. მესამეც, ფოთოლცვენითა თუ შემოსვით, თითქოსდა ბუნების სიკვდილ-სიცოცხლეს გამოხატავს. ან მარადმწვანეობით – სიცოცხლის უსასრულობას და ა.შ. განსაკუთრებულია სიცოცხლის ხის ადგილი ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში, მითებსა და სიმბოლიკაში[35]. როგორც გამოჩნდა, ასევე დიდი ადგილი უკავია სიცოცხლის ხის მოტივს ინგილოთა რელიგიურ წარმოდგენებში[36], მითებსა და სიმბოლიკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახის კულტი, რომელიც ასე მძლავრად არის წარმოდგენილი ახალი წლის ერთ-ერთ რიტუალში. ვახის გარდა, ზოგიერთ სხვა ხესაც მიეწერებოდა განსაკუთრებული ფუნქცია. თხილის ხეს ნაყოფიერებას მიაწერდნენ. როგორც ვნახეთ, თხილის დაკვირტული ტოტები, როგორც ნაყოფიერების მომტანი, ახალი წლის რიტუალის აუცილებელი ატრიბუტია. თხილის ნაყოფიერების ფუნქცია საინტერესოდაა წარმოდგენილი ინგილოური ქორწილის ერთ-ერთ რიტუალშიც: აყარზე ასული სიძე პატარძალს თავზე ერთ ჯამ თხილს გადმოაყრის. ეთნოგრაფ გ. ჯალაბაძის ცნობით, ქართლში ამავე მიზნით იცოდნენ თხილით სავსე ქილის გატეხვაც. მისივე ცნობით ადიღეურ საქორწილო რიტუალში ნეფე-დედოფლის ერთ-ერთ საპატიო მისართმევ საგნად ითვლებოდა თხილის ნაყოფებისაგან დამზადებული დროშა, რომელიც ნეფე-დედოფლის ოჯახის რელიკვიად რჩებოდა ხოლმე.

სიკეთის მომტან „კეთილ" ხედ ითვლებოდა ბიაც (კომში), ამიტომ მას სახლთან ახლოს რგავდნენ და ქვევრებსაც უფრო ხშირად ბიების ქვეშ ჩაჭერიდნენ ხოლმე.

შვინდის ხისა კი ეშინოდათ, მას „ბოროტად" თვლიდნენ, ეშმაკების საბუდებლად მიაჩნდათ, ამიტომ სახლთან ახლოს არ დარგავდნენ. ადამო ხანს შვინდის ხიდან ზურნისა და ნადარის ხმა ესმოდათ, ეშმაკები უკრავენო. ამბობდნენ ვინც ადამო ხანს შვინდის ქვეშ გაივლის, იმას ეშმაკი დაჭრავს და მოკვდებაო. შვინდის ხე „ნავსი ხეაო". ვინც შვინდის ხიდან ჩამოვარდება და ცოცხალი დარჩება, ის მაინც სასიკვდილოა და არ იცოცხლებსო. ანალოგიური რწმენა აქვთ ლეღვის ხის შესახებაც.

სამეგობა

ადდგომის მესამე დღეს კახის კასრის სამების ტაძარში უქმობდნენ წმ. სამებობას. ეს დღესასწაული წინათ დიდი მასშტაბურობით გამოირჩეოდა.

---

[34] ჯ. რუხაძე. ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 173.

[35] ი. კიკვიძე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 192.

[36] მ. ბოკუჩავა. მიცვალებულის კულტი საინგილოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასრის საყდარი მდებარეობს კახმი, მის დასავლეთით აღმართულ „საყარაულოს“ მთაზე. კასრის საყდარი წმ. სამების სახელზე VIII საუკუნეში აუგია საქართველოს მეფე არჩილს. კასრის საყდარი მრავალჯერ აოხრებული და აღდგენილი ძეგლია. უკანასკნელად იგი საკუთარი სახსრებით აღუდგენია მღვდელ მიხეილ ყულოშვილს 1912 წელს[37]. კასრის საყდრის ეზოში უხარმაზარი სახედაშე ქვევრია დაფლული, რომლის მოცულობა, მთხრობელების გადმოცემით, 100 ჩაფია. თურმე სახედაშე ტკბილი მთელ სოფელს მიჰქონდა. ქვევრის ახდა სამებობამდე არავის შეეძლო, მხოლოდ წმ. სამების დღესასწაულზე მოხდიდნენ ხოლმე. სამებობაზე მიდიოდნენ არა მხოლოდ კახის მცხოვრებლები, ამ დღესასწაულზე თავს იყრიდა მთელი საინგილო, მიჰყავდათ ზვარაკი (ყოჩი, ხარი) და სწირავდნენ წმ. სამებას. დღესასწაული მთავრდებოდა ხალხმრავალი ნადიმით. საინგილოს ქრისტიანი ქართველობა წმ. სამებობას დღესაც საგულდაგულოდ უქმობს.

მარიამობა

ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული უმთავრესი დღესასწაულებია: შობა ღვთისმშობლისა 21 სექტემბერს, ტაძრად მიყვანა ღვთისმშობლისა – 4 დეკემბერს, ხარება - 7 აპრილს და მიძინება ღვთისმშობლისა (მარიამობა) – 28 აგვისტოს. ამ დღესასწაულთაგან საქართველოში ყველაზე პოპულარულია მარიამობა ღვთისმშობლის მიძინების დღე 28 აგვისტო.

საინგილოში მარიამობა ერთ-ერთ დიდ დღესასწაულად ითვლება, თუმცა იგი ნაკლები ზარზეიმით აღინიშნება, ვიდრე აღდგომა და შემოდგომის გიორგობა.

მარიამობას დილით ოჯახის უფროსი მამაკაცი და ქალი კორთეში, წმინდა „კიდბანზე“ სანთლებს დაანთებდნენ, ილოცებდნენ და „მარიამ დედას“ შესთხოვდნენ ოჯახის წევრების კეთილდღეობას.

საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, საინგილოში მარიამობას საფლავზე გასვლა არ იცოდნენ. ამ დღეს მიდიოდნენ „ხუციანთ ოთხთავზე“, თან მიჰყავდათ საკლავი, უფრო ხშირად ქათამი, ზოგჯერ კი (თუ შეპირებულები იყვნენ) ცხვარიც, მიჰქონდათ აგრეთვე სახედაშე ქვევრიდან ამოღებული ღვინო. მარიამობის საზედაშე ქვევრი უფრო მცირე ზომისა იყო, ვიდრე აღდგომისათვის ან ქურმუხობისთვის განკუთვნილი საზედაშე ქვევრები; მარიამობის დღესასწაული უფრო ვიწრო, საოჯახო ხასიათს ატარებდა.

ხუციანთ ოთხთავზე მისვლისას წმ. კიდობანზე სანთლებს დაანთებდნენ, საკმეველს აკმევდნენ და ილოცებოდნენ ღვთისმშობლის სახელზე. მიყვანილ ზვარაკს ან თვითონ დაკლავდნენ, ან გაუშვებდნენ ოთხთავის ეზოში, იმისდა მიხედვით თუ როგორ იყვნენ შეპირებულები. ამის შემდეგ, იქვე სადმე დასხდებოდნენ და იქეიფებდნენ ოჯახურ წრეში.

ინგილოები ღვთისმშობელს „მარიამ დედას“ ეძახიან. მარიამ დედა საინგილოში ძალიან პოპულარული წმინდანია, აქაც ისევე, როგორც მთელ.საქართველოში იგი ითვლება დედობისა და შვილიერების მფარველად, ორსულ და მშობიარე ქალებს სწორედ მას ავედრებდნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლოცვის დროს თვით ღვთისმშობლობა დღესაც კი ინგილოები წმ. მარიამთან ერთად მიმართავენ ქურმუხის წმინდა გიორგისაც. დედა ლოცავს შვილს სიტყვებით: „დაგლოცოს მარიამ-დედამ და ქურმუხის წმინდა საყდარმაო“. ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესიის მახლობლად არის უზარმაზარი ლოდი. „ხალხის გადმოცემით, ლოდი შიგნით გამოქვაბულია და ხატები ასვენია, ხოლო კარები წმ. გიორგის ისე დაუქოლავს, რომ ადარ ამჩნევიაო. მხო-

[37] ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1947, გვ. 161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ წელიწადში ერთხელ – აღდგომა დღეს, მარიამ-დედა აღებს ხოლმე კარებს, გა-მოდის გარეთ და ოქროს საკარცხლით ნაწნავებს ივარცხნისო“.

ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თითქმის მთელ საქართველოში როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში მიღებული იყო ღვთისმშობლის თაყვანისცემა მამრობით ღვთაებასთან ერთად, როგორც მისი წყვილისცალი და აუ-ცილებელი თანმხლები ქალური საწყისი, სალოცავის დედა, მაგალითად სამეგრე-ლოში „წალენჯიხელი ქალები მარაშინას“ ალერტის წმ. გიორგის სალოცავში ლო-ცულობდნენ“. „მარაშინა“ ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულად ითვლებოდა ილორის წმ. გიორგის სალოცავშიც[38].

ცნობილია, რომ ღვთისმშობელი ჩაენაცვლა ღვთაებათა დედას, ნაყოფიერე-ბისა და გამრავლების ქალ-ღვთაებას. იგივე ვითარებაა სხვა ხალხებშიც, სომ-ხეთში, საბერძნეთში, რომში და სხვა. აქაც წმ. მარიამი ჩაენაცვლა ამ ქვეყნებში გავრცელებულ გამრავლებისა და ნაყოფიერების ქალღვთაებებს. ასევე ცნობი-ლია, რომ ამ ქალღვთაებებთან ერთად თაყვანიცემოდა მათი თანმხლები მამრობი-თი ღვთაებები, რომლებიც ბუნების აღდგენის მამრობით ძალებს განასახიერებ-დნენ. ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ჩვენთან მამრობითი ღვთაების როლი წმ. გიორგის დაეკისრა, მანამდე კი (ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით) მისი ადგილი მთვა-რის ღვთაებას ეჭირა[39]. ასე რომ, რელიგიურ წარმოდგენებში ერთხელ ჩამოყალიბე-ბული კულტი აღარასოდეს ქრება. შეიძლება კულტის შერწყმა-შეერთება, მაგრამ ერ-თი მეორეს ვერასოდეს მოსპობს. ამავე დროს შეიძლება ამა თუ იმ კულტმა შეითვი-სოს მეორის ფუნქციები ან ესა თუ ის ფუნქცია ან თვისება პირდაპირ, ან ტრანსფორ-მირებული სახით, მაგრამ კულტი უკვალოდ არასოდეს იკარგება.

საინგილოს ტერიტორიაზე არსებულ ღვთისმშობლის ეკლესიათაგან ყველაზე დიდი ყუმის ღვთისმშობლის ტაძარია. ტაძარი მდებარეობს ძველ ქართულ სოფელ ყუმთან[40], მდ. ყუმისწყლის მარცხენა ნაპირზე. ინგილოები ამ ტაძარს „მარიამ დედაღ-ვთისას“ ეძახიან. „ყუმის დედაღვთისას“ ტაძარი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს [illegible] გეგმის კომპოზიციითა და ხუროთმოძღვრული სივრცითი ფორმით ბოლნისისა და ვანის უბანის ტაძრებს ენათესავება, შეიძლება ითქვას, რომ გეგმა ტაძრისა სემოთ-ხსენებული ძეგლების კომპოზიციის განმეორებას წარმოადგენს. ტაძარი აგებულია დიდი რიყის ქვებითა და ძველებური ქართული აგურით. ტაძრის სიგრძე 30 მეტრია, სიგანე – 18. ყუმის ტაძარი VI-VII სს. ქართული მონუმენტური არქიტექტურის ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლად ითვლებოდა“[41].

ყუმის დედაღვთისასთან შედარებით, ნაკლები მოცულობისაა გიშის ღვთიმშობ-ლის ტაძარი, მისი ზომებია 6,90X7,70 მ., მდებარეობს მდ. გიშის წყლის ხეობაში სოფ. გიშში (ქ. ნუხთან). ი. ადამიას ვარაუდით, ძეგლი რამდენჯერმეა დანგრეული, აღდგენილი და გადაკეთებული. ძეგლის აგებისა და ნგრევა-განახლების პირველ პე-რიოდად შეიძლება მივიღოთ VI-XI სს. ხოლო მეორე პერიოდი – XVII-XIX სს[42].

ბახთალის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს სოფ. ბახთალაში ძველი ბახ-რის ნაქალაქარზე, ზ. ედილის ცნობით ლეკები ამ ეკლესიას ფერიყალას ეძახიან, რაც თამარის ციხეს ნიშნავს[43]. ეკლესიის სიგრძე 24 მეტრია, სიგანე - 20. სავარაუ-დოა, რომ ძეგლი XV ს-შია აშენებული[44].

---

[38] ი ო ნ. სურგულაძე. ქსე, ტ. 6, გვ. 441.

[39] ივ. ჯავახიშვილი, ტ.1. ქართველი ერის ისტორია. თბ., 1979.

[40] ს. ყუმი ქართული სოფელი იყო, რომლის ძირითად მოსახლეობას ჯანაშვილები წარმოად-გენდნენ. ამჟამად იქ წახურული ლეკები სახლობენ.

[41] ი. ადამია, ქართული ხალხური „საინგილო“ თბ., 1979, გვ. 134-135.

[42] იქვე. გვ. 150.

[43] ზ. ედილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[44] Х а х а н о в , Экспедиция на Кавказ 1892-1893 и 1895. გვ. 33-34.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამობიდან ორი-სამი დღის შემდეგ ინგილოები უქმობდნენ მიცვალებულის მოხსენიების დღეს, რასაც სამარიეველზე გასვლას უწოდებდნენ. ამ დღისათვის საგანგებოდ ამზადებდნენ სასაფლაოზე წასაღებ ხორაგს: ფლავს, გირცს (ნახევარმთვარის მსგავსი, ხინკლისმაგვარი საჭმელი), ტოლმას, შეჭამანდს (ბრინჯის ფაფა), აუცილებელი იყო ახალი ხილიც. სასაფლაოზე რამდენიმე ოჯახი ერთად მიდიოდა. ჯერ ახალი მიცვალებულის საფლაჯზე გავიდოდნენ ყველანი ერთად, მერე კი ყოველი ოჯახი თავისი მიცვალებულის საფლაჯზე მიდიოდა, გაშლიდა სუფრას, აწყობდა საჭმელს და უკმევდა საკმეველს. შემდეგ ისევ ერთად გროვდებოდნენ, ერთად სხდებოდნენ, მიცვალებულებს ისევ მოიხსენიებდნენ და ამის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ.

გიორგობა

როგორც ცნობილია არ არსებობს ერთმანეთისაგან სრულიად იზოლირებული კულტები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტები ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად, სხვანაირად რომ ვთქვათ, წინა რწმენა-წარმოდგენა, მსოფლმხედველობა, სამყაროს მისტიკური აღქმა განაპირობებს და კვებავს მომდევნოს; ამავე დროს ხდება კულტების ურთიერთზეგავლენა და ურთიერთშეღწევა დროში თანაარსებობის შემთხვევაშიც. კულტის ჩამოყალიბების ორი ფორმა არსებობს; ერთი ჰარმონიული, თანდათანობითი, ევოლუციური, მეორე კი ექსპანსიური, რევოლუციური. თუ ებრაული რელიგიის მიმართ ქრისტიანობა და მისი რეალები ბუნებრივ განვითარებასა და დაგვირგვინებას წარმოადგენს (მიუხედავად ებრაული და ქრისტიანული რელიგიის მიმდევართა თეოლოგიური კამათისა), წარმართული სარწმუნოებისათვის ქრისტიანობა, როგორც სარწმუნოება, სამყაროსა და ადამიანისადმი დამოკიდებულების გვარობა, როგორც თავისებური შინაგანი კულტურის მომტანი და დამფუძნებელი მსოფლმხედველობა უფრო დაპირისპირებულია. ამიტომ განსხვავებულად ხდება კულტების ურთიერთშეთვისება, ურთიერთგანმსჭვალვა და სხვა ასიმილაციურ-შეგუებითი პროცესები. საინტერესოდ მიმდინარეობს ცალკეულ, ყველაზე უფრო აღიარებულ ღვთაებათა ურთიერთშერწყმა და სახეცვლილება. ახალი ღვთაება, როგორც ექსპანსორი, როგორც ახალი სამყაროსა და ცნობიერების ახალი ეტაპის მაცნე – პირველი შესედვით უფრო ძლიერი და გამარჯვებული მოჩანს, მაგრამ თუ კარგად დაკვირდებით, სარწმუნოებათა ცვლის მიჯნაზე ახალი ფორმა ხშირად ძველი შინაარსით ივსება, ახალი ღვთაების სახით ქვეყნისა და რეგიონის მოსახლეობა ნაწილობრივ ძველ სალოცავს ეთაყვანება. ძალიან საინტერესო სურათი გვაქვს ამ კუთხით წმინდა გიორგის შემთხვევაში, რომლის წარმართული პროტოტიპების მთელი გალერეა არსებობს. არ არის აუცილებელი, რომ ძველი და ახალი ღვთაება ძალზე გავდნენ ერთმანეთს, საკმარისია მხოლოდ რამდენიმე ძირითადი ნიშანი, მაგ., სქესი და განმგებლობის სფერო. ქრისტიანული წმინდანის, გიორგი კაბადოკიელის კულტის საქართველოში აგრე ფართოდ გავრცელება და მისი ყველაზე აღიარებულ წმინდანად ქცევა განაპირობა საქართველოში გავრცელებულმა როგორც წინაპართა კულტმა, ასევე მთვარის ღვთაების უძლიერესმა კულტმა. პირველი ვარაუდი ეკუთვნის გ. ფ. ჩურსინს[45], რომელიც თვლის, რომ ქრისტიანობის გავრცელების დროისათვის საქართველოში ჯერ კიდევ ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების სტრუქტურები და მისთვის შესაბამისი ცნობიერება, რომელიც წინაპრების გაღმერთებისა და მათი კულტის შენარჩუნებას უწყობდა ხელს. სწორედ წინაპრის კულტის სუბიექტს ჩაენაცვლა წმინდა გიორგი, დღე-

[45] Г. Ф. Чурсин, указ. сочинение, გვ.3-4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ამ დღესასწაულის აღნიშვნისას თითოეული კუთხის მცხოვრები თავის ადგილობრივ სალოცავს ანიჭებს უპირატესობას. ამას ხელს უწყობს მითიც, რომელიც წმინდანის ცხედრის 363 საკრალური ნაწილად დაყოფის შესახებ მოგვითხრობს, რის შედეგადაც თითოეული ნაწილი წმინდანის ძლიერების ზიარია. აკი არსებობს კიდეც გამოთქმა: სამას სამოცდასამი წმინდა გიორგი შეგეწიოსო. ასეთმა მითოლოგიურმა საფუძველმა გაუადვილა თითოეულ გვარს თავისი წმინდა წინაპარი ერთ-ერთი წმინდა გიორგისათვის გაეიგივებინა. ლეგენდების მიხედვით, საქართველოში წმინდანის 363 ეკლესია იყო აშენებული.

ივანე ჯავახიშვილი კიდევ უფრო შორს მიდის და თვლის, რომ წმინდა გიორგის კულტი, რომელმაც ქართველთა მთავარი ღვთაების – მთვარის ღვთაების ადგილი დაიკავა, თავისი მნიშვნელობით შემოქმედ ღმერთზე მაღლაც კი დგება"... ღვთაების უმთავრესი ადგილი წმინდა გიორგის უკავია, იგი შემოქმედ ღმერთზეც, ელიაზეც გაცილებით უფრო ძლიერი და ხერხიანია, კეთილი, ადამიანის მფარველი და ყოველნაირი ბოროტებისა და განსაცდელისაგან მხსნელი"[46].

როდესაც საქართველოში წმინდა გიორგობის დღესასწაულის ტრადიციაზე და მისი ჩატარების წესზე მსჯელობს, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „წმინდა გიორგობის პირველ დღესასწაულს მოჰყვება ე. წ. სწორები, რომლებიც დღესასწაულის განმეორებად პერიოდულ აღნიშვნას წარმოადგენს, სწორები სულ უფრო და უფრო ნაკლები ზარ-ზეიმით აღინიშნება, ისინი თითქოს დღესასწაულის თანდათანობით მილევას გამოსატავენ". ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ სწორის უქმობა მთვარის მეოთხედეშზეა დამყარებული და თავის ვარაუდის დასტურად მოჰყავს ის ფაქტიც, რომ წმ. გიორგის დღესასწაულის ერთი ნაწილი ღამით ტარდებოდა. ცნობილია, რომ ღამით ხდებოდა მთვარის ღვთაების თაყვანისცემაც.

საინგილოში, რელიგიურ დღესასწაულთაგან ყველაზე უფრო საყვარელ და დიდ ზეიმად შემოდგომის (23 ნოემბერი) გიორგობა ითვლება. ამ დღესასწაულს დღემდე დიდი მონდომებითა და ერთგულებით აღნიშნავენ. გიორგობა ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ტაძართან ტარდება, ამიტომ ამ დღესასწაულს რეგიონის მცხოვრებლები „ქურმუხობას" ეძახიან და თვლიან, რომ ქურმუხის წმ. გიორგი ინგილოთა მფარველი, დამცველი, მათთვის კეთილდღეობის მომტანია.

ქურმუსის წმ. გიორგის საყდარი კახის შორიახლოს, მაღალ ფერდობზეა აგებული. აქედან შესანიშნავი ხედი იშლება ალაზნისპირა ჰერეთზე. ამ ძეგლს XII ს-ის დასასრულითა და XIV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებენ[47].

ქურმუხობის დღე 23 ნოემბრის უახლოეს კვირადღეს აღინიშნება. ინგილოთა უმრავლესობა ცდილობს ამ დღეისათვის კახში იყოს და ქურმუხის ტაძართან გამართულ დღეობას არ მოაკლდეს. ბოლო წლებში გიორგობას კახის წმ. გიორგის სახელობის ახლად აღდგენილ ეკლესიაშიც აღნიშნ[illegible]ს ხოლმე.

ინგილოები ადრიდანვე იწყებენ ქურმუხობისათვის მზადებას. ყოჩს ან მსხვილფეხა საქონელს ამ დღისათვის საგანგებოდ ინახავენ ხოლმე. ამავე დღეს იციან წმ. გიორგის სახელობის სახედაშე ქვევრის ახდაც.

წინათ საადღესასწაულოდ შეკრება ქურმუხობის წინა დღითვე იწყებოდა. ხალხი ურმებით მიედინებოდა ფერდობისაკენ. იქ ვაკე ადგილას დაბანაკდებოდა და ღამეს კოცონის გარშემო მხიარულებისა და გაუთავებელ „შუშპრობაში" (ცეკვაში) ატარებდა. ცნობილია, რომ ცეკვა ღვთაების თაყვანისცემის ფორმა იყო. კავკასიაში კულტმსახურების ეს ფორმა, საქართველოს გარდა, გავრცელებული იყო აგრეთვე ჩერქეზებთან, ოსებთან და სხვ.[48]

---

[46] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია. თბ., 1979, ტ. 1, გვ. 35.
[47] ი. ადამია, დასახ. ნაშრომი. გვ. 141.
[48] Г. Ф. Чурсин, указ. сочинение, гв. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინათებდა თუ არა, დაიწყებდნენ აღმასვლას ეკლესიისაკენ. ეკლესიასთან მღვდელი საქონელს აკურთხებდა, შუბლს სანთლით გაუტრუსავდა და ანთებულ სანთლებს რქებზე მიაკრავდა. შემდეგ ხდებოდა პატრონის მიერ შესაწირის დაკვლა. აღნიშნული რიტუალი დღესაც ასე მიმდინარეობს. იშლება დიდი სუფრები, იმართება ცეკვა-თამაში, ჭიდაობა და სხვ. უნდა ითქვას, რომ ხალხი არასოდეს ჰკარგავს ზომიერებას (ალბათ მათი მშვიდი ხასიათის გამო), არ არის აყალ-მაყალი, ჩხუბი და ყოველივე ის არეულობა, რომელიც ხშირად თან სდევს დიდ თავყრილობებს.

ქურმუხის მადლის და მისი სასწაულმოქმედი ძალის რწმენა მარტო მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის როდია დამკვიდრებული. საყდარზე მიდიოდნენ და დღესაც მიდიან სხვა რჯულისა და რწმენის ადამიანები (სომხები, ლეკები, თათრები). შეიძლება ითქვას, რომ ქურმუხობა ჭეშმარიტად დიდი რელიგიური და სახალხო დღესასწაულია. 23 ნოემბერს გიორგობა არის თავი (მთავარი) გიორგობა. ქურმუხის ტაძარზე „გასვლა" გიორგობის შემდეგ კიდევ 2-ჯერ ხდება თითო კვირის გამოშვებით. ამას სწორზე გასვლას ეძახიან. „სწორები" ნაკლები პომპეზურობით აღინიშნება, ვიდრე თავი გიორგობა. სწორების უქმობა დამახასიათებელია საქართველოს სხვა რეგიონებში გამართულ გიორგობებისთვისაც. მაგ. 15 აგვისტოს – თავი გერისთობა და შემდეგ – ორი სწორი. რაჭაში სოფ. სორში იმართება დიდი ხატობა „ნაკიხურობა" და ორი სწორი, სოფ. წვერის წმ. გიორგის ეკლესიაში 23 ნოემბერს თავ გიორგობას უქმობენ და შემდეგ სამ სწორს.

ტრადიციული საეკლესიო კალენდარული გახაფხულის გიორგობისაგან განსხვავებით, რომელიც 6 მაისს აღინიშნება, საინგილოში გახაფხულის გიორგობას აღდგომის კვირაძალზე უქმობენ. შემოდგომის გიორგობასთან შედარებით, გახაფხულის გიორგობა უფრო მცირე მასშტაბისაა, მაგრამ მასაც ორი სწორი აქვს.

ზემოთ აღწერილის გამო შეიძლება ითქვას, რომ დღესასწაულ ქურმუხობისათვის დამახასიათებელია ყველა ის ძირითადი ნიშან-თვისება (ღამისთევა ცეკვა-თამაშით, სწორზე გადახდა და სხვ.), რაც ახასიათებს საქართველოს სხვა კუთხეებში დამკვიდრებულ წმ. გიორგის დღესასწაულებს.

თუ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას დავეყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კახის წმინდა გიორგის სახელობის ქურმუხის საყდარიც ისევე, როგორც წმინდა გიორგის სახელზე აგებული სხვა ტაძრებიც თავდაპირველად მთვარის სალოცავი უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს ადასტურებს ტოპონიმი „კობალაც" – კახის ერთ-ერთი მდინარის სახელი. ლ. ჭილაშვილი ვარაუდობს, რომ „კობალა" მთვარის ღვთაების სახელის „კოპალას" ტრანსფორმირებული ვარიანტი უნდა იყოს. იგი წერს: „მდინარის სახელში ძნელი არ არის დავინახოთ „კოპალა" – წარმართული მთვარის ღვთაების სახელი, რომელიც შემდგომ სხვა მონაცემების მიხედვით წმ. გიორგის კულტში გადაზრდილა და რომელიც შემორჩენილი იყო საქართველოს მთიანეთში"[49]. ამ პერიოდის (მთვარის თაყვანისცემის) სამლოცველოდ ლ. ჭილაშვილს მიაჩნია ტაძრის მახლობლად მდებარე უზარმაზარი ლოდი, რომელიც აგრეთვე წმინდად ითვლება და გადმოცემების მიხედვით კულტმომსახურება თავდაპირველად სწორედ ამ ლოდთან ტარდებოდა[50].

საინტერესოა ამ წმინდა ლოდთან დაკავშირებული ლეგენდა: „ერთ ვაჟკაცსა და სახელოვან მონადირეს ასლანს, მზეთუნახავი ქალი ჰყავდა, ქალს კიდევ ოქროს მამალი. როცა ასლანი სახლში არ იყო, მამალი ყივილით აფრთხილებდა პატრონს მტრის მოახლოების შესახებ და მალევე დიდიცა და პატარაც იქ გაჩნდებოდა ხოლმე მზეთუნახავის დასაცავად, მაგრამ ერთხელ, როდესაც მტერი სახლს დიდი სადღესასწაულო ნადიმის შემდეგ მოეპარა, მამალმა იყივლა, მაგრამ ვერავინ გაალვიძა. მტრებმა მოიტა-

[49] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი , კახეთის ქალაქები, თბ. 1980, გვ. 187.
[50] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეს ასლანის ქალი და გადაწყვიტეს თავისი ქვეყნის მეფისათვის მიეგვარათ ცოლად. მზეთუნახავმა სთხოვა ქურმუხის საყდართან ვილოცებ, მამალს მსხვერპლად მოვიტან და მერე წამოვალო. დაუჯერეს და ნება დართეს. ავიდა ქალი ქურმუხზე, ეკლესიის შორიახლოს ლოდი დაინახა და ინატრა ნეტა ეხლა ეს ლოდი გაიხსნებოდეს და შიგ ჩამიტანდესო. ლოდი მართლაც გაიხსნა და მზეთუნახავი და მამალი შიგ შეიმალნენ. სალხი ამბობს, შუადამე რომ გახდება, ლოდი იხსნება, მზეთუნახავი და მამალი გამოდიან, მამალი ყივის და საინგილოს მთელი მამლობაც მას ჰყვებიან, მზეთუნახავი კი დიდ ლოდზე ჯდება და დალალებს იყარცხნისო"[51]. ამ ლეგენდის სხვა ვარიანტში, რომელსაც გვთავაზობს ზ. ედილი წიგნში „საინგილო" მზეთუნახავი ასოცირებულია წმ. მარიამთან. ეს რწმენა მთელ საინგილოშია გავრცელებული.

ეს ლეგენდა ძლიერ წააგავს საქართველოს სხვა კუთხეებში ქალქვების შესახებ არსებულ თქმულებას[52], ამიტომ სავარაუდოა, რომ ინგილოური ვერსიაც წარმართული მითის გვიანდელ ქრისტიანულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, რომ წმ. გიორგიმ დაიკავა მთვარის ღვთაების ადგილი, ხოლო ქვადქცეული ქალწული კი წმინდა მარიამის სიმბოლოდ წარმოგვიდგება.

ახალი დღესასწაულები

თანამედროვე საინგილოში დამკვიდრდა რამდენიმე ახალი დღესასწაული. უმეტესწილად ესენია საერთო საბჭოური ზეიმები – 7 ნოემბერი, 1 მაისი, 8 მარტი, 23 თებერვალი და სხვ. ეს დღესასწაულები თავისი შინაარსით პოლიტიკურ-იდეოლოგიური იყო. მათი დანერგვა ორგანიზებულად, მიზანდასახულად ხდებოდა გარკვეული ინსტრუქციებისა და სცენარის მიხედვით. დღეს, ახალი პოლიტიკური ვითარების გამო, ეს ზეიმები დავიწყებას ეძლევა, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ შინაარსისგან დაცლილი უქმეები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ერის კულტურასათან, მის ისტორიულ ტრადიციასთან, ცხოვრების წესთან სწრაფი დავიწყებისათვის არიან განწირულნი. ამ ზეიმების ზედაპირულობა დრომ შესანიშნავად გამოამჟღავნა. მიუხედავად საკმარისად ხანგრძლივი პერიოდისა, ხალხმა ვერ გაითავისა დასახელებული ზეიმები, ვერ მიანიჭა მათ ისეთი საკრალური შინაარსი, როგორიც გააჩნიათ ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა უქმეებს.

გარდა აღნიშნულისა, თანამედროვე საინგილოში დამკვიდრდა ხალხმრავალი ქეიფითა და დროსტარებით ჯარში გაცილების რიტუალი, სკოლის დამთავრების საბანკეტო რიტუალი და ცხოვრების ახალ წესებთან დაკავშირებული სხვა ყოფითი ჩვევებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯარში გასტუმრების რიტუალი. ახალგაზრდის ჯარში გასტუმრებას ოჯახი, როგორც წესი, დიდი წვეულებით აღნიშნავს. ეს წვეულება თავისი მასშტაბით მხოლოდ ქორწილს შეიძლება შევადაროთ. ამ დღისათვის აუცილებლად კლავენ მსხვილფეხა საქონელს, ცხვარს, ღორს, ფრინველს. ქოში მართავენ სეფას, რომელშიც გრძელი სუფრებია გაშლილი. წესად აქვთ რაიონული ცენტრიდან (კახიდან) მუსიკალური ანსამბლის მოწვევაც. წვეულებაში მთელი სოფელი იღებს მონაწილეობას, მოდიან ნათესავები სხვა სოფლებიდანაც. მათ ჩამოსაყვანად მასპინძელი ზოგჯერ დაქირავებულ ავტობუსსაც ეზავნის ხოლმე.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, დაიწყეს დამკვიდრება ისეთმა დღესასწაულებმა, რომლებიც ხალხის ჭეშმარიტ ნება-სურვილსა და მისწრაფებებს ასახავენ. ასეთებია გამოჩენილ ადამიანთა სახელობის დღეები.

[51] ეს ლეგენდა მომაწოდა 1985 წელს კახის მკვიდრმა 75 წლის თანო ხუციშვილმა.

[52] გ. ჯალაბაძე. მემინდვრეობა კახეთში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXV – 1968, თბ., გვ. 299-300.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1987 წლის 16 სექტემბერს კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში, სახალხო თეატრის დამაარსებლის ანზორ დოლენჯაშვილის ინიციატივით, პირველად ჩატარდა საქართველოს ზოგიერთ რაიონებში უკვე ტრადიციულად ქცეული დღესასწაული „ილიაობა", რომელმაც მაშინვე მოიკიდა ფეხი. „ილიაობა" ჭეშმარიტად ეროვნულ დღესასწაულს წარმოადგენს. იმართება თეატრალური სანახაობები, ეწყობა თვითმოქმედ კოლექტივთა კონცერტები, ეს სახალხო ზეიმი ლხინით მთავრდება.

ძალზე მნიშვნელოვანი ტრადიციის დამკვიდრებას ცდილობენ ინგილოები „ივან-ბაბაობის" სახით, ეს დღესასწაული პირველად 1990 წლის 21 ოქტომბერს ჩატარდა და საინგილოს ხელახალი გაქრისტიანების 140 წლისთავს მიეძღვნა. დღესასწაულს „ივან-ბაბაობა" საინგილოში ქრისტიანობის ერთ-ერთი ამაღორძინებლის ივან-ბაბა ბულულაშვილის პატივსაცემად დაერქვა.

განვიხილეთ რა ქრისტიან ინგილოთა ყოფაში დადასტურებული დღესასწაულები შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი თავიანთი ხასიათის მიხედვით იყოფიან – აგრარულ, რელიგიურ, პოლიტიკურ-საბჭოურ, გამოჩენილ ადამიანთა სახელობის და ახალი ყოფის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებულ დღესასწაულებად.

ა გ რ ა რ უ ლ ი დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი ა: ახალი წელი, კოტიობა, ხინკალხანობა, უმძრახობის დღე, საღმრთოობა. თუმცა ზოგიერთი აგრარული დღესასწაული თავის თავში რელიგიურ ელემენტსაც შეიცავს. ასეთებია ახალი წელიწადი, საღმრთოობა და უმძრახობის დღე.

რ ე ლ ი გ ი უ რ ი დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი ა: წყალკურთხევა, კორკოტობა, წითელი პარასკევი, აღდგომა, სამებობა, გახაფხულის გიორგობა, მარიამობა, სამარიექზე გასვლა, შემოდგომის გიორგობა.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ - ს ა ბ ჭ ო უ რ ი დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი ა: 23 თებერვალი, 8 მარტი, 1 მაისი, 7 ნოემბერი, საბჭოთა კონსტიტუციის დღე.

გ ა მ ო ჩ ე ნ ი ლ ა დ ა მ ი ა ნ თ ა ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს: ილიაობა, ივან-ბაბაობა. ახალ ყოფასთან დაკავშირებული დღესასწაულები: ჯარში გაცილება, სკოლის დამთავრების ბანკეტი და სხვ.

აღნიშნული დღესასწაულები შეიძლება დაჯგუფდეს აგრეთვე კალენდარულ და არაკალენდარულ, ძველ, ახალ და უახლეს დღესასწაულებად. მასშტაბის მიხედვით კი სასოფლო, საგვარო და საოჯახო დღესასწაულებად.

კ ა ლ ე ნ დ ა რ უ ლ ი დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი ა: ყველა რელიგიური, პოლიტიკური, გამოჩენილ ადამიანთა სახელობის და აგრარული დღესასწაულები საღმრთოობის გარდა.

არაკალენდარული დღესასწაულია – საღმრთოობა.

ძველია ყველა აგრარული და რელიგიური დღესასწაული.

ახლად შეიძლება ჩავთვალოთ საბჭოური (პოლიტიკური) დღესასწაულები[53].

უახლესი დღესასწაულებია: გამოჩენილ ადამიანთა სახელობის აღმნიშვნელი დღესასწაულები, ჯარში გაცილებისა და სკოლის დამთავრების ბანკეტები და სხვ.

მასშტაბის მიხედვით – საერთო სასოფლო დღესასწაულებია: გიორგობები, კოტიობა, ხინკალხანობა, ილიაობა, ივან-ბაბაობა, 7 ნოემბერი, პირველი მაისი. პატარა სოფლებში საერთო სასოფლო ხასიათი აქვს ჯარში გასტუმრების ცერემონიალსაც.

საგვარო დღესასწაულია – საღმრთოობა (საღმრთოს დაკვლა).

საოჯახო დღესასწაულებია: ახალი წელი, აღდგომა და სხვ.

უნდა ითქვას, რომ დღესასწაულთა ამგვარი დიფერენციაცია – სასოფლო, საგვარო და საოჯახო დღესასწაულებად არ არის ძალზე მკაცრი, ვინაიდან გარკვეულ

[53] აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში (პოსტსაბჭოურ ხანაში) საბჭოური (პოლიტიკური) დღესასწაულები დავიწყებას მიეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აირობებში ესა თუ ის საოჯახო დღესასწაული შეიძლება იქცეს საგვაროდ, ზოგჯერ კი სასოფლოდაც კი, ან საგვარო იქცეს საოჯახოდ და სხვ.

შესწავლილი მასალების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად განსაკუთრებული ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებისა ინგილოთა ყოფამ შემოინახა ყველა ის ძირითადი დღესასწაული, რომლებიც გავრცელებულია მთელ საქართველოში.

თითოეული დღესასწაული და სახეიმო ქმედება შრომით ჩვევებთან, ცხოვრების წესთან და დამკვიდრებულ სარწმუნოებასთან ერთად ქმნიან იმ მთლიან, მოძრავ და განვითარებად ორგანიზმს, რომელსაც ინგილო ქართველთა კულტურა ჰქვია.

М. Т. БОКУЧАВА

ПРАЗДНИЧНЫЕ ДНИ У ИНГИЛОЙЦЕВ

Резюме

Статья „Праздничные дни у ингилойцев“ представляет собой довольно обстоятельный обзор и классификацию религиозных и бытовых обрядов и празднеств, которые справляются в этом регионе ингилойцами христианского вероисповедания.

В основу работы легли как полевые этнографические материалы, так и данные научной литературы как по Саингило, так и по другим регионам Грузии. Каждый праздник не только описывается, но и сравнивается с описанием данного праздника в других регионах, и на фоне общегрузинских материалов прослеживается этимология того или иного ритуала.

Многие обрядовые действия, которые исполняются жителями Саингило и поныне, имеют истоки еще со времен дохристианской эпохи. Наличие в обряде того или иного представителя мифологического пантеона можно определить по отдельным действам, атрибутам праздника и другим признакам. В статье все праздники разделяются на несколько групп и видов по разным критериям, в том числе и по временному признаку:

1. Праздники, сложившиеся в процессе исторического развития Грузинского народа и конкретно этого региона Грузии.

2. Праздники, появившиеся со времен Октябрьской революции и основания СССР.

3. Новейшие праздники.

По содержанию: 1. Аграрные; 2. Религиозные; 3. Политические (советского периода); 4. Праздничные действа, связанные с новым бытом; 5. Дни памяти выдающихся людей.

Кроме определения содержания праздников, в статье выделены и их масштабы, классифицируя праздники уже по этому признаку: 1. Общедеревенские; 2. Родовые; 3. Семейные.

Праздники делятся также на календарные и некалендарные.

С помощью вышеуказанной классификации выделена четкая схема праздников; определен их тип, смысл, содержание, место в жизни жителей региона, обрисованы традиции их проведения, ритуалы, передающиися от поколения к поколению. Все это еще раз подтверждает древность культуры народа, проживающего в этих краях, и его этническую и культурную принадлежность к всегрузинской культуре и традициям.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ლომიტაშვილი

მასალები ძველი კოლხეთის შინამრეწველობის ისტორიისათვის*

მრავალი წელია, რაც სენაკის რ-ნის სოფ. ნოქალაქევში, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია წარმატებით იკვლევს კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრის ციხეგოჯი[1] და ეგრისის სამეფოს დედაქალაქის არქეოპოლისის ისტორიას. დღეისათვის შედარებით უკეთაა შესწავლილი მისი დედაქალაქობის პერიოდი[1]. მისგან განსხვავებით, ნოქალაქევის ძვ. წ. VII-I სს-ის კულტურული ფენებიდან მომდინარე არქეოლოგიური ძეგლები სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა შესული[2] (გარდა ელინისტური ხანის სამაროვნისა, რომელიც საგანგებოდ შეისწავლა გ. გვინჩიძემ[3]). ეს საქმე ამჟამად იწყება და ვფიქრობთ ძეგლი ძალიან მალე დაიმკვიდრებს თავის ღირსეულ ადგილს სინქრონულ მრავალფენიან ნამოსახლართა შორის. ნოქალაქევის ექსპედიციის მონაპოვარში საკმაო რაოდენობით დაგროვდა სამეურნეო ურთიერთობების რიგ დარგებთან, ამ შემთხვევაში კი სელის წარმოებასთან დაკავშირებული მასალები: ვერტიკალური სართავ-საქსოვი დაზგის პირამიდული საწაფები, ნართის საწმენდი ორნამენტირებული ძელის ნივთი, დიდი რაოდენობით თიხის, ქვის და ერთიც შავლაქიანი კვირისთავი, რომლის ანალოგიც კოლხეთის სინქრონული ძეგლებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

სამეურნეო ურთიერთობების ეს დარგი, როგორც წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, კოლხეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო. სელის წარმოება და ექსპორტი კოლხეთში სტრატეგიული მნიშვნელობის დარგს წარმოადგენდა. შესანიშნავი გეოკლიმატური მდებარეობის ქვეყნისათვის ამ დარგის განვითარება შემთხვევითი არც ყოფილა. კოლხეთში სელის წარმოებასა და მასთან დაკავშირებული სხვა სამეურნეო დარგების განვითარებაზე, ჰეროდოტესთან ერთად, პირველი ცნობები ქსენოფონტეს „ანაბაზისშიც" არის დაცული. როდესაც ქსენოფონტე ხალიბების ბრძოლას აღწერს ელინებთან, ხალიბების შეიარაღება ისეა გადმოცემული, რომ მათში აშკარად ჩანს სელის

---

*გამოკვლევის შემცირებული ვარიანტი გამოქვეყნებულია „მესხეთი II"-ში, თსუ, გამომც., თბ., 1998 წ.

[1] დ. ლომიტაშვილი. ცენტრალური ეგრისი IV-VI სს. (ნოქალაქევის მასალების მიხ.) საკანდ. დისერტაცია. თბ., 1990წ; ბ. ლორთქიფანიძე. დასავლეთ საქართველოს ქალაქები (ციხეგოჯი – არქეოპოლისი) IV-VIII სს. საკანდ. დისერტ., თბ., 1991 წ; ნოქალაქევი – არქეოპოლისი. ტ. 1, თბ. 1981 წ. ნოქალაქევი – არქეოპოლისი, ტ. II, თბ. 1987 წ. ნოქალაქევი – არქეოპოლისი. ტ. III, 1993წ.

[2] ამ დიდ ქრონოლოგიურ ეპოქაში ქვე ეტაპების გამოყოფაც ხერხდება. ქრონოლოგიის საფუძველს შედარებით უკეთ შესწავლილი კერამიკული მასალების ტიპოლოგიის დადგენა იძლევა, რასაც თვით ძეგლზე დადგენილი სტრატიგრაფიაც დაემატა.

[3] გ. გვინჩიძე, ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის. თბ., 1988.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის განვითარების მაღალი დონე (მუცლამდე სელის აბჯარი ჰქონდათ, ხოლო წელს ქვემოთ სქლად დაგრეხილი თოკი)[4]. სტრაბონი კოლხეთის სიმდიდრეების ჩამოთვლისას საგანგებოდ უთითებს, რომ „კოლხეთში ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის. ქვეყნის გარეთაც კი გააქვთ და ზოგიერთებს უნდათ რაღაცა ნათესაობაც გვაჩვენონ კოლხებისა ეგვიპტელებთან ამის მიხედვით"[5] (ცხადია, სტრაბონი აქ ჰეროდოტეს გულისხმობს).

სელის კულტურასთან დაკავშირებული ძველი ტრადიციის მიმანიშნებელი უნდა იყოს რიგი ეთნოგრაფიული მონაცემებისა, რომელთა მიხედვითაც წალენჯიხის, სენაკისა და ხობის რაიონებში სელის ნართისაგან თევზის საჭერ ბადეებს ამზადებენ. ეს ფაქტი გარკვეულწილად ეხმაურება ქსენოფონტეს შენიშვნას თევზსაჭერი ბადის შესახებ, რომელშიც რჩევას იძლევა, რომ ასეთი ბადისათვის გამოყენებულ იქნას ფაზისურ-კოლხური ან კართაგენული სელის ნართი. შესაძლოა სწორედ ამიტომაც (ცხადია, სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში) ისეთი ძლიერი სახღვაო სახელმწიფო, როგორიც საბერძნეთი იყო კარგად იცნობდა კოლხური სელის ღირსებას და საბერძნეთში მასზე საუკუნეთა განმავლობაში მოთხოვნილება არ კლებულობდა. ცნობიდან აშკარა ხდება, რომ სელს კოლხეთისათვის არა მარტო სამოქალაქო, არამედ სამხედრო დანიშნულებაც გააჩნდა[6]. საერთოდ სელისა და კანაფის ამ უძველესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოშენებამ დიდი სამსახური გაუწია ადამიანთა საზოგადოებას. ეს ის მცენარეებია, რომლებიც ერთდროულად საკვებსაც იძლეოდნენ და საქსოვ მასალასაც.

როგორც არქეოლოგიური, ასევე ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფს, რომ დროთა განმავლობაში ზემოაღნიშნულ ბოჭკოვან მცენარეთა ფუნქციას დაემატა მესამე სარწმუნოებრივი ფუნქციაც, კერძოდ კი, მათგან წარმოებულმა ნართმა და ქსოვილმა სხვადასხვა ხალხების რწმენა-წარმოდგენებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, თითქმის პირვანდელი ფორმითა და მნიშვნელობითაა შემონახული ამ ქსოვილთა კულტის ძველთაძველი მოტივი. როგორც ჩანს, მხოლოდ მცენარეული ნართისაგან მზადდებოდა მიცვალებულის სუდარა. სასუდარე სამოსის მომზადებას განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდნენ. მიცვალებულთათვის განკუთვნილი ქსოვილი ძირითადად კანაფის, სელის ან თუთის ხის კანისაგან დამზადებული ნართისაგან იქსოვებოდა[7]. მცენარეული ნართისაგან დამზადებული ქსოვილის უპირატესობა მატყლისაგან დამზადებულ ქსოვილთან, სხვადასხვა ხალხების ყოფაში აშკარადაა გამოხატული, მეტიც, მცენარეული ქსოვილი სულიერ ყოფაშიც გადადის და რწმენა-წარმოდგენაში თავის კონკრეტულ ადგილს იკავებს. მოსეს ხუთწიგნეულის მიხედვით „და სამოსელი სელისაო განწმენდილი შეიმოსოს, და ნიფხავი სელისაი იყოს სხეულსა მისსა; და სარტყელი სელისაი შეირტყას და ვარშამაგი სელისაი დაიბუროს. რამეთუ სამოსელი წმიდა არს და დაიბანოს წყლითა ყოველი გუამი მისი და მაშინღა შეიმოსოს იგი"[8]. როგორც ჩანს, ძველებური რელიგიური კანონიკური ძეგლი სელისაგან დამზადებულ სამოსს „წმიდად" მიიჩნევს, რომლით შემოსვაც განბანვის შემდგომ შეიძლება. იგივე *ფაქტი დასტურდება ძველ ეგვიპტეში სადაც შალის სამოსით ტაძრებში შესვლა იკრძალ*ებოდა. ეგვიპტეშიც და ებრაელებშიც ტაძარში შესვლა მხოლოდ ე. წ. „წმიდა" სამო-

[4] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველბერძნული წყაროები. თბ., 1976, გვ. 53.

[5] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. თბ., 1957, გვ. 112-113.

[6] გ. ჩაჩანშვილი, ქსოვილები დამზადების ისტორიიდან საქართველოში (სელი). აკად. ს. ვანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ), ტ. XIX, თბ., 1956, გვ. 176. საინტერესოა, რომ სვანეთში დადასტურებულია კანაფის ნართის ხარის ნეკნით წმენდის პრაქტიკა.

[7] ჯ. რუხაძე, მცენარეული კულტის გადმონაშთის საკითხისათვის დასავლეთ საქართველოში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XVIII. თბ., მეცნ., 1975, გვ. 169.

[8] მცხეთური ხელნაწერი, III, ლევიტელთა 16, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სით შეიძლებოდა (ანუ სელის ქსოვილისაგან დამზადებული სამოსით – დ. ლ.). საინტერესოა, რომ ანალოგიური მოვლენა თანამედროვე ქართულ სულიერ ყოფაშიც დასტურდება, კერძოდ, გურიაში ადამიანის სულის საცხონებლად მონაზვნები კანაფისაგან შეკერილი ტანსაცმლით იმოსებოდნენ, ხოლო მიცვალებულს კანაფის ქსოვილის სამოსს-სუდარას აცმევდნენ[9]. იგივე მოვლენას მეგრელებში ადასტურებს თ. სახოკია[10]. იმერეთში მიცვალებულისათვის გასანთლული ტილო გამოიყენებოდა. სვანეთში მიცვალებულს თაფლის სანთელში ამოვლებულ სელის ან კანაფის სუდარაში ახვევდნენ და ჭურჭლის გარეშე მარხავდნენ[11].

როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რელიგიურ რიტუალებში და დაკრძალვის პროცესებში მცენარეული ბოჭკოსაგან დამზადებული ქსოვილის გამოყენება შემთხვევით არ ყოფილა. როგორც ჩანს, ამ მცენარეებში განსახიერებულია შეხედულება სიცოცხლის ხის შესახებ, რომლის სიმბოლურ განსახიერებადაც აღნიშნულ მცენარეთა ნართი ან ქსოვილი გვევლინება და მას, თავის მხრივ, მზის კულტთან საკმაოდ მჭიდრო შეხების წერტილი ეძებნება[12].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კულტურული სელის სამშობლოდ ამიერკავკასიაცაა მიჩნეული, საიდანაც ის უნდა მოხვედრილიყო შუამდინარეთში, იქიდან კი – აღმოსავლეთსა და დასავლეთში[13]. ამ თვალსაზრისით, საინტერესო შეხედულება აქვს აგრეთვე ვიქტორ ჰენს. მისი აზრით, ჩრდილოეთში სელის კულტურა განვითარებული იყო კოლხეთში, საიდანაც მომდინარეობს ტილო, როგორც ხალხური ტანსაცმელი[14]. ტილოს პერანგს ძველი ბერძნები და იტალიელები არ იცნობდნენ. იგი „ბარბაროსებიდან" მომდინარეაო[15]. ჩანს ვ. ჰენს საკმაოდ კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის კლიმატური გარემო კოლხეთში, რომელიც კარგ ბაზას ქმნიდა სელის როგორც ჯერ მცენარის საწარმოებლად, ხოლო შემდეგ მისგან პროდუქციის მისაღებად. საერთოდ მიღებული აზრია, რომ სელი და მისგან ნაწარმოები პროდუქცია ექსპორტის საგანს წარმოადგენდა.

ეგვიპტის ცნობილი მაღალხარისხოვანი ქსოვილების ერთადერთ ღირსეულ მეტოქედ საერთაშორისო ბაზარზე საქართველოში, კოლხეთში წარმოებული პროდუქცია ითვლებოდა[16]. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ძველ ბერძნებს მეურნეობის ამ დარგზე ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ. XX ს-ის 50-იან წლებში „მიკენოლოგიის" ერთ-ერთი უზარმაზარი მიღწევაა მიკენის სასახლეების წარწერების, ე. წ., B ხაზოვანი დამწერლობის ნიმუშების გაშიფვრა მ. ვენტრისის მიერ, რომელსაც ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევდა ჯ. ჩედვიკი. დღეს ამ წარწერათა შინაარსი ძირითადად ცნობილია და მათ სანდოობაში ეჭვი არავის ეპარება. აღნიშნულწარწერიანი ფირფიტებიდან ერთ-ერთი, უაღრესად საინტერესო ცნობებს იძლევა ანტიკური ხანის საბერძნეთში სელის კულტურის არსებობისა და მისი განვითარების დონის თაობაზე. აღნიშნული წარწერები დღეს შესანიშნავ წყაროს წარმოადგენს სელის ბოჭკოს დამზადების ტექნოლოგიური პროცესების დადგენის თვალსაზრისითაც. B ხაზოვანი დამწერლობის გაშიფვრამდე პილოსის ფირფიტების ერთი დიდი ჯგუფი აღნუსხავდა პროდუქციის რაღაც სახეობას, რომლის შესაბამისი მარცვლოვანი ნიშანი იყო„SA", გაშიფვრის შემდგომ A-ხაზოვანი დამწერლობის გამოყენებით მას მიუსადაგეს სიტყვა

[9] ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 170.

[10] თ. სახოკია. მიცვალებულის კულტი სამეგრელოში მსე. ტ. III, თბ., 1990, გვ. 168.

[11] ც. ბეზარაშვილი. „სვანი ქალის" სამოსი სვანეთის ეთნოგრაფიულ შესწავლისათვის. თბ., 1970, გვ. 184-185.

[12] ბ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარბაბარ). თბ., 1941, გვ. 100-105. ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 171, 174.

[13] П. М. Жуковский. Культурные растения и их сородичи. М., 1964, с. 503.

[14] В. Ген. Культурные растения и домашние животные, СПБ. 1872, с. 80.

[15] იქვე.

[16] გ. ჩაჩაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 208.

,სელი“[17]. არ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლოა საქმე გვქონდეს ბერძნული წარწერების „SA”-ს და სელის კოლხურ ფორმა „სუ“-ს შორის გარკვეულ კავშირთან. ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა მედიტერანულ-წინაბერძნული ენების ფონეტიკური ჰოვლენების თავისებურება, კერძოდ კი, ბგერათმონაცვლეობის კანონზომიერება. ხმოვანთმონაცვლეობის ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებად ხმელთაშუა ზღვის არაინდოევროპულ მრავალ ენაში შეიძლება მიჩნეულ იქნეს ხმოვანთა, ე. წ., თავისუფალი მონაცვლეობა: a/ē, a/i, u/a, u/i და ა. შ.[18].

ცნობილია, რომ იგივე ბგერათმონაცვლეობის პრინციპიდან გამომდინარე, ქართველური ენებიც ზემოჩამოთვლილ მედიტერანულ ენათა წრეში ექცევა. ე. წ., „მინოსური დამწერლობის“ შემქმნელი წინაბერძნული მოსახლეობის ენისათვის, როგორც პილოსის სასახლეების ნიშნებიდან ჩანს, დამახასიათებელია კანონი ლია მარცვლისა ანუ თანხმოვანი+ხმოვანი, ან ხმოვანი+ხმოვანი. ცხადია, ეს დამწერლობა ვერ გადმოსცემდა ბერძნული ენის მარცვლებს ბოლო თანხმოვნით და თანხმოვანთა კომპლექსებს ხმოვნითურთ[19]. ჩანს პილოსის სასახლეების წარწერებში მოხსენებული S-A ანუ თანხმოვანი+ხმოვანი ბერძნული ენობრივი კანონზომიერებით ვერ აიხსნება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კრეტის წარწერათა შემსწავლელების ევანსის, ვენტრისისა და ჩედვიკის აზრით, მინოსური დამწერლობის სამივე სახეობა (ხატოვანი და ხაზოვანი A და B-დ.ლ.) კრეტის უძველესი ბინადრების შექმნილია და ამ დამწერლობის ენა არაბერძნულია, უფრო მეტიც, არაინდოევროპულია, ცხადია ტერმინ SA-ს ბერძნულად ახსნა საკმაოდ გაჭირდება.

ამ ფონზე ძალზედ საინტერესოა ბერძნული ენის ფრანგი ეტიმოლოგისტის ბუაზაკის შენიშვნა: „ელინები სხვადასხვა მხარეებში ხეტიალობდნენ...ისინი ბალკანეთის ნახ. კუნძულის სამხრეთ ნაწილში ცენტრალური ევროპის ფლორისა და ფაუნისაგან განსხვავებულ ფლორასა და ფაუნას წააწყდნენ და, როგორც ჩანს, აქ ნანახ ცხოველებსა და მცენარეებს შემთხვევათა უმრავლესობაში, ოდნავ შეცვლილი სახით ის სახელები დაუტოვეს, რაც მათ წინამორბედებმა უანდერძეს”[20]. სავარაუდოა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სელის სახელწოდება აქ მოსულმა ბერძნებმა პირდაპირ აიღეს იმ ხალხებისაგან, რომლებიც ბერძენთა ეგეიდაში მოსვლამდე ცხოვრობდნენ. სავარაუდოა, რომ სელის კოლხური ფორმა “სუ“ იყოს არქაული სემანტიკური ძირი ამ მცენარის სახელწოდებაში. თუ დავუშვებთ, რომ ჰ. ჟუკოვსკის თეორია იმის თაობაზედ, რომ კულტურული სელი დანარჩენ ქვეყნებში და მათ შორის, ცხადია, ეგეოსის ზღვის აუზშიც ამიერკავკასიიდან გავრცელდა, მაშინ ბერძნული წარწერების „SA”-ს, სელის კოლხური ფორმისაგან „სუ“ წარმომავლობა საკმაოდ მყარ საფუძველზე დგება.

დასაშვებია, რომ მცენარის ექსპორტს ეგეოსის ზღვის აუზში თან გაჰყვა თავისი სახელი მის დასამუშავებელ დაზგასთან ერთად და შესაძლოა სელის წარმოებაში განსწავლულ სახოგადოებასთან ერთადაც. ლოგიკურია, რომ ეს პროცესები საბერძნეთში პილოსის სასახლეების დანგრევამდე უნდა განხორციელებულიყო, საკარაუდოთ ძვ. წ. XIV-XIII სს. (შესაძლოა მომავალში ახალმა აღმოჩენებმა ამ თვალსაზრისით გარკვეული კორექტივი შეიტანოს). ჩანს, რომ პილოსის ფირფიტების წარწერებიდან ცნობილ SA-ს ანუ სელს საბერძნეთის საფეიქრო მრეწველობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა. სელის ბოჭკოს ძირითადად ამზადებდა სამეფო, რომელსაც ენგლიანოსის სასახლე უწევდა კონტროლს[21]. როგორც ჩანს, არც საბერძნეთისათვის უნდა ყოფილიყო ეს კულტურა უცნობი (სელის ქსოვილს ახასიათებს დიდი

---

[17] ჯ. ჩ ე დ ვ ი კ ი . მიკენური სამყარო. თარგმ. და კომ. თ. ბუაჩიძისა. თბ., 1989, გვ. 96.

[18] რ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი . წინაბერძნული და ქართველური. თბ., 1985, გვ. 30.

[19] აკ. ურ უ შ ა ძ ე . ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964, გვ. 167.

[20] აკ. ურ უ შ ა ძ ე . დასახ. ნაშრომი. გვ. 117.

[21] ჯ. ჩ ე დ ვ ი კ ი . დასახ. ნაშრომი. გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამძლეობა, ტენის შეწოვის უნარი, ძალზედ მედეგია დალპობის საწინააღმდეგოდ). გარდა ამისა, საბერძნეთის კლიმატური გარემო კოლხეთის მსგავსად მშვენიერ პირობებს ქმნიდა ამ კულტურის გასავრცელებლად. ნალექებით მდიდარი საბერძნეთის დასავლეთ სანაპირო მიკენური ხანიდან მოყოლებული დღევანდლამდე მისდევს სელის მოვლა-წარმოებას.

წყაროების მიხედვით ცნობილი ხდება, რომ სელის წარმოებაში საკმაოდ მაღალი იყო ცენტრალიზაციის დონე, ყოველი ადგილობრივი მმართველი მასზე მინდობილი საქმის პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო, რეგიონის ყოველ სოფელს შეწერილი ჰქონდა სელის გარკვეული გადასახადი. ირკვევა, რომ შედარებით პრივილეგირებული ფენების მიმართ გარკვეული შეღავათებიც კი ვრცელდებოდა სელის ჩაბარების დროს. სელის მოსავლის აღების შემდეგ სოფლის მოსახლეობა ვალდებული იყო ბოჭკო დაესველებინა, რის შემდეგაც ის სამრეწველო ცენტრებში უნდა წაეღოთ. საინტერესოა წარწერების მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ თვით მესხიაშიც კი არ იყო იმდენი წყალი, რომ წლის მოსავალი ერთბაშად დაესველებინათ (ცნობილია, რომ წყალში დალბობით იშლება ის წებოვანი ნივთიერება, რომლითაც სელის ბოჭკოები ერთმანეთზეა შეჭიდული)[22].

სელის ბოჭკოს დასამუშავებლად, როგორც ჩანს, ქალთა საკმაოდ დიდი ჯგუფები იყო დასაქმებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კარგად ჩანს თუ რა დონეზე იყო საბერძნეთში განვითარებული მეურნეობის ეს დარგი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადგილობრივი პროდუქცია, როგორც ჩანს, ბერძნული ბაზრის მზარდ მოთხოვნილებას სელზე და მის პროდუქციაზე მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა. ბაზრის ასეთ მოთხოვნილებას, ცხადია, დაემატებოდა უზარმაზარი დაკვეთები საზღვაო ფლოტისა და სამხედრო ნაწილებისათვის (ბაგირები, აფრები, თოკები, აბჯრები და სხვ.)[23]. ამ დეფიციტს საბერძნეთი მჭობელი რეგიონებიდან და მათ შორის კოლხეთიდანაც ივსებდა.

სელის წარმოება ასევე პრესტიჟულ დარგს წარმოადგენდა ეგვიპტეშიც, სადაც მისი მოყვანა ფარაონთა მიწა-წყალზე ხორციელდებოდა, რომელიმე მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი პირის მეთვალყურეობის ქვეშ. სელის ბოჭკოს დამზადების შემდეგ, იგი მიჰქონდათ სპეციალურ სახელოსნო ცენტრებში – ერგასტერიონებში, სადაც მისგან უკვე ქსოვილს ამზადებდნენ. ცნობილია, რომ მარტო ამონის ტაძარს 53 ასეთი სახელოსნო გააჩნდა[24].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურით ირკვევა, სელზე და მის ქსოვილებზე და, შესაძლოა, სელის ზეთზეც ასეთი მოთხოვნილებების გამო, მეურნეობის ეს დარგი ეგვიპტესა და საბერძნეთის მსგავსად კოლხეთშიც არანაკლებ ყოფილიყო განვითარებული. არის მოსაზრება, რომ კოლხეთში როგორც სამკურნალო, ისე სურნელოვანი ზეთების შემზადება სელის ზეთის საფუძველზე ყოფილიყო აღმოცენებული[25]. ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის წარმოება კოლხეთში, ცხადია, შრომის დიდ საზოგადოებრივ დანაწილებას გულისხმობდა. სავარაუდოა, რომ გარკვეულ ფენას ევალებოდა სელი-მცენარის მოყვანა და აღება-დაბინავება, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ცხადია დასაქმებული იქნებოდა სელის დასამუშავებელი დაზგების დამზადებაში, ცალკე საზოგადოება სელის ბოჭკოს ართავდა და ქსოვდა. სავარაუდოა, რომ ამ საქმით აქაც, ისევეროგორც საბერძნეთში, ძირითადად ქალები იქნებოდნენ დასაქმებულნი [26].

---

[22] მ. ბერძენიშვილი. ქ. ფაზისის ისტორიისათვის. თბ., 1969, გვ. 26.

[23] Г. А. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды. Тб., 1970, გვ. 90.

[24] Н. К. Бакуҥ, Спутник текстильщика. М., 1926, გვ. 46.

[25] ლ. მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1963, გვ. 63.

[26] ჯ. ჩედვიკი, დასახ ნაშრომი. გვ. 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობთ, როგორც საბერძნეთის მაგალითზე დავინახეთ, კოლხეთშიც სახელმწიფო ხელისუფლება ზრუნავდა მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე[27].

ეს დარგი ნოქალაქევში და მის, ე. წ., „ქვეყანაშიც" საკმაოდ კარგად ყოფილა განვითარებული, ამას, ერთი მხრივ, არქეოლოგიური მონაცემები, მეორე მხრივ კი, დღეს ნოქალაქევში შემორჩენილი ტოპონიმიკაც ადასტურებს. ნოქალაქევის მიდამოებში დღემდე დასტურდება ადგილი „ნასუ", რომელიც ნასელარს ნიშნავს (სუ-კოლხ. სელი. ნა-სელ-არი)[28].

მეტიც, ნოქალაქევის რეგიონში დღესაც არსებობს სოფელი ნაესუ (იგივე ნალეპსაო), სადაც ამჟამადაც მისდევენ სელის წარმოებას. თვით სოფლის სახელწოდება ნაესუ, როგორც ჩანს, სუ-საგან უნდა იყოს ნაწარმოები; ნაესუ-ნასუ- ოსულე-ნასელარი [29]. დღეს ადგილზე შემორჩენილი სელის კოლხური ფორმა სუ-საგან ნაწარმოები გვარები, ვფიქრობთ, საკმაოდ მყარი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ სელის მწარმოებელთა პროფესია მემკვიდრეობითი იყო და რაღაც პერიოდში იგი გვარების საფუძველიც კი გამხდარა (მაგ. სულავა, სუბერი და სხვ.). ადგილობრივი მოსახლეობა სელს იყენებდა აგრეთვე ბადისა და ტილოს საქსოვად, როგორც ჩანს, მისგან იგრიხებოდა თოკიც[30].

ჰეროდოტესთან დაცული ცნობების თანახმად, კოლხურ სელს სარდონულს უწოდებენ („სარდონიონ"). კოლხურისაგან განსხვავებით, ეგვიპტიდან მომდინარე სელის ნაწარმს კი – ეგვიპტურს. ჯერ კიდევ ხახოვანი დამწერლობის გაშიფვრამდე ბ. კუფტინი ტერმინ „სანდონულს" კოლხური ენობრივი მონაცემებით ხსნიდა, მას მეგრულ-აფხაზური საქსოვი დაზგის სახელთან Saga აკავშირებდა და ამით თითქოს კოლხური ტილოს დამზადების თავისებურებასაც უსვამდა ხაზს[31].

დღეს, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში საკმაოდ მყარ საფუძველზე დგას მოსაზრება, რომ ტერმინი „სარდონული" შესაძლოა უკავშირდებოდეს ერთ-ერთი ეგეოსური ტომის „შარდანის" სახელს. ეს ტომი აქტიურად ფიგურირებს, ე. წ., „ზღვის ხალხთა" სიებში და ძველეგვიპტურ წყაროებში ძვ. წ. XIV ს-დან (ე. წ. „ამარნას" პერიოდი) იხსენიება. მათი მეომრები ხან ეგვიპტის ფარაონთა ჯარის ნაწილებს შორის იხსენიებიან, როგორც მოკავშირეები (მაგ. რამზეს II-ის დროს), ხანაც ეგვიპტელთა მოწინააღმდეგეების მხარეს იბრძვიან (მაგ. ფარაონ მირნეფტაჰის დროს-ძვ. წ. XIII ს-ის II ნახ.)[32].

თუ რატომ უნდა რქმეოდა კოლხურ სელს ამ ტომთან დაკავშირებული სახელწოდება, ერთ-ერთი უკანასკნელი პ. კრეჩმერი შეეხო და ჰეროდოტესთან დამოწმებული სელის სახელწოდება „შარდანებთან" დაკავშირებულად მიიჩნია. მისი აზრით, ზღვის ხალხების დიდი მოძრაობის დროს შარდანების ერთი ნაწილი ეგვიპტიდან უკუქცევის შემდგომ კოლხეთს აღწევს და აქ სახლდება. ხოლო ამის ნივთიერმამტკიცებელ საბუთებად დასავლეთ ხმელთაშუაზღვის აუზში და კ. სარდინიაზე აღმოჩენილი ე. წ. რქოვან ჩაფხუტიანი და ითიფალური სტატუეტების აშკარა პარალელები მიიჩნია ამიერკავკასიაში (ქუთაისის მახლობლად, ყაზბეგი და სხვ.)[33]. თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია მათი ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საკითხი თუ საიდან საით გავრცელდა თავდაპირველად აღნიშნული კულტურა.

---

[27] გ. ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების...გვ. 208. მ. ბერძენიშვილი. ქ. ფაზისის... გვ. 26-28. ნ. ხოშტარია. „დიხა გუძუბა" კოლხეთის ძველი მოსახლეობა. მეცნ. აკად. მოამბე, ტ.V, N2, თბ., 1944, გვ. 209-211.

[28] გ. ელიავა, სენაკის რ-ნის ტოპონიმიკა. თბ., 1989, გვ. 66.

[29] გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტ. ლირსშესანიშნაობანი. თბ. 1971, გვ. 45.

[30] გ. ელიავა, სენაკის...გვ. 66.

[31] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950, გვ. 111-112.

[32] რ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 154, ს. ჭანტურიშვილი. ეთნოლოგია. თბ., 1993, გვ. 92-93.

[33] იქვე, გვ. 156.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „სარდონულის", ეგეოსურ ტომ „შარდანასთან" დაკავშირება პრაქტიკულად გახიარებულია[34]. თუმცა ამ უკანასკნელთა დიდი ტალღის კოლხეთში შემოსვლა-ჩასახლების საკითხი ბოლომდე ახსნილი არაა და ამდენად საკამათოც ბევრია.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სელი განსაკუთრებული თვითმყოფადობით ხასიათდება და მისი სახელი არც ერთი ერის ტერმინთან ნათესაობას არ ამჟღავნებს; მას სელის კულტურის საწყისად საქართველოში ბრინჯაოს ხანა[35] მიაჩნია. შემდგომში ეს აზრი არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით გაიზიარა ჯერ ბ. კუფტინმა[36], შემდეგ ო. ჯაფარიძემაც[37], რომელმაც აღნიშნა, რომ სხვადასხვა ძეგლებზე გამოვლენილი პირამიდული საწაფები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებენ, ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, წინარეელინისტურ და ელინისტურ ხანაშიც[38].

როგორც არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, სელს, როგორც საქსოვ საშუალებას და საქსოვილე მასალას კოლხეთის მსგავსად, საკმაოდ კარგად იცნობს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ქსოვილის ნაშთი, რომელიც მეტეხის აგურის ქარხნის კარიერზე N5 ყორღანში იქნა აღმოჩენილი ბრინჯაოს სარკის ფრაგმენტთან ერთად. ქსოვილი ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებით იქნა დათარიღებული[39]. იგი დამზადებულია უჩვეულოდ მაღალი ხარისხის ნართისაგან, ტილოსებური გადახლართვით. ბოჭკო იმდენად კარგადაა გადარჩენილი, რომ ორგანოლეპტური ანალიზითაც (წვის პროცესზე დაკვირვება, ნამწვის სუნით შეგრძნება) ნათლად დასტურდება, რომ იგი მცენარეული წარმოშობისაა. ქსოვილის ყოველმხრივ ლაბორატორიულმა რამდენიმე ფხის შესწავლამ დაადგინა, რომ იგი დამზადებულია ორწვერად შეგრეხილი სელის ნართისაგან, რომელსაც განსაკუთრებული სიწმინდე ახასიათებს[40].

საერთოდ ამა თუ იმ სახის ქსოვილის საწარმოებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ნართი. თავდაპირველად ადამიანი, როგორც ჩანს, ბოჭკოთა პრიმიტიულ დართვას ყოველგვარი მექანიკური დართვის გარეშე აწარმოებდა (შესაბამისად ნართი წუნდებული გამოდიოდა), რაც შეეხება საქსოვ საშუალებას როგორც საფეიქრო ტერმინოლოგიით, ეთნოგრაფიული მასალებით და არქეოლოგიური აღმოჩენებით მტკიცდება, საქართველოში ორნაირი ტიპის საქსოვი დახგა იყო გამოყენებული, ე. წ., ვერტიკალური და ჰორიზონტალური ქსოვილისათვის. თითოეულ მათგანს, როგორც ჩანს, თავისი განსაკუთრებული დანიშნულება გააჩნდა როგორც დროში, ასევე რეგიონში. ჰორიზონტული საქსოვი დახგები მეტწილად ბარში იყო გამოყენებული, თუმცა კი გვხვდებოდა ვერტიკალურიც, მაშინ როცა მთაში ძირითადად ვერტიკალური თანაარსებობდა ჰორიზონტალურთან[41]. ბ. კუფტინის აზრით, რომელსაც თითქოს ეთნოგრაფიული მონაცემებიც უნდა ეთანხმებოდეს, სამეგრელოში სელის ქსოვა ე. წ. „საშუალო" ჰორიზონტალურ საქსოვ დახგახე უნდა წარმართულიყო[42]. ვფიქრობთ, ამის საფუძველი ჰეროდოტესეული

---

[34] ი ქ ვ ე, გვ. 157.

[35] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. I. თბ., 1930, გვ. 404.

[36] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды. Тб.,1950, т. II, გვ. 101-111.

[37] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დახვერვითი ექსპედიცია გურიაში, სსმმ. ტ. XVI, თბ., 1950, გვ. 120-122.

[38] ი ქ ვ ე, გვ. 121.

[39] ქ. ი ს ა კ ა ძ ე, საფეიქრო ბოჭკოვან მასალათა დამუშავება ძველ საქართველოში. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, N4. თბ., 1969, გვ. 82.

[40] ქ. ი ს ა კ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 82; ამასთანავე დავძენთ, რომ ქართლში, ქვაცხელების სამაროვნის N2 სამარხში აღმოჩენილი სპილენძის, სარდიონის, პასტის მძივები აცმული გახლდათ საკმაოდ წვრილ ძაფზე, რომელიც სპილენძის ჟანგისაგან გაკრისტალებულიყო. გამთხრელთა ვარაუდით აღნიშნულ სამარხში (2800±90 წწ. ძვ. წ.) გამოვლენილი ძაფი შესაძლოა სელის ბოჭკოსაგან ყოფილიყო დამზადებული. ცნობა მოგვაწოდა ქ-მა ლილი ღლონტმა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

[41] ქ. ი ს ა კ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

[42] გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხალხური საქსოვი დახგები, სსმმ. ტ. XVIII, თბ., 1954.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობაშია საძებნელი, რომლის მიხედვითაც ეგვიპტელები და კოლხები მონათესავე ხალხია, რომლებიც სელს ერთი და იგივე წესით ამუშავებენ. ცნობილია, რომ ეგვიპტეში სელის საქსოვად ჰორიზონტული საქსოვი დაზგები იყო გამოყენებულ მისგან განსხვავებით, ანტიკური ხანის საბერძნეთსა და ცენტრალურ ევროპაში გავრცელებული იყო ვერტიკალური საქსოვი დაზგები, რომლის ქსელიც საწაფებით იყო დაჭიმული. მსგავსი საქსოვი დაზგების გამოსახულებები ცნობილია ძვ. წ. VII ს-ის უნგრეთის ჭურჭლებიდან და ძვ. წ. VI ს-ის ბერძნული ვაზებიდან[43].

ეთნოგრაფიული მასალებისა და არქეოლოგიური ძეგლების როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან, ურთიერთშეჯერების საფუძველზე საქართველოში საქსოვი დაზგების გავრცელების დროსა და ფორმებთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესო სურათი იკვეთება. როგორც 1966 წელს ბედენის გორაზე არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულმა ქსოვილის ტექნოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა იგი ძვ. წ. XIX ს. დამზადებული ყოფილა, ე. წ. ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე[44]. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ქართული ვერტიკალური საქსოვი დაზგებისაგან რამდენადმე განსხვავდება ბერძნული დაზგები, რომელთაც გარკვეული უპირატესობა გააჩნიათ. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, მხედველობაში მისადებია დროისა და ბერძენთა მიერ განხორციელებული პროგრესის ფაქტორი. ვიდრე ბერძნები ვერტიკალურ საქსოვ დაზგას გააუმჯობესებდნენ, ქართველ ხელოსნებს პარალელურად უკვე შექმნილი ჰქონდათ, ე. წ., ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა, რომელიც ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით სრულყოფილი იყო.

კოლხეთში გავრცელებული საქსოვი დაზგების ტიპთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობებს იძლევა არქეოლოგიური მასალები. ნ. ხოშტარიას სოფ. რეკასთან გათხრილ „დიხა-გუძუბაზე" გამოუვლენია დიდძალი ქვისა და თიხის კვირისტავები, საქსოვი დაზგის შვეულები[45]. ასეთი შვეულები ნაპოვნია შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ ურეკში[46], ორწახნაგა პირამიდული მოყვანილობის შვეულის ორი ეგზემპლარი აღმოჩნდა ეშერაში. ამ ეგზემპლარებს ბ. კუფტინი ბერძნული ვერტიკალური საქსოვი დაზგის საწაფების ანალოგებად მიიჩნევდა. დიდი ხნის განმავლობაში მსგავსი კერამიკული ნაკეთობანი ხან სათევზაო ბადის სიმძიმეებად მიიჩნეოდა[47], ხანაც მშენებელ-ხუროთმოძღვრის შვეულად[48]. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, პირამიდული საწაფები დაფიქსირებულია ვანში[49], სოფ. ლიაში[50], სოხუმში[51], ქობულეთ-ფიჭვნარში[52]. ცნობილია, რომ ვერტიკალურ საქსოვ დაზგებზე 10 ჯგუფად დაყოფილი, განსაზღვრული რაოდენობის ძაფები იყო დაჭიმული. თითოეულ ამ ჯგუფს ერთნაირი სტანდარტის საწაფებით ჭიმავდნენ[53]. საინტერესოა, რომ ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. III-I სს-ით დათარიღებულ ერთ-ერთ ნაგებობაში 1958 წ. ერთ ადგილას 11 ცალი საწაფი იქნა გამოვლენილი, რომელიც შესაძლოა ერთ კომპლექტს შეადგენდა[54]. ვანის ნაქალაქარიდან მომდინარე ანალოგიურ არქეოლოგი-

---

[43] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ. გვ. 111.

[44] ქ. ისაკაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 88.

[45] ნ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი. გვ, 210.

[46] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 120.

[47] Костюшко, Валюжниг. Извлечение из отчета о раскопках в Херсоне, Таврии в 1899–1902 гг., ИАК, т.I, М 1901 გვ. 35.

[48] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 121.

[49] ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, ტაბ. XXXVI.

[50] ნაპოვნია ენგურის არქ. ექსპედიციის მიერ.

[51] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб. 1949, გვ. 14.

[52] ა. კახიძე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, მსკა. ტ. IV, თბ., 1964, გვ. 74.

[53] Г. А. Лордкипанидзе, დასახ ნაშრომი. გვ. 87–88.

[54] Г. А. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრომი. გვ. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურ მასალაში, სადაც 200-მდე ეგზემპლარია თავმოყრილი, წონისა და ზომის მიხედვით, გ. ლორთქიფანიძეს 7 ჯგუფი გამოუყვია[55]. მსგავსი პირამიდული საწაფები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი საყანჩიას ნამოსახლარზეც[56], რომელთა ნაწილიც სხვადასხვა ნიშნებითაა დადამდული. საყანჩიას ნიმუშებთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობას გვაწვდის ვ. ლიჩელი, რომელსაც ჩაუტარებია საწაფთა დაჯგუფება წონის მიხედვით, რის საფუძველზეც აკეთებს დასკვნას, რომ წონაში სხვაობა სხვადასხვა სიმტკიცის ქსოვილებით შეიძლება აიხსნას. მათში ვ. ლიჩელი გამოყოფს ორი წონის საწაფს (98-100 გრ და 115-117 გრ), რომლებიც რაოდენობრივი მაჩვენებლით გამორჩეულია. ჩანს ისინი ერთი სახეობის ქსოვილთა დასამზადებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ეს კი ხმარებაში ყველაზე მეტად არსებული ქსოვილი უნდა ყოფილიყო[57]. პირამიდული საწაფების აღმოჩენის ფაქტები დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოშიც[58].

მსგავს ნაკეთობათა აღმოჩენების ტოპოგრაფიას კიდევ უფრო ავსებს და ხვეწს ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული თიხის პირამიდული საწაფები (N166, 1182 და სხვ.). ყველა მათგანი ვერტიკალური საქსოვი დაზგის პირამიდული საწაფებია. ისინი უამრავ სხვადასხვა ფორმისა და მასალის კვირისტავებთან ერთად, ნაქალაქარის ქვედა ტერასის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მონაკვეთებზე გამოვლინდნენ, სადაც ძვ. წ. VIII-I სს. დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლების განსაკუთრებული კონცენტრაციაა შენიშნული.

კოლხეთში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული და ჩვენ მიერ აქ ჩამოთვლილი ნიმუშები ძვ. წ. II ათასწლეულიდან მოყოლებული, ელინისტური ხანის ჩათვლით, თითქოს მხარს უნდა უჭერდეს აქ, ე. წ., ვერტიკალური საქსოვი დაზგების გავრცელება-გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ ელინისტურ ხანაში ვერტიკალური საქსოვი დაზგების პირამიდულ საწაფებს ადგილობრივ ამზადებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ვანში გამოვლენილი წუნდებული პროდუქცია[59]. საბერძნეთში ვერტიკალური საქსოვი დაზგისა და კერამიკული საწაფების გაჩენას საფუძვლად შესაძლოა კოლხურ-ბერძნული ეთნოკულტურული კონტაქტები ედო (ჩვენ კარგად გვესმის ამ თეორიის გაბედულება, მის საფუძვლად ჟუკოვსკისეულ ცნობილ თეორიასთან ერთად, სელის ბერძნული და კოლხური სახელწოდებების მსგავსებასაც მივიჩნევთ. ამ თეორიის მამტკიცებელი ან უარმყოფელი მასალები შესაძლოა მომავალმა სამუშაოებმა უკეთ წარმოაჩინონ – დ.ლ.). თუ კოლხეთში, სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილი კერამიკული პირამიდული საწაფები ნამდვილად ვერტიკალური საქსოვი დაზგების საკიდრებია (ჩვენ პირადად ამ შეხედულების მომხრე ვართ), მაშინ არქეოლოგიური მონაცემები დროის თვალსაზრისით უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს. რაც შეეხება ჰორიზონტულ საქსოვ დაზგას, ის ცხადია გარკვეული დროიდან ვერტიკალურ დაზგასთან თანაარსებობს. ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი მონაპოვარი კი შეიძლება კიდევ ერთ მოწმობად ჩაითვალოს, რომ ქართული საქსოვი დაზგები ისტორიულად ვითარდებოდნენ და უმჯობესდებოდნენ, რომ მათ უდიდესი თვითმყოფადობა ახასიათებდათ და ეს პროცესები იზოლაციის პირობებში კი არ მიმდინარეობდა, არამედ თავისი საწყისი ფორმებით ძველი ხალხების კულტურულ მონაპოვართა წრეში ექცეოდა.

---

[55] იქვე. გვ. 86.

[56] ვ. ლიჩელი. ძველი ვანი, სამეურნეო უბანი. თბ., 1991, გვ. 65.

[57] იქვე.

[58] ვ. თოლორდავა. მასალები იბერიის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ.III-I სს., მსჯა. ტ.III, თბ., 1963, გვ. 153.

[59] Г. А. Лордкипанидзе, დასახ. საშრომი. გვ. 87, N3-58/347.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Д. А. ЛОМИТАШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ ВНУТРИОТРАСЛЕВОГО ПРОИЗВОДСТВА ДРЕВНЕЙ КОЛХИДЫ

Резюме

По археологическим материалам и письменным источникам выясняется, что в древней Колхиде производство и экспорт льна имели стратегическое назначение. По сведениям авторов античного периода (Геродота, Ксенофонта и др.), в древней Колхиде развитие этой отрасли было на довольно-таки высоком уровне. Греция была заинтересована колхидским льном („სარდონული“) из-за высокого качества, хотя эта отрасль была развита и у них. Вскоре лен занимает особое место в грузинской этнокультуре.

В 50-ых гг. XX века одним из высочайших достижений в микенологии стало прочтение „B" линейных образцов письменности (И. Вентрис, Дж. Чедвик). Найденные „B" линейные надписи в Пилосских дворцах говорят о наименовании группы продукции, слоговой знак которой "SA", т.е. лен, именуется по колхидской форме „სუ“. Нами было высказано предположение, что упомянутая надпись в Пилосских дворцах „SA" - эта форма равнозначна форме „სუ“. Этноним „SA“ по законам индоевропейских и греческих лингвистических закономерностей не объясним. Учитывая мнение палеоботаников, что родиной культуры льна является Закавказье, можно сделать вывод, что из данного региона эта культура распространяется в другие страны, в том числе и в бассейне Средиземноморья.

Мы предполагаем, что с экспортом растения было распространено и его название. Для обработки льна в Грузии использовали два вида (типа) ткацких станков: вертикальный и горизонтальный. Учитывая археологические данные, можно сказать, что на первом этапе был использован вертикальный вязальный станок. Со временем начали использовать горизонтальный станок.

Самые ранние образцы льняной продукции в Грузии датируются началом III тысячелетия до н. э. Предполагается, что они были изготовлены на вертикальных ткацких станках.

Как видно, грузинские вязальные станки со временем развивались и улучшались. Этот процесс характеризуется самобытностью и значимостью. Исходя из вышесказанного, это является неотъемлемой частью культурного наследия древних народов.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ჭილაშვილი

თბილისის კერამიკული სახელოსნოს დანგრევის თარიღისათვის

1948 წლის შემოდგომას თბილისში, სამასი არაგველის სახელობის ბაღის გაფართოებისას, მიწის სამუშაოების დროს, წააწყდნენ დიდი რაოდენობის თიხის ჭურჭლის ნამტვრევებსა და დამწვარ ფენებს, რის გამოც მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის იმჟამინდელი დირექტორის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის წინადადებით შეიქმნა შემსწავლელი ჯგუფი, რომელმაც ადგილზე ჩაატარა საველე კვლევა-ძიება სამ ეტაპად: 1948 წლის 4 ოქტომბრიდან 16 ნოემბრამდე ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ო. ჯაფარიძე, 22 ნოემბრიდან 28 დეკემბრამდე და 1949 წლის 3 მარტიდან ივნისის დასაწყისადმე – გ. ლომთათიძე[1].

არქეოლოგიური გათხრა ჩატარდა სამასი არაგველის ბაღის გვერდით, ორთაჭალაში, თბილისის ძველი ხიდის მიდამოებში და რამდენადაც აქ, განჯისკარის, ძველი თბილისის ერთ-ერთი კარი ივარაუდებოდა, ექსპედიციასაც „განჯისკარის“, სახელი შეერქვა, თუმცა კი ასეთი დასახელება შესაძლებელია არც იყოს გამართლებული. ამდენად, ამ სახელს პირობით აღნიშნავენ.

პირველივე კამპანიის დროს აშკარად გამოიხატა ობიექტის ხასიათი, აქ განლაგებული უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეების თბილისის ერთ-ერთი მძლავრი კერამიკული სახელოსნო – ამოდიოდა დიდი რაოდენობის მოჭიქული და სადა ფრაგმენტები, საყოფაცხოვრებო ნივთები, გაშიშვლდა დამწვარ-გადაბუგული ადგილები, გაიწმინდა პურის საცხობი რამდენიმე თონე და სხვ. აქვე იყო დადასტურებული ორი „საფლავი“, უწესრიგოდ განლაგებული ჩონჩხების ნაშთით. ერთს, რომელიც გაითხარა 0,6 მ სიღრმეზე მენჯის ძვალთან ქსოვილის თუ ტყავის ნაშთთან ერთად, 130 მონეტა აღმოაჩნდა. მეორე, ასევე პირობითად, „საფლავი“ ზედაპირიდან 2,4 მ-ზე მდებარეობდა. ძვლები არეული იყო, კუთხეში დადასტურებულია თიხის დოქი სპარსული წარწერით. საერთო შთაბეჭდილებით საქმე უნდა გვქონოდა განვითარებული ფეოდალური ხანის ძეგლთან[2]. მონეტების შემცველი ჩონჩხი დაუკავშირდა უკვე შემდგომ გამოვლენილ კერამიკულ სახელოსნოს.

---

[1] ექსპედიცია დაკომპლექტებული იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებით. ისტორიის ინსტიტუტიდან: გ. ლომთათიძე, შ. მესხია, გ. ცქიტიშვილი, ნ. ოქროპირიძე, ო. ღამბაშიძე, ე. კვესი, კ. კვესი; მუზეუმიდან: ო. ჯაფარიძე, ლ. მაჭავარიანი, ა. ამბრიაშვილი; სტუდენტი თ. მიქელაძე და მოწვეული თ. პაატაშვილი. გათხრების შესახებ გამოქვეყნებულია ანგარიშები: ო. ჯაფარიძე, „განჯისკარის 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში“; გ. ლომთათიძე, „არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში“. ორივე ანგარიში დაბეჭდილია კრებულში „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, I, თბ. 1955 წ.

[2] ო. ჯაფარიძე, დასახ. ანგარიში, გვ. 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე კამპანიისას შვიდი თხრილი იყო ამოღებული, შემცველი დიდი რაოდენობის თიხის ნაწარმის, წუნდებული ნატეხებისა და ნახევარფაბრიკატების. აქვე აღმოჩენილი კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები – სოლები, კაუჭები და სხვა, რის მიხედვითაც აქ კერამიკული სახელოსნოს არსებობა უკვე ეჭვმიუტანლად დასტურდებოდა.

აღნიშნული არქეოლოგიური გათხრების უმთავრესი შედეგია ის, რომ აქ გაითხარა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები და უეცარი კატასტროფის გამო ხელუხებლად შენახული დამზადებული პროდუქცია, წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები, გამოსაწვავად გამზადებული ჭურჭლეული, ასევე საგანგებოდ მონიშნული ადგილები, სადაც წუნდებული და დამტვრეული ნაწარმი იყრებოდა. სულ ხუთი ქურა და რამდენიმე ქურის ნაშთი იქნა გაწმენდილი. ყველანი ერთმანეთის მსგავსი ფორმის, მსხლისებური მოყვანილობის იყო, კედლების საშუალო სისქე 0,6 მ-ია, ამოყვანილი იყო ოთხკუთხა ბრტყელი „ქართული“ აგურით თიხის ხსნარზე. საცეცხლე განყოფილების ძირზე ფილაქვები იყო დაფენილი[3].

ქურების წმენდისას, გარდა თიხის ჭურჭლის ნატეხებისა, ამოდიოდა წითლად გამომწვარი გრძელი სოლები, ასევე კავები და სამშვერილიანი ბრტყელი სადგარები, რომლებსაც იყენებდნენ ქურებში ჭურჭლების გამოწვისას.

მრავალფეროვანი მასალები იქნა მოკრეფილი ქურების გარეთაც და სენაკებში, სადაც მეთუნეების ცხოვრება ივარაუდება უშუალოდ საწარმოშივე.

ქურების აღმოჩენები და კერამიკული სახელოსნოს დადასტურება ძვირფასი შენაძენია არა მარტო საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, არამედ საერთოდაც შუა საუკუნეების კერამიკის შემსწავლელი დარგისათვის, რადგანაც ეს იყო ჩვენში პირველი აღმოჩენა და განუჭომლად დიდი მნიშვნელობის ფაქტი საკუთარი ადგილობრივი წარმოების მტკიცებისათვის.

კერამიკული სახელოსნოს ტერიტორიაზე მოპოვებული მასალები მრავალფეროვანია: მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი, ლუსტრიანი ფაიანსი, მინის სამაჯურები, მონეტები და სხვ. მასალების დიდი ნაწილი აღმოჩნდა ქურებსა და სენაკებში, ასევე დახვინულ გროვებში, რომელთა სიმაღლეც 2,5 მეტრს აღწევდა, სიგრძე – 10 მ, სიგანე – 7 მ. ამავე გროვებში ჩნდებოდა მონეტებიც.

თბილისის კერამიკული საწარმოს გათხრებისას მოპოვებული მასალები დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების „განჯისკარის“ ფონდში.

დღიდან კერამიკული სახელოსნოს დაფიქსირებისა და ექსპედიციის ხელმძღვანელთა მიერ ანგარიშების გამოქვეყნებისა, „განჯისკარის“ გათხრების მასალები არაერთ მეცნიერულ გამოცემაში მოხვდა, თუმცა პირველი მეცნიერული შეფასება და განათხარი მასალების მნიშვნელობის მეცნიერული განსაზღვრა როგორც ქართული, ისე ზოგადი არქეოლოგიისათვის, რომელიც მოცემული იყო ო. ჯაფარიძისა და გ. ლომთათიძის ანგარიშებში, დღემდე რჩება პირველწყაროდ ხსენებულ მონაპოვრებზე მუშაობისას.

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა „განჯისკარის“ გათხრების შემდეგ. ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა შუა საუკუნეების ნაქალაქართა ნუსხა, რომელთაც არქეოლოგთა ბარის მეშვეობით მოუხდათ ალაპარაკება, გამრავალფეროვნდა პარალელური მასალა, შეივსო შუა საუკუნეების ქართული არქეოლოგიის ქრონოლოგიის ხარვეზიანი უჯრედები. ყოველივე ამან, ზოგი ადრე არსებული მოსაზრებისა და მასალის ახლებური თვალთახედვით შესწავლა და გადასინჯვაც დააყენა დღის წესრიგში. წინამდებარე მოკლე წერილის მიზანიც ამ რიგისაა – „განჯისკარის“ კერამიკული სახელოსნოს დანგრევის თარიღის განსაზღვრისათვის დაიწერა.

[3] გ. ლომთათიძე, დასახ. ანგარიში, გვ. 134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, ყველა ვისაც თავისი მოსაზრება გამოუთქვამს „განჯისკარის“ კერამიკული სახელოსნოს შესახებ, ეჭვსაც კი არ უშვებს, რომ ის XII–XIII სს. კუთვნილება არ იყოს და ამის პირველი ხელშესახები მასალა ის მოჭიქული კერამიკაა, რომელიც აქ აღმოჩნდა, მსგავსი დმანისში და რუსთავში აღმოჩენილი ნაწარმისა და მოხეტები, რომელთა შორისაც სწორედ ამ პერიოდის ფულები ჭარბობს. ო. ჯაფარიძე, მისი ხელმძღვანელობით გათხრილ მონაკვეთზე აღმოჩენილი მასალის მიხედვით, ასკვნის, რომ „მოჭიქული კერამიკა, რომელსაც ეს საწარმო უშვებდა, დღეს უკვე კარგად თარიღდება XII–XIII სს. ყოველ შემთხვევაში, ნუმიზმატიკური მონაპოვრის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კერამიკული საწარმო XIII საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა. ჩვენს ხელთ მყოფი მასალის მიხედვით ჩანს, რომ საწარმო დაახლოებით ამავე საუკუნის 30-იან წლებში წყვეტს თავის არსებობას. ყოველ შემთხვევაში, არ მოგვეპოვება მასალა, რომელიც მონღოლთა შემოსევის შემდგომ ხანაზე მიუთითებდეს“[4].

არქეოლოგიური მასალების უმეტესობა საწარმოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა მეორე და მესამე კამპანიების დროს, ჭურჭლის გამოსაწვავი ქურებიც ამ დროს იყო გამოვლენილი. როგორც ზევით აღინიშნა, XII–XIII საუკუნეები დადასტურებულად არის მიჩნეული. როგორც მეორე და მესამე კამპანიების ხელმძღვანელი გ. ლომთათიძე წერდა „ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მომენტს, რომელიც არ ეთანხმებოდეს და, მით უმეტეს, ეწინააღმდეგებოდეს ამ თარიღს – XII–XIII საუკუნეებს“[5]. ზოგად თარიღად კი ის მიიჩნევდა XI–XIII საუკუნეებს[6]. იშველიებდა რა საერთოდ კავკასიის საშუალო საუკუნეთა სპეციალისტთა მოსაზრებას, დაასკვნა: „ამგვარი კერამიკის თარიღი აქ XIV საუკუნეს არ გადმოსცილდება“[7]. მეტად საყურადღებოა გ. ლომთათიძის მოსაზრება სახელოსნოთა განადგურების თაობაზე ჯალალედინის მიერ თბილისის აღებასთან მიმართებაში: „ეს სახელოსნო თუ სახელოსნოები, ერთხანს მაინც, ჯალალედინის ბატონობის მძიმე ხანაშიც არსებობენ და მუშაობენ („ხელოსნის ჩონჩხთან“ აღმოჩენილ ფულში ჯალალის დამღანაკრავი მონეტებიც გამოერევა), ასე რომ, მის მტარვალურ შემოსევას ვერ მივაწერთ სახელოსნოს აწიოკებასა და გადაწვას“[8]. „სოვეტსკაია არქეოლოგიაში“ გამოქვეყნებულ წერილში სახელოსნოების დანგრევა ივარაუდა XIII ს. მეორე ნახევარში და ის დაუკავშირა მტრების ერთ-ერთ შემოსევას, როცა სახელოსნოები გადაიწვა და ხელოსნები კი დახოცეს[9].

“განჯისკარის“ კერამიკული სახელოსნოს ნაწარმი მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი მ. მიწიშვილს. მან სახელოსნოს ნაშთებს შორის გამოყო IX–X საუკუნეების მზა, ნახევრად ნამზადი და წუნდებული მასალა, რამაც საშუალება მისცა მას სახელოსნოს ქვედა ქრონოლოგიური სახღვარი IX–Xსს. დაეთარიღებინა[10].

ამასთანავე ის ასკვნის, რომ „შესწავლილი მასალის საფუძველზე, თბილისის კერამიკული ნაწარმის არსებობის დრო IX–XIII საუკუნის პირველი ნახევარია“[11]. შემდეგ ნაშრომში საწარმოს დანგრევის თარიღი უფრო დაკონკრეტებულია „არ ჩანს მონღოლთა შემოსევის შემდგომი ხანის ჭურჭელი, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ამასთან დაკავშირებით საწარმომ შეწყვიტა არსებობა და იქ მუშაობა აღარ განახლებულა. ამდენად, თბილისის მოჭიქული კერამიკის საწარმო არსებობდა IX საუკუნიდან

---

[4] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახელებული ანგარიში, გვ. 97–98.

[5] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დასახ. ანგარიში, გვ. 160.

[6] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დასახ. ანგარიში, გვ. 161.

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] Г. А. Ломтатидзе, Результаты и перспективы археологического изучения города Тбилиси, Советская Археология, №4, 1959, გვ.71.

[10] მ. მ ი წ ი შ ვ ი ლ ი, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში IX–XII, თბ., 1979, გვ. 16.

[11] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე მონღოლთა შემოსევამდე"[12]. სადოქტორო დისერტაციაში თარიღი უფრო დაზუსტებულია: „XIII საუკუნის დასაწყისი" – ნაგულისხმევია ჯალალედინის მიერ თბილისის აღება.

მაშასადამე, „განჯისკარის" სახელოსნოს გათხრიდან ნახევარი საუკუნის განმავლობაში ძეგლის რაობის შესახებ არსებული მყარი თვალსაზრისის გვერდით, მისი დანგრევის თაობაზე არაერთი მოსაზრებაა შემოთავაზებული, თანაც ყველა ერთი თვალსაზრისით შენიშნავს მტრის ხელით გადაწვასა და აწიოკებას. რაც შეეხება მტრის ამოცნობას, ერთი მხრივ, ჯალალედინი ფიგურირებს, მეორე მხრივ, მონღოლები, ერთი მხრივ, 1226 წელი, მეორე მხრივ, XIII ს-ის მეორე ნახევარი.

ჩემი თვალსაზრისით, რამაც გადამაწყვეტინა აღნიშნული წერილის დაწერა, საწარმოს დანგრევის თარიღის დასადგენად არ არის ჯეროვნად გამოყენებული ნუმიზმატიკური მონაცემები. თხრისას აღმოჩენილ მონეტებზე ყველა ნაშრომშია საუბარი, მაგრამ საბოლოო დასკვნა მონეტების მოჭრის თარიღიდან გამომდინარე არ არის გაკეთებული. რაც მთავარია, არც ყველა მონეტაა შესწავლილი და გათვალისწინებული. დღესდღეობით გამოქვეყნებულია მონეტების ერთი ნაწილი (133 მონეტა), რომელიც აღმოჩნდა პირველი კამპანიისას130 ცალი „ხელოსნის ჩონჩხთან" და სამიც – მის მიდამოებში[13]. მათ შესახებ პირველად აღნიშნულია ო. ჯაფარიძის ანგარიშში (გვ. 97).

გარდა ხსენებული 133 მონეტისა, თხრისას აღმოჩენილია კიდევ 28 მონეტა, ამ მონეტების ერთი ნაწილი მოპოვებულია ერთ-ერთი „გროვის" თხრისას, რომელიც შეიცავდა დიდძალ კერამიკულ მასალას. გ. ლომთათიძე საგანგებოდ შენიშნავდა, რომ „გროვა", ასე ვთქვათ, „დამსჭვალულია" მონეტებით და ეს აძლიერებს საერთოდ ნდობას ამ უკანასკნელთა დამათარიღებელი ღირებულებისადმი"[14]. სწორედ ასეთი დამათარიღებელი მნიშვნელობის გამო ვთვლი, რომ თბილისის კერამიკული სახელოსნოს თხრისას მოპოვებულ ნუმიზმატიკურ მონაცემებს ახლებური გააზრება ესაჭიროება, რაც დაგვეხმარება სახელოსნოს დანგრევის თარიღის დადგენაში.

მაშ ასე, ჩვენს ხელთაა სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი 161 მონეტა, აქედან 130 ცალი დადასტურებული იყო ჩონჩხთან, 3 მონეტა – ჩონჩხის მიმდებარე ტერიტორიაზე, დანარჩენი 28 მონეტა აღმოჩენილია სახელოსნოების ტერიტორიაზე „გროვებში" და საწარმოო გადანაყარში. აქედან „Около десятка медных монет найдено в помещениях мастерской, а также среди производительных отбросов"[15].

ერთი (1851 წ.) რუსული მონეტაც იყო ზედა ფენაში, რომელსაც არ შეიძლება დამათარიღებელი მნიშვნელობა ჰქონდეს. აღნიშნული მონეტები დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში, 133 მონეტა შემოსულია 1950 წ. მაისში (სამუზეუმო ნომრებია: 6666–6798). 28 მონეტა შემოსულია 1957 წ. დეკემბერში (სამუზეუმო ნომრებია: 10126–10153).

პირველი რიგის მონეტების შედგენილობა ასეთია[16]:

ქართული ფული:

1. თამარის და დავითის სახელით 1200 წ. მოჭრილი – 3ც.,
2. რუსუდან დედოფლის, 1227 წ. მოჭრილი – 83 ც.,

---

[12] მ. მიწიშვილი, შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკა (IX–XIII სს.), ავტორეფერატი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998 წ., გვ. 17.

[13] ი. ჯალაღანია, თბილისის არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს მოპ. ნუმიზმატიკური მასალა, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიის ძეგლები, II, თბ., 1974 წ., გვ. 107–108.

[14] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

[15] მისივე, დასახელებული ანგარიში, გვ. 166.

[16] ვსარგებლობ ი. ჯალაღანიას მითითებული ნაშრომით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფული:

1. ქუჟური (არაბული) ფელსი, IX ს. –1ც.,
2. ბიზანტიური,
   რომანოზ I (919–944წწ.) -1 ც.,
   კონსტანტინე X (1059–1067წწ.) – 1 ც.,
   ალექსი I (1081–1118 წწ.) - 2 ც.,
   ჰენრი ფლანდრიელის - 2 ც.,
   ჯალალ-ად -დინის 1226 წ. მოჭრილი – 2 ც.,
   ილდიგზიდი ათაბაგების (XII–XIIIსს.) – 35 ც.,
   ქესრანიდი შირვანშაჰი მანუჩეხრ II (XII ს.) – 1 ც.,
   ქეიქუბად I (1219–1236 წწ.) – 1ც.

მეორე ჯგუფის 28 მონეტიდან ი. ჯალალანიას აღნიშნულ ნაშრომში განსაზღვრული აქვს 15 მონეტა: თამარის – 1ც; გიორგი III-ის – 2 ც; ლაშა-გიორგის (1210 წ. მოჭრილი) – 2 ც; რუსუდანის (1227 წ. მოჭრილი) – 2 ც; ერთი არაბული ფელსი,ექვსი ქუჟური ფელსი და ერთი ჭულაგუიდური მონეტა XIV ს-ის[17]. ჩემი თხოვნით, მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომლებმა ც. ღვაბერიძემ და მ. შეროზიამ გულდასმით შეისწავლეს მონეტების ეს ჯგუფი მთლიანად, რომლის შედეგებსაც ვიძლევი ქვევით:

1. არაბული ფელსი – 6 ც.,
2. ბიზანტიური.
   ბასილი II და კონსტანტინე VIII (XI ს.) – 1ც.,
3. დემეტრე I (1125–1156 წწ.) – 1ც.,
4. გიორგი III (1156–1184 წწ.) – 2 ც.,
5. თამარის (1184–1213 წწ.) – 6 ც.,
6. ლაშა გიორგის (1213–1223) – 1 ც.,
7. რუსუდანის (1223–1245) – 5 ც.,
8. ოლჯაითუ ილხანის (1315–1316 წწ.) – 1 ც.,
9. შეიხ ოვეის ჯელაირის (1366 წ.) –1 ც.,
10. სამი მონეტა დაშლილია[18].

მაშასადამე, „განჯისკარის" კერამიკული სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი 161 მონეტის ქრონოლოგიური ჩარჩოებით განისაზღვრება დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთი მეცხრე საუკუნიდან მეთოთხმეტე ს-ის ჩათვლით. ძეგლის ფუნქციონირების ზედა ზღვარს განსაზღვრავს XIV საუკუნის ორი მონეტა: ოლჯაითუ ილხანის სახელით 1315–1316 წწ. და შეიხ ოვეის ჯელაირის სახელით 1366 წ. მოჭრილი მონეტები. აღნიშნულის შემდეგ, ცხადია, სახელოსნოს დანგრევას ვერ ვიგულისხმებთ, ვერც 1226 წ. ჯალალედინის მიერ ქალაქის აღების დროს, რადგანაც „განძში" 1227 წ. მოჭრილი მონეტებიც ურევია და ვერც XIII ს-ის მეორე ნახევრით, რადგანაც ამ დროს ქალაქის დანგრევის არც ერთი შემთხვევა არ ვიცით. აღნიშნული ორი მონეტით სახელოსნოს დანგრევის თარიღად XIV ს-ის ბოლო მეოთხედი უნდა მივიღოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ილხანების თითქმის ასწლოვანი ბატონობა საქართველოში მეტად მძიმე იყო, მონღოლებმა ქართველობას მოახვიეს უცხო მმართველობის ინსტიტუტები, ახალი სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, მოლაშქრეობის ბეგარა, სიბაზე დგომა და სხვ. ქვეყნის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა პერიოდულად აღმავლობასაც განიცდიდა. რა თქმა უნდა, ქართული სამეფო კარი, რომლის უნიათობამ და ტახტის მაძიებლობამ ბევრი ზარალი მიაყენა ქვეყანას, მაგრამ ამ ხნის გან-

[17] ი. ჯალალანია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 108.

[18] აღნიშნული მონაცემების მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ც. ღვაბერიძეს და მ. შეროზიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობაში არაერთხელ მოხერხდა საქართველოს გამთლიანება და აღდგენა. სიმტკიცეა, რომ მონღოლები აღიარებდნენ საქართველოს სამეფოს საზღვრებს და მისი დაცვის პრეტენზიებსაც უყენებდნენ მას, განსაკუთრებით ჩრდილოეთის ულუსიანებთან ბრძოლაში. ეს უძნელესი მოვალეობა, რომელსაც ქართველობა ეწეოდა მდინარე ჩადანუსუნზე – საქართველოს საზღვარზე, სასტიკი ბეგარის მიუხედავად, რასაც მრავალი მოლაშქრის სიცოცხლე ეწირებოდა, საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრის აღიარებაც იყო[19].

აღნიშნულ პერიოდში თბილისის აოხრების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. გიორგი ბრწყინვალის დროს კი, რომელმაც კვლავ აღუდგინა საქართველოს საერთაშორისო სახელი, თბილისი ერმრავალსა და მდიდარ ქალაქს წარმოადგენდა. და ეს მდგომარეობა მას XIV ს. ოთხმოციან წლებამდე შერჩა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენ მოგვეპოვება ცნობა, რომ XIVს-ის მესამე ათეულში თბილისი საუკეთესო, ერმრავალ და შესანიშნავ ქალაქად ითვლებოდა. თავისი ოდინდელი მნიშვნელობა მას იმდენად ჰქონდა აღდგენილი, რომ რომის პაპმა და კარდინალების საბჭომ თავიანთ მოქალაქეების ცენტრად მახლობელ აღმოსავლეთში თბილისი აქციეს და ქალაქ სმირნიდან საქართველოს დედაქალაქში გადმოიტანეს“[20].

გვაქვს საფუძველი დავუშვათ, რომ აყვავებული ქალაქის ერთ-ერთი სავაჭროსახელოსნო უბანი – „განჯისკარის“ კერამიკული საწარმოც ამ დროისათვის წარმატებით მოქმედებდა.

ქართველ არქეოლოგთა ნაშრომებში, სადაც კი შუა საუკუნეების კერამიკაზეა საუბარი, გატარებულია ძირითადი აზრი, რომ მოჭიქული კერამიკის წარმოება წყდება მონღოლთა შემოსევების შედეგად. ეს აზრი რამდენადმე სწორია და ზოგი ძეგლის თაობაზე კი ალბათ კატეგორიულიც, რამდენადაც არაერთი მათგანი მონღოლთა შემოსევის დროს არის დანგრეული და აღდგენა-განახლება აღარ ღირსებია. ასეთად შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, რუსთავი, რომელიც 1265 წ. აბაღასა და ბერქას შორის ამტყდარი საომარი ოპერაციების შემდეგ აღარ გამოცოცხლებულა. რაც შეეხება თბილისსა და დმანისს აქ ამ პერიოდში ცხოვრების შეწყვეტა არ შეიძლება დავუშვათ. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალები იქნა მოპოვებული არქეისა და გავაზის ნაქალაქარების გათხრების შედეგად. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე პუნქტი თემურლენგის შემოსევების დროს არის აოხრებული. რაც შეეხება XIIIს-ის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნეს, თემურლენგის შემოსევამდე, აქ მოჭიქული კერამიკის წარმოება კვლავ არსებობს, თუმცა არა ისეთი წარმატებით და მასშტაბებით როგორც XIIს-ში. ამ ნაწარმის ცალკე ქრონოლოგიურ და ტექნოლოგიურ ჯგუფში გამოყოფა პირველად შესაძლებელი გახდა გავაზის გათხრების მონაცემების მიხედვით, სადაც აშკარად ჩანს საკმაოდ დიდი ჯგუფი ნაწარმისა, რომლის მოქცევაც მოჭიქული ჭურჭლის კატეგორიაში შეიძლება, მხოლოდ პირობითად. ჭიქური მეტად ძუნწად ადგილ-ადგილ არის მოსხურებული, ზედაპირის ნაწილი მოკლებულია ანგობირებას და მხატვრულ შემკობას. ხსენებულ კერამიკულ ნაწარმს მოჭიქული ჭურჭლის იმიტაციები შევარქვი და დავათარიღე XIII ს-ის მეორე ნახევრით და XIV საუკუნით, თემურლენგის შემოსევამდე[21].

ასეთი მინაბაძების წარმოება დაკავშირებული იყო ეკონომიკურ გაჭირვებასთან, საჭიქურე მასალის გაძვირებასთან, მომხმარებლის გაღატაკებასა და კავშირ-ურთიერთობების შესუსტებასთან. ეს იყო მხატვრული კერამიკის განვითარების ახალი ეტაპი წარმოდგენილი საკმაოდ ვრცელ, საუკუნენახევრიან ქრონოლოგიურ სივრცეში. მაშასადამე, მოჭიქული მხატვრული კერამიკის წარმოების თითქმის ექვსსაუკუნოვანი ციკლი IX საუკუნის ერთფერჭიქურიანი ნაწარმიდან XIII ს-ის მეორე ნახევრისა

[19] ჩადანუსუნი თანამედროვე აღსუა, შემახას ჩამოუდის დასავლეთიდან.

[20] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია (XI–XV სს.), თბ., 1949 წ., გვ. 178.

[21] ლ. ჭ ი ლ აშ ვ ი ლ ი, ძველი გავაზი. თბ., 1975 წ., გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და XIV საუკუნის იმიტაციებით დამთავრებული, წყვეტს თავის არსებობას თემურლენგის ლაშქრობის შედეგად და მხატვრული კერამიკის წარმოება კარგა ხანს, ყოველ შემთხვევაში XVIს-მდე მაინც, აღარ არსებულა. განვითარების მთლიანი ციკლი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: IX–XIს. – მოჭიქული კერამიკის წარმოების აღდგენა-განვითარება; XI–XIII სს. პირველი ნახევარი - მოჭიქული კერამიკის წარმოების აღმავლობა; XIII ს-ის მეორე ნახევარი, XIV საუკუნე – მოჭიქული კერამიკის მინაბაძების წარმოების ხანა. რამდენადაც საკმაო დამაჯერებლობით არის განსაზღვრული თემურ ლენგის მიერ საქართველოში პირველი ლაშქრობის დრო, რომელსაც შეეწირა ქალაქი თბილისი, „განჯისკარის" კერამიკული სახელოსნოს დანგრევის თარიღად უნდა მივიღოთ 1386 წ. 26 ნოემბერი.

სხვათა შორის, ასეთი მოსაზრება ჰქონია ნიკო ბერძენიშვილსაც, რომელმაც ისტორიულ ფაქტებისა და იმ სისხლისმღვრელი ბრძოლის გათვალისწინებით, რაც მოჰყვა თბილისისათვის ბრძოლას და თემურლენგის სისასტიკეს დაპყრობილი ქალაქის მიმართ, შესაძლებლად ჩათვალა სახელოსნოების მტარვალური ნგრევა სწორედ თემურლენგის პირველი ლაშქრობისათვის დაეკავშირებინა, რაც სამწუხაროდ, არ ყოფილა გახიარებული არქეოლოგთა მიერ[22].

* * *

აი, ამით დასრულდა ჩემი წერილი, რომლის მიზანიც „განჯისკარის" სახელოსნოს დანგრევის თარიღის განსაზღვრა იყო და რომლის შესახებაც, როგორც ოფიციალურმა ოპონენტმა მოვახსენე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს 1998 წ. 2 თებერვალს ქართული კერამიკის შესანიშნავი მკვლევრის, უდროოდ გარდაცვლილი მარინე მიწიშვილის სადოქტორო დისერტაციის დაცვისას.

სანამ აღნიშნული წერილი გამოქვეყნდებოდა, ის კი გადაცემული იყო იმავე წელს, გამოვიდა შუა საუკუნეების ქართული კერამიკის თვალსაჩინო მკვლევრის აწ გარდაცვლილი ვახტანგ ჯაფარიძის სტატია – „შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის თარიღის დაზუსტებისათვის" (კრებული, „დმანისი", I, 1998 წ., გვ. 38–57), რომლის ერთ-ერთი მთავარი თემაა „განჯისკარის" სახელოსნოს დანგრევის თარიღის განსაზღვრა. იმავე ნუმიზმატიკური მასალების მოხმობით, რომლის შესახებაც მქონდა მსჯელობა, ვ. ჯაფარიძეც სახელოსნოს დანგრევის თარიღად მიიჩნევს თემურლენგის პირველ შემოსევას და თბილისის აოხრებას, რაც 1386 წ. მოხდა. ჩვენ მიერ მიმოხილული მასალების მცირეოდენი განსხვავების მიუხედავად, შედეგი ერთი და იგივეა. ამის გამო შეიძლება ხელი უნდა ამელო ჩემი წერილის გამოქვეყნებიდან, რადგანაც მას, ერთი შეხედვით, დადასტურების მნიშვნელობაღა რჩებოდა, მაგრამ ეს არ გავაკეთე ორი მოსაზრების გამო: ერთი, რომ გამოთქმული მოსაზრების დადასტურებაც ვფიქრობ აუცილებელია, მით უმეტეს, რომ აქ საქმე გვაქვს თარიღების არაერთგზის შეცვლასთან და სწორედ ახალი ზრის გამოჩენა საკითხის შესწავლაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს და მეორეც, წერილში გამოთქმულია კერამიკული წარმოების თარიღებთან და მათი შესწავლის ცალკეულ დეტალებთან შენიშვნები, რომელიც, ჩემი ზრით, საპოლემიკოა.

კვლავ „განჯისკარის" სახელოსნოს თარიღის შესახებ.

ზევით აღნიშნული მქონდა „განჯისკარის" გამთხრელის დამოკიდებულება საწარმოს დანგრევის დათარიღებისადმი, ასევე ვახსენე ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებაც, რომელიც მას გამოუთქვამს არქეოლოგიური ანგარიშის განხილვის დროს და რომელიც გ. ლომთათიძეს არ მიუღია. გ. ლომთათიძის ანგარიში 1949 წ. ჩატარებული საველე სამუშაოებისადმი მის სიცოცხლეში არ გამოსულა, თუმცა კი ტექსტი გამზადებუ-

[22] გ. ლომთათიძე, დასახელებული ანგარიში, გვ. 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჰქონია, დათარიღებული 1958 წლით. ეს ანგარიში ვ. ჯაფარიძის ინიციატივით გამოქვეყნდა 1982 წ. კრებულში „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“ (№ 4), სადაც ის კვლავ უბრუნდება ნ. ბერძენიშვილის შენიშვნას საწარმოს თემურლენგის პირველი შემოსევის დროს განადგურების თაობაზე და აღნიშნავს: „ჩვენ ვალდებულად მიგვაჩნია თავი, გადავსინჯოთ ჩვენი არდათანხმება ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებასთან და შესაძლოდ მივიჩნიოთ, სახელოსნოს დაღუპვის თარიღის XIV საუკუნეში გადმოტანა, ხოლო აქ კი ყველაზე უფრო ბუნებრივი იქნებოდა ამ ამბის დაკავშირება მართლაც თემურლენგის ლაშქრობასთან. მაშინ კი გამოვიდოდა, რომ საწარმოს განუგრძია არსებობა და ნაყოფიერი მუშაობა მონღოლებით დამძიმებული თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე.

გამოვიდოდა ისიც, რომ მთელი ჩვენი ნაწარმი და კერძოდ, იმ ტიპის კერამიკა, რომლის ხნოვანებად დღემდე XI–XIII საუკუნეები ითვლებოდა (ზედა საზღვრად სწორედ მონღოლების შემოსევის დასაწყისია ხოლმე მიჩნეული), განაგრძობდა არსებობას XIV საუკუნისა და მეტი ხნის განმავლობაშიც.

ეს კი ისეთი ბევრი რამის „გადამტრიალებელი“ დასკვნა იქნებოდა, რომ მას კვლავაც გულდასმით ჩაფიქრება, აწონ-დაწონა და ყოველმხრივ შემოწმება დასჭირდება“ [23].

აღნიშნულთან დაკავშირებით, ვ. ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ „გ. ლომთათიძის დასკვნა აბსოლუტურად მართებული და ნათელია“[24]. მე ვერ დავეთანხმები ასეთ კატეგორიულ დასტურს. გ. ლომთათიძის დასკვნაში არ ჩანს, რომ მთლიანად ეთანხმებოდეს ხელახალ დათარიღებას. ასე რომ ყოფილიყო, ის მკვეთრად განაცხადებდა თავის გადაწყვეტილებას, აქ კი ორჭოფობა იგრძნობა...“მაშინ კი გამოვიდოდა, რომ საწარმოს განუგრძია არსებობა“...„გამოვიდოდა ისიც, რომ მთელი ჩვენი ნაწარმი და, კერძოდ, ამ ტიპის კერამიკა, რომლის ხნოვანებად დღემდე XI–XIII სს. ითვლებოდა...განაგრძობდა მუშაობას XIV ს. მეტი წლის განმავლობაში“...„ეს კი ისეთი ბევრი რამის „გადამტრიალებელი“ დასკვნა იქნებოდა, რომ მას კვლავაც გულდასმით ჩაფიქრება, აწონ-დაწონა და ყოველმხრივ შემოწმება დასჭირდება“. ასეთი გამონათქვამების შემდეგ სრულ თანხმობას ნ. ბერძენიშვილის შენიშვნაზე ვერ ვხედავ. ეს რომ ასეა კარგად ჩანს „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ (ტ. III) XI–XIII საუკუნეების საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურისადმი მიძღვნილ ნაწილში, რომლის ავტორიცაა გ. ლომთათიძე და რომელიც უშუალოდ არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზეა დაწერილი. ხსენებულ ნაშრომში საუბარია თბილისის კერამიკულ სახელოსნოზედაც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ დიდძალ ნივთიერ მასალებს „მრავლად ახლავს თან ლითონის ფული, თითქმის მხოლოდ ქართული, რომლის უმეტესობა რუსუდანის მიერ არის მოჭრილი, რის გამოც მთელი ეს განათხარი მისი ეპოქით გვითარიღდება“[25]. არც მეტი, არც ნაკლები, თარიღი გარკვეულად არის ნათქვამი – მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევარი. აი ამის გამო, განსაკუთრებით, ჩემი ეჭვები უფრო საფუძვლიანად მეჩვენება. აღნიშნული ნაშრომი გამოქვეყნებულია უფრო გვიან ვიდრე „ანგარიშების“ დედანზე მითითებული თარიღი 26. 11. 1958 წ. აპირებდა კი ბატონი გოგი ანგარიშის გამოქვეყნებას იმ სახით, როგორც ის დაისტამბა ვ. ჯაფარიძის ინიციატივით 1982 წ.? ჩემ მიერ „ანგარიშიდან“ ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტების მიხედვით, როგორც აღვნიშნე, მას ეჭვი ჰქონდა, მაგრამ დაბეჯითებით არ იდგა ამ პოზიციაზე, ამასვე უნდა მიუთითებდეს მისი დასკვნაც, რომ „ჩაფიქრება, აწონ-დაწონა და ყოველმხრივ შემოწმება დასჭირდებაო“.

---

[23] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა, თბილისში 1949 წლის გაზაფხულზე, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., IV, 1982, გვ. 120, 121.

[24] ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

[25] გ. ლომთათიძე. საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა. XI–XIII სს. (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). საქ. ისტ. ნარკვ. III, 1979. გვ. 514.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინცდამაინც ნუ ვიქნებით მომთხოვნი იმ ადამიანისადმი, რომელმაც თავისი ცხოვრება მიუძღვნა ქართულ არქეოლოგიას და არ დასცალდა თავისი საბოლოო სიტყვა ეთქვა მის მიერ გათხრილი ძეგლის თარიღის თაობაზე, ყოყმანის მიზეზი, რაც აშკარად ჩანს მის ორ ნაშრომს შორის, მას ცხადია ჰქონდა, იქნებ ამის გამოც იყო ანგარიში გამოუქვეყნებელი? არ არის გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში ქართულ კერამიკაზე მომუშავე სპეციალისტებს აქვთ საშუალება სათანადოდ გაიაზრონ ორივე მოსაზრება და საბოლოო შედეგიც მასზე იქნება დამოკიდებული. აქვე მინდა შევნიშნო, რომ როდესაც „განჯისკარის" თარიღის შესახებ დავიწყე მასალების შეკრება, ეს მონეტების გარკვევით და გადასინჯვით არ დამიწყია, მონეტების შემოწმების აუცილებლობის წინაშე აღმოვჩნდი მას შემდეგ, როცა განჯისკარულ ნაწარმის ერთ ნაწილში შევამჩნიე მხატვრულ-ტექნოლოგიური ხერხების განსხვავებული სახე, რომელიც უფრო მოგვიანო ხანახე მიანიშნებდა, ვიდრე XII–XIII საუკუნეებია. უფრო ადრე, ასეთი აუცილებლობის წინაშე დავდექი გავაზის და შემდეგ არეშის ნაქალაქარეებზე აღმოჩენილი კერამიკის შესწავლისას, როდესაც აშკარად გამოჩნდა მოჭიქული კერამიკის მეტად თავისებური სიახლე – შედარებით დაბალი მხატვრული დონე და ასეთივე დაბალი ტექნიკური შესრულება. ყოველივე ეს დამახასიათებლად ვცანი XIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIV ს. კერამიკისათვის. ეს არის მონღოლებთან დაკავშირებული პოლიტიკური სირთულეებით შექმნილ ქვეყანაში წარმოების დაქვეითება-დეგრადირების პერიოდი, რამაც თავისი დაღი დაასვა ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის, ცხადია, კერამიკულ წარმოებასაც. ამ მომენტის გამო, ამ პერიოდის მხატვრულ კერამიკას მოჭიქული კერამიკის მინაბაძები შევარქვი. მოვიყვან ამონაწერს 1975 წ. გამოცემული ჩემი წიგნიდან „ძველი გავაზი" (გვ. 28) „ჩვენი აზრით, იმიტირებული მოჭიქული ნაწარმის სახით საქმე უნდა გვქონდეს მხატვრულ ნაკეთობათა განვითარების ახალ ეტაპთან, რაშიც განმსაზღვრელი როლი ითამაშა საჭირო ნედლეულის შემცირებამ და წარმოების ზრდის ფართო მასშტაბებმა. ეს ორი ფაქტორი აპირობებდა მხატვრული კერამიკის განვითარებაში ახალი ეტაპის დაწყებას, რაც ქრონოლოგიურად უნდა ემთხვეოდეს, ჩვენი წინასწარი ვარაუდით, XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნეს. ერთი ძირითადი ციკლი მოჭიქული მხატვრული კერამიკის წარმოებისა, ერთფერჭიქურიანიდან მოჭიქული კერამიკის იმიტაციამდე, ექვსსაუკუნოვან პერიოდში შეიძლება მოექცეს IX საუკუნიდან XIV ს. ჩათვლით".

ასეთი დასკვნა ვრცელდება არა მხოლოდ ერთი პუნქტის ნაწარმის მიხედვით, არამედ ეს არის ქართული მხატვრული კერამიკის წარმოების აღიარება XIII–XIV საუკუნეებში. აქედან გამომდინარე, ვცადე მსგავსივე ნაწარმის მიგნება სხვა კოლექციაშიც, მათ შორის განჯისკარის მასალებშიც და უნდა ითქვას, რომ ეს სურათი გამოჩნდა აქაც, თუმცა არა ისეთი აშკარა ნიშნებით, როგორც გავაზის და არეშის ნაწარმი გამოირჩევა, დედაქალაქის წარმოების დონე აშკარად მაღალია ვიდრე პერიფერიებისა. ისე რომ, კვლავ გავიმეორებ, „განჯისკარის" საწარმოს თარიღის განსაზღვრის საჭიროება ჩემს წინაშე დადგა მისი მხატვრულ-ტექნოლოგიურ მხარეში სხვაობის შემჩნევის კვალდაკვალ, რამაც მიკარნახა „განჯისკარის" არქეოლოგიურ მონაპოვრების, პირველ რიგში კი იქ აღმოჩენილი მონეტების შესწავლის აუცილებლობა.

ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, ვერ გავიზიარებ ვ. ჯაფარიძის შენიშვნას, თითქოს ქართველი კოლეგები აღიარებდნენ ქართული მოჭიქული კერამიკის წარმოების შეწყვეტას მონღოლების პირველი დიდი შემოსევის შემდეგ[26]. ასეთი აზრი ბატონობდა ჩვენს კოლეგებს შორის, და ამ მხრივ ვ. ჯაფარიძე მართალია, მაგრამ ხომ იყო სხვა დასაბუთებული მოსაზრებაც, რის შესახებაც ზევით აღვნიშნე, და რის შესახებაც მას არაფერი უთქვამს.

[26] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ვარ გამზიარებელი იმ მოსაზრებისა, თითქოს განჯისკარის კერამიკა არ განსხვავდებოდეს უფრო ადრეული კერამიკისაგან. ზევით უკვე აღვნიშნე, თუ რატომ დავიწყე განჯისკარის თარიღის განსაზღვრაზე მუშაობა – ეს უპირველესად მისი განსხვავებულობის გამო მოხდა XII–XIII საუკუნეების ნაწარმისაგან. ეს საკითხი მომავალი კვლევის ობიექტად უნდა იქცეს და ცხადია, დასრულებული აზრიც მაშინ იქნება გამოთქმული. ერთი რამ ცხადია, განსხვავებისდა მიუხედავად, თბილისური ნაწარმის დონე, როგორც დედაქალაქურისა, XIII ს. მეორე ნახევარსა და XIV ს-ში გაცილებით მაღალია ვიდრე პერიფერიებში დამზადებული პროდუქციისა.

Л. А. ЧИЛАШВИЛИ

О ДАТЕ ГИБЕЛИ ТБИЛИССКОЙ КЕРАМИЧЕСКОЙ МАСТЕРСКОЙ

Резюме

В 1948–49 гг. в старой части города Тбилиси в зоне Бальнеологического курорта, при разбивке нового парка, рядом с развалинами древней городской стены были обнаружены остатки керамической мастерской, что послужило поводом организации археологической экспедиции Института истории имени И. М. Джавахишвили АНГ, руководимой сперва О. М. Джапаридзе, а затем Г. А. Ломтатидзе. В результате археологических полевых изысканий на обширной территории мастерской, обнаружены остатки в различной степени сохранившихся обжигательных печей и связанных с ними многочисленных фрагментов поливной и простой посуды, множество полуфабрикатов, разные приспособления, в том числе обломки керамических "клиньев", крюков и треножных подставок, употреблявшихся гончарами. На территории мастерской засвидетельствовано также множество готовой продукции, хозяйственные помещения, содержащие несколько хлебных печей и очагов, монеты. Особо надо отметить зафиксированные мощные кучи производственных отбросов и неудавшихся или разбитых сосудов.

Хотя по общему признанию, мастерская уничтожена и сгорела в результате внезапного вражского нападения, вопрос о времени гибели мастерской оставался не решенным. Более того, выдвинуто несколько соображений, а именно – 1226 год в результате нападения Хорезмшаха Джалаледдина; первая половина или конец XIII века – оба в связи с «Нашествием монголов». В результате детального изучения археологического материала и особенно 161 монеты, обнаруженной при раскопках, среди которых две монеты, чеканеные в 1315–16 и 1366 г., автор статьи предлагает новую дату гибели мастерской – 26 ноября 1386 года – при первом нашествии Тамерлана, когда был разграблен и сожжен город Тбилиси.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იულონ გაგოშიძე

ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორიისათვის

წინამდებარე წერილში ვცდილობ ავხსნა ერთი არქეოლოგიური ფაქტი ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მონაცემთა შუქზე. ტექსტების სრულყოფილი ანალიზის პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მონაცემთა თანხვედრა ამ შემთხვევაში იმდენად საყურადღებოდ მეჩვენა, რომ გადავწყვიტე ეს ჩემი ნაახრევი მკითხველთა ფართო აუდიტორიის სამსჯავროზე გამოვიტანო.

დედოფლის გორის მრავალფენიანი ნამოსახლარი, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა სათანადო ადგილი არქეოლოგიურ ლიტერატურაში, შიდა ქართლში, მტკვრის მარცხენა ნაპირას, დედოფლის მინდორზე გათხრილი წარმართული სატაძრო კომპლექსის სამხრეთით, დაახლოებით 3 კმ-ის მანძილზე მდებარეობს[1].

დედოფლის გორის არქეოლოგიური გათხრები 1985 წელს დაიწყო. გათხრების ძირითადი მიზანია ძვ. წ. I ს-ში აგებული სასახლის - იბერიის (ქართლის) მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენციის ნაშთების შესწავლა. სასახლე უეცრად დანგრეულა ძლიერი ხანძრის შედეგად ახ. წ. 1 ს-ის ბოლოს და შემდგომში აღარ აღუდგენიათ. სასახლის გათხრებისას აღმოჩნდა საოცრად მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, მაგრამ ამჯერად შევეხები არა ამ მასალას, არამედ დედოფლის გორის ზედა ანუ პირველ კულტურულ ფენას, რომელიც ფარავს სასახლის ნანგრევებს და რომელსაც არქეოლოგიური გათხრების პროცესში სათანადო ფიქსაციის შემდეგ მთლიანად ვხსნიდით, რათა გაგვეშიშვლებინა სასახლის ნაშთები.

დედოფლის გორის პირველი კულტურული ფენის სისქე სხვადასხვა ადგილას მერყეობს 50სმ-დან 3 მ-მდე. იგი შექმნილია იმ სამოსახლოს არსებობის პროცესში, რომელიც სამეფო სასახლის იმ დროისათვის უკვე კარგა ხნის მიტოვებულ ნანგრევებზე დაფუძვნდა ახ. წ. IV ს-ში და იარსება VI ს-მდე, როცა გორაზე ცხოვრება საბოლოოდ ჩაკვდა. ამ კულტურულ ფენაში გამოიყო სტრატიგრაფიულად თანამიმდევარი ოთხი სამშენებლო დონე, რომლებიც დავნომრეთ ზემოდან ქვემოთ და დავათარიღეთ, შესაბამისად, ახ. წ. VI, V–VI, V და IV საუკუნეებით. თარიღები, ცხადია, მიახლოებითია და დამყარებულია არქეოლოგიურ მასალაზე (კერამიკა, სამკაული, საბეჭდავები და სხვ.), რომელიც მეტნაკლებად ერთგვაროვანია დედოფლის გორის პირველ კულტურულ ფენაში და ზოგადად თარიღდება ახ. წ. IV–VI სს-ით. გვაქვს ერთი რადიოკარბონული თარიღიც: მესამე სამშენებლო დონიდან აღებული (სიღრმე 1,5მ) ნახშირის ნიმუში (№ თბ-470) შეისწავლა თბილისის უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიამ (ხელმძღ. ა.

[1] ი. გაგოშიძე, მ. წოწელია. არამეულწარწერიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1991, გვ. 47–78. Yulon Gagošidse. The Temples at Dedoplis Mindori. East and West, vol. 42, 1992, pp. 27–48.

ბურჭულაძე) და მივიღეთ თარიღი 485±55 წ., რომლის კალიბრირებამ მოგვცა 485±22წ. ორივე თარიღი, როგორც ვხედავთ, თავსდება IV–VI ს-თა ფარგლებში, თუმცა მე-3 დონისათვის რამდენადმე თითქოს მოულოდნელია.

გათხრები დავიწყეთ გორის თხემის დაბრტყელებული ზედაპირის დასავლეთი ბოლოდან და რამდენადაც უკვე ვიცოდით, რომ ზედა კულტურული ფენა IV-VI სს-ს ანუ საქართველოს ისტორიის ადრექრისტიანულ ხანას განეკუთვნებოდა, თავიდანვე თითქმის დარწმუნებული გახლდით, რომ გორის აღმოსავლეთ, ყველაზე მაღალ ნაწილში ეკლესიის ნანგრევს აღმოვაჩენდით და წინასწარ ვხარობდით იმით, რომ ეს იქნებოდა ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული საკულტო ნაგებობა ქართლში. იმედს ისიც გვიღვივებდა, რომ გათხრის პროცესში აქა-იქ გვხვდებოდა კრამიტის ნატეხები: კრამიტით ხომ ადრეფეოდალურ ხანაში უპირატესად ეკლესიებს ხურავდნენ ხოლმე. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. გავიდა წლები, ასეულობით კუბ.მ. მიწა გადავაბრუნეთ და ქრისტიანობის არსებობის ნიშანწყალსაც კი ვერ მივაკვლიეთ. პირიქით, სულ უფრო და უფრო სწირად ვაწყდებოდით ისეთ ფაქტებს, რაც წარმართული რელიგიის აქტივობას გვავარაუდებინებდა: ვიპოვეთ მაგიური ნიშნებით დაფარული თიხის დისკოები და ბრტყელი კენჭები; საგანგებოდ დამარხული, ალბათ მსხვერპლად შეწირული ძუძუთა გოჭების ჩონჩხები, მოლესილ იატაკებს ქვეშ მოწყობილი ციცქნა საფლავები, რომლებშიაც დაკრძალულნი იყვნენ ჩვილი ბავშვები არაქრისტიანული წესით – გვერდზე, ხელ-ფეხ მოკეცილნი...თანდათან გაჩნდა ეჭვი, რომელიც მალე რწმენად იქცა, რომ დედოფლის გორაზე ახ. წ. IV–VI სს-ში წარმართული კულტმსახურების მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა არსებულიყო.

1985 – 1993 წწ-ში გავთხარეთ დედოფლის გორის თხემის საერთო ფართობის (3500მ²) დაახლოებით მეოთხედი. გაირკვა, რომ გორის უკანასკნელი სამოსახლოს ტოპოგრაფია მისი არსებობის მთელ მანძილზე თითქმის არ შეცვლილა. თხემის ჩრდილო ნაწილის გასწვრივ მიჯრით განლაგებული ყოფილა ქვით და ალიზის აგურით ნაგები სახლები, მათგან სამხრეთით კი, გორის ზედაპირის შუა ნაწილში, შედარებით უფრო ჩადაბლებულ არეზე სამლოცველოები იყო მოწყობილი.

თითოეული სამლოცველო მცირე ზომის (ფართობით ათიოდე მ²) განცალკევებით მდგარი სახლი იყო, თიხით შელესილი წნულის კედლებითა და, როგორც ჩანს, ბანური გადახურვით. ოთახის უკანა მარცხენა კუთხეში იდგა საკურთხეველი – რიყის ქვითა და თიხით ნაგები ოთხკუთხა ტრაპეზი, რომლის ზედაპირზე თიხაში ჩადგმულ-ჩალესილი იყო წინა მხარეს გახსნილი თიხის დიდი (დაახლ. 60x50სმ) ოთხკუთხა კეცი. მისგან მარჯვნივ მოწყობილი იყო ვიწრო და ღრმა სანაცრე, ისიც გახსნილი წინა მხარეს. კეცის წინ და ოდნავ დაბლა საგანგებო საფეხურში პირისკიდემდე ჩადგმული იყო თიხის ქოთანი. კეცის ზედაპირი ცეცხლით შერუჯულია, სანაცრე კი წმინდა ნაცრით (ფერფლით) იყო სავსე.

საკურთხევლები თავისი კონსტრუქციით თითქმის არ განირჩევა აქვე, დედოფლის გორის მახლობლად ადგილ ბერიკლდეებზე გათხრილი ადრეული რკინის ხანის (ძვ. წ. VIII–VII სს.) საკურთხევლებისაგან, რომლებიც თავისთავად ძალიან გვანან იქვე გათხრილ ადრებრინჯაოს ხანის საკულტო ბაქნებს. დედოფლის გორის ადრეფეოდალური ხანის ამ კონსტრუქციების საკულტო დანიშნულებაზე მარტო მათი მსგავსება ადრეული ხანის საკურთხეველთან არ მეტყველებს. მის გარშემო აღმოჩნდა კერამიკული ჭურჭლით შევსებული ორმოები, რომელთაც ძნელი წარმოსადგენია, რომ რაიმე უტილიტარული დანიშნულება ჰქონოდა მდინარისპირას აღმართულ გორაზე, მით უმეტეს, რომ ამ ტიპის საკულტო ორმოების ტრადიცია ქართლში, როგორც ეს იმავე ბერიკლდეების გათხრებმა დაადასტურა, უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში არსებობდა. ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მოდის თიხით შელესილი სარ-ლასტის (წნულის) კედლებიანი სახლების მშენებლობის წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიც და ნიშანდობლივია, რომ სწორედ საკულტო ნაგებობამ შემოინახა ადრეფეოდალური ხანამდე ეს უძველესი ტრადიცია[2]. მათ საკულტო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე აქ გათხრილი ჩვილი ბავშვების სამარხებიც: ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ საკურთხevლიანი შენობების ახლომახლო ბავშვის ორ ათეულზე მეტი სამარხი გაითხარა, მაშინ როცა სრულწლოვანი ადამიანის ამავე პერიოდის არც ერთი სამარხი არ აღმოჩენილა დედოფლის გორაზე[3].

რატომ მარხავდნენ ბავშვებს დედოფლის გორაზე, ძნელი სათქმელია. ამ საკითხის პასუხად მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა თუ შეიძლება, მეტი არაფერი, სათანადო მონაცემთა უქონლობის გამო. ცნობილია, რომ მცირეწლოვანთა სიკვდილიანობა ძველ სამყაროში ძალიან მაღალი იყო და შეიძლება აქაც წესად ჰქონდათ გარდაცვლილ ჩვილთა სახლებთან ახლოს და არა საერთო სასაფლაოზე დაკრძალვა. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ აქ ახალშობილთა მსხვერპლშეწირვასთან გვქონდეს საქმე, თუკი სარწმუნოა ძველი ქართული წერილობითი წყაროების ცნობები წინარექრისტიანულ ქართლში ადამიანთა და, კერძოდ, ახალშობილთა მსხვერპლად შეწირვის შესახებ[4].

წარმართული საკურთხevლები დედოფლის გორაზე მრავალჯერ არის განახლებული IV–VI სს-ის განმავლობაში, ხოლო დანგრეული სამლოცველოების ნაცვლად დაახლოებით იმავე ადგილას ახალს აშენებდნენ.

სავსებით ასეთივე წარმართული საკურთხevელი გათხარა 1988 წელს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ყათლანიხევის ამავე პერიოდის (ახ. წ. IV–VI სს.) ნამოსახლარზე უფლისციხის მახლობლად[5].

ეს ანალოგია მეტად საგულისხმოა, რადგანაც ყათლანიხევი ისevე, როგორც დედოფლის გორა, შუაგულ ქართლში, მტკვრისპირა ვაკეზე მდებარეობს და არა სადმე

---

[2] ლ. ღლონტი, გ. ნემსაძე, ა. ჯავახიშვილი. ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე, 1979–1985 წლებში ჩატარებული მუშაობების ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბილისი, 1988, გვ. 36–44. გათხრები ბერიკლდეებზე გრძელდებოდა 1991 წლამდე, მაგრამ სრული ანგარიში ჯერ არ გამოქვეყნებულა. ჩემი აზრით, ბერიკლდეები და დედოფლის გორა ერთი დიდი სამოსახლოს ნაწილები იყო ბრინჯაოს ხანაში.

[3] საყურადღებოა, რომ საკურთხevლის მახლობლად ბავშვების დაკრძალვის წესი საქართველოში შუა საუკუნეებშიც ყოფილა, და სხვაგან თუ არა, ქართლში მაინც ამ ბოლო დრომდე შემორჩა. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს დავალებით ამ სტრიქონების ავტორს გურამ აბრამიშვილთან ერთად მოუხდა მცირე მასშტაბის დაცვითი არქეოლოგიური გათხრების ჩატარება მცხეთის ჯვართან და წრომის ეკლესიასთან სამოცდაათიან წლებში სარესტავრაციო სამუშაობების წარმოების დროს. ორივე ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადთან, ე. ი. საკურთხevლის მახლობლად, მხოლოდ ბავშვები აღმოჩნდნენ დაკრძალულნი, თანაც ისე მჭიდროდ, რომ ზოგიერთი სამარხის მოსაწყობად ეკლესიის საძირკvელიც კი ჩაუნგრევიათ აღმოსავლეთის ფასადის ნიშებში.

სოფელ დირბში (ქარელის რაიონი) ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ჩავიწერე ცნობა, რომ წესად ჰქონდათ მოუნათლავად გარდაცვლილი ბავშვების ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან (ე. ი. საკურთხevელთან) დამარხვა; ითვლებოდა, რომ ამით ღმერთს აბარებდნენ ბავშვის სულს.

ალექსი ჭინჭარაულის ცნობით, შატილის გვერდზე არის მარიამ-წმიდის გორა, სადაც ჩვილ ბავშვებს კრძალავენ მხოლოდ (ხანდახან მშობიარობას გადაყოლილ დედასთან ერთად).

[4] „ხოლო ამას ქვეყანასა ქართლისასა იყვნეს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი კერპნი, არმაზ და ზადენ, რომელნი იყნოსდეს სულმყრალობით ათასსა სულსა ყრმისა პირმშოისასა, და შესაწირავად უჩნდეს მშობელთა მათთა მსხვერპლად, ვითარმც უკუნისამდე არა იყო სიკუდილი. და ეს იყო მოაქამდე“ იხ.: მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდული ნუსხა. წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, თბილისი, 1964, გვ. 125-126 (ქვემოთ ამ კრებულს მოვიხსენიებ ასე: ძეგლები). ანალოგიური ცნობა დაცულია ე. წ. მირიანის ანდერძშიც: „შეჭამნა შვილნი მათნი ცეცხლმან მსხვერპლად კერპთათჳს და უძალოჲ ერი იგი ქვეყანასაჲ არის, რომელნი შვილთა მათთა, ვითარცა კრავთა უმანკოთა, შესწირვიდეს და თავსა აიღებდეს მამანი ჩუენნი ძალით, რაჲთა სათნო ეყვნენ კერპთა, უფროს ხოლო ორთა მათ შეჩუენებულთა – არმაზს და ზადენს, რომელთა ქუანიცა დაულპიან სისხლითა ჩჩულთაჲთა“. იხ. ძეგლები, გვ. 158 (ჭელიშური ნუსხა).

[5] უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღvანელი თ. სანიკიძე) ყათლანიხevის რაზმს ხელმძღvანელობდა ლ. ახალაია. განათხარი მასალა არ არის გამოქvეყნებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიან, მიყრუებულ ადგილას, სადაც მოსალოდნელი იქნებოდა წარმართობის ხანგრძლივი კონსერვაცია. ახლა კი ჩვენ იძულებულნი ვართ ვადიაროთ, რომ შიდა ქართლის ბარის მოსახლეობის ნაწილი მაინც მეექვსე საუკუნემდე წარმართად დარჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ ქართლის მეფე უკვე მოინათლა მეოთხე საუკუნეში[6].

ქართლის მოქცევის ქრონიკამ შემოგვინახა ყრუ გამოძახილი იმისა, რომ ქრისტიანობას ქართლში ადვილად არ გაუკვალავს გზა წმ. ნინოს მოციქულებრივი მოღვაწეობის შემდეგაც კი: „წარვიდა და დადგა წობენს (წმ. ნინო, ი. გ.) და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტჱსი. ხოლო მათ განუყარეს თავი და ერისთავმან მცირედ წარჰმართა მახჳლი, და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად“ (ძეგლები, გვ. 89). ასეა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ ნუსხაში. ჭელიშური ვარიანტის მიხედვით კი „მახვილის წარმართვა“ ერისთავისთვის თვით ნინოს უბრძანებია:„ ხოლო ნინო უბრძანა ერისთავსა, რაჲთა წარმართოს მცირედ მახჳლი მათ ზედა. და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მისცეს თავნი მათნი ნათლის-ღებასა“ (ძეგლები, გვ. 89). ეს მოხდა მთაში. ნინოს წინააღმდეგობა გაუწიეს „მთიელთა ყოველთა“. „მთეულთა, ჭართალელთა, და ფხოელთა და წილკანელთა“ (ძეგლები, გვ. 88). ყვარელნიც, ერწო-თიანელთა ნათლისღების ამბავი რომ შეუტყვიათ, შიშით თუშეთს გადახვეწილან, მაგრამ ნინომ ისინი უკან გამოსხა და მაინც მონათლა (ძეგლები, გვ. 89). ბარში კი – მცხეთას, კახეთსა და კუხეთში – წმ. ნინოს ქადაგებას რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა თითქოს არ შეხვედრია. პირიქით, ნინოს ქადაგებას აქ ნაყოფიერი ნიადაგი უნდა დახვედროდა, რადგანაც, როგორც ცნობილია წერილობითი წყაროებიდან (და ეს ცნობები ბოლო წლების არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება), ქართლში ადრეული ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობა საკმაოდ ფეხმოკიდებული ყოფილა უკვე II–III საუკუნეებში, რასაც უთუოდ ხელს უწყობდა საქართველოში მრავალრიცხოვანი ებრაული დიასპორის არსებობა: თვით წმ. ნინოც ხომ ქართლში შემოსვლისთანავე ადგილობრივ ებრაელებთან დასახლებულა (ქალაქ ურბნისში) მათი ენის ცოდნის გამო – „ენისათვის ებრაელებრისა“ (ძეგლები, გვ. 117)[7].

---

[6] არქეოლოგიური კვლევის ცენტრში 1993 წელს ჩემი მოხსენების შემდეგ ვ. ლიჩელმა მითხრა, რომ მას დედოფლის გორის ანალოგიური საკურთხეველი გაუთხრია აწყურში, ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიაში. მეტად საყურადღებო ფაქტია, მაგრამ აწყურში, როგორც ჩანს, წარმართობის რესტავრაციასთან გვაქვს საქმე, რამდენადაც ქრისტიანულ ეკლესიაში წარმართულ საკურთხეველს დგამენ, მაშინ როცა დედოფლის გორისა და ყათლანიხევის შემთხვევაში წარმართობის უწყვეტი ტრადიცია ჩანს: იქ ქრისტიანობას ჯერ არ შეუღწევია.

[7] ქართლში წმ. ნინოს მოსვლის ხანაში არსებული რელიგიურ-კონფესიური სიტუაციის დასახასიათებლად საყურადღებოა ირანის მაგუპატის კარტირის წარწერა ქაბა-ი-ზარდუშტის კედელზე (წარწერა KKZ, სტრ. 30–31), სადაც ჩამოთვლილია ის რელიგიები, რომელთა მიმდევრებთანაც მოუხდა ბრძოლა კარტირს „ირანსა და არაირანულ ქვეყნებში“, მათ შორის იბერიაშიც. ამ ჩამონათვალში ფიგურირებენ „იუდეველები, და ნაზარეველები, და ქრისტიანები, და ზინდიკები“ (იხ. В. А. Луконин, Картир и Мани, Вестник Древней истории, 3, 1966, გვ. 75–76). აღსანიშნავია, რომ კარტირი განასხვავებს საკუთრივ ქრისტიანებს იუდაური ქრისტიანობის მიმდევრებისაგან („ნაზარეველები“), რომლებიც უთუოდ იყვნენ ქართლში მოსახლე ებრაელთა შორის. რაც შეეხება წარწერაში ნახსენებ „ზინდიკებს“ ანუ მანიქეველებს, ირკვევა, რომ ისინიც აქტიურობდნენ ქართლში იმდენად, რომ 272 წლის მახლობელ ხანაში მანის მოწაფეს მარ-ამოს ქართლის მეფე ამაზასპი თავის რჯულზე მოუქცევია. იხ. М. В. Ц о ц е л и я . Из истории взаимоотношений Картли с Сасанидским Ираном; Тбилиси, 1975, გვ. 5–8. W. B. H e n n i n g . Waručan Sah: Journal of the Greater Indian Society. Aureal Stein Memoriam Volume, v. II. 2, Calcutte, 1944. (კონსტანტინე ზ. გამსახურდიას მიაჩნია, რომ იბერიის მეფე ამაზასპი თვით მანიმ მოაქცია, იხ. მისი ადრექრისტიანული ქართლის კულტურული მოზაიკა, თბილისი, 1995, გვ. 28).

I-III სს-ის საქართველოში ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობის არსებობის დამადასტურებელი წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების შესახებ იხ. ი. გაგოშიძე, თ. მგალობლიშვილი. ებრაული დიასპორა და ადრეული ქრისტიანობა საქართველოში. ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ქრისტიანული არქეოლოგიის I მსოფლიო კონგრესის 100 წლისთავისადმი, 1994 წლის 27.06-01.07,- გვ.4-7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ელინისტური ქრისტიანობა, რომელსაც წმ. ნინო ქადაგებდა, ვერც ქართლის ბარში დამკვიდრდებოდა უმტკივნეულოდ. ვითარება აქ, მართალია, მთისგან რამდენადმე განსხვავებული, მაგრამ მაინც ძალიან რთული იყო. იმ წინააღმდეგობას, რასაც ქრისტიანობის გავრცელებას აქაც, ისევე როგორც მთიანეთში, უწევდა ადგილობრივი ხალხური წარმართული რელიგია, ემატებოდა კიდევ ერთი, წარმართობაზე არანაკლებ ძლიერი ფაქტორი, რომელიც ასევე ქრისტიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს გახლდათ სპარსულ-სასანური ზოროასტრიზმი, რომლის ნებისმიერი ხერხით, მათ შორის ძალადობითაც, დანერგვა დაპყრობილ და ირანის გავლენის სფეროში მოქცეულ ქვეყნებში სასანელი შაჰანშაჰების საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა III ს-ის 60-იანი წლების რელიგიური რეფორმის შემდეგ[8].

V საუკუნის პირველ ნახევარში სპარსთა მძლავრობისა და ზოროასტრიზმის მოძალების სიტუაციას დამაჯერებლად აღწერს „ქართლის ცხოვრება“: „მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლისმსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას. ხოლო ბინქარან, ეპისკოპოსი ცეცხლმსახურთა, ასწავებდა ქართველთა რჯულსა თვისსა, არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლისმსახურებასა. და შეერია ქართლს წვრილსა ერსა ცეცხლის მსახურება. ამისთვის მწუხარე იყო საგდუხტ დედოფალი, არამედ მძლავრებისაგან სპარსთასა ვერას იკადრებდა“[9]. ანალოგიური მდგომარეობაა აღწერილი VI ს-ის შუახანებისათვის ერთ-ერთი ათცამეტ სირიელ მამათაგანის, აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობაში“: „რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ხელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა და ბილწსა მას კერპთ მსახურებასა – ცეცხლისა მის თაყუანის-ცემასა და მსახურებასა – აღასრულებდეს მარადის. ადგილნი მრავალნი განჰმზადნეს მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათვის ქუეყანისა და მრავალთა შეაცთუნებდეს“ (ძეგლები, გვ. 241–242).

IV–V სს.-ში ზოროასტრიზმის მოძალებას ქართლში ხელს უწყობდნენ ქართველი რენეგატებიც, რომელთა რიცხვი, „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ ციტირებული ცნობის საწინააღმდეგოდ, არც თუ მცირე უნდა ყოფილიყო სწორედ წარჩინებულთა შორის. საკმარისია გავიხსენოთ ვარსქენ პიტიახში, რომელმაც აღიარა ცეცხლთაყვანისცემა და რომლის ხელითაც ქრისტიანობისთვის ეწამა მისი მეუღლე შუშანიკი 465–472 წლებში[10]. დაახლოებით იმავე ხანაში ზოროასტრიზმის უარყოფისა და ქრისტიანობის მიღებისათვის ქართლში სპარსთა მიერ სიკვდილით დასაჯეს რაუდენი, მეფე ვახტანგ გორგასლის (V ს-ის მეორე ნახევარი) მეუღლის გამზრდელი[11] და მცხეთელი ხელოსანი, წარმოშობით სპარსი ევსტათე (VI ს.)[12].

ცეცხლის ტაძრები - ზოროასტრიული რელიგიის კერები IV–VI სს-ის განმავლობაში მოქმედებდა არა მარტო დედაქალაქებში – მცხეთასა და თბილისში, რაც გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ ქალაქური მოსახლეობის სიჭრელეს და იმას, რომ თბილისი IV ს-დან ირანის შაჰის ნაცვალის – ჯერ პიტიახშის, შემდეგ მარზპანის რეზიდენცია იყო[13], არამედ პროვინციაშიც. შიდა ქართლის (ზენა სოფლის) ცენტრ-

---

[8] В. А. Луконин. Культура Сасанидского Ирана, М., 1969, გვ. 81.

ქართლი სასანური ირანის გავლენის სფეროში მოხვდა უკვე შაბურ I დროს. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1. თბილისი, 1970, გვ. 365.

[9] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 145.

[10] ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 47; ძეგლები, გვ. 11–23.

[11] ქართლის ცხოვრება, გვ. 199.

[12] ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 55–60;...ძეგლები, გვ. 30–45.

[13] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“: „მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად) ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა; „მეფობდა არჩილ და მოგუნი მოგუეთას (მცხეთის უბანი იყო. ი. გ., მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“ (ძეგლები, გვ.92).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, სოფელ ნიქოზში, რომელიც სულ ოციოდე კმ-ითაა დაშორებული დედოფლისწყაროს მიმართულებით, მხოლოდ მეხუთე საუკუნის ბოლოს ჩაახშო ვახტანგ გორგასალმა „საგზებელი ცეცხლისა“ და შეურაცხჰყო იგი სპარსთაგან წრომში ჯვარცმული წმ. რაჟდენის ნეშტის დაკრძალვით[14]. შიდა ქართლში VI ს-ის შუა ხანებშიც კი ყოფილა ზოროასტრიელთა ბუდე: ირანის შაჰის მიერ ქართლის მმართველად წარმოგზავნილმა მარზპანმა თავის რეზიდენციად რატომღაც აირჩია ქალაქი რეხა, რომელიც მდებარეობდა შუა ქართლში, მდ. რეხულას ხეობაში[15]. სწორედ იქ მიჰგვარეს მას დასასჯელად ნეკრესის (კახეთშია) ეპისკოპოსი აბიბოს, რომელმაც ვერ აიტანა ნეკრესის საყდრის მახლობლად ცეცხლის სამლოცველოს არსებობა და „დაასხა წყალი და ხენეში იგი ცეცხლი მათი დაშრიტა“ (ძეგლები, გვ.242, 244).

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, ქართული ეკლესია მაინც თანდათან იზრდებოდა და მძლავრდებოდა, მაგრამ შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში (ვგულისხმობ თანამედროვე ხაშურის, ქარელისა და გორის რაიონებს ცხინვალის რეგიონის ჩათვლით და კასპის რაიონის დასავლეთ ნახევარს) ვახტანგ გორგასლის დროსაც კი, V ს-ის მეორე ნახევარში არც ერთი საეპისკოპოსო კათედრა არ არსებობდა. კიდევ მეტი, იქ არ მეგულება არც ერთი საეკლესიო ნაგებობა, რომელიც ვახტანგ გორგასლის მეფობის წინარე ხანით თარიღდებოდეს[16].

ერთადერთი ეკლესია და ამავე დროს საეპისკოპოსო კათედრა ამ რეგიონში, რომლის მშენებლობას, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებზე დაყრდნობით, ვახტანგ გორგასალს მიაწერენ, არის ნიქოზის ტაძარი. მაგრამ, ვფიქრობ, რომ „ქართლის ცხოვრების“ სათანადო პასუხი სხვაგვარი გაგების შესაძლებლობას იძლევა.

ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის შესახებ საუბრისას ჯუანშერი ჩამოთვლის იმ საეპისკოპოსო კათედრებს, რომლებიც ვახტანგმა დააარსა. ამასთან, ეს სია გარკვეული წესით არის დალაგებული. მას შემდეგ, რაც მატიანეში ნათქვამია, რომ მეფემ ააშენა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი მოციქულთა სახელზე, „რომელ არს სიონი დიდი“, სადაც დასვეს კათალიკოსად პეტრე, ხოლო სამოელი – ეპისკოპოსად მცხეთაშივე, ჩამოთვლილია ის საეპისკოპოსო კათედრები, რომლებიც დააფუძნა ვახტანგ გორგასალმა იმ დროისათვის უკვე არსებულ (ადრე აშენებულ) ეკლესიებში. ესენია: ახიზის, ერუშეთის, წუნდის, მანგლისის, ბოლნისისა და რუსთავის ტაძრები. ამის შემდეგ ჩამოთვლილია ის კათედრები, რომლებიც ვახტანგის მიერ აშენებულ ეკლესიებში დაფუძნდა (ნინოწმინდა, ჭერემი, ჩელეთი), ამასთან საგანგებოდ ნათქვამია, რომ ეს ეკლესიები თვით ვახტანგმა ააშენა, მხოლოდ ბოლო ორი – ხორნაბუჯი და აგარაკია დატოვებული ამგვარი აღნიშვნის გარეშე. მთელი ეს ჩამონათვალი ახიზიდან აგარაკამდე სტრუქტურულად ერთიანი და დასრულებული სიაა[17]. და მხოლოდ ამის შემდეგ,

---

[14] ქართლის ცხოვრება, გვ. 199.

[15] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 72.

[16] ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ვამტკიცებდე, რომ შიდა ქართლში VI ს-მდე ქრისტიანების ჭაჭანება არ იყო. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ვახტანგ გორგასლამდე ქრისტიანობის დამკვიდრება ზენა სოფლად სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი არ გამხდარა, თორემ ქრისტიანები აქ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებიდან ცხოვრობდნენ და მათ უთუოდ ექნებოდათ თავისი სამლოცველოებიც. ასე, მაგალითად, გ. აბრამიშვილს მიაჩნია, რომ ატენის სიონის ადგილას V ს-ში მოქმედებდა მონასტერი, რომლის კუთვნილი ბაზილიკის ნაშთები გაითხარა ატენის სიონის ქვეშ. იხ. გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. ატენის სიონი (ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრული ტიპის ისტორიიდან), სადისერტაციო მაცნე, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1993, გვ. 11.

[17] სიცხადისათვის მომაქვს მატიანის ტექსტი: „და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა; ერთი არტანს, ერუშეთს; ერთი ჯავახეთს, წუნდას; ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს; ერთი ნინოწმინდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა; ერთი ჭერემს, მისსავე აღმშენებულსა, ერთი ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა; ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუანს გამართებით“ („ქართლის ცხოვრება“, გვ. 198–199).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად განცალკევებით ნიქოზის ეკლესიის მშენებლობისა და იქ ეპისკოპოსის დასმის ამბავია მოთხრობილი. ს. ყაუხჩიშვილის მიერ ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამართული ტექსტი ასე იკითხება: „შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისა სადა დასუა ეპისკოპოსი, სადა – იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისსა“[18]. ამ ტექსტში ეჭვს იწვევს, ჯერ ერთი, წინადადების დასაწყისში დასმული ნაცვარსახელის („მისსა“) ბრუნვის ორმაგი ნიშანი, რაც გულისხმობს, რომ აქ რაღაც სიტყვაა გამოტოვებული შეგნებულად ან შემთხვევით: ეს ნაცვალსახელი ამ ფორმით ჯუანშერს 16-ჯერ აქვს ნახმარი და თხუთმეტჯერ მას სახღვრული სიტყვა ახლავს. მაგალითად: „შესვლასა მისსა ოვსეთად იყო ვახტანგ წლისა თექვსმეტისა“ „ქართლის ცხოვრება“, (გვ. 151); „აქებ ნაქმარსა მისსა“ (გვ. 193); „ძესა მისსა პირმშოსა“ (გვ. 199)[19]. და მეორე: ეს ნაცვალსახელი ჯუანშერთან სხვადასხვა ფორმით (მისი, მისივე, მისიცა, მისმან, მისთა, მისსა, მისსავე, მისისა, მისისასა, მისისანი, მისისაგან, მისისათვის, მისითგან, მისნი, მისთა, მისთასა, მისთათა, მისთათვის) ასზე უფრო მეტჯერ არის ნახმარი და ყოველთვის პიროვნებას გულისხმობს[20]. ვფიქრობ, რომ განსახილველ შემთხვევაშიც ეს ნაცვალსახელი პიროვნებას, კერძოდ, ვახტანგს უნდა გულისხმობდეს და ყველაფერი, რაც ამ წინადადებაშია ნათქვამი – ეკლესიის აშენებაც და ეპისკოპოსის დასმაც – მომხდარა ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ[21].

ტექსტის ამგვარ გაგებას ეთანხმება „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერის იკითხვისიც: ჭალაშვილისეულ ხელნაწერში ამ წინადადებაში იკითხება არა „დასუა ეპისკოპოსი“, არამედ „დასუეს ეპისკოპოსი“[22].

ამრიგად, ჩემის აზრით, ტექსტი მცირე კონიექტურით ასე უნდა გაიმართოს: „შემდგომად მისსა აღეშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუეს ეპისკოპოსი, სადა იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისსა“[23].

ვფიქრობთ, რომ ნიქოზის საეპისკოპოსო ტაძარი უნდა აშენებულიყო VI საუკუნეში, ისევე, როგორც ურბნისის ბაზილიკა[24]. საგულისხმოა, რომ არც ნიქოზელი და

---

[18] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 199.

[19] ქართლის ცხოვრების სიმფონია ლექსიკონი, 11. შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაჭომია, თბილისი, 1986, გვ. 80.

[20] იქვე, გვ. 79–81. მხოლოდ ერთ შემთხვევაში („ქ. ც.“ გვ. 168). ეს ნაცვალსახელი გულისხმობს ჯვარს – უფლის განსახიერებას, რომელიც სიზმრად მოევლინა ვახტანგ გორგასალს და სამეფო გვირგვინი უბოძა მას.

[21] ზუსტად ასეთივე კონსტრუქცია კიდევ ერთხელ აქვს ნახმარი ჯუანშერს: „მობიდან.. მოგვი უსჯულო... წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთუნებელსასა, რომელი შემდგომად მისსა დაწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ“ („ქ. ც.“ გვ. 142). სიტყვა – სახღვრული აქაც გამოტოვებულია, მაგრამ აზრი ნათელია: გასაგებია, რომ წიგნები დაწვეს მობიდანის სიკვდილის შემდეგ.

[22] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 199, სქოლიო.

[23] ტექსტი ამ ადგილას შერყვნილი ყოფილა უკვე XII საუკუნეში, რამდენადაც „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიც ნიქოზის აშენებას ვახტანგ გორგასალს მიაწერს. იხ. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1953, გვ. 182.

[24] გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, 1, ტფილისი, 1936, გვ. 49. ნიქოზის აღმოსავლეთი ფასადის წარწერას ნ. შოშიაშვილი V ს-ით ათარიღებს, ურბნისის ჩრდილო ფასადის წარწერას კი – სულაც V ს-ის პირველი ნახევრით, ე. ი. მიიჩნევს უძველეს ქართულ წარწერად. ურბნისისა და ნიქოზის სხვა, ასევე რელიეფურ წარწერებს იგი X ს-ს აკუთვნებს. იხ. ნ. შოშიაშვილი. ლაპიდარული წარწერები, 1. აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო (V–X სს.), თბილისი, 1980, №1 (ურბნისი), №5(ნიქოზი) – V ს. და №95 (ნიქოზი), №№104–107 (ურბნისი) - X ს. ურბნისის №1 წარწერის ესოდენ ადრეული დათარიღება ეფუძნება რიგი გრაფემების რკალშეკრულობას. ვფიქრობ, რომ ეს არ არის საკმარისი საფუძველი ტაძრის ხუროთმოძღვრულ-სტილისტური ანალიზით მიღებული თარიღის უარსაყოფად. იხ. პ. ზაქარაია. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1965, გვ. 90 და შმდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ურბნელი ეპისკოპოსი არ ფიგურირებს 506 წლის დვინის საეკლესიო კრების მონაწილე ქართლის ეპისკოპოსთა შორის, თუ კი ამ სიაში მოხსენიებული „ქორხანი" არ არის გადამწერთაგან დამახინჯებული ფორმა „ნიქოზისა", სამაგიეროდ დვინის კრებას დასწრებიან სამთავნელი და მროველი ეპისკოპოსები[25]. ასე რომ, ზენა სოფლის სამწყსოს VI ს-ის დასაწყისში უკვე ჰყავდა მწყემსთმთავრები.

ვახტანგ გორგასლის დროს დაწყებული სახელმწიფოებრივი ზრუნვა ქრისტიანობის დასამკვიდრებლად შიდა ქართლში VI ს-ში გააგრძელეს იოანე ზედაზნელთან ერთად სირიიდან მოსულმა მამებმა, რომელთაგანაც ექვსნი – ისე წილკნელი, შიო მღვიმელი, თათე სტეფანწმინდელი, ისიდორე სამთავნელი, მიქელ ულუმბოელი და პიროს ბრეთელი შიდა ქართლში დადგნენ, ხოლო მათგან სამი უკანასკნელი – ჩვენთვის საყურადღებო რეგიონში[26]. ბრეთი ხომ სულაც დედოფლის მინდვრის კიდეზე მდებარეობს.

შიდა ქართლში ფართოდ გაიშალა საეკლესიო მშენებლობა VI-VIIსს-ში. ურბნისს, ნიქოზს და რუისს მოჰყვა უფლისციხის ბაზილიკა, ატენის, დვანის, ბრეთის, ზღუდრის ეკლესიები, სამწევრისი და ბოლოს წრომის დიდებული ტაძარი. ასე თანდათანობით ზენა სოფელი დაიფარა ეკლესია-მონასტრებით და წარმართობამ დათმო ასპარეზი – მთებსა და ყრუ ადგილებს შეაფარა თავი. არ გამოვრიცხავ იმის შესაძლებლობას, რომ ამ მოვლენებთან ყოფილიყოს დაკავშირებული ცხოვრების შეწყვეტა დედოფლის გორაზე. ამიერიდან ქართლში აღარ უნდა შექმნილიყო ისეთი მდგომარეობა, რომ ვინმეს მისცემოდა მასალა კოლაელ ყრმათა მარტვილობის მსგავსი ნაწარმოების შესაქმნელად. ამ მარტვილობაში ხომ აღწერილია შემაძრწუნებული ფაქტი, როცა თანასოფლელებმა ჩაქოლეს ცხრა ყმაწვილი მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი მოინათლნენ[27].

დედოფლის გორის არქეოლოგიაში ასახული ვითარება გვაჩვენებს, რომ ასეთი რამ აქ, მეექვსე საუკუნეშიც შეიძლებოდა მომხდარიყო, სხვაგან კი, მიყრუებულ კუთხეში – უფრო გვიანაც, სანამ „უმრავლესი ერი სოფლისაჲ მის წარმართთა კერპთმსახური და უმცროესი ერი ქრისტეანე ღმრთის მსახური" (ძეგლები, გვ. 184) რჩებოდა.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, როცა ქართლში ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრებაზე ვმსჯელობთ, მით უმეტეს, რომ იგი უშუალოდ ეხება შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილს.

„ნინოს ცხოვრებაში" აღწერილია სასწაული, რომელიც მოჰყვა მცხეთაში პირველი ეკლესიის აშენებას. ყოველთამ ზეცით ჩამოდიოდა და ეკლესიის თაღზე ჩერდებოდა ცეცხლოვანი ჯვარი, რომელსაც ორი ვარსკვლავი ახლდა, რომელთაგანაც ერთი დასავლეთით, მეორე კი აღმოსავლეთით მოძრაობდა. წმ. ნინომ ურჩია მეფეს გაეგზავნა ხალხი მაღალ მთებზე – აღმოსავლეთით კახეთის ქედზე, დასავლეთით კი – მისი სამეფოს საზღვრამდე, რათა ენახათ თუ სად გაჩერდებოდნენ ვარსკვლავები და მერე იმ ადგილას ჯვრები აღემართათ: „განავლინენით კაცნი მთათა ზედა მაღალთა აღმოსავალად, ვიდრე კახეთისა მთადმდე, და დასავალით, ვიდრე მოაწევდეს სამეუფოჲ შენი. და ოდეს მთიებნი იგი გამობრწყინდნენ, იხილონ, თუ სადა დადგნენ, და მუნცა აღმართეონ ორნი ესე ჯუარნი" (ასეა შატბერდულ კრებულში, ჭელიშურ ნუსხაში კი იკითხება: „ვიდრე დასავლადმდე და სითგან მიაწევს სამეფოჲ შენი". იხ. ძეგლები, გვ. 150).

მეფე ასეც მოიქცა: დააგზავნა კაცები აღმოსავლეთით და დასავლეთით და „ მოვიდის დასავლითნი იგი, რომელნი იგი დგეს მთათა ზედა, რომელ არს მთაჲ ქუაბთა-

---

[25] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1. თბილისი, 1979, გვ. 340.

[26] „ქართლის ცხოვრება". გვ. 209. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 72.

[27] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 62–66; ძეგლები, გვ. 183–185.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისაი. და უთხრეს მეფესა, ვითარმედ დაადგრა ვარსკულავი იგი მთათა თხოთისათა, და შთავიდა ერგჯს და კასპისასა და დაადგრა ადგილსა ერთსა და ნელიად უჩინო იქმნა. ეგრევე მოვიდეს აღმოსავლეთით და თქუეს: „ვიხილეთ ვარსკულავი იგი აქაით მიმავალი და დაადგრა დაბასა ბოდს კახეთისა ქუეყანასა“ (ძეგლები, გვ. 150). ჭელიშურ ვარიანტში შატბერდულისაგან განსხვავებით იკითხება: „გარდასავალსა კასპისასა“ და „დაბასა ჩუენსა ბოდსა, ქუეყანასა კუხეთისასა“. როგორც ვხედავთ, სხვაობა არც თუ ისე დიდია. არსებითი და მნიშვნელოვანი მხოლოდ ის არის, რომ ძეგლის ორივე რედაქციის თანახმად, მირიანის სამეფოს თუ სამეუფოს დასავლეთი საზღვარი გადის მთაზე, რომელსაც ეწოდება ქვაბთა-თავი.

ქვაბთა-თავი, ქობთავი ფართოდ გავრცელებული ტოპონიმია ქართლში, როგორც მითხრა გ. გაფრინდაშვილმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში შეისწავლის საქართველოს ხელოვნურ გამოქვაბულებს, ასე ეწოდება თითქმის ყველა იმ მთის მწვერვალს, რომლის კალთაზე სახიზარი ქვაბებია გამოკვეთილი. მისი თქმით, ქობთავი ეწოდება თხოთის ქედის დასავლეთ ბოლოში აღმართულ მწვერვალსაც, რომელიც ლეხურის ხეობასა და კასპს გადაჰყურებს. მისი აზრით, სწორედ ეს ქუაბთა-თავი მოიხსენიება ქრონიკაში[28].

სხვა ვარიანტების მოტანაც შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, საჭირო არ არის, რადგანაც ტექსტიდან აშკარად ირკვევა, რომ მირიანის სამეფოს დასავლეთი საზღვარი, სადაც მდებარეობდა ქვაბთა-თავი, იგულისხმება არც თუ ძალიან შორს თხოთის მთიდან, რამდენადაც მეფის გაგზავნილმა კაცებმა შეძლეს ქვაბთა-თავიდან თხოთის მთისა და კასპის დანახვა.

ნუთუ მცხეთიდან ასე ახლოს გადიოდა მირიანის სამეფოს საზღვარი? ამ კითხვის უხერხულობა უგრძვნია „ქართლის ცხოვრების“ პირველ შემდგენელს ლეონტი მროველსაც და „ნინოს ცხოვრების“ ტექსტი გადაუკეთებია. „ქართლის ცხოვრებაში“ სამეფო საერთოდ არ არის ნახსენები და ამ ადგილას იკითხება: „დასავალით ვიდრე სანახებამდე ამის ქალაქისა“[29]. სხვაგან აქ ტექსტი სიტყვა-სიტყვით მისდევს „ნინოს ცხოვრების“ ჭელიშურ ვარიანტს.

მაგრამ ლეონტი მროველის კონიექტურა ვერაფერს შეცვლის, რადგანაც სინას მთაზე ამ რამდენიმე წლის წინ აღმოჩენილი „მოქცევაი ქართლისაის“ უძველესი ნუსხაც ამ ადგილას, როგორც დამიდასტურა ზ. ალექსიძემ, სრულ თანხმობაშია ჭელიშურ და შატბერდულ ვარიანტებთან.

ვინ დაიჯერებს, თითქოს „მოქცევაი ქართლისაი“ ამტკიცებდეს, რომ მირიანის ხელისუფლება მცხეთის დასავლეთით თხოთის მთის იქით არ ვრცელდებოდა. პირიქით, იმავე წყაროდან კარგად ჩანს, რომ ქართლი ფრიად ვრცელი ქვეყანა იყო, სადაც ბევრი სხვა „ქუეყანანი აღირაცხებოდა“: სამხრეთით – ჯავახეთი, სადაც ფარავნის ტბასთან საქონელს აძოვებდნენ მწყემსები „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისა, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ (...ძეგლები, გვ. 116); აღმოსავლეთით „ქუეყანა კუხეთისა“ (გვ.101) და კახეთი (გვ. 89); ხოლო დასავლეთით საკუთრივ ქართლი, რომელიც იწყებოდა იქ, სადაც მტკვარი უხვევს აღმოსავლეთით – „ვინაი იგი წყალმან აღმოსავლეთით იწყო დინებად, მიერითგან იყო ლხინებაი ჩემი. და მივიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა ურბნისისასა“, მოგვითხრობს წმ. ნინო (გვ. 117). და იყო კიდევ მთეულეთი, ჭართალი, ფხოვი, თოშეთი, ერწო-თიანეთი (ძეგლები, გვ. 88–89) და ყველა ეს „ქუეყანა“ შეადგენდა ქართლს: „და ვითარცა მოვლო წმიდამან და სანატრელმან ნინო სა-

[28] ქვაბთა თავის გამოქვაბულთა კომპლექსი 1991 წელს არქეოლოგიურად შეისწავლა ნ. ბახტაძემ და ქვაბები, როგორც მოსალოდნელი იყო, ფეოდალურ ხანაზე უფრო ძველი აღმოჩნდა. ნ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, შიდა ქართლის ახლად მიკვლეული კლდის ძეგლები, II, თხოთის მთის ქვაბოვანი, - ძეგლის მეგობარი, 1996, გვ. 35-38.

[29] „ქართლის ცხოვრება“, I, თბილისი, 1955, გვ. 121.

ნახები ესე ქართლისაჲ და მიიწია ქუეყანასა კუხეთისასა, დაბასა რომელსა ჰრქჳან ერი-
დისი, დასნეულდა“ (ძეგლები, გვ. 104. ამ დროს წმ. ნინოს უკვე მოქცეული ჰყავდა მთა
და კახეთი და კახეთიდან ბრუნდებოდა მცხეთაში, იხ. გვ. 89)[30].

ქართლის შემადგენელ ცალკეულ „ქვეყნებს“ ჰყავთ „მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი“ და მათ გარდა არის დიდი მეფეც, რომლის „საჯდომელი“ არის „დიდი ქალაქი მცხეთა“ (ძეგლები, გვ. 118)[31]. მაგრამ ქრონიკაში სიტყვებს „სამეუფოჲ“, „სამეფოჲ“ არსად არ აქვთ ქვეყნის, სახელმწიფოს მნიშვნელობა, თუმცა შეიძლება ქვეყნის „მეფობით პყრობა“: „ჰრომთა დაიპყრეს მეფობით ქუეყანაჲ ჩუენი“ (ძეგლები, გვ. 114). შეიძლება იყოს „სამეფო ქვეყანა“ („სამეფოჲ ქვეყანაჲ ჩრდილოისაჲ, მცხეთისა მეფისა სამეფოჲ“, ძეგლები, გვ. 98), და არა მარტო ქვეყანა, არამედ ბაღიც: „სამოთხე იგი სამეუფოჲ (ძეგლები, გვ. 138. ტექსტშია: „სამოთხესა მას სამეუფოსა“), რაც უდრის „სამოთხესა მას მეფისას“ (ძეგლები, გვ. 122)[32].

ამდენად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართლის მოქცევის ქრონიკაში სიტყვა „სამეფო“, „სამეუფო“ არის მსაზღვრელი იმ ობიექტისა, რაზეც ვრცელდება მეფის უფლება, მისი იურისდიქცია („ქვეყანა სამეუფოჲ“, „სამოთხე სამეუფოჲ“ და სხვ.). თავს უფლებას ვაძლევ დავასკვნა, რომ როცა ეს სიტყვა („სამეუფოჲ“, „სამეფოჲ“) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში იხმარება საზღვრულის გარეშე, იგი აღნიშნავს მეფის პირად საკუთრებაში მყოფ მიწას, იმას, რასაც ლათინურად „დომენი“ და სპარსულად „დასტაკერტი“ ეწოდება.

ამრიგად, ჩემი აზრით, მცხეთიდან აღმოსავლეთით უჯარმამდე და დასავლეთით თხოთამდე, სადაც ჯვრები აღიმართა, ვრცელდებოდა არა ქართლის სახელმწიფო, არამედ მეფის კუთვნილი („სამეუფოჲ“) მიწა, სეფემიწა. თუ ეს ასეა, ყველაფერი გასაგებია: ჯვრებით მოინიშნა ქვეყანა, რომელიც მოინათლა ერთდროული აქტით მეფესთან ერთად[33]. ამის შემდეგ, წმ. ნინო გაემართა ჩრდილოეთით, ქართლის მთიანეთში და აღმოსავლეთით, კახეთსა და კუხეთში – ქართლის სახელმწიფოს შემადგენელ ქვეყნებში ქრისტიანობის საქადაგებლად. და აქ შეიძლება დაისვას კიდევ ერთი კითხვა; მაინც რატომ მოინათლა მთიანეთი და კახეთ-კუხეთი თავიდანვე, ხოლო ზენა სოფელი დარჩა სამერმისოდ? ვფიქრობ, რომ ამ კითხვის პასუხი ქართლის სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიაში უნდა ვეძებოთ.

---

[30] „შუშანიკის მარტვილობის“ თანახმად ქართლის შემადგენელი ქვეყანა იყო ჰერეთიც: „მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა მას ჰერეთისასა“ (ძეგლები, გვ. 12).

[31] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ რომ ზუსტად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს, ამის დასტურია ერთის მხრივ ოშკის წარწერები, სადაც ერისთავთ-ერისთავი მეფედ მოიხსენიება, ხოლო ძმები, რომელთაგან არც ერთი იმ დროს მეფე არ იყო (ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით) – მეფეებად („მეფეი ჩუენი ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი“, „მეფენი ჩუენნი ბაგრატ და დავით“. იხ.: W. Djobadze. Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992, გვ. 134). მეორე მხრივ კი საქართველოში აღმოჩენილი ანტიკური ხანის ეპიგრაფიკა, საიდანაც ირკვევა, რომ ივერიის (ქართლის) მცხეთელი მეფეების ტრადიციული (ოფიციალური) ტიტული მართლაც „დიდი მეფე“ ყოფილა: ასეა მოხსენიებული ქსეფარნუგი არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტში (იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი . არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 17) და ამაზასპი ბაგინეთის გათხრებისას 1996 წელს აღმოჩენილ ბერძნულ წარწერაში (წარწერა აღმოჩენისთანავე მაჩვენეს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ).

[32] სიტყვა „სამეფო“ შეიძლება მიესადაგოს არა-მეფესაც: პიტიახში მეფე არ არის, მაგრამ მის სახლს ეწოდება „სახლი სამეუფოჲ“. ასეა „შუშანიკის მარტვილობის“ ბევრ ნუსხაში და ამ იკითხვისს აძლევს უპირატესობას ი. ჯავახიშვილი. იხ. მისი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 322; შეადარე.: ძეგლები, გვ. 16. ამ გამოცემაში უპირატესობა მისცეს წაკითხვას „სახლსა სადედოფლოსა“ (1 ხელნაწერი), ხოლო „სამეუფოსა“ (6 ხელნაწერი) და „სამეფოსა“ (4 ხელნაწერი) ჩატანილია სქოლიოში.

[33] პირველად ამ გარემოებაზე ყურადღება მიმაქცევინა გურამ აბრამიშვილმა და თხოთის მთაზე 1972 წელს გათხარეთ მიწაში ჩადუღაბებული ქვიშაქვის ბლოკი – სტელის პოსტამენტი. იხ. ი. გ ა გ ო შ ი ძ ე . სამადლოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის ანგარიში. საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, IV, თბილისი, 1975, გვ. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის (იბერიის) და შემდეგ საქართველოს კეთილდღეობა დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა ზომით აკონტროლებდა ხელისუფლება კავკასიონის უღელტეხილებს. ასეთი კონტროლის წარმატებით განსახორციელებლად სრულიად აუცილებელი იყო მთიელთა მორჩილებაში ყოლა. მოსახლეობის დამორჩილების ერთ-ერთი ქმედითი საშუალება კი ყოველთვის იყო მეფის რელიგიის იქ დამკვიდრება, თუნდაც ძალის გამოყენებით, როგორც ეს მოხდა წმ. ნინოს ქადაგების დროს[34].

მეორე მხრივ, ქართლის სამეფოს განვითარებისა და ტერიტორიული ზრდის სტრატეგიული ვექტორი მუდამ აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული. აღმოსავლეთისაკენ სწრაფვის ნივთიერი გამოხატულება იყო ქვეყნის პოლიტიკური ცენტრების გადაადგილება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამავე დროს, უმთავრესი საგარეო საშიშროებაც ქვეყანას აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა. ამიტომ აღმოსავლეთი მონაპირე ოლქების შემომტკიცებაც პირველხარისხოვანი მიზანი უნდა ყოფილიყო ცენტრალური ხელისუფლებისა. ამიტომაც წარიმართა წმ. ნინოს ქადაგებაც კახეთისაკენ.

ზენა სოფელი ქვეყნის ზურგში იყო მოქცეული და ქართლის მეფეს, როგორც ჩანს, საიმედო მხარედ მიაჩნდა იგი. ალბათ, ამიტომ გადაიდო მისი გაქრისტიანების საქმე იმ დრომდე, სანამ სასანური ზოროასტრიზმის პროპაგანდა იქ ქვეყნისათვის საშიში არ გახდა. მაშინ, ვახტანგ გორგასლის დროს ახალი შემართებით განახლდა და გაგრძელდა წმ. ნინოს და მირიანის დაწყებული მოქცევა ქართლისა.

P. S. წერილობით წყაროებთან დაკავშირებული ჩემი მოსაზრებები წინასწარ გავაცანი რამდენიმე ფილოლოგს და ენათმეცნიერს, მათ შორის პროფ. კ. დანელიას, მაგრამ თუ კი რამ შეცდომა გამეპარა, მხოლოდ ჩემი ბრალია და არა მათი. ყველას მათ მადლობას ვუძღვნი ისევე, როგორც სხვა ჩემს კოლეგებს, რომელთაც ნება დამრთეს გავცნობოდი გამოუქვეყნებელ მასალას.

Ю. М. ГАГОШИДЗЕ

К ИСТОРИИ РАСПРОСТРАНЕНИЯ ХРИСТИАНСТВА В КАРТЛИ

Резюме

В статье представлена попытка интерпретации археологического факта в свете данных письменных источников.

В центре селища IV–VI вв. на вершине холма Дедоплис-гора (Карельский р-н) археологическими раскопками выявлено языческое святилище, многократно обновляющееся в течение почти трехсотлетнего существования селища. Аналогичное святилище открыто и в синхронном поселении Катланихеви близ Уплисцихе (раскопки Музея искусств Грузии). Алтари из этих капищ практически идентичны с языческими алтарями, раскопанными на памятниках III–I тяысячелетий до Р. Хр. в том же регионе.

[34] მთის შემომტკიცება ქართლის (საქართველოს) მეფეთა უპირველესი საზრუნავი იყო მუდამ: ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლის, თამარის, ლაშა გიორგის, გიორგი ბრწყინვალის და სხვათა მოღვაწეობა ამის კარგ მაგალითებს იძლევა. ქართლის პირველი ფარნავაზიანი მეფეებიც, როგორც ჩანს, ამკვიდრებდნენ მთაში თავის საგვარეულო რელიგიას, ირანელებისაგან ადრევე ნასესხებ მაზდეანობის რომელიღაც სახეობას (იხ. Ю. М. Гагошидзе. Из истории грузино-иранских взаимоотношений (Храм II-I вв. до н. э. Дедоплис-Миндори) – Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье, М., 1981, გვ. 114). ვფიქრობ, ამიტომ ასე ჭარბად არის შემორჩენილი მაზდეანობის გადმონაშთები სწორედ მთაში, მაშინ როცა ბარში ისინი ნაკლებად შეიმჩნევა (იხ. ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, გვ. 114).

Данное обстоятельство, наряду с фактом полного отсутствия церквей IV–V вв. на этой территории, очевидно, свидетельствует о сохранении древнего, дохристианского культа достаточно долго после объявления христианства официальной религией страны, что традиционно датируется 326 (или 337) годом. Это должно казаться более чем странным, поскольку речь идет не о глухом, далеком захолустье, а об одном из центральных регионов Грузии – Шида Картли. Однако внимательное прочтение древнегрузинской хроники "Мокцевай Картлисай", излагающей историю обращения Грузии в христианство, убеждает нас в том, что в данном случае сведения письменного источника находятся в полном соответствии с археологическими данными.

Крещение царя Мириана означало и христианизацию царского домена, который в источнике обозначен термином "самепо" и территория которого достигала на западе Тхотского хребта, а на востоке – города Уджарма; именно в этих пунктах были, согласно источнику, воздвигнуты кресты в период строительства первой церкви в Мцхета. Вслед за этим святая просветительница Нино обращает в христианство грузинских горцев и население крайних восточных провинций Грузии – Кухети, Кахети и Суджети, что представляется вполне естественным, поскольку благополучие и безопасность грузинского государства всегда зависели от степени контроля над горными проходами Кавказа, а наибольшая внешняя опасность грозила стране, обычно, с востока. Именно поэтому религия царя, в данном случае христианство, в первую очередь утверждалась среди горцев и на восточной окраине государства, а дело обращения в христианство куда более покорного и надежного тыла – Шида Картли (ее западной части) было отложено на будущее.

И только в конце V века, в царствование Вахтанга Горгасала, когда пропаганда сасанидского зороастризма со стороны Персии приняла в Картли опасные для целостности государства масштабы, с новой силой возобновилось начатое святой Нино дело обращения Картли. Окончательную победу христианство одержало здесь во второй половине VI века, в результате проповеднической деятельности Тринадцати Сирийских отцов, шестеро из числа которых обосновались именно в Шида Картли. В VI и, особенно, в VII веке широко развернулось здесь и церковное строительство, и тогда же окончательно перестает существовать языческое капище на Дедоплис-гора.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ გელაძე

დიდ გუთანთან დაკავშირებული კოლექტიური შრომა მესხეთში

მესხეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში (XIX ს. ბოლო – XX ს. დასაწყისი) ცნობილი იყო შრომითი ურთიერთდახმარების მრავალი ფორმა. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხვნასთან დაკავშირებულ კოლექტიურ შრომას.

ხვნა-თესვის საკმაოდ რთული სისტემა იყო მესხეთში. აქ როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო ნათესებისათვის მიწას რამდენჯერმე ხნავდნენ[1].

მარტის შუა რიცხვებიდან იწყებოდა საგაზაფხულო თესვა-ქ ე რ ო ბ ა . ამისათვის მიწას შემოდგომიდან ამზადებდნენ: მოხნავდნენ ჯერ ჯ ი ლ ღ ი თ (სახვნელი იარაღი, რომელშიც სამი-ოთხი უღელი ხარი იბმოდა), მერე, თოვლის მოსვლამდე, ჩაღარავდნენ (მოხნავდნენ დიდი ინტერვალით) ისევ ჯილღით ან მსუბუქი სახვნელით, ა რ ო ნ ი თ , რომელშიც ერთი ან ორი უღელი ხარი იბმოდა. ასე დამუშავებულ მიწაში გაზაფხულზე ითესებოდა საგაზაფხულო ხორბალი დიკა, შემდეგ ქერი და ბოლოს სიმინდი. უკვე დათესილ მიწას კიდევ გადახნავდნენ (ჩ ა ა ხ ნ ა ვ დ ნ ე ნ) ჯილღით ან არონით და ბოლოს ფარცხს გადაატარებდნენ.

მაისის ბოლოს იწყებოდა ანეულის ხვნა - თ ე რ ძ ვ ა . ამ დროს იხვნებოდა ერთი წლით ნასვენი მიწა (კ უ რ ც ხ ა ლ ი). ამისათვის იყენებდნენ ჯილღას ან, თუ იყო ამის შესაძლებლობა, დიდ გუთანს – მრავალხარბმულ სახვნელ იარაღს. აგვისტოს ბოლოს გათერძილი მიწები მეორედ უნდა მოხნულიყო (ა ო შ ი ლ ი ყ ო). აოშვა ხდებოდა ჯილღით ან არონით. მთხრობელთა გადმოცემით, კარგი მეურნე ორჯერ აოშავდა ხოლმე მიწას. ასე დამუშავებულ მიწაში სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან თესდნენ დოლის პურს ან ჭვავს. თესვის წინ ამ ნაკვეთებს ფორჩხავდნენ (დ ა კ ა ნ ჯ ა ვ დ ნ ე ნ). ფორჩხში (კ ა ნ ჯ ი) ორი უღელი მუშა პირუტყვი იბმოდა. ნათესს ფარცხს გადაატარებდნენ. საშემოდგომო ხვნა-თესვა ოქტომბერში უნდა დამთავრებულიყო.

მესხეთის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა ამ შრომის იარაღებთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციაც. ჩვენ შევეხებით დიდ გუთანთან დაკავშირებულ კოლექტიურ შრომას.

დიდი გუთანი საკმაოდ ძვირადღირებული სახვნელი იარაღი იყო. XIX ს. ბოლოს გამართული ხის გუთანი ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში 42–55 მან. ღირდა[2]. გლეხთა შორის მხოლოდ ძალიან შეძლებულებს გააჩნდათ საკუთარი, ყოველმხრივ გამართული გუთანი.

---

[1] Х. А. Вермишев. Экономический быт государственных крестьян в Ахалцихском и Ахалкалакском уездах Тифлисской губернии. В кн.: Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. III,-Тифлис, 1886, с. 1-282. გ. ჩ ი ტ ა ი ა . მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1930, ტ. V. გვ. 269-286; გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე , მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში. კრ.: მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ. 1972, გვ. 9-36; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა . მესხეთ-ჯავახეთი. - თბ., 1938; კ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი . მიწათმოქმედება მესხეთში. - თბ., მეცნიერება, 1973.

[2] Х. А. Вермишев. იქვე, გვ. 142.

დიდ გუთანში აბამდნენ 10–12 ულელ გამწევ ძალას. ისეთი ოჯახები, რომელთაც ჰყავდათ გუთნისათვის მუშა საქონლის საჭირო რაოდენობა, მეტად მცირერიცხოვანი იყო. ქ. ვერმიშევის ცნობით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სოფლებში კომლთა 17% არ ჰყავდა მუშა პირუტყვი და კომლთა თითქმის ამავე რაოდენობას ჰყავდა გამწევი ძალა არასაკმარისი რაოდენობით[3]. მუშახელს შეადგენდა გუთნისდედა და 5–6 მეხრე.

ისეთი ოჯახები, რომლებსაც ჰქონდათ გამართული გუთანი და ჰყავდათ გამწევი ძალისა და მუშახელის საჭირო რაოდენობა, ძლიერ მცირე იყო. ამდენად, ადვილი წარმოსადგენია, რომ გლეხთა კომლების უმნიშვნელო ნაწილს შეეძლო მიწის მოხვნა საკუთარი ძალებით. ეს, უმთავრესად დიდი ოჯახები იყო (მ თ ლ ი ა ნ ი ოჯ ა ხ ი, ჯ ა ლ ა ბ ი ოჯ ა ხ ი).

ამიტომ, როგორც წესი, დიდი გუთნით ხვნის დროს მიმართავდნენ შრომით გაერთიანებას. რამდენიმე ოჯახი აერთებდა ინვენტარს (მკვდარსა და ცოცხალს) და მუშახელს და გარკვეული ხნის მანძილზე რიგრიგობით ხნავდა თავის მიწებს.

დიდი გუთნით ხვნის დროს შრომითი გაერთიანება მესხეთში მ ო დ გ ა მ ი ს სახელწოდებით იყო ცნობილი[4].

ივ. ჯავახიშვილი ამ სიტყვას ქართული ენის ნიადაგზე წარმოშობილად მიიჩნევს[5]. ეს ტერმინი საქართველოში ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ IX ს., როდესაც მას გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონია. ის აღნიშნავდა საერთოდ თანამონაწილეს – მემკვიდრეობაში, რაიმე საქმიანობაში და ა. შ.[6]. დროთა განმავლობაში ამ ტერმინის მნიშვნელობა შევიწროვდა და საკვლევი დროისათვის (XIX ს. ბოლო – XX ს. დასაწყისი) იგი აღნიშნავდა ურთიერთდახმარებას მემინდვრეობასთან დაკავშირებული ცალკეული სამუშაობების შესრულებისას (მოსავლის აღება, ლეწვა – მესხეთი)[7], ამხანაგობას ხალხურ კერამიკულ წარმოებაში (კახეთი)[8]. მოდგამის სახელწოდებით იყო ცნობილი აგრეთვე ჩვენ მიერ მესხეთში დამოწმებული შრომითი გაერთიანება, რომელიც გულისხმობდა ორი-სამი ოჯახის მიერ მემინდვრეობის ციკლის ყველა სამუშაოს ერთობლივად შესრულებას. მაგრამ ყველაზე ფართოდ მოდგამი იხმარებოდა, როგორც კოლექტიური ხვნის გამომხატველი ტერმინი. ეს სიტყვა, როგორც ხვნის დროს კოლექტიური შრომის აღმნიშვნელი ტერმინი, სომხურსა[9] და თურქულ[10] ენებში ქართულიდან ნასესხები ყოფილა.

საკვლევ პერიოდში მოდგამი არ იყო შეპირობებული ნათესაური კავშირით.

ანეულის მოდგამისათვის მზადება ხვნის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე იწყებოდა. მოდგამის ამ მოსამზადებელ პერიოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონ-

---

[3] В е р м и ш е в Х. А. იქვე, გვ. 150.

[4] მ ო დ გ ა მ ი, როგორც დიდ გუთანთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის აღმნიშვნელი ტერმინი, საყოველთაოდ იყო გავრცელებული ქართლ-კახეთშიც. თუმცა იქ, მის პარალელურად დასტურდება სხვა ტერმინებიც, კერძოდ: ა მ ბ ა ზ ი (გ. ჩ ი ტ ა ი ა. თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. - ენიმკის მოამბე, 1941, ტ. XI, გვ. 63), გ ა დ ა ბ მ ა, ა ლ ო ვ ნ ო ბ ა, (სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქზიყური ლექსიკონი. თბ., 1943), მ ა ნ დ ა ვ ი, მ ე კ ო მ ე, მ ო ნ ა მ გ ლ ე ე ბ ი, ა მ გ ა ლ ი, გ უ თ ა ნ ი (Т. Ш. Геладзе. Формы коллективного труда в земледелии Восточной Грузии. - Тб., Мецниереба, 1987, გვ. 55).

[5] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I - თბ., 1930, გვ. 250–251.

[6] ს. ჯ ი ქ ი ა. კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში: – წიგნში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. I. -თბ., 1946, გვ. 394–397.

[7] ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ს. ს. პატარაშენი, ერკოტა, დადეში. – საქ. სსრ. მეცნ. აკად. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ხელნაწერი 874.

[8] ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი. ქართული კერამიკა, I. – კახური – თბ., 1949, გვ. 110.

[9] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 250–251.

[10] ს. ჯ ი ქ ი ა. დასახელებული ნაშრომი. გვ. 394

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რადგან მისი მუშაობა დიდად იყო დამოკიდებული მუშახელის სწორად შერჩევაზე, გუთნის აწყობაზე და მუშა საქონლის სწორად განლაგებაზე გუთნეულში. გასათვალისწინებელი იყო აგრეთვე სახნავი მიწების ადგილმდებარეობა და სხვა.

გუთნისდედას უნდა გაენაწილებინა მუშახელი, განესაზღვრა ვინ სად, რომელ ულელზე დაჯდებოდა. ხვნის დროს გუთნისდედას „გუთანი ეჭირა", დღის მეხრეები საქონელს უძღვებოდნენ. ღამის მეხრეების მოვალეობას შეადგენდა, გარდა დღისით, ხვნის პროცესში საქონლის გაძღოლისა, აგრეთვე მუშაობის დამთავრების შემდეგ საქონლის გარეკვა საბალახოდ და მისი მოვლა-პატრონობა "გუთნის გამოშვებიდან გუთნის შებმამდე". ღამის მეხრეებად, ჩვეულებრივ, გამოცდილ გლეხებს არჩევდნენ.

ყოველი მეხრე ორ ულელ პირუტყვს ერეკებოდა. მესხეთში ხარებს, რომლის ულლებზეც მეხრე იჯდა, ერქვათ ს ა ჯ დ ო მ ი ხ ა რ ე ბ ი, ხოლო წინას - ს ა წ კ ე პ ი.

მოდგამის მუშაობასთან დაკავშირებით, გამომუშავებელი იყო გარკვეული წესები, ვალდებულებები, რომლებსაც მოდგამის წევრები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. მოდგამის წევრებს მტკიცედ ჰქონდათ დადგენილი შრომის, დასვენების და კვების რეჟიმი. მოდგამის წევრების დაპურება იმ ოჯახს ევალებოდა, ვისი მიწაც იხვნებოდა. მესხეთში, ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით, მტკიცედ დადგენილი რიგი ხვნის დროს არ დაგვიდასტურებია.

გუთნისდედას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. იგი ვალდებული იყო ხვნა დაპირებულ ვადაში დაემთავრებინა, ყველასათვის ერთნაირად ეხნა. მთხრობელის თქმით, „განთქმული გუთნისდედა ის იყო, ვინც ხვნაში ღალატი არ იცოდა, ისე ერთგულად ხნავდა მოდგამის მიწებს, როგორც საკუთარს".

მოდგამის წევრების შრომის ანაზღაურება ხდებოდა ალოებით[11] (დღიური ნახნავი). თითოეული წევრისათვის განკუთვნილი ალოების რაოდენობა დამოკიდებული იყო მოდგამში ინვენტარით და შრომითი მონაწილეობის ხარისხზე. მტკიცედ იყო დადგენილი გუთნისდედისა და მეხრეების როგორც პირადი შრომით, ისე გუთნით ან მისი ნაწილებით და გამწევი ძალით მონაწილეობის ანაზღაურების ნორმები. მოგვყავს ქ. ვერმიშევის მიერ დამოწმებული მონაცემები ხვნადღეების განაწილების შესახებ[12].

გუთნის პატრონს 2 დღე,
ღამის მეხრეს - 2 დღე,
დღის მეხრეს – 1დღე
ულელ ხარს – 2 დღე
გუთნის დედას – 2 დღე
2 ღვედს - 2 დღე.

მოდგამი შრომის შედეგის (ხვნა-დღეების) განაწილების რეგლამენტირებული სისტემით დიდ გუთანთან დაკავშირებული შრომითი კოოპერაციის ძირითადი სახე იყო[13], მაგრამ, ამასთან ერთად, სპორადულად მესხეთის ზოგიერთ სოფელში შემორჩა მოდგამის თავისებური სახე ხვნადღეების განაწილების არარეგლამენტირებული სისტემით.

---

[11] ალოს ქვეშ იგულისხმებოდა აგრეთვე: 1. ხვნის მთელი პერიოდი, 2. მოდგამში მონაწილე ყოველი კომპონენტის სარგო ხვნადღეები და 3. ყოველი წევრის კუთვნილი ხვნადღეების მთელი რაოდენობა, რომელიც ამ უკანასკნელს ერგებოდა თავის პირად შრომაში და ინვენტარში, რითაც ის მონაწილეობდა მოდგამში.

[12] В е р м и ш е в Х. А. დასახელებული ნაშრომი, გვ. 151.

[13] მოდგამი, დაფუძნებული შრომის შედეგის (ხვნადღეების) განაწილების რეგლამენტირებულ სისტემაზე, დიდ გუთანთან დაკავშირებული კოოპერაციის საყოველთაოდ გავრცელებული სახე იყო საქართველოში. განსაკუთრებით დიფერენცირებული სისტემა ხვნადღეების განაწილებისა იყო ქართლ-კახეთის ბარში, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო ამ ნაწილში მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობათა განვითარების შედარებით მაღალი დონით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხეთში გავრცელებული მოდგამის ეს სახე სამეცნიერო ლიტერატურაშიც ცნობილია მოდგამის ახალციხური ვარიანტის სახელწოდებით[14]. ამის შესახებ ცნობები, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს, ქ. ვერმიშევმა[15] და ალ. ხახანაშვილმა[16] გამოაქვეყნეს.

ახალციხური მოდგამის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ხვნადღეების განაწილება იქ არ იყო ნორმირებული. კოოპერაციის თითოეულ წევრს უხნავდნენ იმდენს, რამდენიც მას სჭირდებოდა. ქ. ვერმიშევი წერდა: „Основанием дележа работы служат потребности членов артели"[17].

უნდა შევნიშნოთ, რომ ქ. ვერმიშევი არაფერს წერს იმის შესახებ, თუ როგორი იყო მოდგამში წევრების მონაწილეობა და სად, კონკრეტულად რომელ სოფელში, დაამოწმა მან აღნიშნული სახის მოდგამი.

მოდგამი ხვნადღეების განაწილების არანორმირებული სისტემით ჩვენ დავამოწმეთ ს.ს. მუსხსა და საროში. ჩვენი მასალების მიხედვით, მოდგამის თითოეულ წევრს გაერთიანებაში შეჰქონდა ის, რაც ჰქონდა. ყველა მონაწილე ხნავდა მიწის იმ ოდენობას, რაც სჭირდებოდა. პირადი შრომითა და ინვენტარით მონაწილეობის ზომას არ ჰქონდა მნიშვნელობა. მთხრობელის გადმოცემით, „თიბათვეში იხვნებოდა კურცხალი. ამ დროს მიწას ღრმად ხნავდნენ დიდი გუთნით, 10–12 უღელი ხარ-კამეჩით. 12 უღელი როცა ება გუთანში, 7 მუშა იყო საჭირო, გუთნისდედა და 6 მეხრე; 10 უღლის დროს – გუთნისდედა და 5 მეხრე. მოდგამში ყველა წევრს ის შეჰქონდა, რაც ჰქონდა, და იმდენს ხნავდა, რაც სჭირდებოდა" (მიხეილ გიორგის ძე ლონდარიძე, 76 წლისა, ს. სარო, 1969წ.). გუთნისდედა არ იყო გამოყოფილი პროფესიული ნიშნის მიხედვით. თავისი მიწის ხვნის დროს ყველა წევრი თვითონ სწვდა გუთნისდედობას. არ იყო გამოყოფილი ღამის მეხრეც. ღამე საქონელთან ან ყველა წევრი რჩებოდა რიგრიგობით, ან ის წევრი, რომლის მიწაც იხვნებოდა, ან ყველა წევრი დამოუკიდებლად უვლიდა ღამე თავის საქონელს. წინასწარ დადგენილი ხვნის რიგიც არ ყოფილა.

მოდგამის ახალციხური ვარიანტი ალ. რობაქიძეს მიაჩნია მოდგამის არქაულ ფორმად, ვინაიდან ქონებრივ უთანასწორობას ჯერ არ აქვს გავლენა ალოების განაწილებაზე. ალ. რობაქიძე თვლის, რომ მოდგამის ეს ფორმა წარმოადგენს მოდგამის ინსტიტუტის განვითარების იმ პირველ საფეხურს, რომელიც დიდი ოჯახის რღვევის შედეგადაა წარმოქმნილი, მაგრამ ამ საფეხურიდან ჯერ კიდევ შორს არაა წასული[18].

მესხეთში მოდგამის ამ არქაული ფორმის შემორჩენის მიზეზი, ჩვენი აზრით, ძირითადად აღნიშნული მხარის სასოფლო-სამეურნეო პირობებით უნდა აიხსნას. კერძოდ, მესხეთის მიწათმოქმედება ისე ინტენსიურად არ საჭიროებდა დიდი გუთნის გამოყენებას[19], როგორც ეს იყო ქართლსა და კახეთში, ამიტომ დიდი გუთნის მოდგამს მესხეთში, ხშირ შემთხვევაში, შედარებით შეძლებული, დაახლოებით ერთნაირი მდგომარეობის ოჯახები მიმართავდნენ და ამდენად, ინვენტარით მონაწილეობის მხრივ, მოდგამის წევრებს შორის ფაქტიურად მნიშვნელოვან განსხვავებას ადგილი არ ჰქონია. გარდა ამისა, შესაძლებელია, გარკვეული როლი მესხეთის ისტორიულმა

---

[14] ალ. რობაქიძე. მოდგამი, როგორც ექსპლუატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში. – მიმომხილველი, 1951, ტ. II, გვ. 408-421. დასახელებული ნაშრომი. გვ. 150.

[15] Вермишев Х. А. დასახელებული ნაშრომი. გვ. 150.

[16] Хаханов Ал. Месхи. – Этнографическое обозрение, кн. X. №3, გვ. 1-39.

[17] Вермишев Х. А. დასახელებული ნაშრომი, გვ. 151.

[18] ალ. რობაქიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 409.

[19] მესხეთისათვის დამახასიათებელი ზეგანის მიწათმოქმედების საანეულო სისტემა, განსხვავებით ქართლ-კახეთის საანეულო სისტემისაგან, არ მოითხოვდა ღრმად ხვნას. ამდენად, აქ ძირითად სახვნელ იარაღს როგორც საგაზაფხულო და საშემოდგომო, ისე ანეულის ხვნის დროს ჯილდა წარმოადგენდა (გ. ჯალაბაძე. მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში. – კრ.; მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972, გვ. 20-22). დიდი გუთანი მესხეთში მხოლოდ ყამირის მოსახნავად გამოიყენებოდა (Вермишев Х. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 148)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედმაც (ოსმალთა თარეში, საქართველოსგან მოწყვეტა, მაჰმადიანური გარემოცვა) ითამაშა. ამან, შეიძლება, ხელი შეუწყო კულტურისა და ყოფის ზოგიერთი ელემენტის, ამ შემთხვევაში მოდგამის ადრეული ფორმის კონსერვაციას.

საგულისხმოა, რომ საინგილოშიც, დიდი გუთნით ხვნის პირობებში, ცნობილი ყოფილა მოდგამი როგორც ხვნადღეების განაწილების ნორმირებული[20], ასევე არანორმირებული (ახალციხური მოდგამის მსგავსი) სისტემით[21].

თუ მოდგამი ხვნის ნორმირებული სისტემით ჩაითვლება მოდგამის განვითარებულ ფორმად, ხოლო „მოდგამის ახალციხური ვარიანტი" ალოების განაწილების არანორმირებული სისტემით - არქაულად, მაშინ ს. ბარალეთსა[22] და ჩვენ მიერ ს. უდეში დამოწმებული მოდგამის სახე საშუალო ადგილს დაიჭერს მათ შორის.

ს. უდეში მოდგამში ალოები მხოლოდ გამწევ ძალაზე ნაწილდებოდა. ერთ უღელზე დაწესებული იყო ერთი დღის ხვნა. გუთნით ან მისი ნაწილებით მონაწილეობას ანგარიში არ ეწეოდა. იარაღი ან მისი ნაწილები მოდგამის წევრებს შეჰქონდათ შესაძლებლობის მიხედვით. გუთნისდედა არ იყო გამოყოფილი პროფესიული ნიშნით. საკუთარი მიწის ხვნის დროს ყველა თვითონ იყო გუთნისდედა. მოდგამი ალოების განაწილების ასეთი სისტემით მესხეთში დამოწმებული აქვს ქ. ვერმიშევსაც[23].

ს. ბარალეთში, 8 უღელი გამწევი ძალის პირობებში, ალოები ასე ნაწილდებოდა:

გუთნისდედას - 1 ალო
მეხრეს - 1ალო
ღამის მეხრეს - 1 ალო (ღამის მეხრე დღისით თავისუფალი იყო)
გუთანს - 1ალო
უღელ ხარს - 1ალო.

ე. ი. ყოველი კომპონენტის მონაწილეობა ერთნაირად ნაზღაურდებოდა. მოდგამი ალოების განაწილების მსგავსი სისტემით ცნობილი იყო წალკელ ურმებს შორისაც[24].

მოდგამის ახალციხურ ვარიანტთან მიმართებაში საინტერესოა ჩვენ მიერ მესხეთში დამოწმებული, ასევე მ ო დ გ ა მ ა დ წოდებული, შრომითი ურთიერთდახმარების ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობდა 2-3 ოჯახის მიერ მემინდვრეობის ციკლის ყველა სამუშაოს ერთობლივად შესრულებას[25].

მოდგამში გაერთიანებული ოჯახები, დაწყებული ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ყველა სამიწათმოქმედო საქმიანობას ერთად ეწეოდნენ. მუშახელის დაპურება და საქონლის გამოკვება ევალებოდა იმ ოჯახს, ვის ნაკვეთშიც მუშაობდნენ იმ დღეს. ერთად მუშაობის მთელ მანძილზე, მოდგამში გაერთიანებული ოჯახები მუშა პირუტყვს რიგრიგობით აძოვებდნენ. მოდგამი არ იყო შეპირობებული ნათესაური კავშირით.

მოდგამში იარაღით, მუშა საქონლით და მუშახელით მონაწილეობა და შრომის შედეგის (შრომადღეების) განაწილება არ იყო რეგლამენტირებული. გამწევი ძალით და მუშახელით მონაწილეობდნენ შესაძლებლობის მიხედვით. ერთმანეთთან მუშაობდნენ იმდენს, რამდენიც სჭირდებოდა თითოეულ ოჯახს. თუმცა უნდა შევნიშნოთ,

---

[20] Д. М. Бакрадзе, Заметки о Закатальском округе – ЗКОИРГО, XIV, в. 1990, გვ. 247-262.

[21] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. - თბ., 1960, გვ. 86.

[22] ა. გ ო გ ო ლ ა ძ ე, ს. ბარალეთი, საქ სსრ მეცნ. აკად. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწ. ფონდი, ხელნაწერი 862.

[23] В е р м и ш е в Х. А. დასახელებული ნაშრომი. გვ. 153.

[24] Ч и к о в а н и Т. Формы взаимопомощи у цалкских урумов. – Кавказский этнографический сборник, 1972, IV, გვ. 89.

[25] თ. გ ე ლ ა ძ ე. შრომითი ურთიერთდახმარების ერთი ფორმა მესხეთში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1991, LXI-13, გვ. 52-57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იმ დროისათვის, რომელსაც ეხება ჩვენი მასალა, ასეთ სამეურნეო კავშირებს ამყარებდნენ ეკონომიკურად დაახლოებით ერთნაირი მდგომარეობის ოჯახები და, ამდენად, განსხვავება, რომელიც იყო ამ გაერთიანებაში მათი მონაწილეობის მხრივ (ინვენტარით და მუშახელით) არ იყო მნიშვნელოვანი. ამ ოჯახების სახნავ-სათესი მიწების ოდენობაშიც არ იყო დიდი განსხვავება.

ჩვენი აზრით, შრომითი გაერთიანების ეს სახე წარმოადგენს ურთიერთდახმარების უძველეს ფორმას, რომელიც დიდი ოჯახის რღვევის შედეგადაა წარმოქმნილი.

როგორც ცნობილია, დიდი ოჯახის რღვევის შედეგად წარმოქმნილ პატარა ოჯახებს შორის, პირველ ხანებში, არსებობდა გარკვეული სამეურნეო ერთობა, რაც გამოიხატებოდა ზოგიერთი სამეურნეო ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და მიწის ზოგიერთი ნაკვეთის საერთო მფლობელობაში, ასევე ურთიერთდახმარებაში ისეთი სამუშაობების დროს, რომელთა შესრულება პატარა ოჯახების ძალებს აღემატებოდა. ინდივიდუალურ ოჯახთა შრომითი გაერთიანება თავდაპირველად ერთ პატრონიმიაში შემავალ პატარა ოჯახების შრომით გაერთიანებას წარმოადგენდა[26].

კოლექტიური შრომის დროს ადრე არსებულ ნათესაურ პრინციპზე მეტყველებს აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილი შრომითი გაერთიანების აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი[27].

ნათესაურ პრინციპზე აგებული კოლექტიური შრომა ხშირ შემთხვევაში არაეკვივალენტურ ურთიერთდახმარებას წარმოადგენდა[28].

შემდეგ, როდესაც ნათესაური პრინციპი მეზობლობით იცვლება, შრომითი ურთიერთდახმარება ეკვივალენტური ხდება[29], მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარება ყოველთვის მოცემულ ჩარჩოებში არ თავსდება. ხშირად მეზობლობის პრინციპზე დამყარებულ შრომით ურთიერთდახმარებაში წარმოდგენილია უფრო ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი ურთიერთობები. ამის ერთ-ერთ მიზეზს ალბათ ისიც უნდა წარმოადგენდეს, რომ დიდი ოჯახების დაშლის პროცესი პატარა ოჯახებად საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა[30]. ეს კი განაპირობებდა უკვე ადრეულ ხანაში შრომითი ურთიერთდახმარების სხვადასხვა ვარიანტების არსებობას.

მოყვანილი მასალა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ შრომითი გაერთიანება მემინდვრეობის ციკლის ყველა სამუშაოს ერთობლივად შესრულების მიზნით, წარმოადგენს შრომითი ურთიერთდახმარების უძველეს ფორმას, რომელიც დიდი ოჯახის რღვევის შედეგადაა წარმოქმნილი. ხოლო შრომითი ურთიერთდახმარება ცალკეული სამუშაოს შესრულების მიზნით, მათ შორის ჩვენ მიერ ზემოთ

---

[26] Робакидзе А. И. Особенности патронимической организации у народов горного Кавказа. – СЭ, 1968, № 5, გვ. 94.

[27] ამ მხრივ საინტერესოა ტერმინი მოდგამიც. იგი ვახტანგ VI კანონთა შესავალში მოდგამის (ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 99), ხოლო ი. ტფილელის „დიდმოურავიანში“ ნათესავის, გვარტომის მნიშვნელობით იხმარება (ს. ჯიქია. დასახ. ნაშრომი, გვ. 395). ამაზე მეტყველებს ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში სიტყვა მოდგამს ხმარობენ მოდგმის მნიშვნელობით. ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ს. დიდ გომარეთში (ქვემო ქართლი) შრომითი გაერთიანება დიდი გუთნის გარშემო ცნობილი იყო მოდგამის დაამგალის სახელწოდებით. მთხრობელის განმარტებით, „მოდგამს იტყოდნენ, როცა ერთი გვარის, ერთი წყობის, ერთი წარმოშობის ხალხი შეიყრებოდა, ამგალს კი – სხვადასხვა, შეკრებილი ხალხი რომ ერთად შრომობდა“ (შაქრო გიორგის ძე ხიხანიშვილი, 82 წლისა, ს. დიდი გომარეთი).

[28] Робакидзе А. И. დასახ. ნაშრომი. გვ. 94

[29] Робакидзе А. И. იქვე, გვ. 94.

[30] I ს. ინდივიდუალური ოჯახები უკვე საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ., ფედერაცია, 1938, გვ. 373).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული მოდგამის ახალციხური ვარიანტი, შრომითი მონაწილეობის და შრომის შედეგის განაწილების არარეგლამენტირებული სისტემით, კოლექტიური შრომის ევოლუციის შემდგომ ეტაპს ასახავს, როდესაც პატარა ოჯახები ეკონომიკური თვალსაზრისით შედარებით დამოუკიდებელნი იყვნენ და მხოლოდ ზოგიერთი სამუშაოების შესრულებისას საჭიროებდნენ ურთიერთდახმარებას. ისიც საგულისხმოა, რომ მესხეთში რამდენიმე ოჯახის ურთიერთდახმარება ცალკეული სამუშაობების შესრულებისას (ხვნა, მოსავლის აღება, გადახიდვა, ლეწვა), მოდგამის სახელწოდებით იყო ცნობილი.

Т. Ш. ГЕЛАДЗЕ

КОЛЛЕКТИВНЫЙ ТРУД ПРИ РАБОТЕ БОЛЬШИМ ПЛУГОМ В МЕСХЕТИ

Резюме

В дореволюционном сельском быту Месхети широко применялись супряги (коллективная пахота), отражающие разные стадии развития данного института.

Основной формой супряги являлась супряга со строго установленными нормами распределения дней пахоты в зависимости от степени участия в этом объединении отдельных компонентов. Однако, наряду с подобным видом супряг спорадически в некоторых селениях Месхети сохранилась своеобразная форма супряги, с ненормированной системой распределения дней пахоты. Каждый член супряги участвовал в этом объединении, чем мог. Для каждого участника работали столько, сколько ему было нужно.

Сохранение архаической формы супряги в Месхети можно объяснить, главным образом, сельскохозяйственными особенностями данного региона, не нуждающегося в интенсивном применении большого плуга. Большой плуг применяли сравнительно состоятельные, равные по экономическим возможностям семьи, что обусловливало их примерно равное участие в супряге. Сохранению архаической формы супряги, возможно, способствовала и историческая судьба Месхети (оторванность от Грузии, мусульманское окружение).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა ყოფელია

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უნიკალური ოქროს მონეტა

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილება მდიდარია კოლექციებით. მათ შორისაა ირანული მონეტები, რომლებიც უხვად და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი როგორც განძებში, ისე ძირითად და სადუბლეტო ფონდებში. ძველი ირანის ძირითად ფონდში დაცულია უნიკალური ოქროს მონეტა, რომლის პოვნის გარემოება უცნობია (ძვ. ერ. ძ. №368, სურ.1).



სურ.1

შ უ ბ ლ ი .

სამეფო კარის მშვილდოსნის გამოსახულება. მეომარს მარცხენა ხელში დაჭიმული მშვილდი უჭირავს, მარჯვენაში - კი შუბი. მშვილდოსნის ერთი მუხლი წინ არის წაწეული, მეორე ფეხი მოსასხამითაა დაფარული.

ზ უ რ გ ი .

კვადრატული ინკუზუმი.

მონეტის წონაა 8,28 გრ, ზომა - 15/11 მმ.

მონეტა მოჭრილია აქემენიანთა დინასტიის მმართველობის დროს (ძვ. წ. 558-330 წწ.). აქემენიანთა იმპერია იყო პირველი დიდი იმპერია ახლო აღმოსავლეთში, შექმნილი ირანელების მიერ. თავისი სოციალურ-ეკონომიკური შედგენილობით ქვეყანა მეტად ჭრელი იყო. მასში შედიოდნენ მცირე აზიის ოლქები, ელამი, ბაბილონი, სირია, ფინიკია და ეგვიპტე. ეს ის ქვეყნებია, რომლებსაც აქემენიანთა სახელმწიფოს შექმნამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქემენიანთა დინასტიის აყვავების ხანა დაკავშირებულია დარიოს I-ის (522-486 წწ. ძვ. წ.) სახელთან[1].

„არ არსებობდა არც ერთი მამაკაცი - არც ირანელი, არც მიდიელი, არც ჩვენი გვარიდან, ვინც შეძლებდა წაერთვა სამეფო იმ მაგისათვის (მოგვისათვის) გაუმატასთვის. ხალხს ძლიერ ეშინოდა მისი. მან ბევრი ადამიანი მოჰკლა... ვერავინ ვერაფერს ვერ სჩადიოდა გაუმატას წინააღმდეგ, სანამ მე არ გამოვცხადდი. მე ვილოცე და აჰურა-მაზდა მოვიდა ჩემს დასახმარებლად. ბაგაიადიშის (პირველი თვე მარტი-აპრილი) მეათე დღეს მე ჩემს ერთგულ ხალხთან ერთად გამოვასალმე სიცოცხლეს მოგვი გაუმატა... მე წავართვი მას სამეფო და აჰურა-მაზდას წყალობით გავხდი მეფე. აჰურა-მაზდამ მიბოძა მე სამეფო... მე აღვადგინე სახელმწიფო, ფარსი, მიდია და სხვა ოლქები, როგორც იყო ის წინათ ისეთი აღვადგინე მე ის (ქვეყანა)... მე აღვადგინე სახელმწიფოში ღვთისმსახურება... მე აღვადგინე ჩვენი გვარი“[2].

ასე სწერს დარიოსი ბეჰისტუნის კლდეზე ამოტვიფრულ ცნობილ წარწერაში, რომელიც სამ ენაზეა შედგენილი: ძველ სპარსულად, აქადურ (ბაბილონურ) და ელამურ ენებზე.

წარწერაში დარიოსი მოგვითხრობს მის ზეადამიანურ ბრძოლაზე თავისი მეფობის პირველ წლებში. უზარმაზარი ბარელიეფი წარწერის ზემოდან წარმოადგენს ტექსტის ილუსტრაციას. დარიოსი მოცემულია აჰურამაზდას ემბლემურ გამოსახულებასთან და ორ წარჩინებულ პირთან ერთად (ერთ-ერთი მათგანი არის გობრი-დარიოსის სიმამრი). 9 ტყვე თოკებით არის გადაბმული და მათი პროცესია მიემართება დარიოსისაკენ. ისინი ამბოხების მონაწილე 9 ბელადია. თითოეულ მათგანის თავზე განმარტებითი წარწერაა. დარიოს პირველმა, აქემენიანთა ვრცელ სახელმწიფოში განახორციელა რიგი რეფორმებისა, მათ შორის ადმინისტრაციული რეფორმაც. ვრცელი ქვეყანა დარიოსმა დაყო პროვინციებად (სატრაპიებად) და თითოეულ პროვინციას მიუჩინა მმართველი Khshathrgpuvan-ი „სამეფოს დარაჯი“, რომელიც ბერძნებმა satrap-ად შეამოკლეს. დარიოსმა იცოდა, რომ ვრცელი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოს გაერთიანება შესაძლებელი იყო მყარი ხელისუფლებისა და მეფის კონტროლის ქვეშ მყოფი ერთგული მოხელეების მეშვეობით. სატრაპებს ნიშნავდა მეფე – ისინი წარჩინებული გვარის სპარსელი დიდებულები იყვნენ და დიდი უფლებები ჰქონდათ.

აქემენიანთა იმპერიაში შემავალი სატრაპების სია შემორჩენილია ძვ. წ. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს შრომაში, რომელიც 20 სატრაპიას ასახელებს. მათში 70 ერის წარმომადგენელი შედიოდა.

ადმინისტრაციულ რეფორმასთან ერთად, აქემენიანთა სახელმწიფოში განხორციელდა ერთიანი ფულადი რეფორმაც, მანამდე კი იმპერიაში მიმოქცევაში იყო შემდეგი ტიპის მონეტები; 1) სამეფო, 2) სატრაპების, 3) პროვინციული მონეტები მეფის გამოსახულებით და 4) ადგილობრივი მონეტები იმ ქვეყნებისა, რომლებიც ირანელებს ემორჩილებოდნენ.

ძვ. წ. 517 წ. დარიოს I-მა აქემენიანთა სახელმწიფოში შემავალი ქვეყნებისათვის შემოიღო ახალი სამონეტო ტიპი, რომელიც წარმოადგენდა აქემენიანთა სამონეტო სისტემის ძირითად ერთეულს. ოქროს ახალ ნომინალს დარიკი ეწოდა და ის 8,4 გრამს იწონიდა. აქემენიანთა მმართველობის დროს მოჭრილ მონეტებს ბერძნები უწოდებდნენ dareikoi-ს დარიოს I-ის საპატივცემლოდ. ამ მონეტებს აგრეთვე უწოდებდნენ „მშვილდოსნებს“ მონეტის შუბლზე გამოსახული მუხლმოდრეკილი სამეფო მშვილდოსნის გამო. სწორედ ჯვარის შემადგენლობაში შემავალი მშვილდოსნე-

[1] ამ მეფის სპარსული სახელია Darayavalm. სპარსული (ირანული) სახელების უმეტესობა შემორჩენილია ბერძნულ და ლათინურ წყაროებში და ისინი ხშირად განსხვავდებიან ორიგინალისაგან.

[2] ვსარგებლობ ბეჰისტუნის წარწერის ჩემ მიერ შესრულებული თარგმანით. გაუმატა - მოგვი, თვითმარქვია, რომელიც თავს ასაღებდა ბარდიად-აქემენიანთა დინასტიის დამაარსებლის კიროსის უმცროს შვილად და კიროსის შვილის რამზეს კამბისეს უმცროს ძმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის წყალობით მიაღწია დარიოსმა სამხედრო გამარჯვებებს, განსაკუთრებით – იონურ ქალაქებზე მცირე აზიაში. მეომრის - მშვილდოსნის მონეტაზე გამოსახვით დარიოს I-მა უკვდავყო მებრძოლთა დამსახურება პირველი ირანული იმპერიის წინაშე.

დარიკები პირველი მსხვილი ოქროს მონეტები იყო საერთაშორისო ვაჭრობაში. ოქრო ქვეყანაში ჩამოჰქონდათ მცირე აზიიდან და ინდოეთიდან. დარიოს I-მა გაგზავნა ექსპედიცია ინდოეთში, რათა გამოეკვლია ქვეყანა, რომელიც ოდითგანვე ყურადღებას იპყრობდა და ცნობისმოყვარეობას იწვევდა. მან სპეციალური ფლოტი აღჭურვა, რომელიც მდ. ინდიდან გაეშურა ინდოეთის ოკეანეში და ღუზა სუეცის სრუტეში ჩაუშვა. დარიოს I-მა პრაქტიკულად დაამტკიცა ინდოეთში პირდაპირი საზღვაოსნო გზის არსებობა და გადაწყვიტა დაემთავრებინა იმ არხის მშენებლობა, რომელიც ეგვიპტის ფარაონმა რამზეს II-მ დაიწყო. არხის სხვადასხვა მხარეს ნაპოვნია სამი გრანიტის სტელა ოთხ (ძველ სპარსულ, ბაბილონურ, ასირიულ და ეგვიპტურ) ენაზე შესრულებული წარწერებით. ერთ-ერთ სტელაზე გამოსახულია დარიოსის პორტრეტი[3].

ოქროს მონეტის გამოშვება მხოლოდ ირანელი მეფის პრეროგატივა იყო. დარიკებისათის დამახასიათებელია სტაბილური გამოსახულება. აქემენიანთა იმპერიის დაცემამდე არ შეცვლილა არც მათი წონა და არც ტიპოლოგია. დარიკი შეიცავდა მხოლოდ 3% მინარევს, რის გამოც ის რამდენიმე საუკუნის მანძილზე უმთავრეს ოქროს მონეტას წარმოადგენდა საერთაშორისო ვაჭრობაში.

ოქროს დარიკის გარდა, აქემენიანთა იმპერიაში იჭრებოდა 5,6 გრ წონის ვერცხლის მონეტა – სიკლი, რომელიც ჩვეულებრივ გაცვლის საშუალებას წარმოადგენდა. თავისი ღირებულებით ის დარიკის 1/20-ს უდრიდა. ვერცხლის სიკლები უმთავრესად იჭრებოდა მცირე აზიის სატრაპიებში. როგორც ოქროს, ისე ვერცხლის მონეტებზე გამოსახული იყო მშვილდოსანი.

ზოგიერთ ვერცხლის და წვრილი სპილენძის მონეტებს ჭრიდნენ სპარსელი სატრაპები თავიანთ რეზიდენციებში და მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებში, აგრეთვე ავტონომიური ქალაქები და დამოუკიდებელი მეფეები. აქ მოჭრილი მონეტები უმთავრესად წარმოადგენდა სამხედრო ლაშქრობებში მონაწილე დაქირავებული მეომრების გადასახადს.

დარიოს I-ის იმპერია ძალიან ვრცელი იყო. მასში შედიოდა მრავალრიცხოვანი ოლქი სხვადასხვა კულტურის, ადათ-ჩვეულებების მქონე ერები, რაც აძნელებდა სამონეტო რეფორმის მთლიანი მასშტაბით განხორციელებას. დარიოს I ცდილობდა ამოეღო ხმარებიდან ყველა ადგილობრივი მონეტა და მას ბეგარისა და ხარკის სახით იღებდა ხაზინა. მონეტებს წონიდნენ, მათ ადნობდნენ და კვლავ ჭრიდნენ უკვე სამეფო კარზე.

ადმინისტრაციულ-ფინანსურმა რეფორმებმა შექმნეს მყარი სახელმწიფოებრივი მართვის სისტემა. დაწესდა კონტროლი დამორჩილებულ ქვეყნებზე, დარეგულირდა ხარკის აკრეფა და გაიზარდა აქემენიანთა ჯარის კონტიგენტი.

რიგი ქვეყნები, რომლებიც შორს იყვნენ ხმელთაშუა ზღვისგან, არ იყენებდნენ მონეტებს, თუმცა ძვ. წ. V ს-ში ზოგიერთი ქვეყნის ვაჭრები (მაგალითად, ფინიკიელები. ცნობილია რომ ფინიკიური ქალაქები ჭრიდნენ მუნიციპალურ და სამეფო მონეტებს) ფართოდ იყენებდნენ როგორც საკუთარ ქვეყანაში მოჭრილ ფულს, ისე უცხოურ მონეტებს. ბაბილონში - შიდა ბაზარზე, მონეტების ნაცვლად გადახდა ხდებოდა ვერცხლის ზოდების მეშვეობით. ეს ზოდები შეიცავდნენ სხვადასხვა მინარევებს (ყველაზე ხშირად 1/8 შეფარდებით). მაიზე ყოველთვის იყო დამღა, რომელიც მიუთითებდა სინჯს და ყოველთვის გადახდის დროს ზოდებს წონიდნენ. როცა მონეტები ბაბილონში ხვდებოდნენ, მათ წონით იღებდნენ, როგორც მეტალს. ოქრო სა-

[3] З. Рагозина, История Мидии, С-П, 1903, გვ. 433.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონელს წარმოადგენდა და როგორც ფული არ იხმარებოდა. აქემენიდების დროს მოჭრილი მონეტები არ მიმოიქცეოდა ბაბილონში, ფინიკიასა და ეგვიპტეში. ამ ქვეყნებში კვლავ ადგილობრივი მონეტები ტრიალებდა და გადახდისას წონიდნენ ე. წ. „სამეფო ქვით". თვით ირანშიც სამეფო მეურნეობაში დაკავებულ პირთ ჯამაგირს უხდიდნენ ვერცხლით. სიკლი და კარშა, რომლებიც მოხსენიებულია პერსეპოლისის დოკუმენტებში, წარმოადგენდა წონით ერთეულებს და არა ფულად ნიშნებს. მონეტებით უმთავრესად ხდებოდა კომერციული გაცვლები ირანის დასავლეთ სახღვრებთან და ვერცხლის სიკლებიც უხდიდნენ დაქირავებულ მეომრებს.

აქემენიანთა სახელმწიფოში თანაფარდობა ოქროსა და ვერცხლს შორის იყო 1-13 1/3-თან. ძვირფასი ლითონისაგან მონეტები იჭრებოდა მხოლოდ მეფის განკარგულებით. ლითონის დიდი რაოდენობა რჩებოდა ლითონად (არ იჭრებოდა). ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო აქემენიანთა ქალაქი სუზა, სამეფო ხაზინაში 40 ათასი ტალანტი ოქრო იქნა ნაპოვნი (1 ტალანტი - დაახლოებით 30 კგ-ს ტოლია) ზოდებად და მხოლოდ 9 ათასი – მონეტების სახით. აქემენიანთა დინასტიის არსებობის ბოლოს ოქროსა და ვერცხლის საერთო რაოდენობა, რომელიც ინახებოდა აქემენიანთა სხვადასხვა ქალაქებში (სუზაში, პერსეპოლისში, ბაბილონში და სხვ.), 235.630 ტალანტს შეადგენდა (7 მლნ. კგ)[4].

მაშასადამე ფული, რომელიც აქემენიანთა სახელმწიფოში შედიოდა მრავალი ათწლეულების მანძილზე ინახებოდა სამეფო საგანძურებში. მონეტები ნაკლებად მიმოიქცეოდა და მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ბრუნავდა ხელფასების გასაცემად და სამეფო კარის ადმინისტრაციის შესანახად. ამიტომ, ვაჭრობისათვის საკმარისი არ იყო მონეტები და არც ძვირფასი ლითონების ზოდები. ხშირად ხდებოდა საქონლის პირდაპირი გაცვლა.

ძვ. წ. 518 წ. დარიოს I-მა დააარსა ახალი სახელმწიფო გადასახადის სისტემა. თითოეულ სატრაპიას უნდა გადაეხადა მკაცრად დაფიქსირებული გადასახადი, რომელიც მიწის ნაყოფიერებაზე იყო დამოკიდებული. ირანის მკვიდრი მოსახლეობა თავისუფლდებოდა ფულადი გადასახადებისაგან, მაგრამ ხარკი ნატურით უნდა ეხადათ. აქემენიანთა სახელმწიფოში შემავალი სხვა ერები, მათ შორის ავტონომიური სახელმწიფოების მაცხოვრებლები (ფინიკიელები, კილიკიელები და სხვ.), წლიურად იხდიდნენ საშუალოდ 7740 ბაბილონურ ტალანტს 232 200 კგ ვერცხლს. ის ქვეყნები, რომლებსაც ვერცხლის საბადოები არ გააჩნდათ, იძენდნენ მას მიწათმოქმედების პროდუქტებისა და ხელოსნობის ნაწარმის გაყიდვით, რაც ხელს უწყობდა სავაჭრო ფულადი ურთიერთობების განვითარებას[5].

საქართველოს და ირანს შორის ურთიერთობას უძველესი ისტორიული ფესვები აქვს, რასაც ნათლად მოწმობს მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი ძეგლი (არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ნივთები, ისტორიული წარწერები, ნუმიზმატიკური მასალა და სხვ.).

ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე, VIII-VII სს.-ში საქართველოსა და ირანის ტერიტორიაზე შექმნილი იყო ორი ძლიერი სახელმწიფო: აღმოსალეთ-ქართული გაერთიანება (სასპერთა-ბერძნული წყაროების მიხედვით), რომელიც კოლხეთისა და კავკასიის სამხრეთ რაიონებს შორის მდებარეობდა და მიდიის სამეფო - ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

VII ს-ის მეორე ნახევარში ორივე სახელმწიფომ გააფართოვა თავისი ტერიტორიები. მათ დაამარცხეს ურარტუს სახელმწიფო და ერთმანეთის მეზობლად აღმოჩნდნენ. არსებული წყაროების მიხედვით, ძვ. წ. VI ს-ში, ჯერ კიდევ აქემენიანთა ხელისუფლების

---

[4] F. Altheim und R. Stiehl "Das aramäasche Sprache unter den Achaimeniden, Frankfurt am Main, 1960, გვ. 109.

[5] М. А. Дандамаев. Ахеменидское государство и его значение в истории древнего Востока. Сборник к 2500-летию Иранского государства, М., 1971, გვ. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავეში მოსვლამდე, საქართველოსა და ირანის ცალკეულ რაიონებს შორის კავშირი იყო დამყარებული. ძვ. წ. V ს-ში საქართველოს ზოგიერთი ნაწილი (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო) აქემენიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა[6].

აქემენიდური პერიოდის მონეტების აღმოჩენები საქართველოში ხშირი არ არის. ერთ-ერთი პირველია 1856 წ. სურამის ახლოს, კოლხურ თეთრთან ერთად აქემენიდური ვერცხლის სიკლის აღმოჩენა[7], რომელიც ერმიტაჟის კოლექციაში მოხვდა. ვანის რაიონის სოფელ სულორში 1990 წ. აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმების განძი, რომელშიც იყო აქემენიდური სიკლი, ერთი ლიდიური და ერთიც კარიას მონეტები (ძვ. წ. VI სს.)[8].

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ძველი ერანის ფონდში დაცულია ასევე ოთხი ვერცხლის აქემენიდური მონეტა, რომელთა პოვნის გარემოება უცნობია (ძვ.ერ. №№1, 2, 369, 532)[9].

რაც შეეხება ოქროს დარიკებს, ისინი მცირერაოდენობითაა შემორჩენილი მსოფლიოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში, ამიტომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ოქროს აქემენიდური მონეტა უნიკალურ ექსპონატთა რიგს განეკუთვნება.

საქართველოს ტერიტორიაზე აქემენიანთა დინასტიის მონეტების შემოჭრა დაკავშირებული უნდა იყოს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებთან და ელინისტური სახელმწიფოს შექმნასთან.

М. В. ЦОЦЕЛИЯ

УНИКАЛЬНАЯ ЗОЛОТАЯ МОНЕТА ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

Статья посвящена золотому дарику весом 8.28 гр, изображающему лучника, стреляющего из лука. Дарик является первой крупной золотой монетой в мировой торговле. Дарики чеканились вместе с серебряными сиклами в большом количестве после проведенной Ахеменидским царем Дарием I-ым (522-486 до н. э.) монетной реформы и были в обращении почти по всей территории Ахеменидской империи.

В Грузии Ахеменидские монеты встречаются редко. Известны два случая их находок (в с. Сурами в 1856 г и в с. Сулори Ванского р-на в 1990 г) вместе с монетами VI в до н.э. В фондах отдела нумизматики Государственного музея Грузии хранятся четыре серебряные Ахеменидские монеты-сиклы, место и время находки которых не известны, так же, как и нет никаких сведений о золотом дарике.

Проникновение Ахеменидских монет в Грузию следует отнести к походам Александра Македонского и образованию Эллинистического государства.

Хранящийся в Государственном музее Грузии дарик уникален тем, что подобные дарики являются редкостью, и они сохранились лишь в единичных экземплярах.

---

[6] Н. А. Бердзенишвили, В. Дондуа, М. Думбадзе, Г. Меликишвили, Ш. Месхия, История Грузии, Тб., т. I, 1962, გვ. 43.

[7] Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. I, №36, №2.

[8] გ. დუნდუა, ანტიკური ხანის ნუმიზმატიკური განძები კოლხეთიდან, კრებული - ვურია II, თბ., 1997, გვ. 82.

[9] კარგად შენახული აქემენიდური სიკლი დაცულია თბილისელი მოქალაქის დიასამიძე-ბარნოვის კოლექციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლენა მირიანაშვილი

ღვაწლმოსილი მამულიშვილის ანდერძი

დღეს, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისათვის სასურველი და აუცილებელიცაა ღირსეულად წარმოვაჩინოთ ჩვენი სასიქადულო წინაპრების სამაგალითო საქველმოქმედო საქმიანობა, რათა მისაბაძ მაგალითად იქცეს მომავალი თაობისათვის.

ამ მხრივ დიდია ცნობილი ქართველი მრეწველისა და ერის ქომაგის დამსახურება და წვლილი თავისი ქვეყნის წინაშე. საქართველოში არც ერთი ეროვნული საქმე არ წამოწყებულა დავით სარაჯიშვილის, ამ მადლიანი ქართველის მხარდაჭერის გარეშე. შეუძლებელია მისი ღვაწლის შეფასება ქართული ეროვნული კულტურის აღორძინება-განახლების საქმეში. სიცოცხლეში იგი უხვად გასცემდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო-საეთნოგრაფიო, დრამატული საზოგადოებების საჭიროებისათვის, ეკლესია-მონასტრების აშენება-აღორძინების, სათავადაზნაურო ბანკის, სხვადასხვა სასწავლებლებისა და სკოლების, ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა და დახმარებისათვის, წიგნების, გაზეთების, ჟურნალების გამოცემისათვის, მეცნიერთა და მუსიკოსთა ხელშეწყობისათვის, ღარიბ და ობოლ ბავშვთა მფარველობისათვის, მოწინავე ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების უცხოეთში სწავლებისა და მათი სტიპენდიებით უზრუნველყოფისათვის, უცხოელ და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა საკუთარ ოჯახში დაახლოება-გაცნობისათვის.

...„მან ქართველების სიყვარული მოიპოვა სიყვარულითვე – მიუთითებს აკაკი წერეთელი – იმ სიყვარულით, სადაც ყვედრების დროსაც კი ჭირისუფლის სიყვარული ისატებოდა“[1].

„... სამშობლოს ბედი მარად და ყველგან დავითის დიდი დარდი და საზრუნავი იყო. სამშობლოს სიყვარული მის გულში დაუშრეტელ ცეცხლად ღვიოდა და ... გულს უწვავდა...ყველას, ქართველსა და უცხოელს საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე, მის მომავალ ბედზე ესაუბრებოდა და ყველასაგან საქართველოს ხსნის გზას ეძებდა...ყოველთვის, ყველგან და ყველასთან სასაუბროდ ესა ჰქონდა: „რა ეშველება ჩვენს საქართველოსაო?“ - წერს მისი ბიოგრაფი ალექსანდრე სარაჯიშვილი[2].

მოურჩენელი სენით დაავადებული დავით სარაჯიშვილი, 1910 წელს ბერლინში მგზავრობის დროს, სპეციალურად გაჩერდა ქ. როსტოვში და მეუღლის - ეკატერინე სარაჯიშვილის ფარულად, ნოტარიუსთან წინასწარ შედგენილი ანდერძი გააფორმა[3].

დავით სარაჯიშვილი 1911 წლის 20 ივნისს გარდაიცვალა. მისი ანდერძის ცალკეული ფრაგმენტი პრესის საშუალებით გახდა ცნობილი[4]. ქართული, რუსული

---

[1] „განათლება“, 1911 წ., №7, თემი, 1911 წ., 4 ივლისი.

[2] „ძველი საქართველო“, 1911 წ., ტ.II.

[3] ა. სტეფანიშვილი, დავით სარაჯიშვილი, თბილისი, 1968 წ., გვ. 56.

[4] „თემი“, 1911 წ., №25, „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., №333.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უცხოური პრესა ფართოდ გამოეხმაურა, ხოტბა შეასხა ერის კეთილდღეობისათვის მზრუნველ მამულიშვილს და მის ღირსეულ გადაწყვეტილებას[5].

საზოგადოებისა და პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა დავით სარაჯიშვილის ანდერძი, რომელიც ერთგვარ სენსაციად იქცა. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა დავითმა ზრუნვა ქართველ ხალხზე, სამშობლოს კეთილდღეობაზე ანდერძით გამოხატა. მან მთელი უზარმაზარი ქონების დიდი ნაწილი ქართველ ხალხს უანდერძა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისათვის.

დავით სარაჯიშვილი

მან ანდერძით უხვად დაასაჩუქრა ქართველი ერის ცალკეული წარმომადგენლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები, ობოლი და უპატრონო ბავშვები, თავისი ფირმის მუშა-მოსამსახურენი, ახლობლები, ნათესავები...საკმარისია ითქვას, საკუთარი საცხოვრებელი სახლი სერგიევის ქუჩაზე (დღევანდელი მწერალთა კავშირის შენობა) მთელი თავისი მოწყობილობით დაუტოვა ქალაქ თბილისს, მასში შინამრეწველობის და ხელოვნების მუზეუმის ან სამხატვრო გალერეის მოსაწყობად, დიდძალი შესაწირავი გაიღო ეროვნული მუზეუმის აშენებისათვის, სტიპენდიებისათვის...[6].

ქართველი ხალხი დიდი გულისტკივილით გამოეთხოვა სასიქადულო მამულიშვილს. „...დიდი სიმძიმილის გრძნობა აუშალა ყოველ შეგნებულ ქართველსა იმ შავბნელმა სიკვდილმა, რომელმაც მოგვტაცა ძვირფასი სული დავით ზაქარიას ძისა...“[7]

[5] დავით სარაჯიშვილის სახსოვრად, თბ., 1911 წ., გვ.3-181.
[6] „თემი“, 1911 წ., 27 ივნისი.
[7] „სახალხო გაზეთი“, №337, 1911 წ., 26 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნავდა პ. მირიანაშვილი. ... „კაცი იყო შრომითა და მოყვასთა სიყვარულით სრული, ქვეყნის სიყვარულით ძლიერი! განა ასეთი ძლიერებით აღჭურვილს სიკვდილი მოერევა?"... იგი „გაჭირვებულს, დაბეჩავებულს ქვეყანას ემსახურა მანამ შესძლო და ახლა... ლამპრად აენთო მწუხრში მყოფ სამშობლოს, სასოწარკვეთილ მშრომელ ხალხს კვლავ გაულვიძა თითქმის ჩამქრალი ძველი იმედი... აქ სიკვდილს რა ხელი აქვს? აქ მიცვალებაა, ე. ი. უკვდავება"[8], წერდა ივანე მაჭავარიანი.

...„შეაერთეთ ქართული გულკეთილობა და პურმარილი ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დ. სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეჭავდა საქები ქართველობა და საქები ევროპელობა"...[9] ახასიათებდა ნოე ჟორდანია ღირსეულ მამულიშვილს.

დღემდე დავით სარაჯიშვილის ანდერძის სრული ტექსტი არ არის გამოქვეყნებული. ჩვენ მიზანშეწონილად მივვაჩნია ფართო საზოგადოებას გავაცნოთ ქართველი ერის ამ დიდი ქომაგის უკანასკნელი ნება. ამით ჩვენ ერთხელ კიდევ დიდ პატივს მივაგებთ ღვაწლმოსილი ქართველის ხსოვნას[10].

ВЫПИСЬ изъ актовой книги Ростовскаго на Дону Нотаріуса В. Т. Цвѣткова для актовъ, относящихся до недвижимыхъ имуществъ за 1910 г. Листъ 31-й, страница 2-я; листъ 32-й, страница 1 и 2-я, листъ 33-й, страница 1, №101.

ДУХОВНОЕ ЗАВѢЩАНІЕ

1910 года Іюня 3-го дня явился ко мнѣ, Василію Тимофеевичу Цвѣткову, Ростовскому на Дону Нотаріусу, въ конторѣ моей, по Николаевскому переулку, въ домѣ №43, имѣющій законную правоспособность къ совершенію актовъ **Коммерціи Совѣтникъ Давидъ Захарьевичъ Сараджевъ**, живущій въ городѣ Ростовѣ на Дону, лично мнѣ неизвѣстный, представившій о самоличности своей заграничный паспортъ, выданный ему Тифлисскимъ Губернаторомъ 24 Апрѣля сего года за № 204 въ сопровожденіи лично мнѣ извѣстныхъ свидѣтелей: Ростовскихъ на Дону мѣщанъ Андрея Григорьева Гонтарева, Алексѣя Иванова Жмайлова и отставного унтеръ-офицера Федора Васильева Распуткина живущихъ въ городѣ Ростовѣ на Дону и объявилъ, что онъ, Сараджевъ, желаетъ совершить нотаріальнымъ порядкомъ духовное завѣщаніе слѣдующаго содержанія: я, Коммерціи Совѣтник Давидъ Захарьевичъ Сараджевъ, находясь въ здравомъ умѣ и твердой памяти на случай смерти моей, объявляю слѣдующую послѣднюю волю мою: 1) родовое недвижимое имѣніе мое, состоящее въ городѣ Тифлисѣ, на Сергіевской улицѣ, подъ №:13 и заключающееся въ домѣ со дворомъ и землею подъ нимъ, я завѣщаю въ пожизненное владѣніе и пользованіе любезной супругѣ моей Екатеринѣ Ивановнѣ Сараджевой, послѣ смерти которой имѣніе это дожно перейти въ собственность законнымъ наследникамъ моимъ въ законныхъ доляхъ, 2) родовое имѣніе мое, состоящее въ сел. Дигоми, Тифлисскаго уѣзда и заключающееся въ виноградномъ садѣ съ принадлежностями, я завѣщаю въ пожизненное владѣніе и пользованіе супругѣ моей Екатеринѣ

[8] „დავით სარაჯიშვილის სახსოვრად". თბ., 1911, გვ. II

[9] „კოოპერაცია", №3, 10 ივლისი, 1911 წ., „თემი", 1911 წ., 3 ივლისი.

[10] დ. სარაჯიშვილის ანდერძს მივაკვლიეთ ა. კვეზერელი-კოპაძის ოჯახში, მისი სარგებლობისათვის მათ დიდ მადლობას ვწირავთ.

Ивановнѣ Сараджевой, послѣ смерти которой имѣніе это должно перейти къ законнымъ моимъ наслѣдникам въ законныхъ доляхъ, 3) всѣ остальныя родовыя имѣнія, находящіяся въ городѣ Тифлисѣ, а именно: а) два недвижимыхъ имѣнія на Дворцовой улицѣ, одинъ въ третьемъ и другой въ четвертомъ участкѣ и заключающіяся въ домахъ съ магазинами, съ дворами и землями подъ ними, б) недвижимое имѣніе, состоящее на Ольгинской улицѣ въ I участкѣ, гдѣ помѣщается мой ректификаціонный заводъ, съ постройками, дворами, за исключеніемъ аппаратовъ и принадлежностей завода и коньячныхъ складовъ, товара и всякаго иного рода движимаго имущества, в) двухэтажную лавку въ Темныхъ рядахъ, г) половинную долю лавокъ, состоящихъ на Сіонской улицѣ общую съ братьями Давидомъ и Семеномъ Параковыми и д) домъ съ лавками, состоящій на Экзаршеской улицѣ, я завѣщаю въ полную и исключительную собственность моимъ роднымъ сестрамъ, княгинѣ Екатеринѣ Захарьевнѣ Эристовой и княгинѣ Маріи Захарьевнѣ Эристовой, какъ законнымъ моимъ наслѣдницамъ, 4) любезнымъ сестрамъ же моимъ княгинѣ Екатеринѣ Захарьевнѣ Эристовой и княгинѣ Маріи Захарьевнѣ Эристовой, я завѣщаю въ полную и исключительную собственность въ равныхъ доляхъ, недвижимое имѣніе, состоящее въ городѣ Тифлисѣ, на улицѣ Бѣлинскаго и заключающееся в двухэтажномъ домѣ со дворомъ и землею подъ нимъ, каковое имѣніе находится въ смежности съ моимъ ректификаціоннымъ заводомъ, 5) принадлежающее мнѣ право на одну третью долю общаго и нераздѣльнаго между мною и совладѣльцами моими, наслѣдниками Егора и Исаака Цовьяновыхъ – Константиномъ и Михаиломъ Цовьяновыми, недвижимаго имѣнія, состоящаго въ городѣ Тифлисѣ, на Дворцовой улицѣ и заключающагося въ участкѣ земли, мѣрою сто девяносто квадратныхъ саженей, съ постройками, я завѣщаю въ полную и исключительную собственность любезной сестрѣ моей княгинѣ Екатеринѣ Захарьевнѣ Эристовой, 6) недвижимое имѣніе мое, состоящее въ дачѣ селенія Бакурцихъ, Сигнахского уѣзда и заключающееся въ виноградномъ садѣ, лѣсѣ и пустоши я завѣщаю въ полную и исключительную собственность Александру Петровичу Сараджеву, 7) обязываю душеприказчиковъ моихъ в теченіе трехъ лѣтъ со дня моей кончины, продать следующія недвижимыя имѣнія мои: а) принадлежащую мнѣ половинную долю общаго съ совладѣльцемъ моимъ Александромъ Фомичем Придоновымъ, участка земли, состоящаго въ городѣ Тифлисѣ, на Елисаветинской, Абастуманской и Андреевской улицахъ, б) участокъ земли съ постройками, состоящій въ городѣ Тифлисѣ, на Цхнетской, проектированной Симоновской и Продольной улицахъ, в) имѣніе Теври, состоящее въ Шорапанскомъ уѣздѣ, г) имѣніе Арамдара, состоящее въ Сигнахскомъ уѣздѣ, д) принадлежащую мнѣ долю въ общемъ с князьями Вачнадзе лѣсѣ Заалазанской дачи, состоящей въ Сигнахскомъ уѣздѣ, е) принадлежащія мнѣ доли и участки въ дачахъ - Цохорети и Шиндакрава, Тифлисскаго уѣзда и вырученную отъ продажи этихъ имѣній сумму передать Обществу Распространенія Грамотности среди Грузинскаго населенія с тѣмъ, чтобы половина этой суммы была употреблена на постройку предполагаемаго Грузинскаго Музея и другая половина была обращена на учрежденіе стипендій въ высшихъ учебныхъ заведеніяхъ, какъ въ предѣлахъ Россійской Имперіи, такъ и заграницей. Сумма

предназначенная для стипендій должна оставаться вѣчнымъ и неприкосновеннымъ капиталомъ и лишь проценты съ нея должны расходоваться на стипендіи, число и размѣръ коихъ должны быть опредѣляемы по усмотрѣнію названнаго Общества при участіи моихъ душеприказчиковъ, пока они будутъ живы, 8) все остальное мое имущество, въ чемъ бы оно ни заключалось, въ фабрикахъ, заводахъ, домахъ, всякаго рода постройкахъ, земляхъ или иного наименованія недвижимыхъ имѣній и движимости, въ золотѣ, серебрѣ, домашней утвари, наличныхъ деньгахъ, цѣнныхъ бумагахъ, банковыхъ вкладахъ, векселяхъ, закладныхъ, обязательствахъ и всякаго иного рода требованіяхъ торговли и принадлежностяхъ торговли и гдѣ бы таковое ни находилось, словомъ все, что окажется въ моментъ моей кончины мнѣ принадлежащимъ, за указанными въ предыдущихъ пунктахъ сего завѣщанія исключеніими, я завѣщаю въ полную и исключительную собственность супругѣ моей Екатеринѣ Ивановнѣ Сараджевой, 9) обязанность уплаты моихъ долговъ, могущихъ оказаться въ моментъ моей кончины, распредѣляется слѣдующимъ образомъ: получающій по сему завѣщанію въ собственность недвижимое имѣніе обязанъ уплатить залоговой долгъ, буде таковой окажется на имѣніи по залогу ли его в кредитномъ установленіи или по закладной у частнаго лица, обязанность же уплатить всѣ остальные мои долги по векселямъ и иного рода обязательствамъ, в томъ числѣ по залогу недвижимыхъ имѣній для обезпеченія акциза, лежитъ на женѣ моей Екатеринѣ Ивановнѣ Сараджевой, 10) обязываю жену мою Екатерину Ивановну по истечении двухъ лѣтъ со дня моей смерти и въ теченіе третьяго года, произвести слѣдующія выдачи; а) І-ой Тифлисской мужской гимназіи десять тысячъ рублей. б) Тифлисской Православной Духовной Семинаріи пять тысячъ рублей, в) Профессору Александру Антоновичу Цагарели пять тысячъ рублей, г) Николаю Заведеевичу Цхетадзе одну тысячу рублей, д) Михаилу Вахтанговичу Мачабели одну тысячу рублей, е) Георгію Ивановичу Габаеву одну тысячу рублей, ж) Артуру Адольфовичу Лейстъ одну тысячу рублей, з) крестнику моему Давиду Александровичу Поракову одну тысячу рублей, и) другому крестнику моему Евгенію Степановичу Васильеву одну тысячу рублей и третьему крестнику моему князю Николаю Ивановичу Мачабели одну тысячу рублей, к) дочери Александра Ивановича Сараджева – Нинѣ Александровнѣ Сараджевой одну тысячу рублей, л) Маріи Георгіевнѣ Мамніевой одну тысячу рублей, м) Маріи Александровнѣ Тарсаидзе одну тясячу рублей, н) Николаю Александровичу Тарсаидзе одну тысячу рублей, о) Андрею Михайловичу Мамацеву одну тысячу рублей, п) Нинѣ Ивановнѣ Мамацевой одну тысячу рублей, р) Малакіѣ Мкервалашвили одну тысячу рублей, с) Мате Руситашвили одну тысячу рублей, т) Аннѣ Чабахишвили одну тысячу рублей, у) Елисаветѣ Сулханѣовой пятьсотъ рублей, ф) Онисиму, онъ-же Филиппъ, Оміадзе триста рублей и х) Мусоту, онъ же Мухоэтъ, Шибилову триста рублей, 11) обязываю жену мою Екатерину Ивановну по истеченіи трехъ лѣтъ со дня моей смерти и въ теченіе четвертаго года, выдать всѣмъ рабочимъ и мастеровымъ, которые прослужили у меня не менѣе двухъ летъ и которые окажутся у меня на службѣ в момент моей кончины на заводахъ, въ складахъ, конторахъ и именіяхъ, двадцать пять тысячъ

рублей, распредѣливъ сумму эту пропорционально жалованію, которое они будутъ получать в день моей кончины, не принимая въ расчетъ столовыхъ, квартирныхъ и наградныхъ денегъ, I2) обязываю жену мою Екатерину Ивановну, по истеченіи трех лѣтъ со дня моей смерти и въ теченіи четвертаго года выдать всѣмъ служащимъ, которые окажутся въ моментъ моей кончины на службѣ у меня, на заводахъ, въ складахъ, конторахъ и имѣніяхъ, куда не входятъ рабочіе и мастеровые, коимъ по предыдущему пункту сего завѣщанія, уже назначено особое вознагражденіе и опекѣ надъ сиротами служившаго у меня покойнаго Романа Давидовича Поракова сто тысячъ рублей, распредѣливъ сумму эту слѣдующимъ образомъ: прежде всего каждому служащему, прослужившему у меня не менѣе трехъ лѣтъ и сиротамъ Поракова, долженъ быть выданъ годичный окладъ жалованья и каждому служащему, прослужившему менѣе трех лѣтъ, полугодичный окладъ жалованья, какое они получали въ день моей кончины, при чемъ для опредѣленія размѣра выдачи сиротамъ Поракова, долженъ быть принятъ во вниманіе тотъ окладъ жалованья, который Романъ Давидовичъ Пораковъ получалъ у меня въ послѣднее время своей службы, затѣмъ остатокъ суммы отъ ста тысячъ за указанными выдачами долженъ быть раздѣленъ на двѣ разныя половины, изъ коихъ одна половина должна быть распредѣлена пропорціонально получаемому жалованью, между всѣми служащими, прослужившими у меня не менѣе десяти лѣтъ и опекѣ надъ сиротами Поракова, а другая половина дополнительно къ двумъ предыдущимъ выдачамъ должна быть распредѣлена также пропорціонально получаемому жалованью между всѣми служащими, прослужившими у меня не мѣнее пятнадцати лѣтъ и опекою надъ сиротами Поракова, причемъ опека эта при распредѣленіи денег должна почитаться за одно лицо, I3) до дня передачи Обществу Распространенія Грамотности среди грузинскаго населенія душеприказчиками моими опредѣленной въ 7-мъ пунктѣ сего завѣщанія суммы на постройку Грузинскаго Музея и на образованіе стипендій, жену мою Екатерину Ивановну обязываю продолжать выдачу тѣхъ стипендій, которыя производились въ послѣднее время. Если же тотъ или другой мой стипендіатъ окончитъ курсъ образованія ранѣе этого времени, то назначеніе новаго стипендіата прекращается, 14) обязываю жену мою Екатерину Ивановну въ теченіе трехъ лѣтъ со дня моей смерти продолжать выдачу школамъ тѣхъ же ежегодныхъ субсидій, которыя производились при жизни моей въ послѣднее время, I5) обязываю жену мою Екатерину Ивановну выдавать впредь до дня производства выдачи, опредѣлнной въ I2 пунктѣ сего завѣщанія опекѣ надъ имуществомъ и сиротами покойнаго Романа Давидовича Поракова по ста пятидесяти рублей ежемѣсячно, I6) если смерть кого либо изъ лицъ, которому по сему моему завѣщанію я отказываю то или другое имущество, послѣдуетъ раньше моей смерти или если выдача лицу или учрежденію отказаннаго имущества окажется почему либо невозможной по причинѣ законной или фактической, то въ такомъ случаѣ имущество это не должно почитаться оставшимся внѣ моихъ завѣщательныхъ распоряженій, а должно перейти въ полную и исключительную собственность женѣ моей

Екатеринѣ Ивановнѣ Сараджевой, I7) хорошо сознавая, что не имѣю права по закону дѣлать подназначеніе наследников, я выражаю однако пожеланіе юридически необязательное для любезной супруги моей Екатерины Ивановны и имѣющее лишь нравственный характеръ, что бы изъ получаемаго ею по сему завѣщанію наслѣдства она оставила послѣ своей смерти сто тысячъ рублей моимъ сестрамъ и их дѣтямъ, часть же остального имущества на пользу грузинскихъ культурныхъ и просвѣтительныхъ учрежденій, имѣющаго быть основаннымъ въ городѣ Тифлисѣ высшаго учебнаго заведенія, гор. Тифлиса для образованія стипендій и осуществленій другихъ просвѣтительныхъ цѣлей, I8) если я переживу жену мою Екатерину Ивановну Сараджеву, то относительно имущества, которое я отказываю ей по сему моему завѣщанію, я дѣлаю слѣдующее распоряженіе:а) недвижимое имѣніе мое, состоящее вблизъ города Владикавказа и заключающееся въ участкѣ земли с лѣсомъ, съ постройками, находящимися въ немъ винокуреннымъ заводомъ равно какъ оборотный капиталъ, какой окажется въ день моей смерти, в дѣлѣ того завода, я завѣщаю шуринамъ моимъ въ равныхъ доляхъ, Василію и Адаму Ивановичу Пораковымъ, въ полную и исключительную ихъ собственность и б) остальное имущество, за исключеніемъ указаннаго имѣнія, должно быть душеприказчиками моими ликвидировано въ теченіе трехъ лѣтъ со дня моей смерти и изъ вырученной суммы прежде всего должны быть произведены тѣ выдачи, которыя указаны въ восьмомъ, девятомъ, десятомъ, одинадцатомъ, двѣнадцатомъ, тринадцатомъ, четырнадцатомъ и пятнадцатомъ пунктахъ настоящаго завѣщанія и затѣмъ изъ остатка одну третью долю выдать сестрамъ моимъ, княгинѣ Екатеринеѣ Захарьевнѣ Эристовой и княгинѣ Марьѣ Захарьевнѣ Эристовой поровну или въ случаѣ если смерть кого либо изъ нихъ послѣдуетъ раньше моей смерти, ея дѣтямъ, остальныя двѣ трети употребить въ пользу грузинскихъ просвѣтительныхъ и культурныхъ учрежденій, имѣющаго быть открытымъ въ городѣ Тифлисѣ высшаго учебнаго заведенія, в пользу города Тифлиса для учрежденія стипендій для молодыхъ людей безъ различія вѣроисповѣданія и на другія культурныя и просвѣтительныя нужды, относительно которыхъ желанія мои извѣстны моимъ душеприказчикамъ, I9) всѣ завѣщанія мной по сей день совершенныя, какъ домашнія, такъ и нотаріальныя, настоящимъ завѣщаніемъ я отмѣняю. Душеприказчиками по сему моему завѣщанію я назначаю: Николая Заведеевича Цхветадзе, Александра Петровича Сараджева, которых прошу въ точности исполнить сію мою послѣднюю волю. Тѣ пункты сего завѣщанія, по которымъ на жену мою возлагается обязанность производства выдачъ и уплаты моихъ долговъ, душеприказчики обязаны исполнить по общему и взаимному соглашенію съ супругой моей. За труды по исполненію настоящаго завѣщанія я назначаю душеприказчикамъ моимъ по одной тысячѣ двъсти рублей въ годъ каждому, впредь до окончательнаго исполненія сего завѣщанія. Но если я переживу жену мою Екатерину Ивановну и наступятъ условія осуществленія I8-го пункта сего завѣщанія, то въ этомъ случаѣ, я назначаю вознагражденіе моимъ душеприказчикамъ по двѣ тысячи четыреста рублей каждому въ годъ впредь до окончательнаго исполненія сего завѣщанія. Если кто либо изъ названныхъ душеприказчиковъ моихъ умретъ раньше

меня или послѣ моей смерти откажется отъ званія душеприказчика или вслѣдствіи тяжкой болѣзни или продолжительной отлучки будетъ не в состояніи исполнить возложенныя на него обязанности, то въ такомъ случаѣ душеприказчиками по сему завѣщанію я назначаю вмѣсто Николая Заведеевича Цхветадзе – Александра Ивановича Сараджева, а вмѣсто Александра Петровича Сараджева – Александра Федоровича Сараджева, 2I) цѣну завѣщанному имуществу предоставляю объявить послѣ моей смерти. Проектъ сего акта читанъ завѣщателю Давиду Захарьевичу Сараджеву въ присутствіи вышепоименованныхъ свидѣтелей и по одобреніи онаго и удостовѣреніи, что онъ по доброй волѣ желаетъ этотъ актъ совершить и понимаетъ его смысл и значеніе, внесенъ в актовую книгу, изъ которой вновь прочитанъ тѣмъ-же порядкомъ. Выпись на актовой бумагѣ въ два рубля пятьдесятъ копѣекъ слѣдуетъ выдать завѣщателю Сараджеву; послѣ смерти выпись эта въ теченіе годового срока должна быть представлена въ подлежащее судебное учрежденіе на утвержденіе къ исполненію. Коммерціи Совѣтникъ Давид Захарьевичъ Сараджевъ. У сего духовнаго завещанія свидѣтелями были, завѣщателя Сараджева лично видѣли, нашли его въ здравомъ умѣ и твердой памяти и что это завѣщаніе имъ, Сараджевымъ, собственноручно подписано, удостовѣряемъ живущіе, какъ выше сказано, Ростовскіе на Дону мѣщане Андрей Григорьевъ Гонтаревъ, Алексѣй Ивановъ Жмайловъ, отставной унтеръ-офицеръ Федоръ Васильевъ Распуткинъ. Совершилъ Нотаріус Василий Цвѣтковъ. Выпись эта слово въ слово сходная съ подлиннымъ актомъ, записана въ реестръ 1910 года, под №13362 и выдана завещателю Коммерціи Совѣтнику Давиду Захарьевичу Сараджеву. 1910 года Іюня 3-го дня.

Нотаріус Василій Цвѣтковъ.

По указу ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА Тифлисскій Окружный Судъ, выслушав въ судебномъ засѣданіи 4 го Октября 1911 года, дѣло объ утвержденіи нотаріальнаго духовнаго завѣщанія Коммерціи Совѣтника Давида Захарьевича Сараджева, опредѣлилъ: нотаріальное духовное завещаніе покойнаго Коммерціи Совѣтника Давида Захарьевича Сараджева, выраженное въ выписи изъ актовой книги Ростовскаго на Дону нотаріуса В. Т. Цвѣткова для актовъ, относящихся до недвижимыхъ имуществъ за 1910 годъ листъ 31, стр. 2, листъ 32, стр 1-2 и листъ 33, стр. 1-я, № 101, утвердить къ исполененію о чемъ публиковать въ установленномъ порядкѣ. Подлинную выпись съ онаго съ надписью объ утвержденіи завещанія выдать душеприказчику по духовному завѣщанію Александру Петровичу Сараджеву, по представленіи имъ 3 руб. актовыхъ, 3 руб. на публикацію и квитанцію Губернскаго Казначейства во взносѣ наслѣдственной пошлины въ суммѣ шестидесяти тысячъ трехъ сотъ восьмидесяти двухъ рубл. 99 коп. На представленныхъ къ дѣлу исполнительныхъ листахъ Тифлисскаго Окружнаго Суда отъ 19 Апрѣля 1911 года за №18088, Мироваго Судьи 1 и 3 Миров. Отдѣда гор. Тифлиса отъ 8 Января 1911 года за №105 и 9 января 1908 г. за № 147 и 12 Августа 1905 года за № 8000 и Московскаго Коммерческаго Суда отъ 24 Февраля 1907 года за № 38790 и двухъ векселяхъ по 900 руб. каждый, выданныхъ Л. С. Кн. Голицыну сдѣлать надпись об удержаніи при взысканіи по нимъ наслѣдственной пошлины въ $I^1/_2$%. Помощ. Секретаря (подпись неразборчива).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Справка: надлежащее удостовѣреніе Тифлисской Казенной Палаты отъ 9 Ноября 1911 г. за № 44333, представлено. Помощн. Секр. (подпись неразборчива).

Настоящее духовное завѣщаніе выдано пов. душеприказчика по духовному завѣщанію покойнаго Сараджева - Прис. пов. П. А. Калантарову. Канцелярскія пошлины уплачены. Ноября 12 дня 1911 года. Тов. Предсьдателя (подпись неразборчива). Помощн. Секретаря (подпись неразборчива). № 23506.

დავით სარაჯიშვილის ანდერძი შესანიშნავი მაგალითია ქართველი ერის კეთილდღეობისათვის მზრუნველი მამულიშვილისა. მისი მრავალმხრივი სამრეწველო და საქველმოქმედო საქმიანობა და ღვაწლი დღესაც ენთუზიასმით განაწყობს ეროვნული კულტურის ადორძინებით დაინტერესებულ მოწინავე ქართველებს, რომლებიც თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ერის გაძლიერებისათვის საჭირო ყველა ეროვნულ საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინ კერესელიძე

ფარგალი – ორნამენტის გამოსაყვანი იარაღი

არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ძვლისაგან დამზადებული ნივთების უმეტესობა მხატვრულადაა დამუშავებული. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ძვალზე ორნამენტის ამოკვეთის სხვადასხვა ხერხი. ეს ორნამენტი უფრო ხშირად წერტილების, სამკუთხედებისა და ხაზებისაგან შედგენილ გეომეტრიულ სახეებს წარმოადგენდა. ყველაზე უფრო გავრცელებული ორნამენტი ძვალზე არის წრე, შუაში წერტილით, ხანდახან ორმაგი წრე. ეს ორნამენტი თითქმის უნივერსალურია. მისი ქრონოლოგიური საზღვრებიც ძალიან დიდია.

ამკობდნენ ძვლისა და რქის არა მარტო დეკორატიულ ნივთებს, არამედ საყოფაცხოვრებოსაც.

ძვალზე წერტილ-წრის ორნამენტის გამოსაყვანად იხმარებოდა სხვადასხვა ზომის ფარგალი, ორმაგი ან ერთმაგი კბილით. არსებობდა ორკბილა ან სამკბილა ფარგლები, რომელთაც შუა წვერი უფრო გრძელი აქვთ[1].

საქართველოში ძვლის დასამუშავებელი სახელოსნოები იშვიათად არის ცნობილი. გათხრილია რამდენიმე ძეგლი, სადაც ძვლის წარმოების კვალი შეიმჩნევა. ამ მხრივ ყველაზე მეტ მასალას იძლევა დმანისის ე. წ. „ძვლის სახელოსნო“, რომელიც 1962 წ. გათხარა დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. იგი აღმოჩნდა XI-XIII სს. ფენაში. აქ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ძვლისა და რქის ფრაგმენტები დამუშავების კვალით, წარმოების გადანაყარი და მზა ნაწარმი. ამ ნივთების განხილვა ადასტურებს დმანისში ძვლის დასამუშავებელი სპეციალური სახელოსნოს არსებობას[2]. ამის მიუხედავად, დასამუშავებელი იარაღები ჩვენში თითქმის არც ერთ გათხრებს არ მოუციათ. ვარაუდი შეიძლება იმ იარაღების კვალით, რომელიც ნივთებზეა შერჩენილი. ამ მხრივ აღსანიშნავია დმანისში აღმოჩენილი წერტილ-წრის გასაკეთებელი ფარგალი[3] (სურ. 1). ფარგლის სიგრძე 11 სმ-ია. მას აქვს შუაში გამსხვილებული, წახნაგოვანი ტანი. ერთი ბოლო სამკბილაა, სადაც შუა კბილი უფრო გრძელია, მეორე ბოლო კი – წვეტიანი. ჩანს, ორივე ბოლო გამოიყენებოდა ორნამენტის გასაკეთებლად.

სურ. 1

[1] О. И. Давидан, Гребни Старой Ладоги, Археологический сборник, вып. 4, Л., 1962, გვ. 104.

[2] ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური გათხრა, ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის XIV სამეცნ. სესიის თეზისები. თბ., 1966, გვ. 8.

[3] ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი; ფარგალი ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური განყოფილების „შ.რ.მ. და დმანისის „ფონდში“, №61-64:924.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვლის ნივთებზე გამოყვანილი ორნამენტიდან აღსანიშნავია ფარგლით შესრულებული წრიული ორნამენტული მოტივი. აკეთებდნენ არა მარტო წერტილ-წრეებს, არამედ კონცენტრულ წრეებსა და სხვადასხვა ტალღურ ხაზებს.

აღმოჩენილი ფარგალი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ძვლის დასამუშავებელი იარაღი იშვიათად გვხვდება და მით უმეტეს – ფარგალი.

Т. П. КЕРЕСЕЛИДЗЕ

ЦИРКУЛЬ – ОРУДИЕ ДЛЯ НАНЕСЕНИЯ ОРНАМЕНТА

Резюме

В Грузии большое значение придавалось художественной обработке костяных изделий. Самым распространенным орнаментом на кости является круг с точкой посередине (иногда двойной круг). Для нанесения кружкового орнамента применяли циркуль, с двойным или одним зубцом.

В результате археологических исследований в Дманиси, в 1962 году, в слое XI-XIII вв. найдено большое количество костяных и роговых фрагментов со следами обработки, отходы производства, заготовки готовых изделий. Здесь можно увидеть явные следы существования мастерской по изготовлению предметов из кости и рога.

Необходимо отметить найденный в этой мастерской циркуль (рис. I), которым обводился на предмете круг, с точкой по середине. Длина циркуля 11 см. У циркуля с одной стороны три зубца, из которых средний длиннее. Другая сторона острая. По-видимому употребляли оба конца.

Этот инструмент замечателен и тем, что орудия для обработки кости почти не найдены, тем более - циркуль.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუიზა გვრიტიშვილი

სოფელ წირქოლის ისტორიისათვის

ქსნის ხეობის სოფლებს შორის თავისი საინტერესო ისტორიული წარსულითა და მნიშვნელოვანი საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობების სიმრავლით გამოირჩევა წირქოლი, რომელიც მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირას ახალგორსა და კორინთას შორის მდებარეობს.

სოფლის სახელწოდება ნარატიულ წყაროებსა და დოკუმენტებში სხვადასხვა ფორმით გვხვდება: წირქოლი[1], წირქვალი[2], წირქუალი[3], წირქუანი[4]. ამ ტოპონიმის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ეთნოგრაფი სარა ბედუკაძე მას წისქვილს უკავშირებს. იგი წერს: „ხალხურ ქვითხუროობაში რკინის წვეტიანი იარაღით ქვის ზედაპირის დამუშავებას დაწერა, დაწვერა ან დაწერაქვება ეწოდება, რისთვისაც საგანგებო იარაღები წერაქვი, წალკატი, წვერო, წერეთი ან წეროიანი გამოიყენება“[5]. მისი აზრით, „წერქუალი ან წირქუალი ნიშნავდა წირებიან ან წერებიან ანუ მჭრელი კბილების მქონე ქვას და ეს ტერმინი დროთა განმავლობაში წისქვილად იქცა“. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს გეოგრაფიულ სახელწოდება წირქვალზეც[6].

ტოპონიმი წირქვალი მეგრულ-ქართულის საფუძველზე აქვს ახსნილი ჯონდო გვასალიას. მისი აზრით, „წირქუალის“ პირველი ნაწილი წირ მოგვაგონებს მეგრულ წირ-ს, რაც „გაწურვას“ და ასევე წირ-იდ-ს, რაც „წრეტა-შეშრობას“ ნიშნავს. მეორე ნაწილი „ქუალი“ მეგრულად ნიშნავს „ქვას“. მთლიანად სიტყვა ნიშნავს „მშრალ ქვას, კლდეს“, რაც ზუსტად მიესადაგება წირქოლის ქარაფოვან კლდეებს. „მატიანე ქართლისამ“ შემოგვინახა ამ სახელის შინაარსით უადრესად მსგავსი ორი ფორმა – ქართული (წირქვანი) და მეგრული (წირქვალი)[7].

ჩვენი აზრით, ტოპონიმ წირქვალის გვასალიასეული განმარტება უფრო მისაღებია. იგი რომ საწისქვილე დოლაბებთან (რომლის სახელი ს. ბედუკაძის გამოკვლევით წირქვალია) იყოს დაკავშირებული, სოფლის დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში რაიმე მინიშნება ამის შესახებ აუცილებლად იქნებოდა. ამას გარდა, ამ სახელწოდების მეორე სოფელიც არსებობს საქართველოში, კერძოდ, ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონში, რომელიც ისეთსავე კლდოვან რელიეფზეა გაშენებული როგორც ქსნის ხეობის წირქოლი. ერთნაირმა გეოგრაფიულმა პირობებმა ერთნაირი ტოპო-

---

[1] საქართველოს სიძველენი, თბ., 1920, გვ. 205-206; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, ტ. II, თბ. 1964, გვ. 29; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, 1964, გვ. 261.

[2] მასალები ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, 1964, გვ. 261.

[3] ქართლის ცხოვრება, I, ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ. 1955, გვ. 275.

[4] ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 272.

[5] ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბ., 1960, გვ. 2.

[6] იქვე, გვ. 3.

[7] ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმი შექმნეს. ასეთი დამთხვევები ქართულ სინამდვილეში არაერთია. მაგალითად, გვაქვს რამდენიმე მუხნარი, ტბეთი, ციხისძირი და ა. შ.

სოფელი წირქოლი მდებარეობდა შიდა ქართლის მნიშვნელოვან სამიმოსვლო-სავაჭრო გზების სიახლოვეს. ერთი მათგანი ე. წ. „საქალაქო გზის" ჩრდილოეთის გაგრძელება იყო: თბილისი-ნატახტარი-წილკანი-დამპალა- ქსოვრისი- ოძისი-ახალგორი-კორინთა- საძეგური-ლარგვისი-ქარჩოხი-ჟამური. ქარჩოხის ციხესთან ლომისის გადასასვლელით უერთდებოდა გზას დარიალის ხეობისაკენ, აქედან კი ჩრდ. კავკასიისაკენ[8]. უშუალოდ ქსნის მარჯვენა ნაპირზე გადიოდა ლეხურა-ყანჩავეთიდან მომავალი გზა, რომელიც წირქოლის გავლით ჩრდ. კავკასიისკენ მიმავალ გზას უერთდებოდა. წყაროებში „საქალაქო გზის" ეს მონაკვეთი მოხსენიებულია „გზაი ლომისის თავისაის" სახელწოდებით, გვიან საუკუნეებში კი „ქსნის გზის" სახელით[9]. ქსნის ხეობა გადასასვლელებით დასავლეთ საქართველოსაც უკავშირდებოდა[10].

ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და შიდა ქართლის მნიშვნელოვანი გზების სიახლოვემ ძველთაგანვე განაპირობა წირქოლის დაწინაურება ამ მხარის სოფლებს შორის.

წირქოლს საინტერესო და ხანგრძლივი ისტორია აქვს. მის მიდამოებში ადამიანის ცხოვრების კვალს უხსოვარი დროიდან შეიძლება გაედევნოს თვალი. აქ მოძიებული უძველესი არქეოლოგიური მასალა პალეოლითური ხანისაა. 1955 წ. არქეოლოგიურმა ჯგუფმა წირქოლის ტერიტორიაზე გამოავლინა მუსტიერული ხანის სადგომი[11]. იმავე წელს ისტორიის ინსტიტუტის სამხრეთ ოსეთის ისტორიულ-არქეოლოგიურმა დახვერვითმა ექსპედიციამ სოფლის ტერიტორიაზე მიაკვლია ნამოსახლარ გორას. გორის ზედაპირზე აიკრიფა ენეოლითური (მტკვარ-არაქსული) ხანის კერამიკული ნატეხები. იქვე იმავე ექსპედიციის მიერ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ფენაცაა დადასტურებული[12].

სოფელ წირქოლში და მის მიდამოებში საინტერესო არქეოლოგიური მასალა გამოავლინა 1981–1982 წწ. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. სოფლის(ხრიკულების უბნის) დასავლეთით, მთის შიშველ ფერდობზე, ზუსტად ეკლესიის (VIII ს.) სამხრეთით, ხევგამოღმა აიკრიფა თეთრანგობიანი, ანტიკური იერის კერამიკა, ნავისებური ხელსაფქვავი, ადრეფეოდალური ხანის ჭდეულზედაპირიანი ქვევრის ნატეხები. კერამიკა აქ საკმაოდ ბევრია. ი. გაგოშიძე ვარაუდობს აქ ანტიკური ნასოფლარის არსებობას. სოფლის ჩრდილოეთით ხევისაკენ კედლის ფრაგმენტები ჩანს დამწვარი ალიზის შელესილობით. აქვეა შავი რელიეფსარტყელიანი ქვევრის ნატეხი. უფრო ჩრდილოეთით ქვიტკირის კედლების ფრაგმენტებიცაა (კედლის სისქე 120 სმ-ია). ეს ეკლესიასთან უფრო ახლოა და, ალბათ, მისივე დროისაა (VIII ს.). იმავე ეკლესიის სამხრეთით, სოფლისაკენ დაქანებული სერის თხემზე შერჩენილია კვადრატთან მიახლოებული ნაგებობის კვალი (კვადრატის გვერდებია; 310X160სმ), მის შესახებ თავის დროზე ი. გაგოშიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ, შესაძლებელია იგი ჭერემის კვადრატის მსგავსი ნაგებობა არის[13].

---

[8] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 159-160.

[9] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 63.

[10] ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრ., გვ. 18-19; ვიულდენშტედტის მოგზაურობა საქ-ში, გვ. 5.

[11] Любин В. П. Нижнепалеолитические памятники Юго-Осетии, материалы и исследования по археологии СССР, 79, М.-Л.,1960, გვ.15.

[12] დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის 1955წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ., 1960, გვ. 188, 190.

[13] Ю.М. Гагошидзе, Дохристианские храмы Грузии, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983, გვ. 7.

ნ. აფხაზავას აზრით, აქ საქმე გვაქვს ხალხური ტიპის პატარა სამლოცველოსთან. იხ. მისი ალეევის არქეოლოგიური ექსპედიციის 1985 წ. საველე სამუშაოთა ანგარიში, ხელნაწერი, გვ. 9.

VIII ს. ეკლესიის მიდამოებშივე ალევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1990 და 1998 წწ. აკრეფილია შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის უამრავი ფრაგმენტი და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, VIII ს. I ნახევარში მოჭრილი ომეიდების სპილენძის მონეტა[14].

საისტორიო წყაროებში წირქოლი პირველად „ბატიანე ქართლისაგშია" მოხსენიებული საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის პირველობისათვის ატეხილ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელმაც IX–X სს. „ქართლსა ზედა" ბრძოლის ხასიათი მიიღო. იმდროინდელი ქართლი მხოლოდ შიდა ქართლს მოიცავდა, აფხაზთა სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სახღვარი ლიხის ქედზე გადიოდა, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელოს აღმოსავლეთი სახღვარი ტაშისკარი იყო, ქვემო ქართლი თბილისის ამირების ხელში იყო, კახეთის სამთავროს დასავლეთ სახღვარს კი არაგვი წარმოადგენდა. ამათ შორის ტერიტორია – საკუთრივ შიდა ქართლი – იყო იმდროს ქართლის საერისთავო[15]. ამ „ქართლისათვის" წარმოებდა დაძაბული და სისხლისმღვრელი ბრძოლა, რადგან, როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობდა, „ქართლი ქვეყნის შუაგული იყო და თითოეული მთავრის მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს ადგილი მას დარჩენოდა"[16]. VIII ს. დასასრულს შიდა ქართლი კახეთის მთავარს გრიგოლს ჰქონდა დაპყრობილი.

IX საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლისათვის ბრძოლაში ერთმანეთს უპირისპირდებიან ტაო-კლარჯეთი და კახეთის სამთავრო. X ს. დასაწყისიდან თანდათან აშკარა ხდება აფხაზთა სამეფოს უპირატესობა. კონსტანტინე აფხაზთა მეფემ ქართლი დაიპყრო, მაგრამ მალევე დაკარგა და მის მემკვიდრეებს – გიორგის, ლეონსა და დემეტრეს კვლავ უხდებათ ქართლისათვის ბრძოლა. X ს. 70-იან წლებში კახეთის სამეფო აქტიურდება (აფხაზეთის სამეფო ლეონ II-ის გარდაცვალების შემდეგ ანარქიამ მოიცვა). ქართლის მნიშვნელოვანი ციხეები, მათ შორის წირქვალის ციხე და გრუ კახეთის ქორეპისკოპოსის ხელში გადადის[17], თუმცა ბაგრატ III მალევე იბრუნებს მათ იარაღის ძალით[18]. ამრიგად, წირქოლი (ბატიანეს მიხედვით წირქვალის ციხე), რომელიც IX–X სს. ხელიდან ხელში გადადიოდა, ხან ქართლის ერისთავებს ჰქონდათ, ხან აფხაზთა მეფეებს და ხანაც კახეთის ქორეპისკოპოსებს, ბაგრატ III-მ შემოიმტკიცა.

XI ს. 60-იან წლებში ბაგრატ IV-ის მიერ კახეთის სამთავროს საბოლოოდ შემოსაერთებლად მოწყობილი ლაშქრობის ამბების გადმოცემისას „ბატიანე ქართლისაგში" კიდევ ერთხელ გაიჟღერა წირქვლის ციხის მფლობელის სახელმა „წირქვალელმა": „იყო ბაგრატ გალაშქრებულ ადებად კახეთისა, და ლაშქარი მისი წინა გაგზავნილი იყო ვეჟინის ერისთავთანა წირქვალელს(ა), შემოიქცეს მშვიდობით, და უამბეს შემოსვლა სულტანისა და დაერა ციხეთა, შემოიქცა სწრაფით და მოვიდა ქვეყნად ქართლად"[19]. ამ ამონაწერში ჩვენს ყურადღებას იქცევს ვეჟინის ერისთავად წირქვალელის დასახელება[20]. როგორ მოიპოვა წირქვალელმა ეს თანამდებობა, არ ჩანს. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ წირქვალელი ქართლის ახნაური (წირქოლის

---

[14] ნ. აფხაზავა, 1990, 1998 წწ. საველე სამუშაოთა ანგარიშები, ხელნაწერი.

[15] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 237.

[16] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 98.

[17] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 274-275.

[18] იქვე, გვ. 278.

[19] იქვე, გვ. 308.

[20] ამ ფაქტის თავისებური ახსნა მოცემული აქვს ნ. მჭედლიშვილს ნაშრომში „ვეჟინი". იგი თვლის, რომ ბაგრატ IV-ის მიერ „წინა გაგზავნილი" ლაშქარი კი არ ჩავიდა ვეჟინის ერისთავთან – წირქუალელთან, არამედ სწორედ ამ „წინა გაგზავნილ" ლაშქარს ედგა სათავეში წირქუალელი. ე. ი. ვეჟინის ერისთავი სხვა პირია და წირქუალელი სხვა. იხ. ნ. მჭედლიშვილი, ვეჟინი, მასალები საქ. სოფლების ისტორიისათვის, სარკვ. II, თბ., 1985, გვ. 70-71. მემატიანის ტექსტის ამგვარ გაგებას, ჩვენი აზრით, საფუძველი არ გააჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფლობელი) ბაგრატის ერთგული პირია და კახეთ-ჰერეთის შემოსაერთებლად წარმოებულ ბრძოლებში დიდად თავდადებული და დამსახურებული. მეფემ ერთგულების სანაცვლოდ დაჰყრობილი ვეჟინის ერისთავობა უბოძა მას[21].

ალფ-არსლანის შემოსევის შემდეგ (1065 წ.) ბაგრატის მიერ მიტოვებული ციხეები, მათ შორის ვეჟინის ციხეც, სულთანმა კახეთის მეფე აღსართანს მისცა და წირქვალელის ვეჟინის ერისთავობაც, ალბათ, ამით დასრულდა[22].

XI ს. 60-იანი წლებიდან მოკიდებული წირქოლჩე არაფერი ვიცით ვიდრე XII ს. დასასრულამდე. „წირქვალელები" მოხსენიებული არიან თამარის ეპოქის საისტორიო თხზულებაში. გიორგი რუსის ამბოხების ჩახშობის შემდეგ ხდება თამარის ერთგულ მოხელეთა შეწყალება და დალოცვა: „შეიწყალეს სარგის ვარამისძე, დალოცეს და უბოძეს თმოგჳ, და ჭეემოთ წ ი რ ქ ვ ა ლ ე ლ ნ ი , ზარეზის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბერის ძენი, გრიგოლის ძენი და მახატლის ძენი და თავნი კახეთისანი თორლას ძენი---"[23].

XV საუკუნეში ცნობილია რატი წირქვალელი, როგორც გიორგი VIII-ის მდივან-მწიგნობარი. მის მიერაა შედგენილი გიორგი VIII-ის სამი სიგელი: 1451 წ. წყალობის სიგელი მიცემული გიორგი მეფის მიერ ვირშელ წულუკიძისათვის[24], 1453 წ. ყმა-მამულის წყალობის წიგნი მიცემული გიორგი მეფის მიერ გორის მოურავ ზედგენიძისათვის[25], 1468 წ. გიორგი მეფის მიერ მცხეთისათვის მიცემული მალის ამოკვეთის წიგნი[26].

XIII ს. II ნახევარში, ჯერ ჯალალ ედ-დინისა და შემდეგ მონღოლების შემოსევის შედეგად დასუსტებულ ქვეყანაში, თავი იჩინეს სეპარატისტულმა ძალებმა და ქართლის საერისთავოს დაშლის შედეგად შიდა ქართლში შეიქმნა რამდენიმე სათავადო, მათ შორის ქსნის საერისთავო.

ერისთავთა რეზიდენცია ქვენიფნევში იყო, საგვარეულო საძვალე კი ლარგვისში. XIII ს. ბოლოსათვის საერისთავო მხოლოდ შვიდი ხეობისაგან შედგებოდა და ატარებდა „ცხრაზმის საერისთავოს" სახელს[27]. XIV ს. დამდეგისათვის ერისთავთა

---

[21] წირქვალელები რომ კახეთის ამ მხარესთან იყვნენ დაკავშირებული, ამის ერთ-ერთი მოწმობაა ვარანაძიანის ყველაწმიდის ეკლესიის ანტეფიქსი, რომლის დაქარაგმებულ ასომთავრულ წარწერაში გიორგი წირქვალელია მოხსენიებული. ლ . ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი , საქართველოს IV–XVIIIსს. მატერიალური კულტურა, გამოფენის გზამკვლევი, თბ., 1990. სურ. 14.

[22] აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი ვეჟინი კახეთს გარდა დადასტურებულია თბილისის მახლობლად სოფ. გლდანის ტერიტორიაზე. „ვეჟინის" ანუ „ვეჟინის ხევის" სახელწოდებას ატარებს მთელი ხეობა და მის გარშემო მდებარე მთები. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, კახეთის ვეჟინის მცხოვრებნი წარმოშობით ამ ვეჟინიდან არიან, დღესაც არ ივიწყებენ თავიანთი წინაპრების ადგილსამყოფელს და ეოველწლიურად ესტუმრებიან ხოლმე გლდანის მიდამოებს. ეს ტერიტორია ადრეულ საუკუნეებში მჭიდროდ ეოფილა დასახლებული. ვეჟინის ხევის დასაწყისიდან ერთ კმ-ზე, ტყით დაფარულ მთის კალთაზე, დარჩენილია ნასგრეკები, რომელშიც თ. ბარნაველმა და რ. შმერლიგმა სასახლე-ჯალატის შენობა შეიცნეს, იქვე მიაკვლიეს სასახლის თანადროულ მცირე ზომის ეკლესიასაც. დასახლებული ჩანს სასახლის შემოგარენიც. ავტორები ვანთის, ჭერემის, ნეკრესის სასახლის ნაგებობებთან ანალოგიის გზით ვეჟინის სასახლეს VIII–IX სს.-ით ათარიღებენ. იხ. თ . ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი , რ . შ მ ე რ ლ ი ნ გ ი , ძველი სასახლე ჩვენი ქალაქის მიდამოებში, გაზეთი „თბილისი", 1968 წ. 29 მარტი, № 63. იხ. აგრეთვე გ . ზ ა რ დ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი , თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმიკა, თბ., 1978, გვ. 29. არსებობს ცდუნება იმისა, რომ გლდანის მიდამოებში დადასტურებულ ვეჟინში „მატიანე ქართლისაჲ-ს" ვეჟინი დავინახოთ, მაგრამ რაიმე მოსაზრების გამოთქმისაგან თავს ვიკავებთ სათანადო არგუმენტაციის უქონლობის გამო.

[23] ისტორიანი და ამბანი შარავანდედთანი, ქართლის ცხ., II, თბ., 1955, გვ. 55.

[24] საქართველოს სიძველეანი, I, ტფ., 1920, გვ. 1-3.

[25] თ . ჟ ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები და სხვა მასალა საქ. ისტორიისა და მწერლობისა, წიგნ. II, 1897, გვ. 266.

[26] ხელნაწ. ინსტ. Hd-1370; ქრონიკები, II; გვ. 289; ჯ. ო დ ი შ ე ლ ი , ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან, მაცნე, 4, თბ., გვ. 215-216.

[27] ქსნის საერისთავოს წარმოქმნასთან დაკავშირებით იხ. დ . გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 67-68; ჯ . გ ვ ა ხ ა ლ ი ა , აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 62-79; ვ . ლ ო ნ ა შ ვ ი ლ ი , ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან. I. 1997.

სამფლობელო საგრძნობლადაა განვრცობილი: ყოველი „ცხრაზმის ხევის" გარდა, მასში შედის ქარჩოხი, ქოლოთი, ისროლი. ვახტანგ III-მ შალვა ქვენიფნეველს უბოძა თრუსო, ღუდა, გაგასძენი, მლეთე, არახვეთი, ხანდო, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორანი, დიდუამი, აწერის ხევი, ბეხუშე[28].

როდის უნდა გადასულიყო სოფელი წირქოლი ქსნის ერისთავების მფლობელობაში? შალვა ქვენიფნეველის 1470 წ. გუჯარის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წირქოლი ამ დროს უკვე მათია. საბუთში ჩამოთვლილია ერისთავის კუთვნილი სოფლები ქსანზე, რომელთაც იგი ლარგვისის მონასტერს სწირავს. მათ შორის დასახელებულია წირქოლის მოსაზღვრე სოფლები ერედა და ქურთა (პირველი სამხრეთიდან ესაზღვრება მას, მეორე – ჩრდილოეთიდან). უნდა ვიფიქროთ, რომ წირქოლიც ამ დროს ერისთავებისა იყო[29].

ამის შემდეგ სოფელი წირქოლი ვიდრე XVIII ს. 70-იან წლებამდე ქსნის ერისთავებისაა და მისი ისტორია ქსნის საერისთავოს საერთო ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

XVIII ს. 70-იან წლებში ერეკლე II-მ დაამარცხა განდგომილი ქსნის ერისთავი გიორგი ყულარაღასი, გააუქმა ქსნის საერისთავო და ერისთავების სამფლობელო უფლისწულებს გიორგისა და იულონს გაუნაწილა. გიორგის ქსნის ხეობა მისცა, იულონს – ლიახვისა[30].

გიორგი ბატონიშვილს, როგორც ქსნის ხეობის გამგებელს, ხშირად უხდებოდა ხეობის მოვლა და იქაური საქმეების ადგილზე მოგვარება. შემორჩენილია მის მიერ გაცემული არაერთი წყალობის სიგელი მოურავ ფიცხელაურისადმი[31]. ცნობილია, რომ გიორგი ბატონიშვილი ღრმად მორწმუნე იყო. ქსნის ხეობაში ყოფნისას აუცილებლად მოინახულებდა ხოლმე იქაურ ეკლესიებს, ილოცებდა და შესაწირს სწირავდა. პლატონ იოსელიანს მაგალითები მოჰყავს ამის საილუსტრაციოდ: 1786 წ. ალევის ეკლესია მოუნახულებია და შეუწირავს ვერცხლის თასი[32]. იმავე წელს შესაწირავი შეუწირავს ლომისის წმ. გიორგის ეკლესიისათვის, ლარგვისის მონასტრისათვის შეუწირავს კორინთაში ნაყიდი ვენახი[33] და სხვა.

ქსნის ხეობის ეკლესიებზე მზრუნველობას იჩენდნენ გიორგი ბატონიშვილის ოჯახის წევრებიც. წირქოლის წმ. გიორგის ეკლესიისათვის ვერცხლის სასანთლე შეუწირავს მის მეუღლეს მარიამს, რაზეც სასანთლეზე ამოტვიფრული წარწერა გვამცნობს[34].

სოფელი წირქოლი მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირას, მთის ფერდობზეა შეფენილი. ორი მშრალი ხევი სოფელს სამ ნაწილად ჰყოფს. ხალხი ხევებს შორის სერებზეა დასახლებული. აღმოსავლეთ სერზე სამი უბანია: მორბედაანი, თათრიანი და ჯამბუა-

---

[28] ძეგლი ერისთავთა, ი. დ ო ლ ი ძ ე , ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 140-141.

[29] ვ. ღუნაშვილის აზრით, წირქვლის ციხე ქვენიფნეველთა მფლობელობაშია XIV ს. 10-იანი წლებიდან. ვ. ღ უ ნ ა შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ.148.

[30] იესეოსესძე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი , ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოცემა, მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 28, თბ., 1950, გვ. 81; დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 15.

[31] სცსა, ფ. 1448, საქმე 10188.

[32] პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი , ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას გამოცემა, თბ., 1936, გვ. 45.

[33] სცსა, ფ.1448, საქმე 10188.

[34] სასანთლე დაცულია ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. იხ. მასზე ლიტერატურა: გ. კ ი კ ნ ა ძ ე , ლითონის ჭურჭელი ქსნის ხეობიდან, ხელნაწერი, გვ. 5; ვ. ღ უ ნ ა შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 112-118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი. ჩრდილოეთით; ზეუბანი და ძერყორაანი; დასავლეთ ნაწილში, დაბლობში, მდინარის ახლოს – ხრიკულები; ჩრდილოეთით – ფიცხელაანი და მეგრელიანი. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ბაღ-ვენახები, განლაგებულია უბნებს შორისაც და სოფლის სამხრეთით და ჩრდილოეთ ზვარქნე. ამ ადგილის ტოპონიმია „მზვარე". სოფლის დასავლეთით პირველ შემაღლებას, მდინარის პარალელურ სერს, „ელიანთ ქედები" ჰქვია. ვენახების ძირითადი მასივი სოფლის ცენტრში, ხრიკულების დასავლეთით სერზეა განლაგებული. ვენახები ყოფილა წმ. გიორგის (თეთრი გიორგის) გარშემოც. ამ ადგილს დღეს „ხატის ვენახს" და „ნავენახარსაც" უწოდებენ. ახლა იმ ადგილას ბაღებია გაშენებული.

სოფელს ჩრდილო-დასავლეთიდან ფოთლოვანი ტყით დაფარული საკმაოდ მაღალი მთა აკრავს, რომლის წვერზეც წმ. გიორგის ეკლესია დგას. მთის სამხრეთის ფერდს, რომელიც სოფელს დაჭურებს, „შიშვლები" ჰქვია. აქ ტყე გამეჩხერებულია. ტყის მასივი VIII ს. ეკლესიამდე ჩამოდის. ამისი გაგრძელება სერი კი ციხემდე უტყეოა. სამხრეთი ფერდობი კლდოვანია და სრულიად შიშველი. ხევში, სოფლის ჩრდილო-დასავლეთით „ქუდრეების წყარო" გამოდის. სოფლის დასავლეთი და სამხრეთი ფერდობი უტყეოა. აქ სახნავ-სათესი სავარგულებია. სოფლის სამხრეთი ნაწილი დატერასებულია. ბზის ნარგავები და ტყის კორომები შერჩენილია სასაფლაოებზე ეკლესიების გარშემო.

როგორც აღვნიშნეთ, სოფელი რვა უბნადაა გაყოფილი. არის ოთხი სასაფლაო, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ თავდაპირველად ოთხი უბანი იყო, დანარჩენი კი შემდეგ გაჩნდა, შეიძლება მათი განაყოფი ოჯახებიდან. სოფლის სამხრეთ ნაწილში მოქცეულ სასაფლაოზე იმარხებოდნენ მორბედაძეები, თათრიშვილები და ჯამბუაშვილები. მიწის ზევით შერჩენილი ყველაზე ძველი საფლავები XIX საუკუნისაა. საფლავის ქვები ბრტყელია – ქვიშაქვისა. ფიცხელაანთ უბანში ეკლესიის გარშემო ფიცხელაურების სასაფლაოა, წმ. მარინეს ეკლესიასთან ხრიკულები იკრძალებოდნენ, VIII ს. ეკლესიასთან კი – ძერყორაშვილები და მეგრელიშვილები (იხ. სიტუაც. გეგმა).

წირქოლის მოსახლეობის შესახებ ცნობები ისტორიულ წყაროებში მხოლოდ XVIII საუკუნისა გვაქვს. ესაა ქსნის ერისთავთა გაყრის წიგნები და სტატისტიკური აღწერილობანი. ამ მონაცემების მიხედვითაც მხოლოდ მიახლოებითი სურათის წარმოდგენა შეიძლება, რადგან გაყრის წიგნები ფრაგმენტულადაა მოღწეული და სტატისტიკურ აღწერილობებშიც, „დასტურლამალში" აღნიშნული წესის თანახმად, წერდნენ მხოლოდ მათ, ვინც ჯარში გამოსაყვანად ან საბეგროდ ვარგისად იყო მიჩნეული და სრულიად უგულებელყოფდნენ ქალებსა და ბავშვებს. თუ ობლები ჰყავთ აღრიცხული, ისიც იმიტომ, რომ გათვალისწინებულია მათი ვარგისიანობა ჯარში გასაწვევად და დასაბეგრად სრულწლოვანების შემდეგ[35].

XVIII ს. II ნახევრის ორი აღწერა გვაქვს ქსნის ხეობისა – 1774 და 1781 წლების[36]. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, 1818 წ. აღწერის მონაცემებიც[37]. სამივე აღწერის მონაცემების შეჯერებისას შემდეგი სურათი ჩანს: მორბედაძეები, თათრიშვილები, ხრიკულები, ძერყორაშვილები და ფიცხელაურები შედარებით ძველი მცხოვრებლები არიან, ისინი 1774 და 1781 წწ. სტატისტიკურ აღწერილობებში იხსენიებიან. ჯამბუაშვილები და მეგრელიშვილები კი XIX ს. დასაწყისში ჩასახლებულან სოფელში. 1818 წ. აღწერილობით უკვე ჩანს ორი ძმა ჯამბუაშვილი და მეგრელიშვილები ბათლომე მღვდელი იასე და მისი ძმისწული. თანამედროვე წირქოლში იგივე გვარები სახლობენ. შემდეგ ჩამოსახლებულან შერმადინები, მილაძეები, გამხიტაშვილები, საბელაშვილები და სხვ.

---

[35] ე. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, თსუ შრომები, 45, თბ., 1951, გვ. 4.

[36] იქვე, გვ. 23-24.

[37] Акты Кавказской Археографической Комиссии, т. II, 1868, გვ. 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წირქოლში ძველი დროიდან არაერთი საყურადღებო არქიტექტურული ძეგლია მოღწეული. ისინი სხვადასხვა დროის, დანიშნულების, სტილისა და მხატვრული ღირებულებისა არიან. თითოეული მათგანი ავსებს და ამდიდრებს ჩვენს ცოდნას თვით სოფლის წარსულის შესახებ.

სოფლიდან ორიოდე კმ-ის მოშორებით, მთის ფერდობზე, დგას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი და ამდენად ჩვენს ნაშრომში მასზე სიტყვას ადარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აკად. ჩუბინაშვილის მიერ ტაძარი შეფასებულია, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეული, ბრწყინვალე ძეგლი შემოქმედებითი ძიების დამახასიათებელი ნიშნებით და დათარიღებულია VIII საუკუნით[38] (სურ. 1).



სურ. 1. ღვთისმშობლის ეკლესია (VIII ს.)

წირქოლის ძველი ისტორიის ერთ-ერთ უტყუარ მოწმეს წარმოადგენს ციხე. იგი მდინარე ქსანზე დაკიდებულ ქარაფოვანი კლდის ქიმზეა აღმართული და კონტროლს უწევს ქსნის ხეობაში გამავალ სამიმოსვლო გზებს. წირქოლის ციხე, როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, „ქართლის ცხოვრებაში“ ადრეფეოდალურ ხანაშია მოხსენიებული როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი „ქართლსა ზედა“ ბრძოლის დროს[39]. ამჟამად არსებული ნანგრევები, როგორც პ. ზაქარაია აღგენს, XVIII საუკუნეში აგებულ ციხეს ეკუთვნის[40].

XVIII საუკუნეში ციხეს უადრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყიზილბაშების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებსა და შინაფეოდალური აშლილობის დროს. ეს

[38] Г. Н. Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ущелье, ქართული ხელოვნება, თბ., 1942, გვ. 12-13.

[39] ქ. ცხ~ა, I, გვ. 274.

[40] ციხე აღწერილი და შესწავლილი აქვს აკად. პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა ს, ამდენად ჩვენ ვიძლევით მის მხოლოდ მოკლე აღწერილობას. იხ. პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები, საქ. სახ. მუზ. მოამბე, XVI-B, გვ. 182-187; იხ. აგრეთვე ვ. ღ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146-149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქიდანაც ჩანს, რომ როგორც კი ციხე დახიანდებოდა, მას მაშინვე შეაკეთებდნენ და აღადგენდნენ. ამის შესახებ არაერთ ცნობას ვხვდებით იმ პერიოდის წყაროებში[41].

XVIII ს. 70-იანი წლებიდან, ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ წირქოლის ციხე სამეფოა. ერეკლე II-ის 1791 წ. განწესებიდან ჩანს, რომ იგი ქართლ-კახეთის სამეფოს იმ შვიდ ციხე-სიმაგრეთა რიცხვშია, რომელთაც „ნარიყალები" გააჩნიათ და რომლებშიც მუდმივი რაზმი დგას. „განწესებაში" ვკითხულობთ: „ციხეებისაც ასე დაგვიწერია: ქალაქის თბილისის ციხეები, გორის ციხე, სურამის ციხე, წირქოლის ციხე, ანანურის ციხე, ბოჭორმის ციხე და გრემის ციხე, რომ ამ ციხეებს ნარიყალის ციხეებიც აქვს და ნარიყალები ცოტას კაცით შეინახება. ამ შვიდს ალაგას ნარიყალებში საერთოდ კაცნი უნდა ეყენოსთ, რეერთიცა მოუნდეს მცველად"[42].

დღეისათვის წირქოლის ციხიდან შერჩენილია ჩრდილო-დასავლეთის გალავნის კედელი სათოფურებით, ქვედა ნაწილში გალავნის შიგნითა ნაგებობა თავისი შიდა ეზოთი; აქვეა რამდენიმესართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა ვიწრო სარკმელითა და ბუხრებით; დასავლეთ ნაწილში სამსართულიანი სახლის ნანგრევია, საკმაოდ დიდი ჭა, წყალსადენის ნაშთი და სხვა. შესასვლელი ციხის აღმოსავლეთ ნაწილშია მოთავსებული. გალავანიცა და ციხეც ნაგებია ფლეთილი ქვით, ზოგან რიყის ქვაც ურევია, საცხოვრებელ ნაწილში კი აგურიცაა ნახმარი.

ციხეზე ორი სამშენებლო ფენა ჩანს. II ფენა, როგორც აღვნიშნეთ, ჰ. ზაქარაიას ვარაუდით XVIII საუკუნისაა. I ფენის ნაშთი კი იმდენად უსახურია და არაფრის მთქმელი, რომ მისი რომელიმე გარკვეული პერიოდისათვის მიკუთვნებისაგან მკვლევარმა თავი შეიკავა[43].

მაინც როდის უნდა იყოს პირვანდელი წირქვლის ციხე აგებული? ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი ციხის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე X ს. 70-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ციხის მახლობლად VIII ს. ქართული არქიტექტურის შედევრის ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ციხეც ტაძრის თანადროულია (VIII საუკუნისა), თუ უფრო ადრეული არა, და რომ ასეთი მნიშვნელოვანი ტაძარი სწორედ წირქვალელების ძლიერი ფეოდალური სახლის მამულში აიგო[44].

საყურადღებოა ციხის გალავანში რელიეფური მორთულობის სამი ფრაგმენტის აღმოჩენის ფაქტი. რელიეფი შესწავლილია აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ. მეცნიერი წირქოლის რელიეფს, მხატვრულ-სტილისტური ანალიზით, ქართული ხელოვნების განვითარების ძველ ხანას აკუთვნებს[45].

სოფლის გარეპირას, მდინარე ქსნის მარჯვენა ნაპირზე დაკიდებულ კლდეზე მცირე ზომის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია დგას[46]. ხალხი მას „თეთრ გიორგის" ეძახის (სურ. 2). იგი რიყის ქვითაა ნაგები და გარედან შელესილია. შელესილობაზე გამოყვანილია რელიეფური ჯვრები (დასავლეთის ფასადზე). ეკლესიას დასავლეთ კედზე აგურის სამრეკლო გვიანი ხანისა. გარედან, დასავლეთის ფასადზე ნიშია მიშენებული. შერჩენილია გვიანი ხანის იკონოსტასის ფერწერული ტილოს ფრაგმენტი ჯვარცმით. მასზე ქართული წარწერებია. აფსიდაში, ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში იკით-

---

[41] ბატონიშვილი ვასუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 516; დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 322. პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ქ. ცხ. II, ტფ., 1851, დ. ჩუბინოვის გამოცემა, გვ. 347, 362, 363 და ა. შ.

[42] საქართველოს სიძველენი, ტ. I, ტფ., 1920, გვ. 205-206; ჰ. ზაქარაია, დასახ. ნაშრ., გვ. 187-188.

[43] ჰ. ზაქარაია, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

[44] ს. მაკალათია წირქვლის ციხის აგების თარიღად VIII–IX სს. ასახელებს სათანადო არგუმენტაციის გარეშე. ის. მისი, ქსნის ხეობა, თბ., 1968, გვ. 12.

[45] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფ., 1936, გვ. 207-208.

[46] ეკლესიის აღწერილობა მოცემული აქვს ვ. ლუნაშვილს დასახ. ნაშრომში, გვ. 115, 146.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 2. წმ. გიორგის ეკლესია („თეთრი გიორგი").

ხება: „წმიდაო გიორგი შეიწყალე ჭურული"[47]. ჭურულების წარწერა ზედა VIII ს. ეკლესიაშიც არის. აქ მოხსენიებულია დემეტრე ჭურული. ჭურულები ქსნის ერისთავების ახნაურები იყვნენ[48]. შემორჩენილია XIV ს. ჭურულების სასისხლო სიგელი. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილს იგი ნატყუარ საბუთად მიაჩნდა[49]. მაგრამ, როგორც შემდეგ ჯ. ოდიშელმა გამოარკვია, მეცხიერის ეს დასკვნა გამოწვეული იყო საბუთის გამომცემლების თ. ჟორდანიასა და ექვთ. თაყაიშვილის მიერ დედნის არასწორი წაკითხვით, და დაამტკიცა მისი უტყუარობა[50]. ამ სიგელის მიხედვით ჩანს, რომ ჭურულები საკმაოდ ძლიერი ახნაურები არიან. მათი სისხლი დიდ თანხად არის შეფასებული, აქვთ ციხე, სასახლე, ჰყავთ ჯოგი, ნახირი, ფლობენ ვენახებს, ხოდაბუნებს და სხვა. შერჩენილია გალავნის ნაწილი და გალავნის შიგნით გრძელი ოთხკუთხა სათავსოს ნაშთი. გარეთ სასახლარები და მარანია, ზემოდან აგდია დიდი ზომის სარტყლებიანი ქვევრი. გ. ჯალაბაძეს ადგილზე ათამდე ნაქვევრალი დაუთვლია[51]. მარანი ღია ცის ქვეშ ყოფილა მოთავსებული.

წირქვალელების მეხსიერებას შემოუნახავს ტოპონიმი „ხატის ვენახი", რომლითაც ისინი ეკლესიის ზევით მდებარე ხილის ბაღების ტერიტორიას აღნიშ-

[47] წარწერას პირველად ჭურადღება მიაქცია ალევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. მანვე მიაგნო ჭურულების ანალოგიურ წარწერას სოფ. ჩიტიანშიც 1984 წ. იხ. მასზე ლიტ. აფ ხ ა ზ ა ვ ა , ალევის ექსპედიცია გრძელდება, გაზ. „ლენინელი", 1984 წ. 20 სექტემბერი; გ . ო თ ხ მ ე ზ უ რ ი , 'შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებულში „ოსთა საკითხი". თბ., 1996, გვ. 149; ვ . დ ე ს ა შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

[48] დ . გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 239.

[49] ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1926, გვ. 185.

[50] ჯ . ო დ ი შ ე ლ ი . დასახ. ნაშრ., გვ. 216-217.

[51] გ . ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე , მევენახეობა-მეღვინეობა ქსნის ხეობაში, საქ. სახ. მუზ. მოამბე, XXX-B, თბ., 1974, გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავდნენ. გ. ჯალაბაძის მიერ წირქოლში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სოფელს „თეთრი გიორგის“ სახელზე ოთხი ნაჭერი ვენახი გააჩნდა, რომელიც ორ დღიურს შეადგენდა. ამ ვენახის მოვლა-პატრონობას ხელმძღვანელობდა ორი მნათე, რომელთაც სოფელი მთელი წლით ირჩევდა. ვენახის სამუშაოზე მათი ხელმძღვანელობით მთელი სოფელი ღებულობდა მონაწილეობას. გასხვლა, დაბარვა, სარის შედგმა, შეყელვა, მოკრეფა, დაწურვა, ტკბილის ქვევრებში ჩასხმა ყველას საქმე იყო[52].

ვფიქრობთ, აღნიშნულ ეკლესიასთან და „ხატის ვენახთან“ უნდა იყოს დაკავშირებული ლომისის წმ. გიორგის ეკლესია, თუ რა გარემოების გამო, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

როგორც ცნობილია, ქსნის ხეობის მცხოვრებლების ერთ-ერთ მთავარ სალოცავს ლომისის წმ. გიორგის ეკლესია წარმოადგენს. ივი ქსნისა და არაგვის ხეობების წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს. ვახუშტი ბაგრატიონი მის შესახებ წერს: „მთის თხემსა ზედა არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლომისა (და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე), არამედ უგუმბათო არს. არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი დახიზნულობით. უჭურეტს სამჴრით კსანსა, ჩრდილოეთ მთიულეთს“[53]. ამ ადგილას, როგორც ჯ. გვასალია ვარაუდობს, მთვარის სალოცავი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქრისტიანული ტაძრის აშენების შემდეგ წმ. გიორგის ეკლესიად იქცა[54].

ყოველწლიურად ივნისის პირველ რიცხვებში აქ იმართება „ლომისობა“, წმ. გიორგის დღესასწაული. ძველად უამრავი მლოცველი ამოდიოდა როგორც ქსნის, ისე არაგვის ხეობიდან. იმ დროს ლომისის დეკანოზებს ერთდროულად საკმაოდ დიდი შემოსავალი უგროვდებოდათ ხოლმე. გ. ჯალაბაძემ ლომისის დეკანოზის ისე პავლიაშვილისაკან ჩაიწერა საყურადღებო ცნობა ამ შემოსავლის განაწილების შესახებ:„ მათ (დეკანოზებს - ლ. გ.) რჩებოდათ საწირავად მოყვანილი საკლავის თავ-ფეხი, ტყავი და ბეჭი, მოტანილი სასმელის გარკვეული ნაწილი. შემოსავლიდან წილს უგზავნიდნენ წირქვალელებს. წირქვალელების სარგო საწირავის ბეჭზე ვრცელდებოდა. დანარჩენს კი კომლობრივ უნაწილებდნენ როგორც პავლიაშვილებს, ისე მათ განაყარ სახლიკაცებს“[55].

რით აიხსნება წირქვალელების ესოდენ საპატიო წილი ლომისის შემოსავალში? ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მონაცემებით ეს ვერ იხსნება. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ამბავი ძველი მდგომარეობის ანარეკლს წარმოადგენს და ლომისის წმ. გიორგის ეკლესიასთან წირქვალელები რაღაცნაირად უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი.

ხომ არ იყო ზემოხსენებული „ხატის ვენახი“ ლომისის ეკლესიის ვენახი და წირქოლის ეს მინიატურული ეკლესია კი ლომისის „მეტოქი“?

როგორც ცნობილია, სამონასტრო ცენტრიდან დაშორებული სამფლობელოების მართვა ე. წ. მეტოქეების საშუალებით ხდებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „მეტოქი სამყოფი მონაცვალეა“[56]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მეტოქი მონასტრის ერთნაირი ახალშენი და განყოფილება იყო, რომელიც მთავარი, დედა მონასტრისათვის საჭირო სამეურნეო მიზნებს, მაგალითად, მიმოსვლისათვის, ვითარცა ცხაზე მდებარე და სადგომი ემსახურებოდა[57].

---

[52] გ. ჯალაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ., 45-46.

[53] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 355.

[54] ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 21, 1970, გვ. 16-17.

[55] გ. ჯალაბაძე, ქსნის ხეობის მოსახლეობა, კრებული „ქსნის ხეობა“, თბ., 1975.

[56] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 205.

[57] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, ტფ., 1929, გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დავუშვებთ, რომ წირქოლის მცირე ზომის წმ. გიორგის ეკლესია თავის ვენახითა და მარნით ლომისას მეტოქი იყო, მაშინ გასაგები გახდება წირქვალელების წილი ლომისის შემოსავალში, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ მოსაზრებას ისიც ამაგრებს, ხომ „ხატის ვენახის" მოვლა-პატრონობა ევალებოდა არა კონკრეტულ, ცალკეულ პირებს, არამედ ზოგადად წირქვალელებს.

სოფლის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას „ფიცხელაურების კოშკი" წარმოადგენს. ფიცხელაურები ქსნის ერისთავების ახნაურები იყვნენ. ადმინისტრაციული მმართველობის მხრივ საერისთავო დაყოფილი იყო სამოურავოებად[58]. ერთ-ერთ ასეთ სამოურავოს წირქოლი წარმოადგენდა. ჩვეულებრივად მოურავად ახნაური ინიშნებოდა ხოლმე, თუმცა იყო გამონაკლისიც, ქარჩოხის, ჭურთისა და ცხრაძმის გარეშემოს მოურავებად გლეხები იყვნენ[59]. წირქოლის მოურავებად XVIII ს. II ნახევარში ფიცხელაურების ერთ-ერთი შტო, კერძოდ თექთუმან ფიცხელაური და მისი შთამომავლები იყვნენ. მათ არა მარტო მოურავის სახელო, არამედ ქსნის ბოქაულთუხუცესობაც ჰქონდათ. როგორც შ. ხანთაძემ გამოიკვლია, ფიცხელაურებს ეს თანამდებობანი უნდა მიეღოთ XVIII ს. 40-იან წლებში თეიმურაზ II-გან. ეს მოხდა 1747 წლამდე. ქსნის ხეობა თეიმურაზმა დაიპყრო და სამი წელი განაგებდა მას. როგორც ჩანს, ახნაურ ფიცხელაურებს ქსნის ერისთავების აჯანყების დროს მეფის მხარე დაუჭერიათ[60].

ერეკლე II-ის მიერ ქსნის საერისთავოს გაუქმებამ ფიცხელაურები მეფის ახნაურებად აქცია. აქედან იწყება მათი აღზევება და ეკონომიკური გაძლიერება. 1778 წ. გიორგი ბატონიშვილისაგან ბოქაულთუხუცესი ზურაბ ფიცხელაური წყალობად იღებს ჭურთის ხევისა და წირქოლის მოურავობას[61]. მოხელეობის წყალობით ახნაურის შემოსავალი უფრო იზრდებოდა. ერთგული სამსახურისათვის ისინი დროდადრო პატრონისაგან წყალობის სახით ყმა-მამულს იღებდნენ. 1791 და 1793 წწ. გიორგი ბატონიშვილს ზურაბ ფიცხელაურისათვის უწყალობებია წირქოლში ხოდაბუნი და ყმა-მამული[62]. ამით აიხსნება, რომ ფიცხელაურებს შორის ის ოჯახები არიან დიწისაურებულნი, რომელთაც რაიმე თანამდებობა უკავიათ, კერძოდ, ავთანდილ და თექთუმან ფიცხელაურების ოჯახები და მათი მემკვიდრეები[63].

წირქოლში დღესაც ერთ-ერთ უბანს „ფიცხელაანთ უბანი" ჰქვია. დღეს იქ მხოლოდ ორი კომლი ცხოვრობს. გამორჩეული სოციალური მდგომარეობის მქონე ფიცხელაურებს საცხოვრებელი ადგილიც შესაფერისი შეურჩევიათ, იგი სოფლის განაპირასაა, მოგრძო სერის მწვერვალზე და თითქოს დომინირებს მთელ სოფელზე. როგორც ცნობილია, ყოველი ფეოდალი მსხვილი იყო თუ წვრილი, პირველ რიგში ციხეს აშენებდა. ეს არა მარტო პრაქტიკული საჭიროებით იყო ნაკარნახევი, ე. ი. თავდაცვის აუცილებლობით, მას სიმბოლოს მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ახნაურს „გვართან და ჩამომავლობასთან" ერთად უნდა ჰქონოდა „სიმაგრე რაიმე მთათა ან ბართა და დაბნებნი", თუ არა „თჳნიერ ამისა არ იწოდებოდა ახნაურადო"[64]. ცხადია, ახნაურ ფიცხელაურებსაც ჰქონდათ ასეთი „სიმაგრეები". მათი კოშკები დღესაც დგას სოფ. იკოთსა და წირქოლში.

წირქოლის კოშკი გარედან მრგვალია, შიგნით კი კვადრატული დარბაზია ცილინდრული თაღით. თაღი, ნიშები და ბუხარი აგურითაა ნაშენი. სხვაგან კი ფლეთილი ქვაა გამოყენებული. სათოფურები ცალფაა და მხოლოდ სამხრეთით და დასავლეთით არის

[58] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 275-276.

[59] იქვე.

[60] შ. ხანთაძე, სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში, საქ. სახ. მუზ. მოამბე, XX-B, 1959, გვ. 149-150.

[61] ე. თაყაიშვილი, ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწ., გვ., 23-24.

[62] სცსა, ფონდი 1450, საქმე 24-104; ფ. 229, დავთ. 34, საბ. 104, 106, 112, 115.

[63] შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

[64] ქ. ცხ~ა, IV, თბ., 1973. გვ. 17-18.



სოფ. წირქოლის სიტუაციური გეგმა
ციფრებით აღნიშნულია სოფლის უბნები
ისრები მიმართულია ამ უბნების სასაფლაოებისაკენ.

წირქოლი
1. მორბედაანი
2. თათრიანი
3. ჯამბუანი
4. ხრიკულები
5. ფიცხელაანი
6. მეგრელიანი
7. ძერყორაანი
8. ზეუბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართული. კარი აღმოსავლეთით არის. სამხრეთ კედელში მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა დატანებული. დასავლეთით კედლის ცენტრში ბუხარია თაღით.

მეორე სართულზეც ნიშებიანი და სარკმლებიანი ოთახია. საბრძოლო თაღი აღარ არსებობს. ოთახი აქაც კვადრატულია და ბუხრიანი [65].

კოშკი გვიანი ხანისაა, ვფიქრობთ, XVIII საუკუნისა, აგებული უნდა იყოს ახნაური ფიცხელაურების მიერ წირქოლის მოურავის სახელოს მიღების შემდეგ. კოშკს აქვს XVIII ს. ამ ტიპის ნაგებობისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ნიშანი[66]. კოშკი მრგვალია, ოთახების გეგმა კი კვადრატული, საშენი მასალა ძირითადად რიყის ქვაა, აგური მხოლოდ დეკორისათვის გამოიყენება, სართულშუა გადახურვა კამაროვანია. კოშკი საცხოვრებელია, რაზეც ოთახების კვადრატული ფორმა, ბუხრების, ნიშებისა და სარკმლების არსებობა და მათი აგურით გაფორმება, მუდმივი კიბე, კამაროვანი გადახურვა და სხვ. მიუთითებს. ვერტიკალური გეგმარების პრინციპი კი ფეოდალური სახოგადოებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თავდაცვის საჭიროებით იყო ნაკარნახევი[67].

ანალოგიური კოშკი სოფ. იკოთში ახნაურ ფიცხელაურებს ეკუთვნოდათ. მსგავსი საცხოვრებელი კოშკი სოფ. ხეითში (ცხინვალის მახლობლად) შეისწავლა ვ. ცინცაძემ და დაათარიღა XVII-XVIII სს. მიჯნით[68].

კოშკის გარშემო ფიცხელაურების სასაფლაოა. მის მახლობლად წმ. მარინეს ეკლესია დგას. იგი დარბაზულია, საკმაოდ მოზრდილი (გარეთა ზომებია: 8X13), ნაგებია აგურითა და ფლეთილი ქვით. კუთხეები, თაღები, ორნამენტაცია (ჯვარი) აგურისაა. აგურითვეა ნიველირებული (ორ-ორი აგურის ზოლით) ქვის წყობა. სამხრეთის ფასადი სამი ოთხკუთხა ნიშითაა შემკული (აშკარად წირქოლის ძველი, VIII ს. ეკლესიის მიბაძვით). დასავლეთის ფასადზე, კარის თავზე, აგურით გამოყვანილი დიდი ჯვარია, შესასვლელები სამხრეთიდან და დასავლეთიდან ჰქონია. დასავლეთის კედზე სამრეკლო-ფანჩატური დგას ზარით. ეკლესია XVIII ს. უნდა იყოს. ჰქონია მოხატული იკონოსტასი ქართული წარწერებით, იგი დაუშლიათ და საწყობის ფიცრებად გამოუყენებიათ. წმ. მარინეს ეკლესიაც საწყობადაა ნახმარი.

სოფლის თავზე, ტყეში, წმ. გიორგის მეორე ეკლესიის ნანგრევია. იგი დარბაზული ტიპისაა სამხრეთის მინაშენით. დასავლეთიდან მიდგმული აქვს სათავსო ფართო თაღიანი კარით. ეკლესიის აფსიდა ნახევარწრიულია საკურთხეველში სარკმლით. ჭრაპეზი კედელთან არის მიდგმული. ჩრდილოეთ კედელში ნიშია. წინ წამოწეულია არდაბაგი. ეკლესია ნაგებია კლდის ქვით. სატრიუმფო თაღი შირიმისაა. აღმოსავლეთ სარკმელს მთლიან შირიმის ქვაში ამოკვეთილი სათაური აქვს. ასეთივეა სამხრეთის სარკმელიც, რომელიც მთლიანად შირიმისაა. შელესილობა ორფერიანია, გარეთა შელესილობაში აგურის ნაფხვენია შერეული და გაპრიალებულია. ბათქაშზე ასომთავრული, ნუსხური და მხედრული გრაფიტოების ნაწყვეტები შეიმჩნევა. შელესილობაზე დასავლეთის კედელზე გარედან წითელი საღებავის კვალი ჩანს. გალავანი ოთხკუთხაა, შესასვლელი სამხრეთიდანაა და დიდი ფილით ყოფილა გადახურული. გალავნის გასწვრივ სათავსოებია. მის სამხრეთ კედელთან, ეზოში, პატარა ოთხკუთხა შენობის ნანგრევია. ეკლესიის გარედან, კარის მარცხნივ მიყუდებულია შირიმის მართკუთხა ქვა ამოკვეთილი ჯვრით. გალავნის ჭიშაში მუხა დგას, რომელზედაც მიჭედებულია ირმის, ცხვრის, ხარის რქები. გალავნის გარეთ კი ნამოსახლარი ჩანს.

---

[65] კოშკის ძალიან მოკლე აღწერილობა აქვს ს. მაკალათიას დასახ. ნაშრ.-ში, გვ.69; იხ., აგრეთვე, ვ. ღუნაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 150.

[66] ვ. ბერიძე, XVI-XVIII სს. ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ. 1983, გვ. 94, 109-110.

[67] ვ. ცინცაძე, საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დასასიათებისათვის საქართველოში (კოშკი სოფელ ხეითში), ქართული ხელოვნება, IV, 1955, გვ. 249.

[68] იქვე, გვ. 259.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Л. Д. ГВРИТИШВИЛИ

К ИЗУЧЕНИЮ ИСТОРИИ СЕЛА ЦИРКОЛИ

Резюме

Среди сел Ксанского ущелья Цирколи выделяется своим интересным историческим прошлым, значительными культовыми и фортификационными памятниками. Село расположено на правом берегу р. Ксани, между Ахалгори и Коринта.

По археологическим данным, территория заселена с древнейших времен. Здесь найдены материалы палеолитического, Куро-Аракского, позднебронзового, античного, раннефеодального времен. Письменные источники о Цирколи имеются с IX века. Во время борьбы за первенство между грузинскими царствами и княжествами Циркольская крепость, как важнейший стратегический пункт, переходила из рук в руки. Крепостью владели то Картлийские эрисмтавари, то Абхазские цари, то Кахетинские правители. В поздние века Цирколи переходит во владение Ксанских эриставов.

Немыми свидетелями древней истории села Цирколи являются архитектурные памятники: церкви св. Богородицы (VIII в.) и св. Георгия, крепость, „башня Пицхелауров" и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა გოგიბერიძე

ეგვიპტური ფაიანსის ამულეტები დედოფლის გორიდან

ნამოსახლარი ბორცვი დედოფლის გორა* (არადეთის ორგორა, სოფ. დოღლაური, ქარელის რ-ნი) მრავალფენიანი ძეგლია სხვადასხვა დროის მძლავრი კულტურული ფენებით. ანტიკური ფენა აქ წარმოდგენილია სასახლის ნანგრევებით, რომლის თავდაპირველი ფართობი 3000კვ. მ-ს აღემატებოდა. სადღეისოდ არქეოლოგიურად შესწავლილია მთელი კომპლექსის ერთი მეოთხედი ნაწილი. სასახლე დანგრეულია ძლიერი ხანძრის შედეგად. ზედა სართულების ნანგრევებმა გადაფარა და დააკონსერვა ქვედა სართულის ნანგრევები მთელი თავისი შიგთავსით. ავეჯი, ჭურჭელი, შრომისა და საბრძოლო იარაღები, სამკაული და სხვა ნივთები გაბნეულია სათავსოების იატაკზე, დერეფანში და შიდა ჭოში.

ამ ძეგლის მკვლევარის ი. გაგოშიძის აზრით, სასახლის შენება დაწყებულია ძვ. წ. I ს-ში, ხოლო მისი დანგრევის თარიღი ჩვ. წ. I ს-ის ბოლოს ემთხვევა[1].

1986 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი; ხელმძღ. ი. გაგოშიძე) დედოფლის გორაზე №1 ოთახის (კოშკი) ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში და ამავე შენობის ზღურბლთან მისი გარე კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სხვადასხვა სახის მრავალრიცხოვან სამკაულებს შორის დადასტურდა ე. წ. ეგვიპტური პასტის (ფაიანსის) ფიგურული საკიდები სკარაბეის, კუს, ბუზების, ყურძნის მტევნებისა და სხვა გამოსახულებებით. ამგვარი ნივთები უძველესი ხანიდანაა ცნობილი და ფართოდაა გავრცელებული მთელს ანტიკურ სამყაროში, სადღეისოდ ისინი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ეგვიპტური ფაიანსის ტექნოლოგიის, ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიის საკითხებს მიეძღვნა მთელი რიგი სპეციალური გამოკვლევებისა. მათ შესწავლას საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ნ. ფლიტნერის[2], ვ. მ. ფლ. პეტრის[3], ა. ლუკასის[4], ბ. ტურაევის[5], ნ. კაჩალოვის[6], კ. კოლობოვას[7], ბ. პიოტროვსკის[8], უ. ნობლის[9], ა. კოროვინას[10] და სხვათა

---

* დედოფლის გორის სახელით იხსენიება არადეთის ორგორის დასავლეთი გორა (იხ. ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., ვვ. 48).

[1] ი. გაგოშიძე; მ. წოწელია; არამეულწარწერებიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან; ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991 წ. გვ. 48; 72-73, სქოლიო 4.

[2] Флиттнер Н. Д., Стекольно-керамические мастерские Тель-Амарны, ЕБИИИ, Т. I, 1922.

[3] Petrie W. M. Fl., The Arts and Crafts of Ancient Egypt, London, 1923.

[4] Лукас А., Материалы и ремесленные производства Древнего Египта., М., 1958.

[5] Тураев Б. А., Скарабеи из Березани, ИАК, 40, 1911.

[6] Качалов И., Стекло, М., 1959.

[7] Колобова А. К., Греки в Египте, УЗЛГУ, 14, 1949.

[8] Пиотровский Б. Б., Древнеегипетские предметы, найденные на территории Советского Союза, СА, I, 1972.

[9] Noble S. V., The Technique of Egyptian Faiense, ASA, v. 73, N4; 1969.

[10] Коровина А. К., Фаянсовые подвески из некрополей Тирамбы и Фанагории, ВДИ, I, 1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომებში. ე. ალექსეევამ ამ ნივთების ჩრდილოეთ შავიზღვისპირულ ეგზემპლარებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა[11].

ფაიანსის ფიგურული საკიდების დამზადების ტრადიცია, მკვლევართა აზრით, დინასტიამდელი პერიოდიდან მომდინარეობს. მათ შორის საკმაოდ თავისებურად გამოიყურება ანტიკური ხანის ნაკეთობანი. ადრეული ნიმუშებისაგან ისინი საგრძნობლად განსხვავდება მთელი რიგი ნიშნებით, როგორც ტექნოლოგიის (ნაკლები მინისებურება, შეფერილობა, ზოგჯერ უფრო დეტალური დამუშავება), ისე სტილის მხრივ.

სახელწოდება „ეგვიპტური" პირობითია, რადგან სადღეისოდ ამ ნივთების დამზადების ანტიკური ხანის ცენტრები საბოლოოდ არაა დადგენილი. მკვლევართა აზრით, ძვ. წ. VI ს-ში მათი ძირითადი მწარმოებელი ნავკრატისი იყო. ცნობილია აგრეთვე ცენტრები, სადაც ამ ნივთების მინაბაძები მზადდებოდა (ესპანეთი)[12].

ფ. პეტრის მიერ ნავკრატისში გაითხარა სახელოსნო, რომელშიც მზადდებოდა საკიდები ბესის, ლომების, სკარაბეების გამოსახულებებით[13]. ძვ. წ. VI ს.-ში ნავკრატისის სახელოსნოები წყვეტს თავის არსებობას. ძვ. წ. III ს.-დან შევიზღვისპირეთში კვლავ იჩენს თავს ფაიანსის საკიდების ცალკეული ნიმუშები, ხოლო ძვ. წ. I – ჩვ. წ. II სს. ამ ნივთების ფართოდ გავრცელების ხანადაა მიჩნეული. ამასთან, არსებითი განსხვავება გვიანელინისტური და რომაული ხანის მასალებს შორის არ შეიმჩნევა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ე. წ. ეგვიპტური ნაწარმი მინგეჩაურში სირიული და ფინიკიური სახელოსნოებიდანაა შემოტანილი და ამიერკავკასიის სირიასთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების პირობებში იგი საქართველოშიც ამავე ცენტრიდან ვრცელდებოდა[14]. ე. ალექსეევა, აღნიშნავს რა მინის წარმოების ფართოდ გავრცელებას მთელს ანტიკურ სამყაროში, ამულეტების მწარმოებელ ცენტრად მაინც ეგვიპტეს მიიჩნევს მათი ტრადიციული ფორმების, იეროგლიფებისა და წმინდა ეგვიპტური სიუჟეტებიდან გამომდინარე[15]. ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, მით უფრო, რომ დედოფლის გორაზე, №1 ოთახში, სადაც ამულეტებია დადასტურებული, აღმოჩნდა პოლიქრომული შავ-თეთრი მძივები, რომლებიც ასევე ეგვიპტურ ნაწარმადაა მიჩნეული[16].

რაც შეეხება ეგვიპტური ამულეტების ქართლის სამეფოში შემოსვლის გზებს, არსებობს აზრი, რომ ეგვიპტური ფაიანსის გავრცელებაში მთავარ როლს ასრულებდა სინოპე და სწორედ აქედან ხდებოდა მათი ექსპორტირება როგორც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, საიდანაც ისინი ვრცელდებოდა ჩრდილო კავკასიაში, ისე საქართველოს შავიზღვისპირეთის გზით ამიერკავკასიაში[17].

სინოპეს როლი საშუალავლო ვაჭრობაში რომაული სამყაროსა და შავიზღვისპირეთის ქვეყნებს შორის უდავოა. არსებობს მრავალი მტკიცება ამიერკავკასიის სინოპესთან უშუალო კონტაქტებისა, რომლებიც ხორციელდებოდა, როგორც სახღვაო, ისე სახმელეთო გზებით, ტავრისის უღელტეხილების გავლით[18].

ამ მხრივ საყურადღებოდ გამოიყურება ის ფაქტი, რომ დედოფლის გორაზე ეგვიპტური ფაიანსის ამულეტები ნაპოვნია მძივებთან ერთად, რომელთაგანაც ზოგიერთს არ ეძებნება ანალოგები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (მაგ., ფაიანსის ორმაგი მოკლეცილინდრული მძივები, ოქროფენილი ორმაგი კოპებიანი მძივები, პოლიქრომული მინისა და ქვის მძივების ზოგიერთი სახეობა).

---

[11] Алексеева Е. М., Античные бусы Северного Причерноморья, АС., Г1-12, М., 1975.

[12] Алексеева, დასახ. ნაშრომი, 1975, გვ. 24.

[13] Petrie W. M. Fl. 1894; გვ. 25-31.

[14] ნ. მირიანაშვილი, 1983; გვ. 79.

[15] Е. М. Алексеева, 1975, გვ. 25.

[16] T. E. Haevernick, Baiträge zur Glasforschung. Mainz am Rhein, 1981. გვ. 21.

[17] Б. Б. Пиотровский, 1972, გვ. 28-29.

[18] Максимова, 1956, с. 77; Ю. М. Гагошидзе, 1979, გვ. 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით, ვფიქრობთ, უნდა გამოირიცხოს ჩრდილოეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ, მით უფრო, რომ ეგვიპტური ამულეტები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში არ ჩანს. ეგვიპტური ცისფერი მძივების ბრისჯაოს, ადრეკიკინის და აქემენიდური ხანის თრიალეთურ კომპლექსებში აღმოჩენის ფაქტები[19] კი იმას უნდა მოწმობდეს, რომ არსებობდა ტრადიციული სამხელეთო გზები, რომლებიც, როგორც წესი, ათასწლეულების მანძილზე ფუნქციონირებს. ვფიქრობთ, ამ ნივთების შემოტანა ივერიაში ხდებოდა უშუალოდ ეგვიპტიდან სირიის გავლით, მით უფრო, რომ სწორედ ამ გზით შემოდიოდა აქ მინის ჭურჭლისა[20] და გემების[21] გარკვეული ჯგუფები.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დედოფლის გორის საკიდების აღწერისას ვერ ვითვალისწინებთ მასალის ფაქტურას, ასევე პირობითია ფერიც, რადგან ნივთებმა განიცადეს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედება და ამიტომ ხშირად დეფორმირებულია, შედუღებული და სახეშეცვლილი.

ეგვიპტური ფაიანსის საკიდების სიუჟეტებში ფართოდაა გავრცელებული ჯუჯა ღვთაებების გამოსახულებანი, ასე მაგალითად, ბესის გამოსახულებები, რომელთაც ე. ბუჯი ცენტრალური აფრიკის კულტებს უკავშირებს და მისი ეგვიპტეში შეღწევის ხანად დინასტიამდელ პერიოდს ასახელებს. სხვა მკვლევართა აზრით, ეს წმინდა ეგვიპტური მოვლენაა და ადგილობრივ წარმოდგენებს უკავშირდება. სხვადასხვა პერიოდში ეს კეთილი დემონები ითვლებოდა ოჯახის, ბავშვების, ქალების, ოჯახური ცხოვრების მფარველებად. ჩვეულებრივ მათ პოულობენ ქალის ნაკუჭლობასთან და საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად, აგრეთვე ხშირია ბავშვების სამარხებში მათი აღმოჩენის ფაქტები[22].

ამ ჯგუფის ღვთაებებს მიეკუთვნება პათეკიც. დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ამგვარი ფიგურა თავმოტეხილია, მაგრამ ტიპოლოგიურად იგი უახლოვდება სწორედ იმ დემონის გამოსახულებას, რომელიც ე. ალექსეევას კლასიფიკაციის 37-ე ტიპში თავსდება. ამგვარი საკიდები დადასტურებულია ხერსონესის, პასტიკაპეის, ტანაისის, ბოსფორის, ოლვიის მასალებში და მომდინარეობს ჩვ. წ. I-III სს. კომპლექსებიდან[23].

სკარაბეი ამ რიგის ნივთების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია. მისი გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ დიდია. მათ შორის გაირჩევა სადა და რთული გამოსახულებანი, ასევე სხვადასხვა სირთულის გამოსახულებები სადგარის ქვედა მხარეს. ე. ალექსეევას დაკვირვებით, რთული გამოსახულებები დამახასიათებელია მისი კლასიფიკაციის პირველი ვარიანტის ადრეული და მეორე ვარიანტის ნიმუშებისათვის. დედოფლის გორის ეგზემპლარი სადადაა დახაზვრებული, ამ ნიშნით იგი თავსდება ე. ალექსეევის კლასიფიკაციის 01 ვარიანტში, ყველაზე დიდ მსგავსებას აკლესს ამავე კლასიფიკაციის 48-ე ტიპთან, რომლის გამოხატულება ასევე სადაა, ხოლო უკანა მხარეზე მოთავსებული ანაბეჭდი კი რთული. ალექსეევას მიერ განხილული ნივთები პანტიკაპეიდან და ოლბიიდან, რომლებიც მეტ-ნაკლებად ესადაგება დედოფლის გორის ეგზემპლარს, თავსდება ძვ. წ. I – ჩვ. წ. I სს. ფარგლებში[24].

საქართველოს ტერიტორიაზე სკარაბეების აღმოჩენის ფაქტები დადასტურებულია სამთავრის №№ 30, 135 და 177 სამარხებში, რომელთა თარიღი ზოგადად ჩვ. წ. I-III სს. განსაზღვრული[25].

---

[19] Куфтин Б. А., 1941, табл. XXXII, XXII, გვ. 100.

[20] ვ. საგინაშვილი, 1970; გვ. 6-7.

[21] ქ. ჯავახიშვილი, 1972; გვ. 20.

[22] Алексеева Е. М. დასახ. ნაშრომი, 1975, გვ. 38.

[23] იქვე გვ. 39.

[24] Алексеева Е. М., 1975, დასახ. ნაშრომი, გვ. 41-42, ტაბ.9. 18.

[25] Иващенко М. М., Самтаврские погребения первых трех веков н. э. Мцхета, III, Тбилиси, 1980, გვ. 136.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკარაბეები (5ც.) გამოვლენილია ადაიანში, რიყიანების ველის სამაროვნის №10 სამარხში (ჩვ. წ. I-ს.-ის II ნახ) [26¹], ასევე ურბნისის სამაროვნის სამ. № 218 (ჩვ. წ.-ის I ს.-ის II ნახ.)[26²]; კავთისხევში, საყარაულო ხერის № 7 სამარხში (9ც.) სამაროვნის თარიღი ზოგადად განსაზღვრულია ძვ. წ. I – ჩვ. წ. I სს.-ით[26³].

ბ ე ს ი ს გამოსახულებიანი საკიდი დედოფლის გორაზე სამია დადასტურებული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბესი წარმოადგენს XVIII დინასტიის ნიშანს – სისწრაფისა და მოქმედების სიმბოლოს[27]. ჩრდილოშავიზღვისპირულ შესაბამის მასალებში ე. ალექსეევა ორ ტიპს გამოჰყოფს[28]. დედოფლის გორაზე ორივე ეს ტიპია წარმოდგენილი – 01 ა ვარიანტისას შეესაბამება ჩვენი აღწერილობის №3 და №4, 02 ბ ვარიანტისას – №5. ეს უკანასკნელი, ჩრდილოზღვისპირული ანალოგიებისაგან განსხვავებით, მოშავო ფერისაა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დედოფლის გორის ნივთების ფაქტურასა და ფერზე მსჯელობა ძნელია. შესაბამისი კომპლექსების საფუძველზე ე. ალექსეევა 01 ა ვარიანტის გამოსახულებას ძვ. წ. I ს-ით, ხოლო 02 ბ ვარიანტისა – ჩვ. წ. I-ს.-ით ათარიღებს[29].

დედოფლის გორაზე დადასტურებული საკიდი კუს გამოსახულებით დიდ მსგავსებას ავლენს ალექსეევას კლასიფიკაციის მე-60 ტიპის 02 ბ ვარიანტთან, რომელთა შემცველი კომპლექსების თარიღი განსაზღვრულია ძვ. წ. I ს-ის ბოლოთი და ჩვ. წ. I ს. [30].

გ ე ნ ი ტ ა ლ ი ე ბ ი ს გამოსახულებიანი საკიდები ჩრდ. შავიზღვისპირეთის შესაბამისი კომპლექსების მიხედვით დათარიღებულია ძვ. წ. I ს.-ის ბოლოსა და ჩვ. წ. II ს. ფარგლებში[31]. საქართველოს ტერიტორიაზე ისინი აღმოჩენილია ადაიანში, რიყიანების ველის სამაროვნის სამ. №10 (ჩვ. წ. I ს.-ის II ნახ.)[32], ურბნისის სამაროვნის სამ. №218 (ჩვ. წ. I ს.-ის II ნახ.[33]) მცხეთაში, სვეტიცხოველი V, № 40 სამარხში. სამაროვანი გვიანანტიკური ხანითაა დათარიღებული[34], მახგლისში, ვესენგოფის მიერ გათხრილ კომპლექსში, რომლის ქვედა თარიღი განსაზღვრულია არა უადრეს ძვ. წ. I ს-ისა[35].

ყ უ რ ძ ნ ი ს მ ტ ე ვ ნ ი ს გამოსახულებებში ე. ალექსეევა ორ ვარიანტს არჩევს – ცალმტევნიანსა და სამმტევნიანს. დედოფლის გორაზე ამ რიგის ნივთების ორივე ვარიანტი დადასტურდა. ე. ალექსეევას კლასიფიკაციის 76-ე ტიპის 01 ა ვარიანტს შეესაბამება ჩვენი აღწერილობის№8 და 9, ხოლო 02 ბ ვარიანტს – №10. პირველი ვარიანტის ქრონოლოგიური ჩარჩოები საკმაოდ ფართოა – ძვ. წ. III ს.-დან ჩვენი წ. III ს. დასაწყისამდე. თუმცა შესაბამისი კომპლექსების უმრავლესობა ჩვ. წ. I ს.-ითაა დათარიღებული, მეორე ვარიანტის თარიღის ზუსტად განსაზღვრა ვერ ხერხდება. ავტორის აზრით, ისინი ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში უს-

---

[26¹] ნ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1983; გვ. 78, ტაბ. III.

[26²] ქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ურბნისის საქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972, გვ. 83, სურ. 14.

[26³] გ. ჯ ი ნ ჯ ი ხ ა შ ვ ი ლ ი, ძვ. წ. I-ჩვ. წ. I სს.-ის ქვევრსამარხები საყარაულო ხერიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, 1980, გვ. 58, ტაბ. XIV, 1.

[27] А л е к с е е в а Е. М. დასახ. ნაშრ., 1975, გვ. 43.

[28] А л е к с е е в а Е. М, დასახ. ნაშრ., 1975, გვ. 43.

[29] А л е к с е е в а Е. М, დასახ. ნაშრ., 1975, გვ. 43.

[30] იქვე, გვ. 44.

[31] იქვე, გვ. 44.

[32] ნ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ტაბ. III.

[34] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ვ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, ა. ხ ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, თ. ბ ი ბ ი ლ უ რ ი, გ. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი, შ. ი რ ე მ ა ძ ე, გ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, ვ. ს ა დ რ ა ძ ე, ლ. ხ ე ც უ რ ი ა ნ ი, დიდი მცხეთა, 1981; საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები; მცხეთა IX, თბ., 1989, გვ. 45, 49, სურ. 303.

[35] Б. А. К у ф т и н. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, с. 28, рис.30, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავსდებოდეს[36]. საქართველოში ისინი დადასტურებულია: სამმაგი მტევანი კავთისხევში საყარაულო სერის სამაროვნის №9 ქვესამარხში; სამაროვნის თარიღი ზოგადად ძვ. წ. I და ჩვ. წ. I ს.-ის დასაწყისითაა განსაზღვრული[37]. ასევე მცხეთაში, სვეტიცხოველი V, №40 ქვაყუთში[38]; ერთმაგი მტევანი (ალექსეევას კლასიფიკაციით ვარიანტი 01 ა) – ურბნისის სამ. №195[39].

მინიატურული ამფორები დედოფლის გორიდან ახლოა ე. ალექსეევას კლასიფიკაციის 82-ე ტიპის 02 ვარიანტთან. მათი შემცველი კომპლექსების საფუძველზე ავტორი მათ ასაკს ძვ. წ. I – ჩვ. წ. IV ს- ის ფარგლებში აქცევს, თუმცა აღნიშნავს, რომ მათში I-II სს. კომპლექსები სჭარბობს[40].

ამგვარივე საკიდები დადასტურდა ადაიანში „რიყიანების“ ველზე გათხრილი №26 სამარხის ინვენტარში, რომლის თარიღი განსაზღვრულია ძვ. წ. Iს.-ის II ნახევრით[41].

ამფორიანი საკიდები ცნობილია აგრეთვე სამთავროს სამაროვნის №30 კრამიტსამარხის და № 224 ორმოსამარხის მასალებიდან[42].

მძივებისა და ამულეტების განხილვისას მ. ივაშჩენკო ეგვიპტური პასტის ამულეტებს ჩვ. წ. II ს. მეორე ნახევარს მიაკუთვნებს[43]. ამგვარივე საკიდი მომდინარეობს მოგვთაკარის სამაროვნის №6 სამარხიდან. სამაროვნის თარიღი ზოგადად I-III სს. განსაზღვრული[44].

ამგვარივე საკიდები აღმოჩნდა ადაიანში, რიყიანების ველის №10 სამარხში, რომლის თარიღი განსაზღვრულია ჩვ. წ. I ს-ის II ნახევრით[45], კლდეეთის სამაროვანზე[46], ურბნისის სამაროვანზე: სამ: №15, 152, 218, 230[47]; გარნიში ჩვ. წ. I-IIსს.-ით დათარიღებულ სამაროვანზე[48].

საკიდები ბრანწის გამოსახულებით დადასტურებულია რიყიანების ველის №10 სამარხში, რომლის თარიღი განსაზღვრულია ჩვ. წ. Iს-ის II ნახევრით[49].

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარი საკიდების ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს ძვ. წ. I ს-ის და ჩვ. წ. II სს[50].

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ე. წ. ეგვიპტური საკიდების ჩვენ მიერ განხილული ეგზემპლარების ქრონოლოგიური ნარჩოები ზოგჯერ საკმაოდ ფართოა და მოიცავს პერიოდს ძვ. წ. III ს-დან ჩვ. წ. IV ს-მდე.

დედოფლის გორის №1 ოთახში და ამავე ოთახის ზღურბლთან საკიდების ორი ჯგუფი აღმოჩნდა, ექვს-ექვსი თითო ასხმაში. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ორ კომპლექტთან და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ერთდროულად იყო შეძენილი.

---

[36] Алексеева, დასახ. ნაშრ., 1975, გვ. 46.

[37] მ. ჯინჯიხაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58, ტაბ. XV, 9.

[38] ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45, 49, სურ. 303.

[39] მ. საგინაშვილი, ურბნისის სამაროვნის მძივები, 1977, ხელნაწერი.

[40] იქვე, გვ. 34.

[41] ალ. ბოხორჩაძე, არქეოლოგიური გათხრები ადაიანსა და ძალისში, თბილისი, მეცნიერება, 1981, გვ. 34, ტაბ. XXXII, 2.

[42] Иващенко, დასახ. ნაშრ., 1980, გვ. 136.

[43] Иващенко, დასახ. ნაშრ., 1980, გვ. 142.

[44] ა. სიხარულიძე, ა. აბუთიძე, მოგვთაკარის სამაროვანი, მცხეთა VII, თბილისი, მეცნიერება, 1985, გვ. 123, სურ. 668, 694.

[45] ნ. მირიანაშვილი, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983; გვ. 33, ტაბ. III.

[46] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957; ტაბ. XVII, 1.

[47] მ. საგინაშვილი, ურბნისის მძივები (ხელნაწერი).

[48] Б. Аракелян, Результаты раскопок 1949-1950. Европа, 1952, გვ.49, ნახ.49.

[49] ნ. მირიანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 33, ტაბ. III.

[50] Е. М. Алексеева, დასახ. ნაშრ., გვ. 47, ტაბ. 7, 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჩრდილო შავიზღვისპირული, ისე ადგილობრივი ანალოგიების საფუძველზე გაირკვა, რომ ჩვენ მიერ განხილული 14 ნივთიდან ჩვ. წ. I ს. წარმოადგენს ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს ოთხი ნივთისთვის, ხოლო ორ შემთხვევაში იგი გვევლინება ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად. ორ შემთხვევაში თარიღი ჩვ. წ. I ს-ის ფარგლებს არ სცილდება. ყველა შემთხვევაში მათი თარიღები ამ ქრონოლოგიურ წერტილში იკვეთება. ამდენად, საფიქრებელია, რომ ეგვიპტური ამულეტები დედოფლის გორაზე ჩვ. წ. I ს-შია მოხვედრილი. როგორც აღვნიშნეთ, ისინი შემოტანილია უშუალოდ ეგვიპტიდან სახმელეთო გზით, ხოლო მათი აღმოჩენის ფაქტები აღმოსავლეთ საქართველოს რომაული ხანის ძეგლებზე ასახავს საქართველოს კონტაქტებს ეგვიპტესთან.

კატალოგი

ეგვიპტური ფაიანსის ამულეტები

1. **პათეკის ფიგურა** (სურ.1), მუქი ფირუზისფერი, მინისებური ზედაპირით, ჩაცუცქული ჯუჯა მკვეთრად გამოხატული ნაკვთებით, დიდი ჭიპიანი მუცლით, მუხლებზე დაწყობილი ხელებით, ერთმანეთთან მიდგმული ტერფებით, ზურგზე მოგრძო ოთხკუთხა შვერილით, გამოყოფილი მკერდის კუნთებით და დუნდულებით; თავი მოტეხილი აქვს; შერჩენილი სიმაღლეა 2,3 სმ; სიგანე – 1,8 სმ; სისქე – 0,2 სმ; აღმოჩნდა №1 ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში; ინვ. №27-977:1005.

2. **სკარაბეი** (სურ. 2), მუქი მოშაბიამნისფრო-მომწვანო; ოვალური ფორმის სადგარზე მოთავსებულია ფუნაგორია ხოჭო სადად დანაწევრებული ფრთებით, გრძივი ნახვრეტით, ქვედა სიბრტყეზე რთული გამოსახულებით – ადამიანის მსგავსი არსების თუ ღვთაების გამოსახულება, რომელსაც თავზე ორი ვერტიკალური რქისებრი შვერილი აქვს. ცალი ფეხი მუხლში მოხრილია; ზომები:1,3X1,1X0,5 სმ; აღმოჩნდა №1 ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში; ინვ. №27-977:1005.

3. **ბეჭი** (სურ.3), მომწვანო-მონაცრისფრო, რეალისტურად დანაწევრებული გამოსახულება სამკუთხა კუთხეებმომრგვალებულ სადგარზე, განივი ნახვრეტით; ზომები :1,1X0,7სმ. აღმოჩნდა №1 ოთახის ჩრდ-აღმ. კუთხეში; ინვ. №27-977:1005.

4. **ბეჭი** (სურ.4), მოცისფრო-მონაცრისფრო, გადაცვეთილი; ზომები: 1,2X0,2 სმ; აღმოჩნდა №1 ოთახის ჩრდ.-აღმ. კუთხეში; ინვ. № 27-977:1005.

5. **ბეჭი** (სურ. 5), მოშავო, პრიალა ზედაპირით, რეალისტურად დანაწევრებული გამოსახულება. განივი ნახვრეტით; ზომები:1,0X0,6X0,4 სმ. აღმოჩნდა №1 ოთახის ზღურბლის გარეთ; ინვ. №27-977:1161.

6. **კუ** (სურ.6), მუქი შაბიამნისფერი, ოვალურ სადგარზე, სადა ქედიანი ბაკნით, აწეული თავით, დახოლილი ფეხებით, გრძივი ნახვრეტით, დამწვარი, დადუღებული; ზომები:1,5X1,4X0,5 სმ; აღმოჩნდა №1 ოთახის ზღურბლის გარეთ; ინვ.№27-977:1167.

7. **გენიტალიები** (სურ. 7), მორუხო-მომწვანო, შტრიხების ორმაგი წყებით, მოოთხკუთხო დაშტრიხული ყუნწით; ზომები:1,8X1,3X0,5 სმ. აღმოჩნდა №1 ოთახის ჩრდ.-აღმ. კუთხეში; ინვ.№27-977:1005.

8. **ყურძნის მტევანი** (სურ. 8), ერთმაგი, მომწვანო-მოშაბიამნისფრო; ზომები: 1,8X1,6X0,6 სმ; აღმოჩნდა №1 ოთახის ჩრდ.-აღმ. კუთხეში; ინვ.№27-977:1005.

9. **ყურძნის მტევანი** (სურ. 10), ერთმაგი, ღია მომწვანო, ყუნწმოტეხილი, დამწვარი; ზომები: 2,2X1,2X0,6 სმ; აღმოჩნდა №1 ოთახის ზღურბლის წინ; ინვ. №27-977:1161.

1

2

3

4

5

6

7

8



9

10

11

13

12

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. **ყურძნის მტევანი** (სურ. 9), სამმაგი, მომწვანო-მოშაბიამნისფრო, მქისე შაბიამნისფერი უკანა სიბრტყით; ყუნწზე ნახვრეტით; ზომები: 1,7X1,2X0,6 სმ; აღმოჩნდა №1 ოთახის ზღურბლის წინ; ინვ. №27-977:1161.

11. **ამფორა** (სურ. 11), მომწვანო-მორუხო, კანელირებული ტანით, კოპისებრი ძირით, ბრტყელი პირით და ნახვრეტიანი ყუნწით; ზომები: 2,3X0,8 სმ; აღმოჩნდა ორი ცალი: №1 ოთახის ზღურბლის გარეთ; ინვ.№27-977:1161 და №11 ოთახის კართან იატაკზე; ჩრდ.-დას. კუთხეში; ინვ. №27-977:6058.

12. **ამფორა** (სურ. 12), მოშაბიამნისფრო-მორუხო, კანელირებული ტანით, მსხვილი კოპისებრი ძირით, ბრტყელი პირით, ყუნწმოტეხილი; შერჩენილი ზომები: 2,0X1,0 სმ; აღმოჩნდა №1 ოთახის ზღურბლის გარეთ; ინვ.№27-977:1161.

13. **ბრანწი** (სურ. 13), შაბიამნისფერი, ცეცხლში ნამყოფი; თითების ნაწილი მოტეხილია; შერჩენილი სიმაღლე 1,7; აღმოჩნდა №11 ოთახის ნანგრევში; ინვ. №27-977:6056.

ლიტერატურა

Алексеева Е. М., Античные бусы Северного Причерноморья, АС, САИ, ГI-12. М., 1975.

Алексеева Е. М., Предметы из египетского фаянса IV в.до н.э. – IV в.н.э. в Северном Причерноморье, КСИА, Вып. 130.

Аракелян Б., Результаты раскопок 1949-1950 гг. Европа, 1952.

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., ირემაძე მ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ., დიდი მცხეთა, 1981; საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები; მცხეთა, IX; თბ., 1989.

ალ. ბოხორჩაძე, არქეოლოგიური გათხრები ადაიხსა და ძალისში, თბილისი, მეცნიერება, 1981.

Гагошидзе Ю. М., Самадло, Тбилиси, 1979.

ი. გაგოშიძე, მ. წოწელია, არამყოფლწარწერიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან; ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1991.

Иващенко М. М., Самтаврские погребения первых трех веков н.э., Мцхета, III, Тбилиси, 1980.

Качалов Н., Стекло, М., 1959.

Казиев, Альбом кувшинных погребений (Археологические раскопки Мингечаура, Баку, 1960.

Колобова К. М., Греки в Египте, УЗГЛУ, 14, 1949.

Коровина А. К., Фаянсовые подвески из некрополей Тирамбы и Фанагории, ВДИ, I, 1972.

Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.

ლომთათიძე გ., კლდეთის სამაროვანი, თბ., 1957.

Лукас А., Материалы и ремесленные производства Древнего Египта, М., 1958.

მირიანაშვილი ნ., შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1983.

Haevernick T. E., Beiträge zur glasforschung; Mainz am Rhein, 1981.

Noble S. V., The Tecnique of Egyptian Faience, ASA, 1969, v\ 73; №4.

Petrie W. M. Fl. Tell-al-Amarna, London, 1894.

Petrie W. M. Fl., The Arts and Crafts of Ancient Egypt, London, 1923.

Пиотровский Б. Б., Древнеегипетские предметы, найденные на территории Советского Союза, СА, I, 1958.

საგინაშვილი მ., ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბილისი, მეცნიერება, 1970.

საგინაშვილი მ., ურბნისის მძივები (ხელნაწერი).

სიხარულიძე ა., აბუთიძე ა., მოგვიანარის სამაროვანი, მცხეთა, VI, თბილისი, მეცნიერება, 1985.

Тураев Б. А., Скарабеи из Березани, ИАК, 40, 1911.

Флиттнер Н. Д., Стекольно-керамические мастерские Тель-Амарны, ЕРИИИ, I, 1922.

ჯავახიშვილი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972.

ჯინჯიხაშვილი გ., ძვ.წ. I – ჩვ.წ. V სს-ის ქვესამარხები საყარაულო ხერის სამაროვნიდან; კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. В. ГОГИБЕРИДЗЕ

АМУЛЕТЫ ИЗ ЕГИПЕТСКОГО ФАЯНСА С ДЕДОПЛИС ГОРА

Резюме

На жилом холме Дедоплис Гора (западный холм Арадетского Оргора Карельского р-на) среди многочисленных и разнообразных украшений были засвидетельствованы амулеты из т.н. египетского фаянса. Это подвески в виде фигурки Беса, виноградной грозди, амфорок, гениталий и кукиша и пронизи в виде скарабея, мухи и черепашки (всего 14 ед.). В двух случаях эти предметы были обнаружены отдельными группами по шесть предметов в каждом комплекте. Создается впечатление, что они были приобретены одновременно.

С привлечением соответствующих параллелей выяснилось, что они были завезены сюда непосредственно из Египта традиционным сухопутным путем.

Факты обнаружения этих предметов на восточногрузинских памятниках римского времени отражают наличие непосредственных контактов Картлийского Царства с Египтом в указанную эпоху.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჭილაშვილი

საბუის წმინდა შიოს ეკლესია

ეკლესია პირველად ახომილი (1920 წელს) და შესწავლილია გ. ჩუბინაშვილის მიერ, რაც გამოქვეყნდა კახეთის ძეგლებისადმი მიძღვნილ მის ვრცელ მონოგრაფიაში[1]. როგორც პატივცემული მკვლევარი შენიშნავს, ეკლესია მიწისძვრის შედეგად დანგრეულა და საკმაოდ დაზიანებულა. ჯერ კიდევ 1920 წელს ეკლესიის ბევრი დეტალი არ ყოფილა დაფიქსირებული. 1987 წლისთვის, როდესაც ძეგლზე საპროექტო სამუშაოები იწყებოდა, ის უფრო გაჩანაგებულად გამოიყურებოდა, ვიდრე 1920 წელს. ძეგლთა დაცვის სამმართველოს თხოვნას აღნიშნული ძეგლის გამწმენდ სამუშაოებში დასახმარებლად, ნეკრესის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფ. ლ. ჭილაშვილი) უპასუხა მისი წევრების – ნ. ბახტაძისა და ამ სტატიის ავტორის მიღლინებითა და მიწის სამუშაოების შესასრულებლად დამხმარე მუშა-ძალის გამოყოფით. გაიწმინდა ეკლესიის სამხრეთი ნაწილი, სწორედ ის ადგილი, რომლის დაფიქსირებაც ვერ შესძლო გ. ჩუბინაშვილმა, ასევე ცენტრალური ეკლესიის აღმოსავლეთი მხარე. შემდგომ განხორციელდა საკონსერვაციო სამუშაოები და ძეგლის მდგრადობას კარგა ხნით გაუგრძელდა ვადა.

ნეკრესის ექსპედიციის ამ სამუშაოებში მონაწილეობას სხვა მიზნებიც ჰქონდა – წლების განმავლობაში ნეკრესის, უფრო ადრე კი არეშის არქეოლოგიური ექსპედიცია ახორციელებდა სადაზვერვო გასვლებს, არა მარტო არქეოლოგიური, არამედ მიწისზედა ძეგლების ფიქსაციის მიზნით, რის შედეგად გამოვლინდა (მასალა გამოქვეყნებულია) არაერთი ძეგლი, მათ შორის მეცნიერებისათვის უცნობი. ასეთებია: აბაშის ციხე, ციხისჯვარი, ქურმუხის და ელისუს ციხეები, ბოეთანი, მაჭის ციხე[2], დუბის ეკლესია[3], ვაზოვანი[4], ყორიანის ეკლესიები[5], შაქრიანის ბაზილიკა და სხვ. ამჯერად ვიძლევით ინფორმაციას წმ. შიოს ეკლესიის შესახებ.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მცირეოდენ სიახლეს, რომელიც გამოჩნდა ძეგლის გაწმენდისა და ხელახალი ფიქსაციის შემდეგ, არ მოუხდენია გავლენა ძეგლის შესახებ არსებულ კვალიფიკაციაზე, რაც შესანიშნავად არის მოცემული გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფიაში. ამდენად ზედაზენა ძეგლის აღწერისას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით და ვიხელმძღვანელებთ გ. ჩუბინაშვილის შრომით.

ეკლესია მდებარეობს სოფელ ენისელიდან საბუეში მიმავალ ზეზე, სოფლის დასაწყისში, მდ. ინწობის მარცხენა მხარეს, სასაფლაოს ტერიტორიაზე. ის უკავშირდება ერთ-ერთ ასურელ მამათაგანს – შიოს, რომელსაც ერგო წილად ქრისტიანობის განმტ-

[1] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ.154-156.

[2] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, კახეთის ქალაქები, 1980.

[3] გ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დუბის საყდარი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, 40ბ. გვ. 115-121.

[4] გ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, კახეთის ერთი უცნობი არქიტექტურული ძეგლის შესახებ (ვაზოვანი) „ძეგლის მეგობარი", 1986, №2, გვ.49-53.

[5] გ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ყორიანის ეკლესიები, „ძეგლის მეგობარი", 1989, №1, გვ.24-30.

კიკეება კახეთში სხვა რამდენიმე წმიდა მამასთან – იოსებ ალავერდელთან, სტეფანე-ნიწმინდელთან, ანტონ მარტყოველთან, აბიბოს ნეკრესელთან, ზენონ იყალთოელთან ერთად. მათი მოსვლა და მოღვაწეობა, რაც კარგად არის ცნობილი სათანადო ლიტერატურის წყალობით, დროის მიხედვით ემთხვევა საქართველოს ისტორიის მეტად რთულ პერიოდს, როდესაც გამძაფრებული ბრძოლა მიმდინარეობდა უკვე დრომოჭმულ, მაგრამ კვლავ ძლიერ მახდეანებსა და ქრისტიანებს შორის. ეს პერიოდი საეკლესიო არქიტექტურაში ახალი საეტაპო მოვლენით არის აღნიშნული, რაც განსაკუთრებით კახეთის რეგიონში ჩანს დაფუძნებული სამეკლესიანი ბაზილიკების სახით და დროის მიხედვითაც ემთხვევა ჩვენში ასურელი მამების მოსვლასა და მოღვაწეობას, ე. ი. მეექვსე საუკუნეს.

ბუნებრივია, გაგვიჩნდეს კითხვა, თუ რამ განაპირობა მაინცდამაინც საბუეში, ასეთ სახელოვან საეკლესიო მოღვაწესთან დაკავშირებული ეკლესიის აშენება და მისი აღიარება როგორც გამორჩეული ადგილისა. სოფელი საბუე ძველი დასახლება ჩანს, მეტად საინტერესო სიძველეების შემცველი, რითაც ცნობილია არა მარტო სოფლის ადგილი, არამედ მდინარე ინწობის მთელი ხეობა ალაზნის ველიდან იმ ვიწრო ადგილებამდე, სადაც კავკასიონის ტყიანი ზოლი იწყება და სადაც ადრექრისტიანული, ნათლისმცემლის კომპლექსია გაშენებული. კომპლექსშია წარმოდგენილი სამეკლესიანი ბაზილიკა სხვადასხვა მინაშენებით, რომელიც შესწავლილი აქვს გ. ჩუბინაშვილს[6]. ეს ადგილი იმდენად მოხერხებული იყო განსაკუთრებით სტრატეგიული თვალსაზრისით, რომ აქ განლაგებულ ნაგებობებში შუა საუკუნეების ყველა ფენა შეიძლება დავინახოთ, XIX საუკუნეში ლეკების თარეშის წინააღმდეგ რუსების მიერ აშენებული ციხესიმაგრის ჩათვლით[7]. მისი ადრექრისტიანულ ხანაში წამოწევის ერთ-ერთი, შესაძლოა უმთავრესი, ფაქტორი დაღესტანთან ურთიერთობით იყო განპირობებული. სწორედ აქ გამავალი გზით ხდებოდა ეკონომიკური კავშირის დამყარება მოსაზღვრე მთის მოსახლეობასთან. იგივე გზა დიდ როლს ასრულებდა სამისიონერო მოღვაწეობაშიც – დღეს ხომ კარგად არის ცნობილი, რომ მთის მოსახლეობის გაქრისტიანება და იქ ქართული კულტურის დანერგვა – ქართული ენისა და დამწერლობის გავრცელება კახეთის ბარში არსებული ცენტრებიდან ხდებოდა.

საბუე-ნათლისმცემლის აღორძინება ხდება კახეთის დამოუკიდებელი სამეფოს არსებობის დროს XVI-XVII საუკუნეებში. ნათლისმცემლის სამეფო დარბაზში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი კახეთის მეფე-დიდებულთა ფრესკის ნაშთები, მთელ ზეაზე კი მათთან დაკავშირებული საინტერესო ტოპონიმებია, რაც, ბუნებრივია, უნდა აიხსნას აქვე ახლოს, გრემში, კახელ მეფეთა რეზიდენციის არსებობით[8].

ეკლესია აგებულია კახეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სამშენებლო ტექნიკით. მასალა ფლეთილი ქვაა, არსად აგური არ არის გამოყენებული. შემაკავშირებელი მასაა კირის ხსნარი. შირიმის ქვა გამოყენებულია ზოგიერთ დეტალში. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლს აშკარად ემჩნევა არა ერთბაშად აშენების კვალი, მაინც ცხადია, რომ ის ერთ სამშენებლო პერიოდში უნდა მოექცეს (სურ. 1)[9].

აღმოსავლეთის კედელი საერთოა ცენტრალური და ჩრდილოეთის ეკლესიებისათვის. ამავე დროს აშკარად ემჩნევა, რომ სამხრეთის ეკლესია შემდგომ არის მიშენებული (სურ. 2,3). ეკლესია მეტად საინტერესო კონსტრუქციული დეტალით გამოირჩევა – ცენტრალური ეკლესიის კედლების ირგვლივ კონსოლები იყო მოწყობილი, რაც მშენებლობის განხორციელების ერთ, წინასწარ შემუშავებულ გეგმაზე მიუთითებს.

ცენტრალური ეკლესია, რომლის სიგრძე აბსიდიანად 10მ 60 სმ-ია, სიგანე – 4მ 25 სმ, აღმოსავლეთის მხარეს მთავრდება ნალისებრი აბსიდით, და თითქმის პარა-

---

[6] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი; გვ. 178-180.

[7] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, კახეთის ქალაქები, გვ. 111-116.

[8] იქვე.

[9] ძეგლი აზომილია ნ. ბახტაძის მიერ. მის მიერვეა შესრულებული თანდართული ნახაზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 1. საბუე. წმ. შიოს ეკლესიის გეგმა



სურ. 2 საბუე. წმ. შიოს ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი

ლელურგვერდებიანი სარკმლით აღმოსავლეთის მხარეს (სურ. 4), სიგანეა 0,5 მ. სარკმელს შიგნიდან ბრტყელი გადახურვა აქვს, გარედან – თაღური (შემორჩენილია შირიმისქვიანი თაღის ნახევარი).

ცენტრალურ ეკლესიაში შესასვლელია დატანებული დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში. შიდა მხრიდან ორივე შირიმის ქვის თაღედით ბოლოვდება. კარების სიგანეა 1,1 მ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 3. საბუე, წმ. შიოს ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან



სურ. 4. საბუე. წმ. შიოს ეკლესია. ცენტრალური ეკლესიის აბსიდი და სარკმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 5. საბუე, წმ. შიოს ეკლესია. ცენტრალური ეკლესიის საკურთხეველი



სურ. 6. საბუე. წმ. შიოს ეკლესია. ჭრილი ცენტრალურ ეკლესიაზე. ხედი ჩრდილოეთიდან

ჩრდ. ეკლესიაში გასვლა შეიძლება აბსიდასთან დატანებული კარით. სიგანე 0,75 მ-ია. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში აქვს ნიშები, აღმოსავლეთის კედელთან კი – პარალელურგვერდიანი სარკმლის (სიგანე 0,30მ) ქვეშ მოწყობილია შემაღლებული ბაქანი და კედელთან მიდგმული საკურთხეველი (სურ. 1). აბსიდის სარკმელი შიგნიდან ბრტყლადაა გადახურული, გარედან – შირიმის ქვის თაღით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 7. საბუე. წმ. შიოს ეკლესია. განივი ჭრილი. ხედი დასავლეთიდან



სურ. 8. საბუე. წმ. შიოს ეკლესია. ცენტრალური ეკლესიის სამხრეთის კედლის სარკმელი ჯვრის და ქართული წარწერის ფრაგმენტით

სამხრეთის ეკლესია დანგრევის შემდეგ საგრძნობლად იყო დაზიანებული. აბსიდი ნალისებრია, გაწმენდის შემდეგ გამოვლინდა შესასვლელი სამხრეთის მხრიდან, რომლის სიგანეა 0,9მ.

გაწმენდამ ცხადყო, რომ გადაკეთებისას უხვად გამოყენებული აგურით აბსიდის იატაკი აუწევიათ და მოუწყვიათ აგურის კანკელი, ასევე აბსიდის ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რში აგურის საკურთხეველია (0,83X0,83მ; სურ.5) შემორჩენილი 40 სმ სიმაღლეზე.

მსგავსივე აგურებით ამოუშენებიათ და დაუვიწროებიათ ცენტრალური ეკლესიის სარკმელი ჩრდ. მხრიდან. ამავე ეკლესიის კედლებს გასწვრივ ჩამოსაჯდომი მიუყვება. საყურადღებოა, რომ კანკელის მოწყობისას აგურის ფენა აბსიდის გარეთაა გამოწეული დაახლოებით 15 სმ-ზე.

სამხრეთის მხრიდან ცენტრალური ეკლესია ნათდებოდა ორი სარკმლით. აღმოსავლეთით მდებარე სარკმლის გვირგვინზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი და წარწერა, რომელიც გაშიფრა და გამოაქვეყნა თ. ბარნაველმა[10]. ვსარგებლობთ მისი დასკვნებით. წარწერა რელიეფური ჯვრის მარცხენა მკლავთან არის მოთავსებული – როგორც ჩანს, შემორჩენილი მცირე ფრაგმენტებით, წარწერა მარჯვენა მკლავთანაც ყოფილა. წარწერები ჯვართან ერთად ქმნიან ორნამენტულ სახეს. ასოები რელიეფურად არის გამოყვანილი. თ. ბარნაველის დასკვნებით, შეიმჩნევა პალეოგრაფიული თავისებურებებიც. უცნაურია ქარაგმის ნიშნის დასმაც არა წარწერის თავზე, არამედ გვერდით, თანაც ვერტიკალური ხაზის სახით. იმის გამო, რომ წარწერის „ე“ მოხაზულობით ემსგავსება 864 წლით დათარიღებული სინას მთის მრავალთავის ანდერძის „ე“-ს, ასევე თავისი ხასიათითაც მისი მსგავსია, წარწერას თ. ბარნაველი ათარიღებს IX საუკუნით. წარწერა ასე იკითხება: „ქრისტე სტეფანეი შეიწყალე“. მისივე აზრით, ეს უნდა იყოს ეკლესიის მშენებლის სახელი.

მეორე სარკმელი დარღვეულია და ფორმის აღდგენა შეუძლებელია.

მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა სამხრეთის მხრიდან კარის ვიწრო ღიობი (0,9მ), ცხადი გახდა, რომ მთავარი და საპარადო შესასვლელის ფუნქცია უნდა ეტვირთა დასავლეთის მხარეს, ორი სწორკუთხა სვეტით გამოყოფილ სამ ღიობს. ეკლესიის გადაკეთების დროს ჩრდილოეთის გარსშემოსავლელის კორიდორი ცენტრალური ეკლესიის დასავლეთის კედლის გასწვრივ დაუვიწროებიათ და აგურისა და ქვის ზღუდით ვიწრო შესასვლელი (სიგანე 0,8 მ) მოუწყვიათ. წმენდის დროს გამოჩნდა, რომ ეკლესიის გადაკეთებისას ორი ზომის აგურებია გამოყენებული: კვადრატული: 22X22,5X5,5; 22X22X5; 23X23X6 სმ; სწორკუთხა: 23X12X5,5; 23X12,5X5,5 სმ. გარდა აგურისა გამოჩნდა კერამიკული ნატეხებიც, მათ შორის თხელკედლიანი ჯამებისა, ასევე მოჭიქული ჭურჭლისა, რომლებიც, ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრების დასკვნით, XV-XVIII საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ცენტრალური ეკლესიის გაწმენდის დროს აბსიდის იატაკზე აღმოჩნდა სპილენძის რუსული ორკაპიკიანი, მოჭრილი 1805 წ., რაც გვავარაუდებინებს, რომ ეკლესია ამ დროს ფუნქციონირებდა.

რაც შეეხება ეკლესიის მოქმედების დროს, ზემოთ აღნიშნული წმ. მამების მოღვაწეობის პერიოდი (VI ს.), რამდენადაც მასთან დაკავშირებულია წმ. შიოს ცხოვრებაც, შეიძლება განისაზღვროს ეკლესიის დაფუძნების თარიღიც. რაც შეეხება წარწერის დათარიღებას IX საუკუნით და მის მიკუთვნებას ეკლესიის მშენებლისადმი, აქ უფრო სარემონტო სამუშაოები და ეკლესიის განახლება უნდა იყოს ნაგულისხმევი. აშკარაა, რომ სამხრეთის ეკლესია და გარსშემოსავლელები შემდეგაა მოწყობილი. ეკლესია არქეოლოგიური მონაცემებით გვიან შუასაუკუნეებშიაც ფუნქციონირებდა, ასევე XIX საუკუნის პირველ ნახევარში მაინც.

[10] თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962. გვ. 126, 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. Л. ЧИЛАШВИЛИ

ЦЕРКОВЬ СВЯТОГО ШИО В С. САБУЭ

В статье публикуется одна из раннехристианских церквей, находящаяся в селе Сабуэ в Восточной Грузии, в исторической провинции Кахети. Она построена во имя одного из так называемых сирийских отцов Шио, деятельность которого, как и всей группы сирийских святых, проходила в VI веке, в тот самый период, когда зародился новый тип христианских архитектурных памятников, вошедший в специальную литературу под названием трехцерковных базилик. Село Сабуэ находится в ущельи реки Инцоба, отличающемся обилием исторических памятников. Среди других интересных мест можно назвать древний город Греми – бывший престольный город Кахетинских царей XV-XVII вв., комплекс архитектурных памятников Натлисмцемели (Иоанна Крестителя), содержащий церковь раннехристианского времени, развалины дворца Кахетинских царей, фортификационные сооружения и др.

Церковь, сильно пострадавшая от землетрясения, впервые была обмерена в 1920 г. Г. Н. Чубинашвили и издана в его книге "Архитектура Кахетии" (Тб., 1959). В связи с тем, что в 1986-1987 гг. проводились реставрационные работы на месте и церковь была освобождена от развалившихся частей стен, новый обмер памятника дает более полное представление о нем. Хотя соображения о дате и научная квалификация храма, высказанные Г. Н. Чубинашвили, остаются в силе.

Автор предполагает, что сохранившаяся часть грузинской надписи на окне южной стены, датированная IX веком, относится не к строительству церкви (VI в.), а к периоду обновления и ремонта памятника.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურამ ჩხაიძე

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმი

XIX საუკუნის შუა ხანებიდან საქართველო ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა. რუსეთის იმპერია, რომელიც ცდილობდა თავის მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზად გადაექცია ეს მხარე, ხელს უწყობდა საქართველოში სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების: მემინდვრეობის, მევენახეობის, მეაბრაშუმეობისა და ტექნიკური კულტურების განვითარებას. გაიზარდა დაინტერესება უფრო მეტი და უკეთესი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

კავკასიაში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის საზოგადოებისა და მისი მუზეუმის ჩამოყალიბებას XIX საუკუნის 50-იან წლებში.

1850 წლის 29 მარტს კავკასიის მეფისნაცვლის მ. ს. ვორონცოვის თანხმობითა და ხელშეწყობით თბილისში დაარსდა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება". იმავე წლის 27 თებერვალს დამტკიცდა დებულება საზოგადოების შესახებ[1].

საზოგადოების დებულების პირველ პარაგრაფში აღნიშნული იყო: კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება არსდება თბილისში იმ მიზნით, რომ თავი მოუყაროს კერძო ძალისხმევას ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ასაღორძინებლად და გასანვითარებლად, აგრეთვე სასარგებლო ცნობების შესაკრებად და გასავრცელებლად"[2].

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1833 წელს შექმნილ „სოფლის მეურნეობისა და მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წამახალისებელი საზოგადოების" ბაზაზე. საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებად მიჩნეულ იქნა: სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის ყოველნაირი ხელშეწყობა, სოფლად ახალი მანქანა-იარაღებისა და სამეურნეო ტექნიკის გავრცელება, მოწინავე გამოცდილებების დანერგვა, სახღვარგარეთიდან საუკეთესო ჯიშების, თესლეულისა და ნერგების შემოტანა. სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული ცოდნის განვითარება და მისი პოპულარიზაცია, სასოფლო სამეურნეო გამოფენების მოწყობა და სხვა.

დებულების მიხედვით საზოგადოებას ხაზინიდან გამოეყო 3000 მანეთი ვერცხლით, ხოლო შემდგომ წლებში იგი გაიზარდა 6000 მანეთამდე.

საზოგადოების პრეზიდენტად აირჩიეს მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად - ვასილ ბებუთიშვილი. მოგვიანებით საზოგადოების პრეზიდენტი გახდა დიმიტრი ყიფიანი, ვიცე-პრეზიდენტი კი - მიხეილ ჭილაშვილი.

საზოგადოებას ბინა ჰქონდა ჭავჭავაძის ქუჩაზე, ივანე ზუბალაშვილის სახლის მეორე სართულზე.

---

[1]И. Иоселиани, Обзор деятельности Кавказского общества сельского хозяйства за пятьдесять лет, Тиф., 1902, გვ. 2.

[2]Записки Кавказского общества сельского хозяйства (შემდეგში შემოკლებით – Записки КОСХ), ч. 1, 1855, გვ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების საქმიანობას ხელმძღვანელობას უწევდა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მ. შერბინინი, დ. ყიფიანი და ი. ვიტე.

საზოგადოების მდივნად აირჩიეს ი. ზოლოტარევი. მის თანაშემწედ კი ა გ. ტოკარევი. ხაზინადარი გახდა ვ. ბელიაევი[3].

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება შედგებოდა საპატიო, ნამდვილი წევრებისა და წევრ კორესპონდენტებისაგან. საზოგადოების 1850-60- იან წლების ანგარიშების მიხედვით საზოგადოებაში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობა შემდეგი იყო (ცხრილი 1):

წლები	1850	1851	1854	1855	1857	1858	1859	1860
საპატიო წევრები	1	2	5	3	6	5	4	6
ნამდვილი წევრები	112	149	137	146	123	100	113	112
წ-კორესპონდენტები	1	2	6	6	6	22	29	34

საზოგადოებაში მრავალი ქართველი მოღვაწეობდა: დავით ყიფიანი, პლატონ იოსელიანი, გიორგი და ელიზბარ ერისთავები, ვასილ, გრიგოლ და ასლან ბებუთიშვილები, დიმიტრი და გრიგოლ ორბელიანები, გრიგოლ და კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკები, ალექსანდრე გრუზინსკი, დიმიტრი აფხაზი, სერგო ჭილაშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე, ივანე და იასე ახდრონიკაშვილები, ზაქარია ბარათაშვილი, კონსტანტინე თარხან-მოურავი, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, დავით ჭავჭავაძე, მოსე არღუთიშვილი, ივანე არჯევანიძე, მიხეილ თუმანიშვილი და სხვები[4].

სოფლის მეურნეობის საზოგადოება 1855 წლიდან ყოველწლიურად უშვებდა: „Записки Кавказского общества сельского хозяиства" ვლადიმერ ნენინგერის რედაქტორობით და გახეთ „გუთნის დედა"-ს ნ. კერესელიძის ხელმძღვანელობით.

საზოგადოებასთან თავიდანვე დაარსდა ბოტანიკური ბაღი. „Кавказский календарь"-ის 1851 წლის ნომერში უკვე მოხსენიებულია „ტფილისის ბოტანიკური ბაღი", რომელიც ცნობილი აგრონომის პოდპოლკოვნიკ ივანე დემონკალის გამგებლობაში იმყოფებოდა[5].

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა და საკმაო თანხებსაც ხარჯავდა რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე მონაწილეობისათვის. საზოგადოების ინიციატივით არაერთი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოეწყო თბილისში.

ჯერ კიდევ 1850 წლის საზოგადოებამ თავისი ერთ-ერთი აქტიური წევრის ბარონ ალექსანდრე მეიენდორფის პროექტით წარმოადგინა თავისი პირველი გამოფენა. იგი გაიხსნა გოლოვინის პროსპექტზე თბილისის გიმნაზიის შენობაში. ექსპოზიციაში ძირითადად წარმოდგენილი იყო კავკასიაში გავრცელებული სოფლის მეურნეობის ნიმუშები და ამ მხარეში გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო რიგორც ძველი, ისე ახალი იარაღები. გამოფენამ მოწონება დაიმსახურა თბილისის საზოგადოებაში[6]. ექსპოზიციაში გამოფენილი ყველაზე უფრო საყურადღებო ნივთები მოგვიანებით გაიგზავნა მოსკოვსა და პეტერბურგში იქ მოწყობილ გამოფენაზე ექსპონირებისათვის.

1852 წლის 15-17 ოქტომბერს თბილისში სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ მოაწყო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდა ათამდე კერძო პირი. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო 288 ექსპონატი. გამარჯვებულები: თავადი გიორგი ამილახვარი, პოდპოლკოვნიკი ივანე დემონკალი და ხაზინის გლეხი ივანე არჯევანიძე საგამოფენო კომიტეტის მიერ დაჯილდოვდნენ ვერცხლის სურებით (კულებით) და ახარფეშებით[7].

[3] И. Иоселиани, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

[4] "Кавказский календарь" на 1855г., გვ. 677.

[5] "Кавказский календарь" на 1851 г., გვ. 57.

[6] И. Иоселиани, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

[7] Записки КОСХ, ч. 1, 1855, ст. LXYI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე წელს, სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო ლონდონის საერთაშორისო გამოფენაზე. სოფლის მეურნეობის მასალებთან ერთად აქ ექსპონირებული იყო კავკასიური ეთნოგრაფიული ნივთები: ჭურჭელი, ტანსაცმელი, ხალიჩა, თოფი, ხანჯალი, ხმალი და ა. შ.

ლონდონის სამეფო კომისიის მიერ კავკასიიდან წარმოდგენილი 44 ექსპონატი დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლებითა და გამოფენის მოწმობებით[8].

როგორც საზოგადოების ანგარიშებიდან ჩანს, გამოფენის რეგულარულად მოწყობამ გამოიწვია საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმის ჩამოყალიბების საჭიროება. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ზრუნვა მუზეუმის ფონდების კომპლექტაციისათვის. პირველად სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმი მოხსენიებულია საზოგადოების 1853 წლის ანგარიშში. ამ წელს მუზეუმის ფონდებში უკვე ირიცხებოდა 500-მდე ერთეული[9].

1854 წელს სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან უკვე ოფიციალურად ჩამოყალიბდა საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმი, რომლის მთავარ მცველად (დირექტორად) დაინიშნა სოფლის მეურნეობის საზოგადოების მდივნის თანაშემწე ვლადიმერ ნენინგერი. მოგვიანებით, 1857 წლიდან მუზეუმის დირექტორი ხდება ნიკოლოზ სიტოვსკი. მუზეუმში ძირითადად თავმოყრილი იყო სასოფლო-სამეურნეო ნივთები: როგორც ძველი, ისე თანამედროვე სამიწათმოქმედო იარაღები, ბოტანიკური, მინერალოგიური, ორნიტოლოგიური, ენტომოლოგიური, კონქილიოლოგიური, დენდროლოგიური და პომოლოგიური კოლექციები, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის გამორჩეული ნიმუშები. საბუნებისმეტყველო პროფილის ნივთებთან ერთად, მუზეუმის ფონდებში მცირე რაოდენობით იყო აგრეთვე სამეურნეო ეთნოგრაფიული ნივთებიც – ტანსაცმელი, ჭურჭელი და სხვ.

საზოგადოების 1854 წლის ანგარიშის მიხედვით, მუზეუმის ფონდებში თავი მოიყარა შემდეგმა ექსპონატებმა: სამიწათმოქმედო იარაღები და მანქანები (ძველებური და ახალი) - 23 ერთეული, დენდროლოგიური კოლექცია - 69 ეგზემპლარი, მინერალოგიური კოლექცია – 108 ერთეული, მხარის სოფლის მეურნეობის ნაწარმი (აბრეშუმის, შალის, ბამბის, სამკურნალო მცენარეულის ნიმუშები) - 310 ერთეული. ამრიგად, პირველსავე წელს მუზეუმის ფონდებში 667 ერთეული ექსპონატი ირიცხებოდა[10].

მუზეუმის ფონდები ძირითადად კერძო პირთა და სხვადასხვა ორგანიზაციათა შემოწირულობებით მდიდრდებოდა. მაგალითად, 1854 წელს სოფლის მეურნეობის საზოგადოების ნამდვილი წევრის ა. ფ. რებროვისაგან მუზეუმმა შეწირულობის სახით მიიღო აბრეშუმის კოლექციის სხვადასხვა ნიმუშები. ასევე გამდიდრდა მუზეუმის ფონდები ცარ-აბადის მეაბრაშუმეობის საცდელი სკოლის დირექტორის ნ. ზეიდლიცის შემოწირულობით[11].

ამავე წელს, საზოგადოების ნამდვილი წევრის აგრონომ ა. დეიჩმანისაგან მუზეუმმა მიიღო ლიტვური კავი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ხოლო აგრონომ სიტოვსკისაგან მუზეუმს გადაეცა ფუტკრის სკის ათი სხვადასხვა მოდელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მომდევნო წლებში საიდუმლო მრჩევლის ე. ი. ფადეევის ქვრივის მიერ შემოწირული ორნიტოლოგიური კოლექცია, რომელშიც შედიოდა 58 ერთეული ფრინველთა ფიტულები[12].

შემოწირულობათა გარდა მუზეუმი გარკვეულ თანხებს ხარჯავდა კოლექციების შესაძენად, თუმცა ამას იშვიათი ხასიათი ჰქონდა. ასე თანდათანობით მდიდრდებოდა

[8]Записки КОСХ, ч. 1, 1855, გვ.LXXII.

[9]Записки КОСХ, ч. 1, 1855г.,გვ.LXXYII.

[10]Записки КОСХ, ч. 1, 1855 г., გვ.LXXXIX.

[11]იქვე.

[12] „Кавказский календарь" на 1862 г., გვ. 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზეუმის ფონდები, რითაც იქმნებოდა სასოფლო-სამეურნეო სხვადასხვა გამოფენებზე მონაწილეობის შესაძლებლობა.

1855 წლის შემოდგომაზე ქალაქ მოსკოვში შემდგარ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თბილისიდან გაიგზავნა 165 ერთეული ექსპონატი, ძირითადად კავკასიის სოფლის მეურნეობის ამსახველი ნიმუშები. გამოფენაზე წარმოდგენილ დენდროლოგიურ ნიმუშებს განსაკუთრებული ყურადღება და მოწონება დაუმსახურებია. ისინი დაჯილდოვდნენ გამოფენის 3 ვერცხლის, 8 ბრინჯაოს მედლით და 27 ქების სიგელით[13].

1856 წლის პირველი სექტემბრისათვის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმში იყო:

სამიწათმოქმედო იარაღები და მოდელები	---------- 34 ერთეული
დენდროლოგიური კოლექცია	---------- 87 ერთეული
მინერალოგიური კოლექცია	---------- 199 ერთეული
სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის ნიმუშები	---------- 469 ერთეულ
სულ:	---------- 709 ერთეული[14].

საზოგადოების მუზეუმთან ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, რომელიც მუზეუმის შენობაში იყო მოთავსებული. მასში უფრო მეტად თავმოყრილი იყო საბუნებისმეტყველო ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურა. ბიბლიოთეკა ძირითადად შემოწირულობებითა და სხვადასხვა ორგანიზაციათა და სამეცნიერო დაწესებულებებიდან გამოგზავნილი წიგნებით კომპლექტდებოდა. როგორ იზრდებოდა ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი, კარგად ჩანს საზოგადოების ანგარიშების მიხედვით (ცხრილი 2):

წლები	1854	1855	1856	1857	1858	1859	1860	1861
დასახელება	456	424	523	823	734	849	1107	1196
წიგნი	536	558	770	1218	992	1296	2300	2489

მუზეუმი და ბიბლიოთეკა ღია იყო დამთვალიერებლებისა და მკითხველებისათვის ყოველდღე 10 საათიდან 4 საათამდე – უქმე დღეების ჩათვლით.

სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმი, ბიბლიოთეკა და კანცელარია მდებარეობდა გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე დიმიტრი ზარაპოვის სახლში[15].

გაზეთები: „Кавказ"-ი და „Кавказский календарь"-ი სისტემატურად აქვეყნებდნენ სარეკლამო ცნობებს მუზეუმის გამოფენის ფუნქციონირების შესახებ.

სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმის ისტორია შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ: პირველი, მუზეუმის დაარსებიდან –1862 წლამდე; მეორე, 1863 წლიდან - მის გაუქმებამდე (1869 წლამდე).

პირველ პერიოდში მუზეუმის ფონდებში ექსპონატების რაოდენობა წლების მიხედვით შემდეგი იყო (ცხრილი 3):

წლები	1855	1856	1857	1858	1859	1860	1861	1862
მუზეუმის ექსპონატები	667	709	712	864	2732	2958	3068	2675

ამ ეტაპზე მუზეუმი სამეცნიერო სამუშაობებს ნაკლებად აწარმოებდა და ძირითადად დაკავებული იყო საექსპოზიციო სამუშაოებით.

[13]"Кавказский календарь" на 1855 г., გვ. 206.
[14]„Кавказский календарь" на 1855 г., გვ. 203.
[15]„Кавказский календарь" на 1860 г., გვ. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1862 წლის პირველი სექტემბრისათვის მუზეუმის ფონდებში იყო:

სამეწათმოქმედო იარაღები და მოდელები	----	46
სოფლის მეურნეობის იარაღები და ხელსაწყოები	----	56
სასოფლო ტექნოლოგიისა და ხალხური მედიცინის ნიმუშები	----	784
დენდროლოგიური კოლექციები	----	139
ჰერბარიუმის ეგზემპლარები	----	1312
ორნიტოლოგიური კოლექციები	----	38
მინერალოგიური კოლექციები	----	138
ჰომოლოგიური კოლექციები	----	92
სულ	----	2675[16]

1863 წლიდან მუზეუმის ფონდები მკვეთრად, თითქმის 11-ჯერ, იზრდება. ეს ცნობილი ნატურალისტის ფრიდრიხ ბაიერნის მეშვეობით მოხდა.

საიმპერატორო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების მუზეუმის ძველბედობის ჟამს ფ. ბაიერნი, რომელიც ამ მუზეუმში მუშაობდა კონსერვატორად, 1863 წელს გადავიდა სოფლის მეურნეობის საზოგადოების მცველის (ზედამხედველის) თანამდებობაზე და მთელი თავისი მდიდარი საბუნებისმეტყველო კოლექციები იქ გადაიტანა (ზოგი მკვლევარის აზრით, რ.გ.ს. კავკასიური განყოფილების მუზეუმის საბუნებისმეტყველო კოლექციების დიდი ნაწილიც - თან მიაყოლა)[17].

1863 წელს ფ. ბაიერნმა სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმს გადასცა:

პალეონტოლოგიური კოლექციები	----	2300 ერთეული
ენტომოლოგიური კოლექციები	----	18688 ერთეული
ჰერბარიუმის ეგზემპლარები	----	5688 ერთეული
კონქილიოლოგიური კოლექციები	----	300 ერთეული
დენდროლოგიური კოლექციები	----	61 ერთეული
სულ:	----	27037 ერთეული[18]

1864 წლის „Кавказский календарь-ი"მუზეუმის ფონდების ასეთ დიდ გაზრდასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „მუზეუმში არსებული საგნების დიდი ნაწილი, (განსაკუთრებით მწერები, ჰერბარიუმი, მინერალები და ნამარხეული) შეკრებილია მუზეუმის მცველის უცხოელი ფრიდრიხ სამუელის-ძე ბაიერნის მცდელობის შედეგად"[19]. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ფ. ბაიერნის კოლექციიდან მუზეუმში ბევრი ისეთი მასალა მოხვდა, რომელიც არ შეესაბამებოდა სოფლის მეურნეობის მუზეუმის პროფილს. მაგალითად, პალეონტოლოგიური (განმარხებული ნაშთები), კონქილიოლოგიური (გაქვავებული ნიჟარები), ენტომოლოგიური (მწერები, ხოჭოები) და სხვ.

მუზეუმის ისტორიის მეორე ეტაპზე ფონდები წლების მიხედვით ასე იზრდებოდა (ცხრილი 4):

წლები	1863	1865	1866	1867	1868
მუზეუმის ექსპონატები	29878	29928	27386	33498	649

მუზეუმში განსაკუთრებით გაიზარდა ენტომოლოგიური, კონქილიოლოგიური და ბოტანიკური მასალების რიცხვი, რაც ფ. ბაიერნის მოღვაწეობის შედეგად იქნა მიღწეული.

ამ პერიოდში მუზეუმის ფონდების მკვეთრ ზრდასთან ერთად, ინტენსიურად მიმდინარეობს სამეცნიერო და საექსპოზიციო სამუშაოები. შეიცვალა მუზეუმის მუშა-

[16] „Кавказский календарь" на 1863 г., გვ. 129.

[17] გ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. კავკასიური მუზეუმის დაარსება., თბ., 1953, გვ. 101.

[18] „Кавказский календарь" на 1864 г., გვ. 123.

[19] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის რეჟიმიც. 1863 წლიდან მუზეუმი ღია იყო კვირაში ერთხელ – ოთხშაბათობით, 10-დან 2 საათამდე.

60-იანი წლებიდან მუზეუმი აქტიურად იღებს მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1864 წლის სექტემბერში მოსკოვში გამართული სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობა. ამ გამოფენის შესახებ გაზეთი „გუთნის დედა" იმოწმებდა რა პეტერბურგელ კორესპონდენტს, იტყობინებოდა: „აქ პირველი ადგილი ეკუთვნის უეჭველად კავკასიასა, საიდამაც იყო წარმოდგენილი საჩინო ნიმუშები"[20].

1867 წლის გაზაფხულზე ბუნებისმოყვარულთა საზოგადოების ინიციატივით ქ. მოსკოვში მოეწყო ე. წ. რუსეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. საზოგადოებამ აღნიშნულ გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად მოიწვია კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება და მისი მუზეუმი. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების მუზეუმი ამ დროს უკვე დაშლილი იყო; რაც შეეხება კავკასიურ მუზეუმს, იგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა.

მოსკოვის გამოფენის ორგანიზატორებმა სოფლის მეურნეობის მუზეუმს გამოუყვეს 600 მანეთი. ამ თანხას კავკასიის მეფისნაცვალმა დაუმატა 1200 მანეთი. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ და მისმა მუზეუმმა ამით შეიძინეს ამიერკავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ეთნოგრაფიული ტანსაცმელი, სამეურნეო იარაღები და ხელსაწყოები[21].

მუზეუმმა წარმატებით შეძლო რუსეთის ეთნოგრაფიულ გამოფენაში მონაწილეობის მიღება.

მუზეუმის ნივთები გამოიფინებოდა აგრეთვე საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებზეც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პარიზის 1867-69 წლების საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობა. გამოფენისათვის მზადება დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და 35000 მანეთი დაჯდა. ჯერ კიდევ 1865 წლის შემოდგომაზე კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანებით დამატებით გამოეყო 10000 მანეთი. ამასთან ერთად გადაწყდა, რომ პარიზის გამოფენის კავკასიის განყოფილებაზე ექსპონირებული ყოფილიყო ნატიფი ხელოვნების ნივთები[22]. ამ ნივთების შერჩევა დაეკალა ცნობილ კოლექციონერს, თავად ს. ტრუბეცკოის. საერთაშორისო გამოფენის მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად იყო ჩაბმული აგრეთვე სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმი. გაზეთი „Кавказ"-ი თავის კორესპონდენტ ალ. დომანსკის მეშვეობით მოუთხრობდა თავის მკითხველებს, თუ როგორ ემზადებოდა მუზეუმი პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე მაღალ დონეზე წარმოსაჩენად[23].

პარიზის გამოფენა გაიხსნა 1867 წლის აპრილში და მას დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ ამ გამოფენაზე მიავლინა მუზეუმის დირექტორი ნ. სიტოვსკი, რომელმაც გამოფენის შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა 1867 წელს გაზეთ „Кавказ"-ში. მისი გადმოცემით, „კავკასიიდან წარმოდგენილმა ნიმუშებმა უცხოელთა დიდი მოწონება დაიმსახურა და მათ ყველა ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა"[24].

„სასოფლო გაზეთი" 1869 წელს, პარიზის საერთაშორისო გამოფენის შესახებ იტყობინებოდა: „დიდი ცდით 40000 სხვადასხვა ნივთი გაიგზავნა გამოფენაზე. ეს ნივ-

[20] გაზ. „გუთნის დედა", 1864, №19, გვ. 148.

[21] „Кавказский календарь" на 1868 г., გვ. 463.

[22] იქვე.

[23] გაზ.„Кавказ", 1867, г., №24, გვ. 237.

[24] გაზ. „Кавказ" 1867, №35, გვ. 201.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თები გაგზავნეს 168 ექსპონენტებმა. ამ რიცხვში არ არის შეტანილი მუზეუმიდგან (საცა უცხო ბუნების საგნები აწყვია) გაგზავნილი ნივთები და კოლექცია. ზოგიერთი აქაური ნივთი ძალიან მოეწონათ სამთელ-ქვეყნო გამოფენაზე, როგორც საზოგადოებას, აგრეთვე უიურებს. ჩვენებური ხალიჩები, ფარდაგები, ქეჩები, თიფთიკები და თიხის ჭურჭელი მაშინვე დაეტაცნათ (ესყიდნათ). პირველი სიკეთისა და უკანასკნელი იშვიათობის გამო. აქაურმა თეჭეულმა, ღვინომ, თამბაქომ და პაპიროსმა მიიღეს ქება... ოქრომკედით ნაკერებს ბევრი დედაკაცები დახვეოდნენ, რომელთაც დაეფასებინათ ხელობა და ეთქოთ მხოლოდ მდიდრებისათვის არიან ეს ნივთებიო. აბრეშუმისთვის, ბამბისთვის, ენდროსთვის და ნავთის სანთლისათვის ბევრი ქებაები ეთქოთ და შემდეგიც კარგი ექნებათო. აქეთა კავკაზიის კარტას ყველა მოეყვანა აღტაცებაში, რომელსაც დაებნელებინა სუეცის კარტაცა"[25].

გამოფენაზე კავკასიიდან გაგზავნილი ზოგიერთი ექსპონატი დაჯილდოვდა ოქროს და ვერცხლის მედლებით. უმაღლესი შეფასება დაუმსახურებია აგრონომ ა. დეიჩმანის ღვინისა და სიმინდის ნიმუშებს, ძმები ბარანინების აბრეშუმის და გ. ჩალინგაროვის მაუდის ნაწარმს. „კავკაზის ჯარის შტაბის ფოტოგრაფიის ქარხანამ მიიღო ქება ფოტოგრაფიის სახეებისათვის" და „კავკაზიის მეურნეობის საზოგადოებამ – სასოფლო კოლექციისათვის"[26].

სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმის ისტორიაში ყველაზე წარმატებული იყო 1867 წელი. ამ დროს მისი ფონდები ასე გამოიყურება[27]:

სამიწათმოქმედო იარაღები, მანქანები და მოდელები	----	62
ს–მ ხელსაწყოები და ტექნოლოგიის ნიმუშები	----	499
დენდროლოგიური კოლექცია	----	169
ჰერბარიუმის ეგზემპლარები	----	7030
ენტომოლოგიური კოლექცია	----	9800
პალეონტოლოგიური კოლექცია	----	1796
მინერალოგიური კოლექცია	----	2680
კონქილიოლოგიური კოლექცია	----	1285
ჰომოლოგიური კოლექცია	----	63
სულ	----	33498

„სასოფლო გაზეთის" კორესპონდენტი მუზეუმის ექსპონატების ჩამოთვლისას განსაკუთრებით აღნიშნავს „სასოფლო სახელოსნოების მაშინებსა და სხვა სამეურნეო იარაღებს... ბაღოსნობის, ღვინის დაყენების, აბრეშუმის მოყვანის და ფუტკრის მოშენების ხელსაწყოებს"[28].

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფ. ბაიერნის კოლექციის დიდი ნაწილი არ შეესაბამებოდა სოფლის მეურნეობის მუზეუმის პროფილს, ამიტომ 1868 წლიდან დაისვა ამ მასალების სხვა მუზეუმისათვის გადაცემის საკითხი, მითუმეტეს, რომ ამ პერიოდში უკვე დაფუძნებული იყო და თანდათანობით ძალას იკრებდა ე. წ. „კავკასიური მუზეუმი" გუსტავ რადეს ხელმძღვანელობით.

მიუხედავად სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმის დირექციისა და სხვა ამ დროს ცნობილი მოღვაწის (მაგალითად, ნ. ზეიდლიცის) წინააღმდეგობისა, ეს საკითხი მაინც გადაიჭრა კავკასიური მუზეუმის სასარგებლოდ, რაც, ალბათ, გახდა იმის მიზეზი, რომ ეს ორი პიროვნება (ნიკოლოზ ზეიდლიცი და გუსტავ რადე) სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ შეურიგებელ მოწინააღმდეგებად.

1869 წლის „კავკაზკი კალენდარი" წერდა: „1868 წლის ბოლოს, სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკო-

[25]„სასოფლო გაზეთი", 1869, №7, გვ. 6.
[26]იქვე.
[27]„Кавказский календарь" на 1868 г., გვ. 458.
[28]„სასოფლო გაზეთი", 1869, №7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოზის-ძის ნებართვით თავის მუზეუმის კუთვნილი საბუნებისმეტყველო-ისტორიული კოლექციები, მთლიანად (ენტომოლოგიური, მინერალოგიური, გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, კონქილიოლოგიური, პომოლოგიური და ჰერბარიუმი) სულ 40000 ნომერი გადასცა კავკასიური მუზეუმის გამგებლობაში, რომლის ფონდებიც ამის გამო თითქმის ორჯერ გაიზარდა[29].

სოფლის მეურნეობის სახოგადოების მუზეუმი, რომლის ფონდებიც თითქმის 50-ჯერ შემცირდა, რასაკვირველია, ვერ შეძლებდა ძველებურად ფუნქციონირებას და სულ მალე არსებობა შეწყვიტა.

1869 წლიდან სოფლის მეურნეობის სახოგადოების მუზეუმს „კავკასი კალენდრისა" და სახოგადოების ანგარიშებში ვეღარ ვხვდებით. მისი კოლექციები კი არსებობას ახლად ჩამოყალიბებულ კავკასიური მუზეუმის ფონდებში და გამოფენებზე განაგრძობდა.

Г. В. ЧХАИДЗЕ

МУЗЕЙ КАВКАЗСКОГО ОБЩЕСТВА СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА

Резюме

В середине XIX века значительная роль в деле развития музейного дела в Грузии отводится Музею Кавказского общества сельского хозяйства.

29 марта 1850 года по инициативе наместника Кавказа М. Воронцова в Тбилиси было основано Кавказское общество сельского хозяйства.

Одной из задач этого общества было устройство выставок. В марте того же года общество представило свою первую выставку в здании Тбилисской гимназии.

В 1850 при обществе официально был учрежден музей с профилем естествознания.

Фонды Музея, в основном, пополнялись пожертвованиями частных лиц и разных организаций.

Историю музея можно разделить на 2 этапа.

I этап - охватывает период с основания Музея до 1862 года. В этот период в Музее не проводились научные работы, он был занят только организацией выставок.

II этап - охватывает период с 1862 года до упразднения Музея в 1868 году. На этом этапе число экспонатов значительно возросло, благодаря натуралисту Ф. Байерну, который в 1863 году начал работать в этом Музее и всю коллекцию передал ему. В связи с этим, в Музее развернулась большая научная работа.

Музей принимал участие в организации выставок в Тбилиси, Москве и Париже.

В 1868 году Музей большую часть своих коллекций (около 40000 ботанических, зоологических и геологических экспонатов) передал новообразованному Кавказскому музею.

[29] „Кавказский календарь" на 1869 г., გვ.376.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ შოშიტაშვილი

მუზეუმის ახალი კოლექციები

(1989–1999)

განვლილი ათწლეულის რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც მოჰყვა ძველი სისტემის რღვევასა და ახლის შენებას, ბუნებრივია, გავლენის გარეშე სამუზეუმო ცხოვრებასაც ვერ დასტოვებდა. შემცირდა დაფინანსება, ექსპედიციები, მივლინებები, რამაც თავისთავად გამოიწვია ყოველწლიურად შემოსული ექსპონატების რაოდენობის შემცირებაც. ამჯერად ჩვენს მიზანს წარმოადგენს თვალი გავადევნოთ განვლილ ათწლეულში მუზეუმში შემოსულ ნივთებს და მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი.

აღნიშნული წლების განმავლობაში შემოსული კოლექციებისა და შესაბამისი აქტების გაცნობისას გამოიკვეთება ტენდენცია 1989 წლიდან ჯერ მათი რაოდენობის შემცირებისა, ხოლო ათწლეულის მეორე ნახევარში, სახელმწიფოებრივი სტაბილიზაციიდან გამომდინარე, შემოსული კოლექციების მატებისა.

ცხრილის მიხედვით გამოკვეთილად ჩანს, რომ ყველაზე ძნელი პერიოდი 1992-1995 წლებში ყოფილა. თუმცა ამავე დროს ეს ის პერიოდია, როდესაც შეჭირვებული



სურ. 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური მდგომარეობის გამო მოსახლეობას ოჯახებიდან გამოჰქონდა ოქროს, ტრადიციული ნივთები. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ნივთის პატრონი იმ დღეებშივე ითხოვდა ფულს და ვერ დაელოდებოდა საბანკო-სახაზინო ოპერაციების დასრულებას. ასეთ შემთხვევაში ბევრი ნივთი კერძო ბაზარზე ხვდებოდა. ამგვარი ტენდენცია ნაწილობრივ დღესაც შეიმჩნევა.

წელი	ინდივიდუალურად შემოსული ნივთები და კოლექციები აქტებით	წელი	ინდივიდუალურად შემოსული ნივთები და კოლექციები აქტებით
1989	45	1995	6
1990	47	1996	17
1991	32	1997	22
1992	13	1998	19
1993	10	1999	23
1994	10		

80-იანი წლებისათვის ექსპონატების ყოველწლიური მატება გაცილებით უხვი იყო. წელიწადში ჩვეულებრივ ასზე მეტი კოლექცია შემოდიოდა, მათში შემავალი მრავალი ექსპონატით. ასე მაგალითად, 1979 წელს 115 კოლექცია შემოვიდა, 1980 წელს - 141....1987 წ. – 139, ხოლო 1988 წ. – 105. 90-იან წლებში ექსპონატების მუზეუმში შემოსვლის გზების ანალიზით რამდენიმე ტენდენცია ფიქსირდება (იხ. ცხრილი): 90-იან წლებში პროცენტულად იკლო ექსპედიციებმა და შესაბამისად ამ გზით შემოსულმა ეთნოგრაფიულმა და განსაკუთრებით არქეოლოგიურმა კოლექციებმა; მუზეუმის გამდიდრების ძირითადი გზა ნივთების შეძენა ან შემოწირვა გახდა; 1993 წლიდან საერთოდ შეწყდა აქამდე პრაქტიკაში ფართოდ დანერგილი გაცვლითი წესით ბოტანიკის განყოფილების ჰერბარიუმის გამდიდრება, განსაკუთრებით სანქტ-პეტერბურგის და სომხეთის ბოტანიკის ინსტიტუტებიდან, რაც, როგორც ჩანს, სათანადო კონტაქტების შესუსტებამ გამოიწვია; დასახელებულ ათწლეულში გრძელდებოდა ადრე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის გატარება საინვენტარო დავთრებში და არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან განხორციელებული ექსპედიციებიდან კოლექციების გადმოცემა. აღნიშნული ტენდენციები ნათლად ჩანს იმ სტატისტიკურ მონაცემში, რომელსაც აქ წარმოვადგენთ (იხ. ცხრილი).

ასეთია სურათი სტატისტიკის ენით. ახლა, რაც შეეხება თვით ნივთებს. განვლილ ათწლეულში, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ობიექტური სიძნელეებისა, საბჭოეთიერად გაგრძელდა საუკუნენახევრიანი ღირსეული ტრადიცია და მუზეუმის ფონდები შეივსო სშირ შემთხვევაში უნიკალური, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში მსოფლიო რეჭონანსის მქონე ექსპონატებით. განყოფილებების მიხედვით შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე[1].

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ყველაზე სენსაციური მასალა არქეოლოგიის განყოფილებაში დაუნჯდა. პირველ რიგში ეს არის ე. წ. „დმანისელი ადამიანი" (საინვ. №8-998), დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1991 წ. 24 სექტემბერს აღმოჩენილი ადრეპალეოლითური ადამიანის homo erectus-ის ქვედა ყბა, თექვსმეტი კბილით. მას მიაგნეს დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების ნაგებობათა ქვეშ არსებულ დანალექ ფენაში. სპეციალურმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ აქ აღმოჩენილი ადრეპალეოლითური ადამიანი ევრაზიაში აღმოჩენილ ადამიანთა შორის ყველაზე უძველესია, – იგი დაახ. 1,8 მილიონი წლისაა.

არქეოლოგიაში შემატებულ ექსპონატთა შორის უნიკალურია ე. წ. „მუკუზანის თასი" (№11-994). იგი ვერცხლისაა, მოოქრული, წონა 382 გ, პირის d– 12 სმ. შეძენილია ა. ქიტესაშვილის ოჯახიდან. შემკულია რელიეფური ორნამენტებით. მოოქ-

[1]ზოგიერთი ექსპონატი მეცნიერული დამუშავების პროცესშია, ამიტომ ინფორმაცია მათ შესახებ სავარაუდოა.

წელი	არქეოლოგიის განყოფილება		ეთნოგრაფიის განყოფილება		შ/ს არქეოლოგიის განყოფილება		ისტორიის განყოფილება		ნუმიზმატიკის განყოფილება		ზოოლოგიის განყოფილება		ბოტანიკის განყოფილება	
	ნივთები და კოლექციები აქტებით	ექსპონატების რაოდენობა	ნივთები და კოლექციები აქტებით	ექსპონატების რაოდენობა	ნივთები და კოლექციები აქტებით	ექსპონატების რაოდენობა	ნივთები და ექსპონატები აქტებით	ექსპონატების რაოდენობა	ნივთები და კოლექციები აქტებით	ექსპონატების რაოდენობა	ნივთები და კოლექციები აქტებით	ექსპონატების რაოდენობა	ნივთები და კოლექციები აქტებით	ექსპონატების რაოდენობა
1989	4	30	13	38	1	1	5	15	14	1203	1	7	6	1141
1990	4	15	25	59	-	-	5	10	4	44	1	15	8	1128
1991	1	1	9	45	2	2	2	2	6	25	3	130	9	467
1992	1	3	4	49	3	328	-	-	5	23	-	-	2	513
1993	1	1	2	3	-	-	1	5	-	-	1	1	-	-
1994	2	2	3	9	1	1	-	-	1	1	-	-	-	-
1995	1	14	2	3	1	1	-	-	-	-	1	35	-	-
1996	8	146	-	-	1	1	2	2	6	397	-	-	-	-
1997	7	36	10	64	-	-	-	-	9	35	-	-	-	-
1998	6	103	3	173	1	47	-	-	7	398	-	-	-	-
1999	15	15	2	4	-	-	2	6	1	18	-	-	-	-
სულ:	69	356	54	416	10	381	15	40	39	2505	7	188	25	3248

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რულ ფსკერზე ამოკაწრულია ე. წ. ბოლნური ჯვარი. მეორე მხარე მთლიანად დაფარულია დაბალი რელიეფებით. ცენტრში გამოსახულია ტახის თავი მედალიონში, ირგვლივ კი ვახის სხივები. შიგ ჩასმული მცენარეული მოტივების გამოსახულებით არის ყურძნის მტევნები, ფრინველები, ცხოველები, ადამიანის გამოსახულება ყურძნის კრეფის მომენტში, – ხელში დანით. მეორე შემთხვევაში ზურგზე გიდელი აქვთ მოკიდებული. როგორც პროფ. ლევან ჭილაშვილი აღნიშნავს, „იგი წარმოადგენს უნიკალურ ნივთს, მსგავსი სიუჟეტით დამუშავებული თასები ცნობილია რამდენიმე ცალი, კლივლენდის, დეტროიტის (აშშ) და ბრიტანეთის მუზეუმებში. იგი უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს სასანური ტორევტიკის ბრწყინვალე ნიმუშად. წინასწარულად ის შეიძლება დათარიღდეს ახ. წ. IV საუკუნით.

მნიშვნელოვან კოლექციათა რიგს მიეკუთვნება თბილისში, საბურთალოზე, შემთხვევით აღმოჩენილი კოლექცია (№5-996), რომელიც ოცდაათი დასახელების ნივთისაგან შედგება და რომლის შეძენახეც ხელისუფლებამ თანხა საგანგებოდ დაუშვა. ესენია სხვადასხვა სახის კერამიკა, მინის ჭურჭელი, ვერცხლის თასები, ბრინჯაოს პატერა, ცხვრის თავის გამოსახულებით, ბალთები, საკინძები, ზარაკები და ა. შ. არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის ც. დავლიანიძის აზრით, აღნიშნული კოლექცია თავისი მრავალფეროვნებით, შესრულების ტექნიკური ხერხებით, მხატვრული ღირებულებით, ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის და, კერძოდ, ქართლისა და თბილისის შესასწავლად. ბევრისმთქმელია ვერცხლის თასები, რომელთაგან ერთზე არამეული წარწერაა ამოკვეთილი. უნიკალურია და დღემდე უცნობი ერთ-ერთი ნივთი: ბრინჯაოს სადგარი, ზედ ფარითა და მახვილით აღჭურვილი მამაკაცის (გლადიატორი) და ლომის კომპოზიცია. წინასწარულად ეს კოლექცია თარიღდება ახ. წ. I-II სს. ეს კოლექცია ადასტურებს თბილისის მიდამოებში ისეთივე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურულ-რელიგიური ცენტრის არსებობას, როგორიც ადრეა დადასტურებული მცხეთაში, ზღუდერში, ბორში, არაგვისპირში. კოლექცია შესყიდულია თ. ქადაგიშვილისაგან.

ასევე შესანიშნავი არქეოლოგიური შენაძენია ვერცხლის სამაჯური აქემენიდური ირანის წრისა (№3-996), დამზადებული მრგვალგანიკვეთიანი ღეროსაგან, რომლის ბოლოები მთავრდება ტახის თავის გამოსახულებით.

ამ პერიოდშივე შემოვიდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გემა, რომელთაგან უნდა აღვნიშნოთ ვერცხლის ბეჭედი ლაჟვარდის გემით (№5-997). ბეჭდის სწორკუთხა თვალბუდეში ჩასმულია რვაკუთხედის მოყვანილობის ლაჟვარდის გემა. ბეჭედს მხრეები რელიეფური ორნამენტით აქვს შემკული. ქვის პირზე ამოჭრილია შესანიშნავი კალიგრაფიით შესრულებული სამსტრიქონიანი მხედრული წარწერა. იგი XVIII საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს.

არქეოლოგიის განყოფილებაში შემომატებულ სხვა ნივთთაგან აღსანიშნავია ბრინჯაოს სატევრები, მახვილები, კერამიკული ნიმუშები და სხვა. ამავე დროს მიმდინარეობდა ადრე განხორციელებული ექსპედიციებიდან შემოსული მასალის დამუშავება და საინვენტარო დავთრებში შეტანა.

განვლილ წლებში ეთნოგრაფიულ კოლექციებსაც მნიშვნელოვანი შენამატი აქვს. გამდიდრდა ქსოვილების, ძვირფასი ლითონის ნაკეთობათა, კერამიკის, საჭურველის, ხის ნაკეთობათა ფონდები, ძირითადად მოსახლეობისაგან შეძენილი მასალით. მათგან დავასახელებდით წარწერიან დამბაჩას ლეჩხუმიდან, რომლის ლულა და ტარი მთლიანად ვერცხლშია ჩასმული. წარწერა ოსტატის მიმანიშნებელია „მაქსიმე სვანიძის ხელობა ქსა“ XIX-XX საუკუნის მიჯნა; ხმალი ვერცხლის ტარმუჭით და ქარქაშით. ორნამენტირებული ტარი ვეფხვის თავით მთავრდება ორღარიანი პირით და წარწერით „გუჯუნოვ“. იგი ცნობილი ოსტატი იყო XIX ს. 80-იან წლებში; მოვერცხლილი სატევარი, სამღარიანი, ორი დამღით „ოსმან“. ეს დამღები XIX ს. თბილისურ ხმლებსა და სატევრებზე გვხვდება. თბილისში მომუშავე დაღესტნური ოსტატის ხელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია მოხატული და მხატვრულად დამუშავებული დაირა (№ 21-990), რომელიც კარგად არის დაცული და რომელზეც ნახატი შეიძლება შესრულებულია ცნობილი ქართველი მეწარმისა და ქველმოქმედის გიორგი ქართველიშვილის ქალიშვილის – მელანოს მიერ; ყურადღებას იპყრობს ერთი შეხედვით სადა ხანჯალი, ორი მოოქრული გობაკით, ორნამენტირებული. ხანჯლის პირის ორივე მხარე წარწერიანია. პირველ მხარეს იკითხება: „ერთი ნათლიდედა მყავდა ქვემო ხანდაკს. ქსოვდა საჩოხეს და ფარდაგს... ზალიკას“ II მხარეს: „ერთი კარგი ქალი ჰყავდა საჩოხეს და საპერანგეს დაართავსა... მეცხვარე და ცხვარი“. იგი შიდა ქართლში, მტკვრის მარჯვენა მხარეს უნდა იყოს გაჭედილი და შემდეგ იმერეთში მოხვედრილა.

მშვენიერ საკოლექციო ნიმუშებს წარმოადგენენ თბილისის საბაჟოდან გადმოცემული XVII-XIX საუკუნის ქირმანშალები, – სულ 7 ერთეული, (№7-994:1-7) ირანული, ინდური და სხვა წარმომავლობის მასალა. საბაჟოს მიერ ჩამორთმეული დანარჩენი 8 ქირმანშალი დაუნჯდა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა მე-18 ს. 5 წიგნი, ხოლო საქართველოს საპატრიარქოს – 5 ხატი.

ამავე პერიოდში იყო შემოწირულობაც, რომელთაგან აღვნიშნავდით ზურაბ ფოცხიშვილის მიერ შემოწირულ კოლექციას – (№3-97/1-27), რომელიც შეიცავს კერამიკის ნიმუშებს – (9 ერთეული), ქარგულობას (9 ნივთი), არის ფარდაგი (1 ცალი), ხანჯალი (ვერცხლისა), ხრიკა (მოვერცხლილი), ინკრუსტირებული ხის კოვზები და ა. შ.

სხვა შემოწირული მასალიდან აღსანიშნავია შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებაში დაცული, გივი ადიკაშვილის მიერ მოძღვნილი საეკლესიო სამღვდელოების მაღალი პირის თავსაბურავი – მიტრა (№2-995), შემკული ვერცხლით, მინანქრით, ოქროსფერი ძაფებით და ა. შ.

საკმაოდ ნაყოფიერი იყო განვლილი ათწლეული ნუმიზმატიკის განყოფილებისათვის. გარდა წლების განმავლობაში შეძენილი მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე მონეტებისა, როგორებიცაა კონსტანტინე X-ს დუკას ოქროს მონეტა, ჰოლანდიური ოქროს დუკატი, ჰულაგუიდური მონეტები, სასანური ვერცხლის დრამა და ა.შ., მუზეუმი გამდიდრდა რამდენიმე ე. წ. განძითაც. 1989 წელს მუზეუმის დირექტორის ბატონ ლ. ჭილაშვილის მეშვეობით შემოვიდა XVI საუკუნის ირანული ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც ვერცხლის ზოდს და 1921 მონეტას შეიცავდა (2-989). იგი 1988 წელს შემოდგომაზე ნაქალაქარ ზაგემის ტერიტორიაზე მიწის დამუშავების დროს თიხის ქოთანში აღმოჩნდა. სპეციალისტების აზრით, იგი მნიშვნელოვანია კახეთის სამეფოსა და შირვანის ისტორიის შესწავლისათვის.

იმავე, 1989 წელს კვლავ ლევან ჭილაშვილის მეშვეობით შემოვიდა ყვარლის რაიონის ს. მთისძირში, მდ. არეშის პირზე 60-იან წლებში აღმოჩენილი ე. წ. „მთის ძირის განძი“, - არაბული ვერცხლის მონეტები, VIII-IX საუკუნეებისა, სულ 112 ცალი; ხოლო 1998 წელს მუზეუმმა შეიძინა ქართული საფასების განძი (№3-98), რომელიც შედგება გიორგი III, თამარ მეფის, გიორგი IV ლაშას მონეტებისაგან, სულ 387 ცალი - კოლექცია, რომელიც ხელს უწყობს ერთიანი საქართველოს ფულადი მიმოქცევის და, საერთოდ, საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების შესწავლას.

ამრიგად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მიუხედავად ძნელი დროისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ადმინისტრაცია, მისი თანამშრომლების ღონისძიებებით და საჭირო შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან მატერიალური თანადგომის მეშვეობით, განვლილ ათწლეულში (1989-1999 წწ.) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საცავები და ექსპოზიცია მნიშვნელოვნად გამდიდრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ შარიძაძე, ალბერტ კახნიაშვილი

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მემორიალური ნივთების ისტორიისათვის

სამუზეუმო საქმიანობაში შემოქმედებითი მეცნიერული კვლევის პარალელურად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საფონდო საქმიანობის ფართოდ გაშლას. ფონდებში თავმოყრილი ძვირფასი მასალა წარმოადგენს სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ძირითად ბაზას, რომლის მეცნიერული დამუშავება-შესწავლა წარმოაჩენს და თვალსაჩინოს გახდის საქართველოს მატერიალური და სულიერი ცხოვრების არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს.

აღნიშნულის დასტურად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მაგალითიც იკმარებდა, სადაც სამუზეუმო საქმიანობის ორივე ფორმა შესისხლხორცებულია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს ფონდებში დაცული მდიდარი და საინტერესო მასალის გამოვლინებას, მათი მეცნიერული ღირებულების დადგენას და კვლევის შედეგების ფართოდ ასახვას სამეცნიერო ექსპოზიციაში.

ისტორიის განყოფილების ნივთიერ ფონდში დაცულ მასალათა შორის ყურადღებას იქცევს ქალბატონ ნათელა ჯავახიშვილის მიერ(ბატონ ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილი) 1966 წ. მუზეუმისათვის შემოწირული ფაიფურის ჭურჭლის კოლექცია, რომელიც გამოირჩევა ფორმათა ნაირსახეობით, მოსატულობით, სამეფო გვირგვინის და ვენზელის გამოსახულებით.

მონაცემები, რაც მუზეუმში მასალათა შემოსულობას თან ახლდა, მეტად მწირი აღმოჩნდა.

ჭურჭლის კოლექციის აღწერა, სადაურობის დადგენა, საქართველოში შემოტანის ხასიათი, ჭურჭელზე მოთავსებული ვენზელის გაშიფვრა და ჭურჭლის მფლობელის ვინაობის დაზუსტება კი დიდ ინტერესს იწვევდა.

გარკვეული დახმარება გაგვიწია აწ გარდაცვლილმა ბატონმა ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა, რომელმაც სიცოცხლის ბოლო დღეებში მხოლოდ ერთი ცნობის მოწოდება მოასწრო, რომლის მიხედვით: „ნათელა ჯავახიშვილის მიერ მუზეუმში მოტანილი ჭურჭელი იმ სერვისის ნაწილია, რომელიც ეკუთვნოდა მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანს (ნათელას პაპიდას) და რამდენადაც ვიცი, დამზადებული იყო მისი საგანგებო დაკვეთით საფრანგეთში. ჭურჭელზე დატანილია მისი ვენზელი“[1].

ცნობამ კვლევის სწორი ორიენტაცია შეგვარჩევინა.

მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების მოშველიებით, მოკლედ შევეხებოდით ცნობაში მოხსენიებულ მარიამ ორბელიანის პიროვნებას.

მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი[2] (1852-1941) – ქართული ფეოდალური არისტოკრატიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – გახლდათ

[1]ბატონი ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის მიერ ჩვენთვის მოწოდებული ცნობა ხელნაწერის სახით ინახება მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში.

[2]ორბელიანები XIX ს-ში ჯამბაკურ-ორბელიანებადაც იხსენიებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ერეკლე II-ის და დარეჯან დედოფლის უმცროსი ქალიშვილის – თეკლა ბატონიშვილის შვილის შვილი, პოეტ ვახტანგ ორბელიანის ასული.

თავისი დროისათვის კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე მარიამ ორბელიანი იყო დიდი ქველმოქმედიც. თუმცა მისი ღვაწლი სრულყოფილად ჯერ არაა წარმოჩენილი.

მარიამ ორბელიანი იყო 1878 წ. თბილისში დაარსებულ „ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შეუძლებელ მოწაფეთა დახმარების საზოგადოებასთან" გახსნილ ვაჟთა პირველი სათავადაზნაურო დაწყებითი სკოლის გამგე, კომიტეტის წევრი, ამავე კომიტეტთან შექმნილი ქალთა განყოფილების თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს ითვლებოდა გამგეობის თავმჯდომარის „ამხანაგად". 1894 წლიდან გამგე კომიტეტის კრებამ მარიამ ორბელიანი ერთხმად აირჩია ვიცე-პრეზიდენტად.

მარიამ ორბელიანს, როგორც დედათა განყოფილების გამგე-თავმჯდომარეს, დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ დედათა სკოლის დაარსების საქმეში; როგორც მასწავლებელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარეს – დიდი მონდომება გამოუჩენია მოხუცებულ და ავადმყოფ მასწავლებელ ქალთათვის თავშესაფრის მოსაწყობად.

სკოლის ასაგები და შესანახი სარჯები იფარებოდა უშუალოდ მარიამ ორბელიანის თაოსნობით გამართული მეჯლისების, კონცერტების, შემწეობის, შემოწირულების ბაზით მიღებული თანხებით.

მარიამ ორბელიანი დიდი მონდომებით იღვწოდა სათავადაზნაურო სკოლებისათვის ახალი შენობის ასაგებად, რომლის მშენებლობა 1896 წლიდან დაუწყიათ და წყვეტილი მუშაობით 1907 წლისათვის დაუმთავრებიათ. 1899-1900 წლებიდან სათავადაზნაურო სკოლა 8 კლასიან გიმნაზიად გადაკეთდა, სადაც 1918 წლის 26/I-დან ბინა დაიდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

მარიამ ორბელიანი მხარს უჭერდა და გვერდში ედგა კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა აღმზრდელ და მასწავლებელ ქალთა ტფილისის საზოგადოებასთან ტექნიკური მუზეუმის მოწყობა. მასწავლებელ ქალთა კომიტეტის თავმჯდომარეს – მარიამ ორბელიანს პარიზიდან გამოუწერია ტექნიკური ხასიათის რუკები მუზეუმისათვის.

მარიამ ორბელიანმა დიდი მზრუნველობა და ენერგია მოახმარა ლამისყანაში სკოლის გახსნას. თვით მის მეუღლეს თავად ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანს სკოლის და ეკლესიის ასაგებად ათასობით საჟენი მიწის ნაკვეთი გამოუყვია.

მარიამ ორბელიანის მიერ ყოველ კვირა დღეს თბილისიდან მოწვეული ექიმები უფასოდ სინჯავდნენ და იკვლევდნენ ლამისყანელ ავადმყოფებს. წამლის ფულსაც კნეინა იხდიდაო[3].

მამის უადრესად პატივისმცემელმა და მისი პოეზიის დამფასებელმა მარიამ ორბელიანმა დიდი შრომის ფასად თავი მოუყარა მამის მთელ შემოქმედებას და პეტრე უმიკაშვილის წინასიტყვაობითა და ილია ჭავჭავაძის წერილით 1894 წ. ცალკე კრებულად გამოსცა. მიღებული შემოსავალი შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას და ქართველ ქალთა სკოლას.

დიდია მარიამ ორბელიანის ღვაწლი „საუნივერსიტეტო საქმიანობაში". 1917-1918 წწ-ში იგი იყო ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წევრი და ივანე ჯავახიშვილის ულალატო თანამდგომი მთელი სიცოცხლის მანძილზე. (მარიამ ორბელიანის ძმის – ნიკოლოზის ქალიშვილი ანასტასია იყო ივანე ჯავახიშვილის მეუღლე).

ქ-ნი ნათელა ჯავახიშვილის ქალიშვილი ქ-ნი დალი გერსამია იხსენებს:„პაპას უნივერსიტეტის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიუღია. დიდი ეკონომიკუ-

[3]გაზ. „ივერია", 1895, №170, გვ.2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი და მატერიალური დახმარება გაუწევია მისთვის მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს. ამ ქველმოქმედ ქალს პირადი ძვირფასი ნივთები ჩაუტანებია უნივერსიტეტის საძირკველში და საკმაო თანხაც შეუწირავს".

ასეთია მოკლე ნუსხა მარიამ ორბელიანის მდიდარი მოღვაწეობისა, რომლისთვისაც წმინდათაწმინდა იყო სამშობლოს სიყვარული და მისთვის სამსახური, რომელსაც ახასიათებდა ქვეყნის კულტურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები.

სწორედ ამიტომაც გავამახვილეთ ყურადღება მარიამ ორბელიანის პიროვნებაზე, მეფე ერეკლე II-ის შთამომავალზე, რომლის ნაქონი ნივთები სამუზეუმო ექსპოზიციაში სათანადო ადგილს დაიკავებს და დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს ისტორიაში მისი მოღვაწეობის პერიოდის შესწავლას.

რაც შეეხება კოლექციაში წარმოდგენილ ჭურჭელს, იგი საოჯახო დანიშნულებისაა და ფუფუნების საგნების მნიშვნელობაც აქვთ.



სურ. 1



სურ. 2

გამოირჩევა სხვადასხვა ზომის წრიული, ოვალური, ოთხკუთხა და მართკუთხა ფორმის ფაიფურის სინები (38-66/1-6), (სურ. № 1, 2, 3, 4, 5, 6); ორყურა საწვნე (38-66/18) (სურ. № 7); სატყემლე (38-66/19) (სურ. № 8); ფიგურულ სახელურიანი ხუფები (38-66/20-21), (სურ. № 9,10); სამდოგვე (38-66/22), (სურ. № 11).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 9



სურ. 10

სურ.11

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალხარისხოვანი და მხატვრულ-დეკორატიულად ლამაზად გაფორმებული ჭურჭელი დამზადებულია თეთრი ფაიფურისაგან, ხასიათდება მაღალი სიმტკიცით და ქიმიური მედეგობით, გამომწვარია მაღალ ტემპერატურაზე. ნაკეთობა არის უფორებო და აქვს წკრიალა ხმა.

ყოველი სახეობის ჭურჭელს და ხუფს ფორმის მიხედვით გასდევს 0,2 მმ სისქის ოქროს ვარაყიანი ორი ზოლი და წითელი ფერის ფოთლოვანი ორნამენტი. ნაწარმის ძირის შუა ნაწილს და ხუფების ორ მხარეს ამშვენებს წითელი ფერის სამეფო გვირგვინის და ვენზელის გამოსახულება.

სათანადო ლიტერატურის გაცნობისა და სპეციალისტთა კონსულტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ჭურჭელი მიეკუთვნება ფაიფურის ერთ-ერთ სახეობას – სალ ფაიფურს, რომელიც გამოიყენება ყოფა-ცხოვრებაში ჭურჭლის დასამზადებლად.

ჭურჭლის სადაურობის დასაზუსტებლად მოვიშველიეთ შემდეგი გარემოებანი:

ა) ბ-ნი ალექსანდრე(ლალი) ჯავახიშვილის გადმოცემა.

ბ) როგორც ყოველთვის, XIX ს.-შიც დიდი იყო ქართველი საზოგადოების ინტერესი და მისწრაფება ევროპული კულტურისადმი. ქართველი არისტოკრატები ევროპულ ყაიდაზე აწყობდნენ ცხოვრებას. შემოდიოდა საუკეთესო ხარისხის საოჯახო და ფუფუნების საგნები, რომლებიც ბინას იდებდა შეძლებულთა ოჯახებში. ამ შემთხვევაშიც, სწორედ ამგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ორბელიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები, და მათ შორის ქ-ნი მარიამ ორბელიანიც, ფრანგული ენის კარგად ფლობის გამო, ადვილად შეძლებდა საფრანგეთთან ურთიერთობის დამყარებას.

გ) თვალი გადავავლეთ ფაიფურის წარმოების ძირითად ცენტრებს და მათ ისტორიას. გაირკვა, რომ სალი ფაიფურის გამოყენების მეთოდი ათვისებულ იქნა საფრანგეთში ჯერ კიდევ XVIII ს.-ში. სევრის და ფაიფურის სხვა ქარხნები, რომლებიც XX ს.-ში ითვლებოდნენ ფრანგული ფაიფურის წარმოების მნიშვნელოვან ცენტრებად, ამზადებდნენ ყვავილოვანი ფონით და დახვეწილი ორნამენტით შემკულ ჭურჭელს და ფუფუნების საგნებს, რაც დიდად ემსგავსება ჩვენთვის საინტერესო ჭურჭლის სახეობას, ფერს, ფორმას და ორნამენტს.

დ) მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის საფრანგეთთან სიახლოვეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აღმზრდელ და მასწავლებელ ქალთა თბილისის საზოგადოებასთან დაარსებული ტექნიკური მუზეუმისთვის ამ საზოგადოების თავმჯდომარეს მარიამ ორბელიანს პარიზიდან გამოუწერია ტექნიკური ხასიათის რუკები[4].

რაც შეეხება ჭურჭლის შემოტანის ხასიათს, შეიძლება ითქვას შემდეგი. ქართველი თუ უცხოელი ვაჭრების მიერ ქვეყნებს შორის გაშლილი ვაჭრობისა და საზღვარგარეთიდან გამოწერის ზეით საქართველოში შემოდიოდა დიდი რაოდენობით ყოველდღიური თუ ფუფუნების საგნები. ქართველ თავადაზნაურთა გარკვეულმა ნაწილმა, რომელმაც ფეხი აუწყო ევროპულ ცხოვრებას, შეცვალა თავის სასარგებლოდ შემოტანის ეს ფორმა. თავიანთი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე და მაღალი გემოვნების დასაკმაყოფილებლად მათი სოციალური მდგომარეობისათვის შესატყვის და სასურველ ნივთს სამეფო გვირგვინის, საგვარეულო ემბლემის გამოსახულებით თუ ვენზელით შემკულს უკვე შეკვეთების ზეით ამზადებინებდნენ ევროპის საუკეთესო მწარმოებლებს, რაც კიდევ ერთი დასტურია ქართველი თავადაზნაურობის მისწრაფებისა ახალი ცხოვრებისაკენ.

ყურადღებას იპყრობს ჭურჭელზე ლამაზ ფერებში გამოსახული ვენზელი, რომლის გაშიფვრაში დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენი მუზეუმის თანამშრომელმა ბატონმა ვალერი სილოგავამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. დიდი მცდელო-

[4]გაზ. „ცნობის ფურცელი", 1900, №1256, გვ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის და მონდომების წყალობით მასში ამოიკითხა – „მარიამი“, რაც უკავშირდება ჭურჭლის მფლობელის მარიამ ორბელიანის სახელს.

ვფიქრობთ, მცირე მოცულობის ნაშრომს, რომლის კვლევაც მომავალში გაგრძელდება, პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება მუზეუმის ფონდების შესწავლის და ექსპოზიციის გამდიდრების საქმეში და დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირთ სოციალურ ურთიერთობაში, სულიერი და მატერიალური კულტურის სფეროში მომხდარი და მიმდინარე მოვლენების გარკვევაში.

Т. Д. ШАРИКАДЗЕ, А. Н. КАХНИАШВИЛИ

К ИСТОРИИ МЕМОРИАЛЬНЫХ ПРЕДМЕТОВ М. ДЖАМБАКУР-ОРБЕЛИАНИ

Резюме

Широкий разворот фондовой работы и параллельно ведущиеся научные исследования являются основной задачей музея, что имеет практическое значение в изучении фондов и обогащении экспозиции музея. Это поможет заинтересованным лицам разобраться в явлениях, происшедших в социальных отношениях и в материальной и культурной сфере.

Среди хранящихся в фонде отдела истории материалов особого внимания заслуживает фарфоровая посуда, с благотворительной целью переданная в 1966 году музею Нателой Джавахишвили (дочь Ив. Джавахишвили), принадлежавшая одной из выдающихся представительниц грузинской феодальной аристократии, внучке младшей дочери царя Ираклия II-го и царицы Дареджан, Теклы Батонишвили, дочери известного поэта Вахтанга Орбелиани – Мариам Джамбакур-Орбелиани.

В коллекцию фарфоровой посуды входят: подносы (38-66/1-6), (рис. 1,2, 3, 4, 5, 6); соусницы (38-66/18), (рис. 7); суповницы (38-66/19) (рис.8), крышки (38-66/20-21)(рис. 9, 10); горчичницы (38-66/22) (рис. 10).

Все они разных размеров и форм. Разукрашены позолоченной каймой и листовидным орнаментом. Посуду украшает изображение царского венца и вензеля. Посуда семейного назначения, являющаяся предметом роскоши.

Посуда изготовлена во Франции по заказу Мариам Орбелиани. На вензеле расшифровано слово “Мариам”, что указывает на владельца посуды.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ კიღურაძე

საქართველოს არქეოლოგიური გამოფენა გერმანიაში – „ოქროს საწმისის გზებით – არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოდან“

1995 წლის 7 მაისიდან 1996 წლის 30 აპრილამდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამ ქალაქში – ზაარბრიუკენში, რომელიც ზაარის მხარის დედაქალაქს წარმოადგენს, მიუნხენსა (ბავარიის დედაქალაქი) და დრეზდენში (საქსონიის დედაქალაქი) გაიმართა გამოფენა სათაურით „ოქროს საწმისის გზებით“ – არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოდან“. ეს იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი და წარმომადგენლობითი არქეოლოგიური გამოფენა, რაც ოდესმე გაუტანიათ საზღვარგარეთ საქართველოდან. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 386 დასახელების ნივთი საქართველოს თითქმის ყველა ისტორიული პროვინციიდან ნეოლითის ხანიდან მოკიდებული (ძვ. წ. VI-V ათასწლეულები) გვიანი ანტიკური ხანის ჩათვლით (ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისი). გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა სამივე ქალაქში. ზაარბრიუკენში გამოფენა გაიმართა თანამედროვე ხელოვნების გალერეაში (Saarland Muzeum _ Moderne Galerie), სადაც ჩვენი გამოფენის დამთვალიერებელთა რიცხვმა 27 ათასს გადააჭარბა; საჭირო გახდა გამოფენის ვადის გაგრძელება და გამოფენა დაგეგმილზე ორი კვირით გვიან დაიხურა (მთლიანობაში გამოფენა ფუნქციონირებდა 7 მაისიდან 21 აგვისტომდე, ნაცვლად 6 აგვისტოსი). დამთვალიერებელთა ასეთი რაოდენობა ამ მუზეუმში არც ერთ გამოფენას არ მოუხიდავს. აღსანიშნავია, რომ შვიდი ათასამდე დამთვალიერებელი საფრანგეთის ახლომდებარე რეგიონებიდან ჩამოვიდა. ასევე ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა ჩვენს გამოფენას მიუნხენში, გერმანიის კულტურულ ცენტრში, სადაც პარალელურად ათობით სხვა ექსპოზიცია მიმდინარეობდა. მიუნხენში ჩვენი გამოფენა მოეწყო პრეისტორიულ სახელმწიფო საცავში – არქეოლოგიურ მუზეუმში (Prähistorische Staatssamlung) 1995 წლის 6 ოქტომბრიდან 1996 წლის 7 იანვრამდე. დამთვალიერებელთა რიცხვმა 18 ათასს გადააჭარბა, ჩვენი გამოფენა მნახველთა რაოდენობით მეორე ადგილზე იყო ამ მუზეუმის ისტორიაში, რომელსაც აჯობა მხოლოდ „კელტების ოქროს“ გამოფენამ, რომელმაც დამთვალიერებელთა სარეკორდო რაოდენობა მიიზიდა და ბევრად უფრო დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, ვიდრე ჩვენი გამოფენა. შედარებით ნაკლები იყო დამთვალიერებელთა რაოდენობა დრეზდენში - თორმეტ ათას ვიზიტორზე მეტი, მაგრამ ეს რიცხვი თითქმის ორჯერ სჭარბობდა აქ ყველა სხვა ექსპოზიციაზე მოსულ მნახველთა რაოდენობას. დრეზდენში გამოფენა გაიმართა წინაისტორიულ მუზეუმში (Landesmuseum für Vorgeschichte - Japanische Pallais), ე. წ. იაპონურ სასახლეში და მიმდინარეობდა 1996 წლის 8 თებერვლიდან 30 აპრილამდე.

გამოფენის მოწყობისათვის მზადება 1987 წელს დაიწყო. გამოფენის მოწყობის იდეა ეკუთვნის გერმანელ არქეოლოგს, პროფესორ ვინფრიდ ორტმანს. ვ. ორტმანი, რომელიც ზაარლანდის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, ოც წელზე მეტია ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველ არქეოლოგებთან თანამშრომლობს. მან თვითონაც შეისწავლა და თავის რამდენიმე სტუდენტსაც შეასწავლა ქართული ენა. მისი მოსწავლეების ნაწილი საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის პრობლემებზე მუშაობს. ამჟამად ის აგრძელებს მოღვაწეობას ჰალეს უნივერსიტეტში, სადაც წინა აზიის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. იგი მცირე მასშტაბის არქეოლოგიურ გათხრებს ატარებს საქართველოში – კახეთში თხრის ადრეულ ყორღანებს. თავდაპირველად, 1986 წელს განზრახული იყო თბილისის არქეოლოგიური აღმოჩენების ჩვენება დაძმობილებულ ქალაქ ზაარბრიუკენში, მაგრამ ზაარის მხარესა და საქართველოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომმა გაღრმავებამ შესაძლებელი გახადა გვეფიქრა უფრო მასშტაბური გამოფენის მოწყობაზე, რომელიც მეტნაკლები სიზუსტით ასახავდა ქართული არქეოლოგიის მიღწევებს ნეოლითიდან ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე საქართველოში. ბევრი სიძნელე შეგვხვდა გამოფენის მოწყობის ფაზაზე, რომელსაც ბოლო წლების პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური კრიზისი აძლიერებდა.

რომ არა პროფ. ვინფრიდ ორტმანის განუზომელი ოპტიმიზმი და მიზანსწრაფვა, ძნელი იქნებოდა მისივე იდეის ხორცშესხმა. იგი გვევლინება გამოფენის მოწყობის ინიციატორადაც და ძირითად თანაავტორადაც. მისი დამსახურებაა მეცნიერული კატალოგის შედგენისათვის ზრუნვა და ბრწყინვალე პოლიგრაფიულ დონეზე მისი დაბეჭდვა, მან დაწერა კატალოგის შესავალი წერილი ანდრეი მირონთან (ზაარლანდის პრეისტორიის მუზეუმის დირექტორი, რომელმაც იკისრა ზაარბრიუკენში გამოფენის მოწყობა) ერთად, ასევე ვრცელი სტატია „ამიერკავკასია და ძველი აღმოსავლეთი". ანდრეი მირონს ეკუთვნის კიდევ ერთი სტატია ამ კატალოგში „საქართველო, შუა ევროპა და არქეოლოგია". ერთი სტატია საქართველოს ლანდშაფტისა და გეოგრაფიული დაყოფის შესახებ ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის პროფ. ჰაინც ფეინრიხის დაწერილია. დანარჩენი სტატიები, განმახოგადებელი წერილები და მასალის აღწერა – საკატალოგე ტექსტები ქართველ ავტორებს ეკუთვნის.

გამოფენა და შესაბამისად კატალოგიც ავტორთა ჩანაფიქრით წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ცალკეულ ნაკვეთებად, ძირითადად არქეოლოგიური პერიოდების მიხედვით. კერძოდ, ნაკვეთი ნეოლითისა და ქალკოლითის შესახებ ეკუთვნის ალექსანდრე ჯავახიშვილსა და თამაზ კიღურაძეს, ადრებრინჯაოს ხანა - ოთარ ჯაფარიძესა და ალექსანდრე ჯავახიშვილს, შუა ბრინჯაოს ხანა - ოთარ ჯაფარიძეს, გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანა – კიაზო ფიცხელაურსა და ოთარ ჯაფარიძეს, ერეკლე ქორიძის, ლეილა ფანცხავასა და ნიკოლოზ ჩუბინიშვილის თანაავტორობით, კოლხეთის სამეფო –ოთარ ლორთქიფანიძეს (ამირან კახიძესთან თანაავტორობით), ქართლის სამეფო – ანდრია აფაქიძეს, იულონ გაგოშიძისა და გიორგი ცქიტიშვილის თანაავტორობით, ცალკე ნაწილი ქ. თბილისის არქეოლოგიის შესახებ - როსტომ და მიხეილ აბრამიშვილებს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შესახებ წერილის ავტორია ლევან ჭილაშვილი, არქეოლოგიური კვლევის ისტორია საქართველოში დაწერეს ოთარ ჯაფარიძემ და ოთარ ლორთქიფანიძემ. ვინფრიდ ორტმანის დამსახურებაა, რომ გერმანულ ტექსტს ტირაჟის ნაწილში დართული აქვს საგამოფენო ნივთების საკატალოგე აღწერები ქართულ ენაზე. ქართული ტექსტების რედაქტირება იტვირთა მედეა მენაბდემ, კომპიუტერზე ააწყო ნანა ჯაფარაშვილმა და ზაალ ანდრონიკაშვილმა. ქართულ ენაზე შესრულებული საკატალოგე აღწერილობანი ითარგმნა გერმანულად. ისინი და ყველა სხვა ზემოდასახელებული ტექსტები თარგმნა თამარ კიღურაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად გამოფენა და მისი კატალოგი გერმანელი და ქართველი არქეოლოგების მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგია, რადგანაც მის მოწყობაზე მუშაობა თითქმის შვიდი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ზემოდასახელებულ გერმანელ არქეოლოგთა გარდა კატალოგზე მუშაობდნენ და გამოფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ იოჰანეს ბოეზე, ანდრეას ეგოლდი, ალექსანდრე პრუსი, ფრანც-იოზეფ შუმახერი და სხვ.

გამოფენა ვერ განხორციელდებოდა, რომ არ ყოფილიყო გერმანიის მხარის, კერძოდ კი ზაარის მიწის მთავრობის დაინტერესება და მხარდაჭერა გამოფენისათვის მზადების ყოველ ეტაპზე. მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ მათი ღვაწლი, ვინც ხელი შეუწყო გამოფენის მოწყობას. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ზაარის მხარის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, საქართველოს დიდი მეგობარი ბ-ნი ოსკარ ლაფონტენი, რომელიც გამოფენის საპატიო კურატორი იყო: ზაარლანდის კულტურისა და მეცნიერების მინისტრი დოქტორი დიტერ ბრაიტენბახი, ზაარლანდის კულტურის ფონდის თავმჯდომარე ბ-ნი ვერნერ კლუმპი და ზაარლანდის სახელმწიფო მინისტრი დ-რი კურტ ბორი. ზაარლანდის კულტურის ფონდმა დააფინანსა გამოფენის მოწყობა. აღსანიშნავია ზაარლანდის უნივერსიტეტისა და მისი პრორექტორის პროფ. გერტ ჰუმელის მხარდაჭერა და მუდმივი მზრუნველობა.

გამოფენის წარმატებით დაგვირგვინებას ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობისა და მისი მეთაურის გამოფენის საპატიო კურატორის, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის გულისხმიერმა დამოკიდებულებამ და სათანადო მხარდაჭერამ. აღსანიშნავია ქ. თბილისის მაშინდელი მერის ბ-ნ ნიკო ლეკიშვილის ხელშეწყობა, ასევე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ალბერტ თავხელიძისა და ვიცე-პრეზიდენტის აკად. ანდრია აფაქიძის თანადგომა. გამოფენის მოწყობას თავიდანვე დაუჭირეს მხარი ქართველმა მეცნიერებმა: ოთარ ჯაფარიძემ, ალექსანდრე ჯავახიშვილმა, ლევან ჭილაშვილმა, როსტომ აბრამიშვილმა, ოთარ ღამბაშიძემ, დავით ხახუტაიშვილმა, ამირან კახიძემ, იულონ გაგოშიძემ, გიორგი ცქიტიშვილმა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებისა და ქიმ-სარესტავრაციო ლაბორატორიის თანამშრომელთა წვლილი, რომლებმაც მიუხედავად სიცივეებისა და უსახსრობისა, ყველაფერი იღონეს საგამოფენო ექსპონატების სათანადოდ მოსამზადებლად.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა იკისრა გამოფენის მოწყობაში ძირითადი ორგანიზატორის და შემსრულებლის როლი არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის, ბათუმის, სიღნაღის, ბორჯომის მუზეუმების და სხვა სამეცნიერო კერების მონაწილეობით.

საგამოფენოდ შერჩეული მთელი მასალა იკრიბებოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აქვე მოხდა მათი საბოლოო შერჩევა, არჩეული მასალის ქიმ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში დამუშავება, ფოტოგრაფირება, საბოლოო შეფუთვა და ტრანსპორტირებისათვის მომზადება. აქვე იყრიდა თავს საკატალოგე აღწერილობები, ხდებოდა მათი რედაქტირება და დასაბეჭდად და სათარგმნელად მომზადება. ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაშინდელ არეულობასა და მძიმე კრიმინოგენურ ვითა-[illegible]ში, მუზეუმის თანამშრომლებმა და მუზეუმის დაცვის პოლიციამ გადაიტანეს მთე-[illegible] გამოფენო ექსპონატები მუზეუმიდან აეროპორტში. საბედნიეროდ მაშინ არავის მოსვლია ახრად წინააღმდეგობა გაეწია ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი აქციისათვის - გამოფენის მოწყობისათვის. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა გერმანიის სამ ქალაქში და მშვიდობიანად, ექსპონატები უკლებლივ და დაუზიანებლად, უმეტესად კი თავიდან აღდგენილი და გალამაზებული დაბრუნდა საქართველოში. გამოფენის მთელი პერიოდის განმავლობაში ადგილზე მეთვალყურეობას ასრულებდნენ ლ. ჭილაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ისინი ხელმძღვანელობდნენ წინასაგამოფენო საორგანიზაციო სამუშაოებსაც. გამოფენას წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების პერიოდში გერმანიაში გაჰყვა მუზეუმის სამი თანამშრომელი: დირექტორი ლევან ჭილაშვილი, არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი მედეა მენაბდე და ამ სტრიქონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ავტორი. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა წამოსვლა გამოფენის მოწყობის ერთ-ერთმა ინიციატორმა და ორგანიზატორმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა. ასევე ბოლო მომენტში ავადმყოფობის გამო გამოაკლდა გამოფენის გახსნისა და სიმპოზიუმის მონაწილეთა დელეგაციის წევრებს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანდრია აფაქიძე. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გაითვალისწინა რა საქართველოში იმ დროს არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, გერმანულმა მხარემ იკისრა გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. მათვე იკისრეს მთელი საგამოფენო მასალის დახღვევა მუზეუმის კარიბჭიდან უკან მუზეუმში დაბრუნებამდე. მთელი გამოფენა დახღვეული იყო გერმანული კომპანია „ნორდზეეს" მიერ დაახლოებით 29 მილიონ გერმანულ მარკად. ტრანსპორტირების დროს სპონსორობას გვიწევდა საქართველოს საავიაციო კომპანია „ეარ ჯორჯია" (პრეზიდენტი დემურ ლოლაძე), რომელმაც შეღავათიანი ტარიფებით გადაიტანა ტვირთი. გერმანიის მხრიდან ზაარბრიუკენში სპონსორები იყვნენ „ვიქტორს რეზიდენტ ჰოტელი" (სასტუმროს მეპატრონეები) და „კარლსბერგი" (ლუდის მწარმოებელი ერთ-ერთი ცნობილი ძველი გერმანული ფირმა). მიუნხენში ძირითადი სპონსორი იყო „სიმენსის" ფირმა და სხვ.

გერმანიის სამივე ქალაქში გამოფენების გახსნას წინ უსწრებდა მეტად სანგრძლივი და შრომატევადი სამუშაობები. ზაარბრიუკენის მუზეუმის ლაბორატორიამ დიდი სამუშაო ჩაატარა, რათა ევროპულ კონდიციამდე მიეყვანათ ჩატანილი ექსპონატები – მასალის უმეტესობა გაიწმინდა, თიხის ჭურჭლის გარკვეულ ნაწილს თავიდან გაუკეთდა რესტავრაცია. უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით გამაგრდა და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა ლითონის ბევრ ნივთს. ამ უზარმაზარი საქმის კეთებას მხოლოდ ზაარბრიუკენში თვენახევარი დასჭირდა გახანგრძლივებული სამუშაო დღით. აქ გაწეულმა არასამუშაო საათებში შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ 30000 მარკას მიაღწია. გარკვეული საკონსერვაციო სამუშაოები ჩაატარა მიუნხენისა და დრეზდენის მუზეუმების ლაბორატორიებმაც.

გამოფენის გახსნას სამივე ქალაქში წინ უსწრებდა პრესკონფერენციები პრესისა და ტელევიზიის მუშაკებთან, რომლებიც ფართოდ აშუქებდნენ გამოფენის არსს, მნიშვნელობას და, ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიას. ზაარბრიუკენში ქართული არქეოლოგიის გამოფენას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭეს. წინასწარ გაზეთებსა და ჟურნალებში იბეჭდებოდა ვრცელი სტატიები, გერმანიის ტელევიზიის საერთო გერმანულმა მეორე არხმა რეჟისორ შტეფან ფიშერის გადაღებული ნახევარსაათიანი ფილმი უჩვენა საქართველოს კულტურასა და არქეოლოგიაზე. ქართული გამოფენისადმი მიძღვნილი ათწუთიანი ფილმი იქნა ნაჩვენები ბავარიის ტელევიზიის პირველი არხით. ამის გარდა იყო რამდენიმე სარეკლამო გადაცემა ზაარლანდში, მიუნხენსა და საქსონიაში. გამოფენის გახსნის ცერემონიები ძალიან პარადული და მასშტაბური იყო. ზაარბრიუკენში გამოფენის გახსნას დაესწრო 1200-მდე კაცი. გამოფენა გახსნა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ზაარის მხარის პრემიერ-მინისტრმა ოსკარ ლაფონტენმა. საქართველოს პრეზიდენტის სახელით გამოფენის გახსნას მიესალმა კობა იმედაშვილი. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ზაარის მხარის კულტურისა და მეცნიერების მინისტრი დიტერ ბრაიტენბახი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალბერტ თავხელიძე, საქართველოს ელჩი გერმანიაში კოტე გაბაშვილი და ზაარლანდის მუზეუმის დირექტორი ანდრეი მირონი.

მიუნხენში გამოფენის გახნისას ცერემონიალი შედგა ბავარიის მეფეთა სასახლეში. გამოფენა გახსნა ბავარიის მეცნიერებისა და კულტურის მინისტრმა და პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ბ-მა დ. მაიერმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიის პრეზიდენტი ალბერტ თავხელიძე, საქართველოს დესპანი გერმანიაში ბ-ნი კოტე ზალდასტანიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დირექტორი ლევან ჭილაშვილი, მიუნხენის პრეისტორიული მუზეუმის დირექტორი პროფ. ლუდვიგ ვამზერი. ორივე ქალაქში გახსნისას ცერემონიალის ბოლოს მოეწყო კონცერტები, სადაც სპეციალურად ყავდათ დაპატიჟებული იმ დროს გერმანიაში მყოფი მიმის თეატრის ქართული დასი.

დრეზდენში გამოფენა გახსნა საქსონიის მიწის სახელმწიფო მინისტრმა პროფ. ჰანს-იოახიმ მეიერმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ადგილობრივი მუზეუმის დირექტორი იუდით ოქსლი, საქართველოს ელჩი გერმანიაში კოტე გაბაშვილი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალბერტ თავხელიძე. შესანიშნავი ლექცია-მოხსენება წაიკითხა ზაარლანდის უნივერსიტეტის პროფესორმა გერტ ჰუმელმა ქართული ეკლესიის ისტორიისა და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების შესახებ, რომელმაც თავისი მოხსენება „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ლექსის ქართულ ენაზე წაკითხვით დაასრულა.

გამოფენების სამივე ქალაქში ჰყავდათ მუზეუმის სპეციალური კურატორები: ზაარბრიუკენში - ანდრეი მირონი და ფრანც იოზეფ შუმახერი, მიუნხენში – გიზელა ცალჰაზე და მიხეილ ეგერი, ხოლო დრეზდენში – მიქაელ ტილენბახი და ფრანცისკა ფრენცელი.

აღსანიშნავია, რომ გერმანული სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „ვერნისაჟის“ ერთი ნომერი მთლიანად დაეთმო ჩვენს გამოფენას, სადაც გადაიბეჭდა გამოფენის კატალოგის რამდენიმე სტატია და ზოგიერთი ექსპონატის ფოტო. გამოფენასთან დაკავშირებით მომზადდა და გამოიცა არგონავტების მითის საბავშვო ვერსია გერმანულ ენაზე.

აღნიშნულის გარდა, ზაარლანდში სპეციალურად მოეწყო ამ გამოფენისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი, სადაც მოხსენებები წაიკითხეს მეცნიერებმა გერმანიიდან, საქართველოდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, აშშ-დან, ავსტრალიიდან და თურქეთიდან. ვაქვეყნებთ სიმპოზიუმის პროგრამას:

1. რაუფ მუნჩაევი - მახლობელი აღმოსავლეთი და კავკასია: კულტურული კავშირების პრობლემები IV-III ათასწლეულებში.

2. თამაზ კიღურაძე -ქალკოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი ხანა აღმოსავლეთ საქართველოში.

3. ჰარალდ ჰაუპტმანი - ადრე ბრინჯაოს ხანა აღმოსავლეთ ანატოლიაში – ნორშუნთეფეს გათხრების შედეგები.

4. ანტონიო საგინა - კარასუსა და არაქსს შორის: არქეოლოგია ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთში.

5. ოთარ ჯაფარიძე- ადრეული ყორღანები ამიერკავკასიაში.

6. თამაზ გამყრელიძე - ინდოგერმანელთა წინააზიური პირველსაცხოვრებელი.

7. ბურხარდ ბრენტიესი - ოქროს საწმისი და ხეთური სამეფო ფეტიში (Königsfetisch).

8. გუდრატ ისმაილოვი - ადრებრინჯაოს ხანის ახალი აღმოჩენები აზერბაიჯანში.

9. კარენ რუბინსონი - თრიალეთის კულტურის მახლობელ აღმოსავლურ კავშირები და მათი მნიშვნელობა შუა ბრინჯაოს პერიოდის ქრონოლოგიისათვის.

10. იან-ვაალკე მაიერი - თრიალეთის ვერცხლის თასის შესახებ.

11. იდეალ ნარიმანოვი - აზერბაიჯანის შუაბრინჯაოს ხანა.

12. მიხეილ აბრამიშვილი - ამიერკავკასია და ეგეოსური სამყარო არგონავტებამდე.

13. ირაკლი ქორიძე - ბერიკლდეების ყორღანი და მისი მიმართება გვიანი ბრინჯაოს ხანის სხვა ძეგლებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. **რ ო ს ტ ო მ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი** - წითელგორების ყორღანი და ლჭაშენ-წითელგორების კულტურა.

15. **ო თ ა რ ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე** - გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვნები ბორჯომის რაიონიდან.

16. **კ ი ა ზ ო ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი** - აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის კულტურები.

17. **ა ნ დ რ ე ა ს მ ი უ ლ ე რ - კ ა რ პ ე** - კავკასიური ბრინჯაოს ნივთები თურქეთის მუზეუმებიდან.

18. **ლ ე ი ლ ა ფ ა ნ ც ხ ა ვ ა** - კოლხური კულტურის ხელოვნება და მისი მიმართება ყობანის კულტურასთან.

19. **ა ნ ე გ რ ე ტ პ ლ ო ნ ტ კ ე - ლ უ ნ ი ნ გ ი** - ამიერკავკასია, როგორც რომის სასაზღვრო რეგიონი.

20. **დ ა ვ ი თ ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი** - რკინის მეტალურგიის დასაწყისი დასავლეთ საქართველოში.

21. **ი უ ლ ო ნ გ ა გ ო შ ი ძ ე** - აქემენიდური გავლენები აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე.

22. **ა ნ დ რ ე ა ს ფ უ რ ტ ვ ა ნ გ ლ ე რ ი** - ამიერკავკასია და აქემენიდების სამეფო.

23. **ა მ ი რ ა ნ კ ა ხ ი ძ ე** - ბერძნები და ადგილობრივი მოსახლეობა კოლხეთში.

24. **ო თ ა რ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე** - კოლხეთი აღმოსავლური და ბერძნული კულტურის კონტაქტში.

დრეზდენში გამოფენის პარალელურად მოეწყო ქართველ მრეწველთა ნაწარმის გამოფენა და ქართველი და საქსონელი მრეწველების საქმიანი შეხვედრები და საუბრები. აგრეთვე, გამოფენასთან დაკავშირებით ჩატარდა რამდენიმე სპეციალური ლექცია მიძღვნილი საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიისადმი. ყველა ქალაქში დიდი პრესა ჰქონდა ქართული არქეოლოგიის გამოფენას, სადაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართული კულტურის ნიმუშებს.

ბევრი გერმანელი აღნიშნავდა, რომ აღმოაჩინეს მათთვის უცნობი ქვეყანა, თვითმყოფადი და ძალზე ძველი ფესვების მქონე ბრწყინვალე კულტურით. სწორედ ამ ტიპის გამოფენების საზღვარგარეთ გატანამ უნდა შეუწყოს ხელი ქართული კულტურის პოპულარიზაციას და, თუნდაც, გაცნობას საზღვარგარეთ, რადგან ევროპაში მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის უცნობია არა მარტო ქართული კულტურა, არამედ საქართველოს ისტორიაც. სამწუხაროდ, ბევრს მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საქართველოზე, ნაწილს კი არც გაუგია არაფერი საქართველოს შესახებ. გერმანელი და დასავლეთის ქვეყნების ბევრი კოლეგა აღნიშნავს, რომ გამოფენის კატალოგის სახით მათ ევროპულ ენაზე დაბეჭდილი ქართული არქეოლოგიის ზოგადი სახემძღვანელო შეიძინეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ კილურაძე

გამოფენა ტელ-ავივში (ისრაელი) – „ოქროს საწმისის ძვეშანაში“ საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა (1991–1992წწ.)

1991 წლის შემოდგომაზე ისრაელში , ქ. ტელ-ავივში ნაუმ გოლდმანის სახელობის ებრაელთა დიასპორის მუზეუმში, ე. წ. „ბეთ-ჰათეფუცოთ“-ში მოეწყო ქართველ ებრაელთა კულტურისა და ისტორიის ამსახველი დიდი გამოფენა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებსა და მუზეუმის ფოტოარქივში დაცულ მასალებს. აქ აგრეთვე წარმოდგენილი იყო საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტომასალები, ფოტოები (თუ ფოტოასლები) ისრაელში გადასულ თუ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ოჯახებიდან, რუკები, საქართველოს ქალაქებისა თუ სოფლის ხედები და ა. შ. გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ ებრაელთა დიასპორის მუზეუმის თანამშრომელი რახელ არბელი და ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელი ლილი მაგალი (მაღალაშვილი). მათ მოიძიეს და შეარჩიეს მთელი საგამოფენო მასალა და მათივე რედაქტორობით გამოიცა გამოფენის კატალოგი. მათ სრული მხარდაჭერა და დახმარება აღმოუჩინეს ჩვენი მუზეუმის დირექციამ, ეთნოგრაფიის განყოფილების გამგემ გურამ გასიტაშვილმა და თანამშრომლებმა: გიორგი ჯალაბაძემ, ლეილა მოლოდინმა, ციალა ბეჭარაშვილმა, თამარ გელაძემ და სხვებმა, აგრეთვე ლაბორატორიის გამგემ ზაზა შავიანიძემ და თანამშრომლებმა. ასე რომ, ტელ-ავივში გამოფენის ორგანიზებასა და მოწყობაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ჩვენს მუზეუმსა და მის თანამშრომლებს. გამოფენაზე ექსპონირებული ნივთიერი მასალა ძირითადად ჩვენი მუზეუმიდან იყო წარმოდგენილი. საქართველოდან გამოფენის მასალები ისრაელში ჩაიტანა თამაზ კილურაძემ (ამ სტრიქონების ავტორმა), ხოლო გამოფენის დამთავრების შემდეგ უკან ჩამოიტანა დირექტორმა ლევან ჭილაშვილმა. ხაზგასმით აღსანიშნავია ის სათუთი დამოკიდებულება და მზრუნველობა, რომელიც გამოიჩინეს ბეთ-ჰათეფუცოთის მუზეუმის თანამშრომლებმა ზოგადად, განსაკუთრებით კი კონსერვაციისა და რესტავრაციის ლაბორატორიის თანამშრომლებმა. ჩატანილი ნივთიერი მასალის მიმართ ჩვენთან კონსულტაციებითა და მოთათბირების შემდეგ, ჩვენი ნებართვით მცირე სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა მუყაოზე აკვარელით შესრულებულ ნახატებს და რამდენიმე ქსოვილს. ჩვენი მუზეუმიდან ტელ-ავივში დროებით საგამოფენოდ წაღებული იყო შემდეგი ნივთები: ტილოს ჩოხა, მაუდის გუჯანი, ფარჩის კაბა, ოთხი ნაქარგი თავსაკრავი ხავერდისა და ატლასის, სამი წყვილი წინდა, ოქრომკედით ნაქარგი ხავერდისა და ტყავის ფეხსაცმელი, ოქრომკედით ნაქარგი სავარცხლის ბუდე, 3 ცალი ხავერდის, ფარჩისა და მაუდის სისიტის მოქარგული ბუდე, ოქრომკედითა და აბრეშუმის ძაფით ნაქარგი სამი საცერემონიალო გადასაფარებელი ქსოვილი, ნაქარგობით შემკული წყვილი პირს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახოცი, საბნისა და ბალიშის პირები, აგრეთვე, ნაქარგობით შემკული, ოქრომკედით ნაქარგი ხავერდის და აბრეშუმის ნაქარგი ხალიჩა, მოქარგული სარტყლები, ქსოვილისა და მუყაოსაგან დამზადებული „ბატონების“ ყვავილები, თავსაკრავი, დავით გველესიანისა და შალომ კობოშვილის ზეთითა და აკვარელით შესრულებული ნახატები, ებრაელთა დასახლების რუკა – სულ 39 ექსპონატი.

ყველა ექსპონატი უკლებლივ და დაუზიანებლად დაბრუნდა ფონდსაცავებში.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ამ გამოფენისადმი მიძღვნილი მაღალ მეცნიერულ და პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი სქელტანიანი კატალოგი, რომელიც გამოიცა ცალკე ებრაულად და ცალკე ინგლისურ ენაზე. ის არამარტო ქართველ ებრაელთა ისტორიასა და კულტურას ასახავს, არამედ მთლიანად ქართული კულტურის მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს. კატალოგის წინასიტყვაობა ებრაელთა დიასპორის მუზეუმის დირექტორს ელი ეიალს ეკუთვნის, რომელსაც მოსდევს დავით ბენ-იოსების (შიმშილაშვილის) მისასალმებელი წერილი და რედაქტორების რახელ არბელისა და ლილი მაგალის (მაღალაშვილის) შესავალი. ამას მოყვება ცნობილი ინგლისელი ისტორიკოს-ქართველოლოგის დავით მარშალ ლანგის სტატია „საქართველო – ქვეყანა და ხალხი“, გერშონ ბენ-ორენის (წიწუაშვილის) „ქართველ ებრაელთა ისტორია კომუნისტურ რეჟიმამდე“, იცხაკ დავიდის (დავითაშვილის) „ქართველი ებრაელები და ერეც-ისრაელი“, რახელ არბელისა და ლილი მაგალის „ცხოვრების წესი და ადათ-ჩვეულებები“ და ლილი ბაზოვას „ქართველი ებრაელები საბჭოთა რეჟიმის დროს“.

კატალოგის სუპერზე გამოტანილია ქართველი მხატვრის დავით გველესიანის შესრულებული ქართულ ტანსაცმელში ჩაცმული, ჩიხტაკოპიანი ებრაელი ქალის პორტრეტი, რომელიც ჩვენი მუზეუმის ექსპონატია. კატალოგში წარმოდგენილია მცხეთის, უშგულის, თბილისის, ქუთაისის, ონისა და სხვა ძველი და თანამედროვე ფოტოები, ძველი გრავიურები თბილისის ხედებით, შუასაუკუნეების საქართველოს მეტად იშვიათი ორი რუკა - ერთი ბაზელში 1550 წელს გამოსული სებასტიან მონსტერის „კოსმოგრაფიიდან“ აღებული, სადაც კოლხეთი, იბერია და ალბანეთია აღნიშნული შავსა და კასპიის ზღვებს შორის და მეორე იერუსალიმის ებრაელთა ეროვნულ და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული მე-18 საუკუნეში შესრულებული რუკა „საქართველო-გურჯისტანი“, აგრეთვე თრიალეთის ვერცხლის თასი, ახალგორის ოქროს ცხენების საკიდები, ტიხრული მინანქრის და ქართული ფრესკების ნიმუშები, ვეფხისტყაოსნისა და სხვა ხელნაწერები და სხვ. აქვეა დაბეჭდილი 1989 წლის 9 აპრილის მსხვერპლთა პატივსაცემად მირთმეული ყვავილების ზღვა რაოდენობა და ხალხის დემონსტრაცია. ყოველივე ეს მიუთითებს კატალოგის რედაქტორთა სურვილზე, რომ ებრაელთა ყოფასა და კულტურასთან ერთად, რომელიც კარგადაა ილუსტრირებული უამრავი მასალით, მთლიანად საქრთველოს ისტორიაც იყოს ასახული, რომლის შემადგენელ ნაწილსაც 26 საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა ქართველ ებრაელთა ცხოვრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ კიღურაძე

გამოფენა „26 საუკუნე ერთად“

1998 წლის 7-11 სექტემბერს თბილისში, სურათების ეროვნულ გალერეაში მოეწყო ქართველ ებრაელთა საქართველოში მოსვლისა და ქართველებთან თანაცხოვრების 26 საუკუნოვანი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენა ნაწილი იყო იმ დიდი, ვრცელი პროგრამისა, რომელიც ამ იუბილეს აღსანიშნავად გაიმართა საქართველოში და მისი ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ღონისძიება იყო. საიუბილეო პროგრამის განსახორციელებლად შექმნილი იყო მთავრობის სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ზაზა შენგელია. გამოფენის მოწყობა დაევალა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, რადგანაც გამოსაფენ ექსპონატთა ძირითადი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საკუთრებაა და მის ფონდებში იყო დაცული. საგამოფენო საქმიანობას ხელმძღვანელობა და ორგანიზება მუზეუმის დირექტორს აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლევან ჭილაშვილს დაევალა.

წინასწარ წარმოდგენილი იყო სამი კონცეფცია – მუზეუმის დირექტორის ლევან ჭილაშვილისა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ებრაისტიკისა და სემიტოლოგიის განყოფილების გამგის აკად. კოტე წერეთლისა და დ. ბაახოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის შ. წიწუაშვილისა და მისი მოადგილის გ. ღამბაშიძისა. საბოლოოდ მოხდა მათი შეჯერება და ლ. ჭილაშვილის კონცეფციის საფუძველზე, გარკვეული ცვლილებებით, მიღებულ იქნა ახალი ერთიანი კონცეფცია, რომელშიც ლ. ჭილაშვილთან, შ. წიწუაშვილთან და გ. ღამბაშიძესთან ერთად თავისი წვლილი შეიტანეს გამოფენის მომწყობმა მხატვარ-დიზაინერმა ალ. ჩხეიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა. მათ მიერ ერთობლივ შემუშავდა და დაზუსტდა გამოფენის თემატური გეგმა და საგამოფენო ექსპონატთა სია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან საექსპოზიციო სამუშაოებში მონაწილეობდა აგრეთვე მუზეუმის მთავარი მცველი ნოდარ შოშიტაშვილი. ასევე გარკვეული წვლილი შეიტანეს ეთნოგრაფიის განყოფილების გამგემ ელდარ ნადირაძემ და თანამშრომლებმა: ლეილა მოლოდინმა, ციალა ბეჭარაშვილმა, თამარ გელაძემ და სხვ., აგრეთვე არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა. ჩვენი მუზეუმის გარდა საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან ქსოვილები, ქამრები, ებრაულწარწერიანი საათი, მონეტა-სუვენირი და ებრაულწარწერიანი სარდიონის გემები (დაახლოებით 50 ექსპონატი); ხელნაწერთა ინსტიტუტიდან – ლაილაშისა და ბრეთის ბიბლიების მულაჟები; ფოტომასალები – საქართველოს სახელმწიფო არქივიდან, კინო-ფოტო-ფონო სახელმწიფო არქივიდან. ესკიზები, ფოტოები და აფიშები ებრაულ თემაზე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრისა და საქართველოს თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმებიდან. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან წარმოდგენილი იყო თანამედროვე ეთნოგრაფიული ყოფის მასალები, წიგნები და ამონაჭრები პრესიდან; თბილისის სინაგოგიდან გამოფენილი იყო რამდენიმე რაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინის პორტრეტი, რიმონიუმები, ბარძიმი და სხვ. არქიტექტორ შოთა ბოსტანაშვილის მიერ შესრულებული თბილისის, ქუთაისის , ონისა და ახალციხის სინაგოგათა გეგმები და კარგად შესრულებული მაკეტები, ნანა ფეიქრიშვილის ნაქარგები. ალ. ჩხეიძისა და გ. ღამბაშიძის კერძო კოლექციებიდან გამოფენაზე ექსპონირებული იყო მხატვარ სოლომონ გერშოვის ნახატები და სხვ.

გამოფენა იწყებოდა მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს ხანისა და ხირბეთ-ერაკის კერამიკით, ე. ი. იმ ეპოქით, როდესაც პირველად დასტურდება კონტაქტები საქართველოსა და პალესტინას შორის. შემდეგ მოდიოდა მცხეთაში ნაპოვნი უძველეს ებრაულწარწერიანი (II-V სს.) საფლავის ქვები. გამოფენა მთავრდებოდა ქართველ ებრაელთა თანამედროვე ნაშრომებით. გამოფენას ორი ემბლემა ჰქონდა: იწყებოდა „თუ დაგივიწყო იერუშალაიმ“...და მთავრდებოდა: „თუ დაგივიწყო საქართველო“....

აღნიშნული გამოფენის წარმატებით მოწყობას ხელი შეუწყო ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ და საერთაშორისო ხელოვნებისა და გამოფენის ფონდების (გრეგ გუროვის) გრანტებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჟვანია

საქართველოს ბუნების ისტორიის ამსახველი გამოფენა

1998 წლის 13-16 სექტემბერს დმანისსა და თბილისში გაიმართა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი „პირველყოფილი ადამიანი ევროპის კარიბჭესთან", რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური და ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილებები. სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს მკვლევრებმა 12 ქვეყნიდან. მათ შორის, ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან დ. როუ (დიდი ბრიტანეთი), მ-ა. დე ლუმლეი (საფრანგეთი), ხ. აუგუსტი (ესპანეთი), მ. ოტი (ბელგია), ტ. აკაძავა (იაპონია), ნ. გორენ-ინბარი (ისრაელი), ო. სოფერი (აშშ), ვ. ლიუბინი (რუსეთი) და სხვ.

სიმპოზიუმის ძირითადი მიზანი იყო ევრაზიის სახღვარზე მიმდინარე პრეისტორიული პროცესების ფუნდამენტური განხილვა. აგრეთვე, საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის ზღაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის როლის განსაზღვრა ადამიანის პირველ მიგრაციულ პროცესებში. წარმოდგენილი მოხსენებები შეეხებოდა პირველყოფილი ადამიანების კულტურას და ბუნებრივ გარემოს ევრაზიაში, აფრიკისა და ევრაზიის უძველეს ბიო-კულტურულ კავშირებს.

სიმპოზიუმი გაიხსნა დმანისში, სადაც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სხდომები, რის შემდეგაც სიმპოზიუმის მონაწილეები გაეცნენ დმანისის ნაქალაქარს.

სიმპოზიუმის დასკვნითი სხდომა და დასკვნითი დისკუსია გაიმართა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის, „პირველყოფილი ადამიანი ევროპის კარიბჭესთან", მოხსენებები იბეჭდება ბელგიაში, ჟურნალ „ევროპის პრეისტორიის"სპეციალურ ნომერში.

სიმპოზიუმის დახურვას დაემთხვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების დარბაზში ახალი გამოფენის გახსნა. ექსპოზიცია მოეწყო ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით (პროექტის ავტორი და დირექტორი – დავით ლორთქიფანიძე) და მიეძღვნა პროფ. კალისტრატე გაბუნიას ხსოვნას (მისი ხელმძღვანელობით ამავე დარბაზში განხორციელებული რესურსების გამოფენა 1937 წლიდან ფუნქციონირებდა). ექსპოზიციაზე წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი დინოზავრების, ხმალკბილა ვეფხვების, ჟირაფების, მარტორქების, სპილოების, ბეჰემოტების, სირაქლემებისა და სხვა გადაშენებულ ცხოველთა განამარხებული ძვლები. აგრეთვე, პირველყოფილი ადამიანების ნაშთები, მათი განვითარებისა და ცხოვრების ამსახველი რეკონსტრუქციები, საქართველოს თანამედროვე ბუნებრივი რესურსები (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის, გეოგრაფიის და გეოლოგიის ინსტიტუტების, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, თსუ-ს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის, საქართველოს სახელმწიფო გეოლოგიური დეპარტამენტის კოლექციები).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოფენის სამეცნიერო კონცეფციის ავტორები არიან : ლ. გაბუნია, ა. ვეკუა, ს. თვალჭრელიძე, მ. თვალჭრელიძე, თ. მეშველიანი, ა. მუსხელიშვილი. ექსპოზიციის მომზადებაში მონაწილეობდნენ განყოფილების, და ასევე, მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტების თანამშრომლები.

გამოფენა საგანმანათლებლო ხასიათისაა და განკუთვნილია სასკოლო ასაკის ბავშვებთან კლასგარეშე მუშაობისათვის, აგრეთვე, სტუდენტებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ჯანბერიძე

სამხატვრო გამოფენები

1995 წლიდან მუზეუმი მჭიდრო ურთიერთობაშია შპს „ოაზისის“ კოლექტივთან, რაც გამოიხატება მუზეუმის დარბაზებში სხვადასხვა ხასიათის გამოფენების მოწყობაში. აღნიშნულ საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულება მიზნად ისახავს მხარეების ძალისხმევის გაერთიანებას თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების სფეროში მაღალმხატვრული ექსპოზიციების შექმნისათვის, ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის, თანამედროვე მხატვრების უკეთ წარმოჩენისათვის.

1995-1999 წლების განმავლობაში ერთობლივად მოწყობილია 69 ექსპოზიცია (ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, გობელენის, მინა-კერამიკის, მხატვრული ფოტოგრაფიის და ა. შ. გამოფენები), მათ შორის საერთაშორისო გამოფენები – „იუნესკოსა“ და „გაეროს“ ეგიდით. გამოფენები ეწყობა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და „თანამედროვე ხელოვნების გალერეის“ („ოაზისის“) ერთობლივი გრიფით. გამოფენები არ არის ორიენტირებული ერთ რომელიმე შემოქმედებით მიმართულებაზე ან სტილზე სახვით ხელოვნებაში. უმთავრესი კრიტერიუმია – გამოფენილი ნამუშევრების შესრულების მაღალი პროფესიული დონე. ამის გამო გალერეის დარბაზები ძირითადად დათმობილი აქვს თანამედროვეობის გამოჩენილ ქართველ მხატვართა ნაწარმოებებს.

1999 წლის საგამოფენო პროგრამით მოეწყო შემდეგი გამოფენები:

– საშობაო საახალწლო გამოფენა – (7-23 იანვარი);

– სერგო ქობულაძის სახელობის გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოს მხატვართა გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა – (10-24 მარტი);

– მხატვრის კვირეულისადმი მიძღვნილი გამოფენა – (14-21 აპრილი);

– მხატვარ მოდელიორების ნამუშევრების გამოფენა, მოდელების წარმოდგენით (23 აპრილი – 6 მაისი);

– ქართული ფერწერა – „XX საუკუნის ოსტატები“ – თაობიდან თაობამდე (გამოფენათა ციკლის I გამოფენა. 12-24 მაისი)

– „თბილისური გაზაფხული– 99” (28 მაისი – 8 ივნისი);

– თბილისის სამხატვრო აკადემიის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (20 ივნისი – 20 ივლისი);

– „თბილისური შემოდგომა“ – (15-30 სექტემბერი);

– ქართული ფერწერა „XX საუკუნის ოსტატები“ – თაობიდან თაობამდე (გამოფენათა ციკლის II გამოფენა - 12 -22 ოქტომბერი);

– გაეროს საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა ქართველ მხატვართა გამოფენა (24 ოქტომბერი - 3 ნოემბერი);

– ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები. გობელენი, ბატიკა (5-17 ნოემბერი);

– საახალწლო საშობაო გამოფენა (1-8 დეკემბერი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოფენების სტუმრები არიან მაღალი რანგის უცხოური დელეგაციები, დედაქალაქის სტუმრები და, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობა. გამოფენებს დიდი წვლილი შეაქვს ქართული კულტურისა და ხელოვნების გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში. რაც მთავარია, შ.პ.ს. „ოაზისი" „თანამედროვე ხელოვნების გალერეის" ცნობარების სახით ორგანულად ჩაერთო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სტრუქტურაში, ხოლო ისტორიულ ფასეულობებთან ერთად თანამედროვე სახვითი ხელოვნების ნიმუშების ექსპონირებამ კიდევ უფრო გააფართოვა მუზეუმის სანახაობრივი სპექტრი და მისი როლი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ შოშიტაშვილი

გამოფენა „აღმოსავლეთის ქრისტიანები“ საქართველოს გარეშე

2000 წლისათვის მსოფლიო მასშტაბის მრავალი ღონისძიება დაიგეგმა. მათ შორის ერთ-ერთი საინტერესოა იტალიაში, ამ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში განსახორციელებელი საერთაშორისო გამოფენა – „აღმოსავლეთის ქრისტიანები“, – მართლმადიდებლური სამყარო კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ მეცხრამეტე საუკუნემდე. როგორც დაგეგმილი იყო, გამოფენა გაიხსნა 1999 წლის 26 ივლისს, ქ. ტრიესტში, მირიმარეს სასახლეში და გაგრძელდა 2000 წლის 10 იანვრამდე. გამოფენის ორგანიზატორია ქ. ტრიესტის მუნიციპალიტეტი, ვიცე-მერის რობერტო დამიანის სახით, ხოლო ექსპოზიციის სამეცნიერო მხარეს, ნივთების შერჩევას კურირებდა პროფესორი გრიგორე არბორე პოპესკუ.

გამოფენის ორგანიზატორთა სურვილი იყო მასში საქართველოს – ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული ქრისტიანული ქვეყნის მონაწილეობა, რაც, მასპინძელთა ახრით, გარდა სამეცნიერო,კულტურული მნიშვნელობისა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა საქართველოს ურთიერთობაში სხვა ქვეყნებთან და მათ შორის საქართველო-იტალიის თანამშრომლობის საქმეში.

უაღრესად საინტერესოდ იყო ჩაფიქრებული გამოფენის კონცეფცია. ის იწყება 1453 წლიდან, როცა დაეცა კონსტანტინეპოლი – ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი ფორპოსტი აღმოსავლეთში, და აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნები მოწყდნენ ევროპას. კავშირები დასავლეთთან უაღრესად გაძნელდა, რადგან მათ შორის ჩადგა უმძლავრესი მაჰმადიანური სახელმწიფო ოსმალეთის იმპერია; მოგვიანებით, საქართველოს კვლავ მიეცა ევროპასთან დაკავშირებისა და კონტაქტების აღდგენის საშუალება, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ მესამე მხარის, რუსეთის საშუალებით და შუამავლობით. იგულისხმება საქართველოს ანექსია რუსეთის იმპერიის მიერ და საერთოდ რუსეთის პოზიციის გაძლიერება როგორც კავკასიაში, ისე ბალკანეთში.

ამრიგად, გამოფენის იდეა და მისი მნიშვნელობა აშკარად გასცდა მხოლოდ სამეცნიერო ან რელიგიურ დატვირთვას და უფრო ღრმა ახრი შეიძინა. საქართველოდან გამოფენის მოწყობას კურირებდა კულტურის სამინისტრო.

დამტკიცდა კომისია გამოფენაზე წარსადგენი ექსპონატების შერჩევის მიზნით. კომისიის კომპეტენტურობაზე მეტყველებს მისი შემადგენლობა: კომისიის თავმჯდომარე, კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, კულტურის მინისტრის მოადგილეები რევაზ ამაშუკელი და გიორგი გუნია, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ლევან ჭილაშვილი, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ნოდარ ლომოური, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი ზაზა ალექსიძე, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე კიტი მაჩაბელი და თსუ კათედრის გამგე ი. არსენიშვილი და სხვანი. სულ ცამეტი წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმსა და ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ხელნაწერთა ინსტიტუტში სათანადო სპეციალისტებთან კონსულტაციებით და მათი რეკომენდაციებით ჩატარდა წინასწარი სამუშაოები და გამოიკვეთა სავარაუდო წრე იმ ექსპონატებისა, რომელიც გამოფენაზე გაიგზავნებოდა. ამრიგად ნათელი გახდა, რომ საქართველო ამ გამოფენაზე ღირსეულად წარდგებოდა.

ტრიესტის გამოფენის ქრონოლოგიური ჩარჩოებიდან და თემატიკიდან გამომდინარე, ნივთების შერჩევა წარმოებდა ეთნოგრაფიის და შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებებიდან. შესაბამისი ფონდების მცველების, კომისიის წევრების და ქიმ-სარესტავრაციო ლაბორატორიის თანამშრომელთა მუშაობის შედეგად დადგინდა სახელმწიფო მუზეუმიდან საგამოფენოდ გასატანი ნივთების რაოდენობა. ისტორიულ-მხატვრული ღირებულებით და მათი საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე (ფიზიკური კონდიციები, ტრანსპორტაბელობა), იტალიურ მხარესთან შეთანხმებით შერჩეულ იქნა 10 ექსპონატი.

ტრიესტის გამოფენის მომზადების პარალელურად მიმდინარეობდა გაცილებით ადრე დაგეგმილი და ორივე ქვეყანაში ხელისუფლების დონეზე მოწონებული, აშშ უდიდეს ქალაქებში, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ამსახველი მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშების მასშტაბური გამოფენა, რომლის ორგანიზება ამერიკის ინტელექტუალური სახოგადოების ცენტრში იყო დაგეგმილი (აქაც ყველა ხარჯს ამერიკა იღებდა). აღნიშნული გამოფენის მომზადების პარალელურად სახოგადოებაში გარკვეულმა ძალებმა, რომლებიც სამუზეუმო საქმესთან ნაკლებად ან თითქმის არ იყვნენ დაკავშირებულნი, ააგორეს ანტისაექსპოზიციო კამპანია. ეს იყო უაღრესად მადალ დონეზე გათვლილი და განხორციელებული აქცია, რომელშიც გათვალისწინებული იყო რიგითი მოქალაქის მენტალიტეტი, ეთნოფსიქიკური წყობა და, აქედან გამომდინარე, მომავალი საპარლამენტო არჩევნები. მას გამოეხმაურა თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია, მასმედია. ფაქტობრივად, სამეცნიერო-საგამოფენო საკითხი პოლიტიკურ საკითხად იქცა. სახოგადოებაში მუსირებდა არა ტერმინი „გამოფენის გატანა", „ექსპოზიციის მოწყობა", არამედ სპეციალურად მორგებული ტერმინი „განძის გატანა". აქტიური უარყოფითი პოზიცია დაიკავა საპატრიარქომ, რომელმაც კვლავ წამოაყენა საეკლესიო ნივთების საკუთრების საკითხი.

სწორედ ასეთ პირობებში გახდა ცნობილი იტალიაში, ქ. ტრიესტში, გამოფენაზე „აღმოსავლეთის ქრისტიანობა" – საქართველოს მონაწილეობის შესახებ, სადაც ორგანიზატორთა ჩანაფიქრით წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მთელი მართლმადიდებლური სამყარო და ჩვენი ქვეყანაც, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ყველა ხარჯს ექსპოზიციის მოწყობაზე (ტრანსპორტირება, დახღვევა, კატალოგის გამოცემა, თანამშრომელთა მივლინება და სხვა) თავისთავზე იღებდა იტალიის მხარე.

გამოფენის გახსნამდე ხუთიოდე დღით ადრე დაიწყო აქციები. იგი ქუთაისში დაიწყო. არ მისცეს უფლება თბილისიდან სპეციალური დაცვით ჩასულ ჯავშნოსანს და ექსპონატების თანმხლებ პირს წამოეღოთ ნივთები. ამას ხელი შეუწყო ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილებამაც. აღნიშნული ხასიათის აქცია დაიწყო თბილისშიც, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინ ი. ჭავჭავაძის სახოგადოების, სახალხო ფრონტის და მრევლის ერთი ნაწილის მონაწილეობით. პარალელურად ი. ჭავჭავაძის სახოგადოებამ სარჩელი შეიტანა კრწანისის – მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში. სარჩელი ეხებოდა „ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოსადმი მიძღვნილი გამოფენის და სამეცნიერო კულტურულ ღონისძიებათა მოწყობას". სასამართლოდან გამოგზავნილ შეტყობინებაში წერია: „იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება ექსპონატების გაგზავნაზე ამერიკაში ან სხვაგან („სხვაგანში" – ამჯერად ტრიესტის გამოფენა იგულისხმებოდა), არ მოახდინოთ მუზეუმიდან და ხელნაწერთა ინსტიტუტიდან მათი გატანა 10 დღით ადრე ჩვენთან შეთანხმების გარეშე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპოზიციის გამგზავრების უკანასკნელ დღემდე გამოფენის ორგანიზატორები და ხელისუფლების წარმომადგენლები ამაოდ ელოდნენ საპატრიარქოს ბრს ნივთების იტალიაში გამოფენის გატანასთან დაკავშირებით.

საქართველოს მონაწილეობა ტრიესტის გამოფენაში გამოირიცხა. საქართველომ ვერ შესძლო მიეღო მონაწილეობა ამ დიდ ღონისძიებაში.

P.S. ტრიესტში გამოფენა, რა თქმა უნდა გაიხსნა, 1999 წლის 26 ივლისს. მასში მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთის ყველა ქრისტიანულმა რეგიონმა, საქართველოს გარეშე. გამოიცა შესანიშნავი კატალოგი, რომელშიც შესულია ის ქართული ექსპონატებიც, რომელთაც უნდა დაემშვენებინა გამოფენა და სადაც გამოქვეყნებულია XVI–XVIII საუკუნის ეპოქის ამსახველი ლევან ჭილაშვილისა და ნოდარ ლომოურის სპეციალური სტატიები. ამჯერად მსოფლიო საზოგადოება გვიანფეოდალურ ქართულ კულტურას მხოლოდ თეორიულად გაეცნო. გამოფენა გაიხსნა, ვიტრინები, სადაც ქართული მასალები უნდა გამოფენილიყო, ცარიელი დახვდათ დამთვალიერებლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზოლდა ჩხარტიშვილი

მუზეუმის 1990–1998 წწ. ქრონიკა

1990 წ.

სტრუქტურული ცვლილებები

1990 წელს მუზეუმმა განიცადა სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ: გაუქმდა რელიგიის ისტორიის განყოფილება და შეიქმნა რელიგიის შემსწავლელი ჯგუფი ეთნოგრაფიის განყოფილებაში . მუზეუმს შეუერთდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1990 წლის 16 იანვრის 838 დადგენილების თანახმად შექმნილი ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა განყოფილება.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით გამოცემული ნაშრომები

1. ავტორთა კოლექტივი, ძველი და ახალი ჭობარეთი, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
2. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სახალხო მეურნეობის და კულტურის განვითარების ისტორიიდან, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
3. გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედების კულტურა დასავლეთ საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
4. ლ. ჭილაშვილი, საქართველოს მატერიალური კულტურა IV–XVIIIსს. (ბიბლიოგრაფიული კვლევა, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
5. პ. ზაქარაია, ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“.
6. წიგნი მარადიული ხსოვნისა, მე-2 ტომი, თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“.

სამეცნიერო სესიები

1990 წელს მუზეუმის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შავიზღვისპირეთის პრობლემისადმი მიძღვნილი ვანის VI საერთაშორისო არქეოლოგიური სიმპოზიუმისა და ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიული ფილმების მსოფლიო კინოფესტივალის (პიარნუ) მუშაობაში.

თვით მუზეუმში გაიმართა 1989 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მორიგი სამეცნიერო სესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

მუზეუმის თანამშრომელმა თ. ბერიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „საქართველოს დედაქალაქის აგლომერაციული გარემოს ფორმების ისტორიული პროცესები (ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია)".

მუზეუმის სამმა თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია:

1. დ. ლომიტაშვილი – ცენტრალური ეგრისი ახ. წ. IV–VI სს. (ნოქალაქევის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით).
2. ზ. თვალჭრელიძე – გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნო-მონასტერი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა).
3. ს. ბურდილაძე – ვანის ქვაბები (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა).

საფონდო სამუშაოები

წლის განმავლობაში ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში ქიმიური, თერმული, ელექტრო და სხვა მეთოდებით გაწმენდილ-რესტავრირებული და კონსერვირებულია ბრინჯაოს – 610, ვერცხლის – 20, რკინის –147, სპილენძ-ბრინჯაოს – 111 ექსპონატი, ნუმიზმატიკური მასალა – 192 ერთეული.

სამეცნიერო პროპაგანდა

მუზეუმის გამოფენები დაათვალიერა 150.261 კაცმა, ლექცია-საუბარი ჩაუტარდა 11.725 კაცს.

სამეცნიერო ექსპედიციები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში განხორციელდა შემდეგი ექსპედიციები:

1. ბერიკლდეების არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი ალ. ჯავახიშვილი).
2. ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. დ. თუშაბრამიშვილი).
3. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. თ. კიღურაძე.
4. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.დ. ი. გაგოშიძე).
5. ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლ. ჭილაშვილი).
6. ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. მ. სინაურიძე).
7. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი პ. ზაქარაია).
8. თუშეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. რ. დოლაბერიძე)
9. ალევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. ნ. აფხაზავა).
10. სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. მ. ჩართოლანი).
11. გარე-კახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. ნ. შოშიტაშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის ზონაში და მის მიმდებარე რაიონებში მოქმედი სამეცნიერო კვლევითი ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. მ. ხუციშვილი).

ფილიალები

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა ზონალურ ფონდსაცავებში ჩაატარა ნივთიერი ძეგლების (ადიში, უშგული, კალა) რესტავრაცია.

სამცხე-ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულმა მუზეუმმა ჩაატარა ერთი სამეცნიერო სესია და ნორჩ ისტორიკოსთა რეგიონალური შეკრება, განახორციელა ერთი დახვერვითი ექსპედიცია.

ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრმა – ისტორიულმა მუზეუმმა ჩაატარა სამეცნიერო სესია და მოაწყო ერთი ექსპედიცია.

1991 წ.

სტრუქტურული ცვლილებები

1991 წელს მუზეუმმა განიცადა სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ: გაუქმდა სპელეისტიკის ლაბორატორია და შეიქმნა კლდის ძეგლების შემსწავლელი ჯგუფი შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებაში.

სამეცნიერო სესიები

ჩატარდა 1990 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

კვალიფიკაციის ამაღლება

მუზეუმის სამმა თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია:

1. ე. გოცაძე – „დაკრძალვის წესი გვიან ანტიკურ და ადრე შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში“.
2. ბ. ლორთქიფანიძე – „დასავლეთ საქართველოს ქალაქები IV-VIII სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი)“.
3. თ. კაპანაძე – „ნოქალაქევის და მისი „ქვეყნის“ საკულტო ნაგებობები“.

საფონდო საშუშაოები

1991 წელს ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში გაწმენდილი, რესტავრირებული და კონსერვირებულია ბრინჯაოს 649, რკინის 707 ექსპონატი, ნუმიზმატიკური მასალა – 806 ერთ.

სამეცნიერო პროპაგანდა

რესპუბლიკაში პოლიტიკური დაძაბულობის გამო მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, გამოფენები დაათვალიერა 78.472 კაცმა, ლექცია-საუბარი ჩაუტარდა 32.956 კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო ექსპედიციები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა განახორციელა შემდეგი ექსპედიციები:

1. ბერიკლდეების არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი ალ. ჯავახიშვილი).

2. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. თ. კიღურაძე).

3. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და ამერიკის (უელსის კოლეჯი) ერთობლივი ჯავახეთის ექსპედიცია (ხელმძღვანელი ზ. ქიქოძე, ამერიკული ჯგუფის ხელმძღვანელი - ფ. კოლი).

4. ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლ. ჭილაშვილი).

5. ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. მ. სინაურიძე).

6. ალევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. ნ. აფსახავა).

7. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი პ. ზაქარაია).

1992 წ.

სამეცნიერო სესიები

1992 წელს მუზეუმში მოეწყო მორიგი სამეცნიერო სესია და 1991 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

კვალიფიკაციის ამაღლება

1992 წელს მუზეუმის თანამშრომელმა თ. სიხარულიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ანტიკური მოხატული კერამიკა ფიჭვნარის ძვ. წ. V-IV საუკუნეების სამაროვნიდან (ბერძნული კულტურის ძეგლები საქართველოში)“.

საფონდო სამუშაოები

ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში მიმდინარე წელს გაწმენდილი, რესტავრირებული და კონსერვირებულია მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1990-1992 წლებში მოპოვებული და აგრეთვე მუზეუმის ფონდებში დაცული 432 ბრინჯაოს, 67 რკინის, 9 ვერცხლის, 61 მინის ექსპონატი და 28 მონეტა.

საგამოფენო სამუშაოები

ებრაელთა დიასპორის მუზეუმმა ტელ-ავივში (ისრაელი) მოაწყო გამოფენა „ოქროს საწმისის ქვეყანაში (ქართველი ებრაელების ყოფა და კულტურა)“, სადაც მნიშვნელოვანი წილი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ მათთვის დროებით გადაცემულ მასალას უკავია, ზემოთ აღნიშნულ გამოფენას მიეძღვნა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ებრაულ და ინგლისურ ენაზე ცალ-ცალკე გამოცემული გამოფენის ფხამკვლევი-კატალოგი, რომლის შედგენა-რედაქტირებაში გარკვეული წვლილი ჩვენი მუზეუმის თანამშრომლებს ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზეუმმა დახმარება აღმოუჩინა ლამისყანის სოფლის ისტორიის მუზეუმს დ. გურამიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი გამოფენის მოწყობაში. ზემოაღნიშნულ მუზეუმს გადაეცა ფერწერული სურათები და ეთნოგრაფიული მასალა.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებმა დახმარება აღმოუჩინეს გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ექსპოზიციის მოწყობაში.

სამეცნიერო ექსპედიციები

1992 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სახით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა განახორციელა 6 ექსპედიცია:

1. ბერიკლდეების არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი ალ. ჯავახიშვილი).
2. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.დ. ი. გაგოშიძე).
3. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. თ. კიღურაძე).
4. ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი ლ. ჭილაშვილი).
5. ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. მ. სინაურიძე).
6. სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. მ. ჩართოლანი).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში თ. კიღურაძე საანგარიშო წელს ზაარლანდის უნივერსიტეტის მიერ მიწვეული იყო ჩრდილოეთ სირიაში ძვ. წ. III ათასწლეულით დათარიღებულ ნაქალაქარ ტელ-ხუერაზე განხორციელებულ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად.

1993 წ.

სტრუქტურული ცვლილებები

1993 წელს მუზეუმში მოხდა გარკვეული სტრუქტურული ცვლილება, კერძოდ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1993 წლის 25 თებერვლის №28 დადგენილების „ქალაქ თბილისში საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აღდგენის შესახებ" – საფუძველზე ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა განყოფილება დამტკიცებული ხელფასის ფონდით და საშტატო ერთეულით 1993 წლის 1 აპრილიდან გადაეცა ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

სამეცნიეო სესიები

ჩატარდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამდღიანი სამეცნიერო სესია, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 12 მოხსენება. ამავე სესიაზე მოსმენილ იქნა არქეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელთა (ალ. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე, ი. გაგოშიძე, ლ. ჭილაშვილი, მ. სინაურიძე, გ. გაფრინდაშვილი) ინფორმაციები 1992 წ. მუზეუმის მიერ განხორციელებულ საველე სამუშაოთა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

მუზეუმის თანამშრომელმა მ. ბოკუჩავამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ინგილოთა ყოფისა და კულტურის საკითხები“ (ეთნოგრაფიული გამოკვლევა).

საფონდო სამუშაოები

ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში არქეოლოგიის განყოფილების ძირითადი და მცირე ექსპედიციების ფონდებიდან, ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდიდან და აგრეთვე მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1991-1993 წლებში მოპოვებული მასალებიდან გარეცხილი, ქიმიურად გაწმენდილი და კონსერვირებულია შემდეგი ექსპონატები: ბრინჯაოს – 600 ერთ., რკინის – 321 ერთ., ვერცხლის – 26 ერთ., ძვალი, მინა, თიხის ბულები, ბურთულები და სხვა – 53 ერთ., სპილენძის მონეტები – 131 ერთეული.

სამეცნიერო ექსპედიციები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში განხორციელდა შემდეგი ექსპედიციები:

1. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.დ. ი. გაგოშიძე).
2. ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ნ. თუშაბრამიშვილი).
3. მღვიმევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი თ. მეშველიანი).
4. ალევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. ნ. აფხაზავა).
5. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ზ. თავლჭრელიძე).

1994 წ.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

საანგარიშო წელს დაცულ იქნა ორი საკანდიდატო დისერტაცია:

1. ნ. თუშაბრამიშვილი – დასავლეთ საქართველოს შუა პალეოლითი და მისი ზედა პალეოლითზე გადასვლის ეტაპები (ორთვალა კლდის მასალების მიხედვით).
2. ივ. მენთეშაშვილი – ამიერკავკასია ინგლისის იმპერიალისტურ პოლიტიკაში (1980-1914 წლები).

გამოცემული ნაშრომები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით გამოქვეყნდა შემდეგი ნაშრომები:

1. ც. ღვაბერიძე – ილხანთა ირანის სპილენძის ფულის კატალოგი, თბ., გამომც. „მეცნიერება“.
2. ვ. სილოგავა – ბეთანიის წარწერები, თბ., „მეცნიერება“.
3. ვ. სილოგავა – ბოლნისის უძველესი წარწერები, თბ., „მეცნიერება“.
4. ვ. სილოგავა – კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., „მეცნიერება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფონდო სამუშაოები

მცირე ექსპედიციის ფონდიდან ქიმიურად გაწმენდილი და კონსერვირებულია ბრილის ექსპედიციის მასალა, კერძოდ – 105 ბრინჯაოს ნივთი; ძირითადი ფონდიდან გაწმენდილია 13 ბრინჯაოს ნივთი და 1 ვერცხლის ჯამი; ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდიდან გაწმენდილია 104 მონეტა; ეთნოგრაფიის განყოფილების ლითონის ფონდიდან გაწმენდილი და კონსერვირებულია სპილენძის 19 ჭურჭელი; შიდა ქართლის ექსპედიციის მიერ დედოფლის გორაზე მოპოვებული მასალებიდან დამუშავებულია ბრინჯაოს 25, რკინის 41 და ძვლის 300 ნივთი. ძვირფასი ლითონების საცავებიდან გაწმენდილია ვერცხლის 60 ცალი მძივი და 2 ოქროს მავთულიანი ვერცხლის საკიდი.

ზუგდიდის მუზეუმის მასალებიდან გაწმენდილია 8 კოლხური თეთრი, თბილისის უნივერსიტეტის ბიჭვინთის ექსპედიციის მონაპოვრიდან – 2 სპილენძის მონეტა.

სამეცნიერო პროპაგანდა

ბოლო წლებში საქართველოში შექმნილი ვითარების გამო მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა. საანგარიშო წელს მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვმა 12304 კაცი შეადგინა. დამთვალიერებელთა შორის იყვნენ საპატიო სტუმრები: ბრიტანეთის აკადემიის წარმომადგენლები, გერმანელი კანონმდებლები (პარლამენტის სტუმრები), ყოველთა ქართველთა კონგრესის დელეგატები იტალიიდან, წითელი ჯვრის წარმომადგენლები საქართველოში, რუსეთის ელჩი საქართველოში, გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები, ლუქსემბურგის ელჩის მეუღლე, თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი და სხვ.

საგამოფენო სამუშაოები

არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა ბ-ნ ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით აღადგინეს, უფრო სწორად, მოამზადეს და გახსნეს ძვირფასი ლითონების საცავში („სეიფში") წინაქრისტიანული ხანის ქართული ოქრომჭედლობის გამოფენა. ექსპონატები გადატანილი იყო სეიფ-საცავებში 1991 წ. დეკემბერში, თბილისის საომარი ოპერაციების დროს.

სამეცნიერო ექსპედიცია

საანგარიშო წელს განხორციელდა მხოლოდ ერთი ექსპედიცია, კერძოდ: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ლ. ჭილაშვილი).

1995 წ.

სტრუქტურული ცვლილებები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე მუზეუმის თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა 30%-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვეყნებული ნაშრომები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით გამოქვეყნდა შ. ლომსაძის ნაშრომი – სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს.-ის შუაწლებიდან XIX ს.-ის შუაწლებამდე), თბ., „მეცნიერება“.

კვალიფიკაციის ამაღლება

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მ. სინაურიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ქვემო ქართლი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)“.

საფონდო სამუშაოები

სისტემატურად ტარდებოდა საფონდო სამუშაოები. მცირე ექსპედიციების ფონდიდან ქიმიურად გაიწმინდა 25 ბრინჯაოს ნივთი, ხოლო სამთავროს ფონდიდან – 5 ბრინჯაოს ნივთი, შიდა ქართლის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალებიდან გაწმენდილია ბრინჯაოს 10 ნივთი და კონსერვირებულია რკინის 3 ნივთი; ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდიდან გაწმენდილია 88 ც. სპილენძის მონეტა; აღდგენილია 30 ც. კერამიკული ჭურჭელი (აქედან 3 დიდი ზომისა).

გერმანიაში საგამოფენოდ წასაღები მასალებიდან გაიწმინდა ბრინჯაოს 50 ნივთი, დამუშავდა ბრინჯაოს 21 ნივთი, რესტავრირებულია ოქროსა და ვერცხლის 15 ნივთი.

საგამოფენო სამუშაოები

მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობაში (ქ. ლენინგრადი).

1995 წლის მაისში გერმანიაში (ქ. ზაარბრიუკენი) გაიხსნა საქართველოში სხვადასხვა დროს მოპოვებული არქეოლოგიური მასალების გამოფენა სახელწოდებით„ოქროს საწმისის ზეებით – არქეოლოგიური მონაპოვრები საქართველოდან“. გამოფენის მოწყობას წინ უსწრებდა მრავალწლიანი ერთობლივი შრომა ქართველ და გერმანელ არქეოლოგ მეცნიერთა შორის, რაც გამოიხატებოდა მასალის შერჩევაში, მის აღწერაში, ფოტოფიქსაციაში და ა.შ. გამოფენის მოწყობის ინიციატორი და ავტორი გერმანელების მხრიდან არის პროფესორი ვინფრიდ ორტმანი, ქართველების მხრიდან კი მუზეუმის დირექტორი, მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლევან ჭილაშვილი და მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი თამაზ კიღურაძე.

გამოფენა მოიცავს პერიოდს ნეოლითიდან საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე (ძვ. წ. VI ათასწლეული – ახ. წ. IV ს.-ის დასაწყისი). გამოფენაზე გატანილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგთა მიერ მოპოვებული ძვირფასი ლითონებისაგან, ასევე სხვა მასალებისაგან (თიხა, ბრინჯაო, რკინა) ნაკეთები უნიკალური ნივთები. გერმანულ და გერმანულ-ქართულ ენებზე გამოქვეყნებულია კატალოგი.

ზაარბრიუკენში აგრეთვე მოეწყო ქართველ არქეოლოგთა სიმპოზიუმი, რომელზედაც მათ გააცნეს გერმანელებს ქართული არქეოლოგიის მიღწევები.

სამეცნიერო პროპაგანდა

საანგარიშო წელს მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვმა 9700 კაცი შეადგინა. დამთვალიერებელთა შორის იყვნენ საპატიო სტუმრები: ინტერპოლის გენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური დირექტორი რეიმონ ქენდელი, ზაარის მხარის პრემიერ-მინისტრი ოსკარ ლაფონტენი, გერმანიის, აშშ-ს, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ინდოეთის, ინდონეზიის, ირანის, ლუქსემბურგის ელჩები და საელჩოების თანამშრომლები. ირანის სატელევიზიო სამსახურის მუშაკები, ფრანგი ენერგეტიკოსები, იურისტთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი, კულტურათა დიალოგის მონაწილენი, როკფელერის ფონდის თავმჯდომარე, მიურატის ოჯახის წევრები.

სამეცნიერო ექსპედიციები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით განხორციელდა შემდეგი ექსპედიციები:

1. ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ნ. თუშაბრამიშვილი).

2. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქართველოს მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლ. ჭილაშვილი).

3. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქართველოს მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი პ. ზაქარაია).

4. კლდის შემსწავლელი ჯგუფის დავით გარეჯის ექსპედიცია (ხელმძღვანელი არქიტექტურის კანდიდატი გ. გაფრინდაშვილი).

1996 წ.

სამეცნიერო სესიები

საანგარიშო წელს მუზეუმში გაიმართა ივ. ჯავახიშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მუზეუმის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიღეს საქართველოსა და კავკასიის აქემენიანთა ირანთან ურთიერთობის საკითხებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის (გერმანია, ჰალე) მუშაობაში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით გამოცემული ნაშრომები

1. ე. ნადირაძე, მსოფლიოს რელიგიები, თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა.

საფონდო სამუშაოები

1996 წელს ინტენსიურად მიმდინარეობდა ფონდების მოწესრიგება-შეჯერება, მათი ინვენტარიზაცია. სისტემატურად ტარდებოდა სხვა საფონდო სამუშაობებიც. არქეოლოგიის განყოფილების ძირითადი ფონდიდან, ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდიდან და აგრეთვე მუზეუმის ექსპედიციების (დედოფლის გორა, არადეთის გორა, გარეჯის, კახეთის, ქართლის) მიერ მოპოვებული მასალებიდან გარეცხილი, ქიმიურად დამუშავებული, რესტავრირებული და კონსერვირებულია: არქეოლოგიის განყოფილებიდან – ბრინჯაოს 185 ნივთი, რკინის – 583 ნივთი, ვერცხლის – 21 ნივთი, ოქროს – 7 ნივთი, ეთნოგრაფიის განყოფილებიდან – სპილენძის 19 ჭურჭელი, ვერცხლის 10 ჭურჭელი; აგრეთვე ვერცხლისა და სპილენძის 80 მონეტა.

საგამოფენო მუშაობა

საანგარიშო წელს გრძელდებოდა 1995 წლის მაისში გერმანიაში (ქ. ზაარბრიუკენი) გახსნილი საქართველოს არქეოლოგიური მასალების გამოფენა სახელწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებით „ოქროს საწმისის გზებით – არქეოლოგიური მონაპოვრები საქართველოდან“ ქალაქებში მიუნხენსა და დრეზდენში. გამოფენა დასრულდა მიუნხენში 7 მაისს და დაბრუნდა საქართველოში.

სამეცნიერო პროპაგანდა

საანგარიშო წელს მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვი 13 300 კაცით განისაზღვრებოდა.

გამოფენამ მიიღო ბევრი საპატიო სტუმარი: საქართველოსა და გერმანიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესიის სტუმრები, ივ. ჯავახიშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეების მონაწილენი სხვადასხვა ქვეყნიდან, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები, იუნესკოს თანამშრომლები, გაეროს დამკვირვებლები აფხაზეთში; ისლანდიის, თურქეთის, საფრანგეთის, ინგლისის, ინდოეთის, ლუქსემბურგის, პორტუგალიის, მექსიკის ელჩები საქართველოში და მრავალი სხვა.

სამეცნიერო ექსპედიციები

1996 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით განხორციელდა შემდეგი ექსპედიციები:

1. ყვირილის აუზის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი. მ. კ. ნ. თუშაბრამიშვილი).
2. გაერთიანებული ქართულ-ამერიკულ-ებრაული ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი თ. მეშველიანი).
3. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.დ. ი. გაგოშიძე).
4. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქართველოს მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლ. ჭილაშვილი).
5. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი საქართველოს მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი პ. ზაქარაია).
6. გარეჯის უდაბნო-მონასტრის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. ზ. თვალჭრელიძე).
7. თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. ნ. ბახტაძე).
8. სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი.მ.კ. მ. ჩართოლანი).

ფილიალები

ნორმალურად, გეგმიურად მიმდინარეობდა მუშაობა მუზეუმის სამ ფილიალში – სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სამცხე-ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიულ მუზეუმში და ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრში – ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა ივ. ჯავახიშვილის ძეგლი და ჩატარდა დიდი მეცნიერის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1997 წ.

სტრუქტურული ცვლილებები

1997 წელს მუზეუმში მოხდა სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1997 წლის 23 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე, ს,. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის - ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის – ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ბაზაზე, ქალაქ ზუგდიდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გამოეყო ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი - ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი. მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე, ტრაგიკულად დაღუპული გ. ცისკარიშვილის ნაცვლად, დაინიშნა დ. ლორთქიფანიძე.

გამოცემული ნაშრომები

1. ივ. მენთეშაშვილი , „დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციის ურთიერთშეხება ინდოეთში ინგლისის ოსტ-ინდოეთის საქმიანობის პერიოდში, თსუ-ს გამომცემლობა.

სამეცნიერო სესიები

1997 წელს მუზეუმის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ ღონისძიებაში: საერთაშორისო სამეცნიერო სესია „კავკასიის არქეოლოგთა უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები (თბილისი), არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და ჰალეს (გერმანია) უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი სიმპოზიუმი „კავკასიის იბერია (ქართლის სამეფო) და მისი მეზობლები აქემენიდურ და პოსტაქემენიდურ ხანაში“ (თბილისი), მიწისქვეშეთის საერთაშორისო კონგრესი (ბელგია).

თვით მუზეუმში გაიმართა მუზეუმის დაარსებიდან 145 წლისთავისადმი მიძღვნილი სამდღიანი სამეცნიერო სესია, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 15 მოხსენება.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

მუზეუმის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ივ. მენთეშაშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციათა ურთიერთშეხება ინდოეთში ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის საქმიანობის პერიოდში“.

მუზეუმის უმცროსმა მეცნიერ თანამშრომელმა გ. ჯავახიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „სამხატვრო განათლება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის საქართველოში (თბილისის სამხატვრო აკადემია)“.

საფონდო სამუშაოები

საანგარიშო წელს გაწშენდილ და აღდგენილ იქნა მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების „ძირითადი ფონდის“, „მცირე ექსპედიციის II ფონდის“, „თრიალეთის ფონდის“ და დედოფლის გორაზე 1993 წ. , ხოლო ტახტისძირში 1996 წ. მოპოვებული მასალები: ოქრო-ვერცხლის - 204 ექსპონატი, ბრინჯაოს – 350 ერთეული, რკინის – 84 ნივთი, სხვადასხვა მასალებიდან ნაკეთები – 1110 ცალი მძივი, 29 თიხის ჭურჭელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო პროპაგანდა

საანგარიშო წელს მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვი 13500 კაცით განისახღვრებოდა. ჩატარებულ იქნა 1500-მდე ლექცია-საუბარი ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენაზე.

სამეცნიერო ექსპედიციები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში განხორციელდა შემდეგი ექსპედიციები:

1. ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ნ. თუშაბრამიშვილი).
2. ჭიათურის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი თ. მეშველიანი).
3. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი. გაგოშიძე).
4. ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი).
5. ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა შემსწავლელი ექსპედიცია (ხელმძღვანელი ნ. ბახტაძე).
6. დავით გარეჯის ლავრის ნაოლისმცემლის უდაბნო-მონასტრის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ზ. თვალჭრელიძე).

1998 წ.

სამეცნიერო სესიები

მუზეუმში გაიმართა ორდღიანი სამეცნიერო სესია, რომელზედაც წარმოდგენილ იქნა 16 მოხსენება

მუზეუმის თანამშრომელთა დაჯილდოება

საანგარიშო წელს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციის და ფონდების დაცვა-შენახვაში და განადგურებიდან გადარჩენის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა მუზეუმის დირექტორი ლ. ჭილაშვილი, ხოლო ღირსების მედლებით – მუზეუმის თანამშრომლები: თ. კიღურაძე, ჯ. შანიძე, თ. მეშველიანი, ე. ნადირაძე, მ. ხუციშვილი. მ. ურუშაძე, ა. კახნიაშვილი, ს. ბურდილაძე, ა. გოგიაშვილი, ნ. ბითაროვი.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

მუზეუმის თანამშრომელმა ე. ნადირაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს მემორიალური კულტურა“.

მუზეუმის ორმა თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია:

1. თ. მეშველიანი – „დასავლეთ საქართველოს ეგრეთწოდებული ადრე ზედაპალეოლითური ძეგლების რაობისათვის“.
2. მ. ჯალაბაძე – „ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი).

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით გამოცემული ნაშრომები

1. ე. ნადირაძე - მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა, თსუ-ს გამომცემლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფონდო სამუშაოები

1998 წელს არქეოლოგიის განყოფილების „ძირითადი" ფონდიდან, ეთნოგრაფიის განყოფილების სპილენძის და ძვირფასი ლითონების ფონდებიდან, ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდიდან, აგრეთვე მუზეუმის ექსპედიციების (შიდა ქართლი - ქარელი, ნოქალაქევი, კახეთი, ნეკრესი) და არქეოლოგიური ცენტრის ექსპედიციის (კახეთი) მიერ მოპოვებული მასალებიდან ქიმიურად გაწმენდილი და რესტავრირებულია არქეოლოგიური ბრინჯაო – 181 ერთ., არქეოლოგიური რკინა - 88 ერთ., მინისა და ორგანული წარმოშობის ნივთები – 311 ერთ., არქეოლოგიური ვერცხლი - 19 ერთ., ეთნოგრაფიული სპილენძი - 15 ნივთი, ეთნოგრაფიული ვერცხლის – 19 ნივთი, მონეტები – 396 ც.

საგამოფენო სამუშაოები

საანგარიშო წელს ლ. ჭილაშვილისა და თ. კიღურაძის ხელმძღვანელობით, ძირითადად, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა მოაწყო საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნოვანი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა „26 საუკუნე ერთად".

აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების 120 წლისთავთან დაკავშირებით მუზეუმის საქართველოს ისტორიის XIX საუკუნის ამსახველ გამოფენას დაემატა ნივთიერი დოკუმენტები და ფოტომასალები.

1998 წელს მუზეუმმა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრთან ერთად მოაწყო შემდეგი გამოფენები: ქართული ხალხური რეწვა და დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება, თოჯინების გამოფენა, თანამედროვე ქართული ფერწერა, ფრანგული თეატრალური აფიშა, აგრეთვე, ჩატარდა ავთო ვარაზის კატალოგის პრეზენტაცია, საშობაო გამოფენა და ბავშვთა კერამიკული ნამუშევრების გამოფენა.

სამეცნიერო პროპაგანდა

1998 წელს მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვი 14550 კაცით განისაზღვრა. ჩატარდა 1500-მდე ლექცია-საუბარი ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

გამოფენამ წლის განმავლობაში მიიღო ბევრი საპატიო სტუმარი: საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბ. უილიამ ო. ნილი; მსოფლიო ტურისტული ფორუმის „აბრეშუმის გზა" მონაწილეები სხვადასხვა ქვეყნებიდან; საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნოვანი იუბილეს მონაწილეები; სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტუმარი – თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ისმაილ ჰაკი კარადაი; ფინეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის დელეგაცია; უზბეკეთის რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია; თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მეუღლე; საფრანგეთის, გერმანიის, ჩინეთის, აშშ-ის, თურქეთის, ირანის, საელჩოებისა და ვატიკანის წარმომადგენლობის სტუმრები.

სამეცნიერო ექსპედიციები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში განხორციელდა შემდეგი ექსპედიციები:

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ანუ ქართულ-ამერიკული ექსპედიცია ჭიათურისა და ტყიბულის რაიონებში (ხელმძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ნ. თუშაბრამიშვილი).

2. ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი თ. მეშველიანი), ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს ჰარვარდის და იერუსალიმის ებრაელთა უნივერსიტეტების სპეციალისტებმა.

3. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ლ. ჭილაშვილი).

4. საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში მუშაობდა მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელთა ექსპედიცია (ხელმძღვანელი თ. მეშველიანი).

5. ნავთსადენის ტრასის დაზვერვის მიზნით დაზვერვითი გათხრები ჩატარდა ქარელის რაიონში (ხელმძღვანელი ი. გაგოშიძე).

6. დაზვერვით-არქეოლოგიური სამუშაო ჩატარდა ხრამის ხეობაში (ხელმძღვანელი ნ. ბახტაძე) ამერიკელ არქეოლოგ მიურეი აილანდთან ერთად.

7. დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაობები ჩატარდა ქსნის ხეობაში (ხელმძღვანელი ნ. აფხაზავა).

ფილიალები

ნორმალურად, გეგმიურად მიმდინარეობდა მუშაობა მუზეუმის ორ ფილიალში – სვანეთის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში და სამცხე-ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამცხე-ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმში თურქ დამპყრობელთაგან სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის განთავისუფლების 170 და 120 წლისთავისადმი და საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნოვანი თარიღისადმი მიძღვნილი კონფერენციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი

ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა ამ ქვეყნად ზუსტად ოთხმოცი წელი იცხოვრა. მისი სიცოცხლე უეცრად შეწყდა მუზეუმში საწერ მაგიდასთან, ბოლო წლებში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაზე მუშაობისას, მსგავსად მისი მამისა დიდი ივანე ჯავახიშვილისა, რომელმაც ასევე მოულოდნელად დალია სული კათედრასთან, მოხსენების კითხვისას. დიდი ივანეს ძეობა არც ოუ ადვილი იყო, მაგრამ ლალიმ უთუოდ ღირსეულად ატარა დიდი მამის სახელი და სახელოვნად გააგრძელა მისი საქმე. თანაც თითქოს შეასრულა კიდეც მამის ოცნება საქართველოს უძველესი წარსულის შესწავლასთან დაკავშირებით. თავის დროზე ბატონი ივანეს ოცნება საქართველოს უძველესი კულტურის ღირსეულად წარმოჩენა და შესწავლა იყო. სწორედ ამას შეალია ლალიმ თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი.

ლალი ჯავახიშვილი დაიბადა 1917 წლის 31 აგვისტოს სოფ. ხოვლეში. იგი ივანე ჯავახიშვილის და ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის უმცროსი ვაჟი იყო. პირველდაწყებითი განათლება მან ოჯახში მიიღო და მისი პირველი დამრიგებელი პაპის და – მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ- ორბელიანი იყო, დიდად განათლებული ქალბატონი, ერეკლე II-ის პირდაპირი შთამომავალი, რომელსაც ლალი დიდი სიყვარულით იხსენიებდა. სწორედ ქალბატონმა მარიამმა შეიხიხნა თავის დროზე ძმისშვილების ოჯახები – ივანე ჯავახიშვილისა და კიტა აბაშიძის, თავის სახლში, ჯავახიშვილის ქუჩაზე. უკვე საკმაოდ მოწიფული, სახლიდან გამოყოლილი საფუძვლიანი ცოდნით მეექვსე კლასიდან სწავლას განაგრძობს საშუალო სკოლაში. 1935-1939 წწ. იგი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტია. 1940-1943 წლებში კი აქვე გაიარა საასპირანტო კურსი ხელოვნების ისტორიის განხრით აკად. შალვა ამირანაშვილთან.

ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლისას ლალი ჯავახიშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად და წელიწადზე მეტხანს ამ დიდებული ძეგლის შესწავლას ანდომებს. 1943 წლიდან იგი სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელია. 1943-1952 წწ. იგი მუზეუმის სწავლული მდივანია, 1952 წლიდან კი – არქეოლოგიური განყოფილების გამგე. 1973-1989 წწ. ბატონი ლალი საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში, 1989 წლიდან კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის ბოლომდე დირექციის მრჩეველი. მუზეუმში მუშაობის თითქმის მთელ მანძილზე იგი უცვლელად, საიმედოდ ედგა სათავეში მთავარ საცავს – სეიფს, სადაც თავმოყრილია არქეოლოგიური გათხრებით თუ შემთხვევით მოპოვებული ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთები ნივთები.

ცნობილია თუ რა დიდი დრო და ენერგია მიაქვს სამუზეუმო საქმეს, თვალით დაუნახავ მუშაობას. ბატონი ლალი უადრესი თავდადებით, დაუზარებლად და დაუზოგავად ემსახურა ამ ჭეშმარიტ ეროვნულ დაწესებულებას, სადაც თავმოყრილია, მოვლილი და ნაპატრონევი ქართველი ხალხის განვლილი ცხოვრების ამსახველი ნიმუშები, უტყუარი მოწმენი ჩვენი დიდებული ისტორიისა. აქვეა წარმოდგენილი საქართველოს ბუნების, მისი ფლორისა და ფაუნის, წიაღისეული სიმდიდრის, პალეონტოლოგიური მასალების მდიდარი კოლექციები. რა თქმა უნდა, ასეთი რთული, მრავალპროფილიანი დაწესებულების მეცნიერული ხელმძღვანელობა, სადაც გარდა სამუზეუმო საქმისა, დიდი მეცნიერული მუშაობაც მიმდინარეობდა, საკმაოდ მძიმე იყო, თანაც ისეთი პიროვნებისათვის, როგორიც ბატონი ლალი გახლდათ. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ხასიათდებოდა არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერებით, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, ღრმა ერუდიციით, მეცნიერული ალღოთი, მოვლენების თავისებურად დანახვის უნარით, კვლევის მაღალი დონით. ლალის მეცნიერული წარმატების საწინდარი ყოველთვის იყო უდიდესი ინტერესი საკვლევი საკითხისადმი. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ემსახურება იგი თავის საყვარელ საქმეს და ჭეშმარიტად დიდი ამაგიც დასდო მას. მაგრამ, ლალის ნამდვილად გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო, რომ არა მისი ერთი უკურნებელი სენი – საკუთარი საქმის შორს გადადება და სხვისთვის ხელის გამართვა. სიკეთის თესვა, თავმდაბლობა, უთუოდ კარგი ადამიანური თვისებაა, მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა ამ ქვეყნად. სხვის სამსახურს საკუთარი საქმის ხარჯზე ზოგჯერ სიკეთის ნაცვლად ზიანი მოაქვს. ლალის კეთილგანწყობილება და მეტისმეტი თავაზიანობა ადამიანების მიმართ ზოგჯერ ვნებდა მის საქმეს. მას რომ სხვის სამსახურში დაუზოგავად დრო არ ეფანტა, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტს მიაღწევდა. მაგრამ ეს ლალის ბუნება იყო.

ლალი ჯავახიშვილი იშვიათი ნიჭით იყო დაჯილდოებული, იგი ერთნაირად ძლიერი იყო ისტორიული მეცნიერების თითქმის ყველა დარგში. ბრწყინვალე ხელოვნებათმცოდნე, უბადლო მცოდნე ძველი არქიტექტურის, ოქრომჭედლობის, მცირე ხელოვნების დარგების. ღრმად იყო ჩახედული რელიგიის ისტორიის საკითხებში. არქეოლოგიის შემდეგ მხატვრობა იყო მისი უსაყვარლესი საქმე. და ბოლოს არქეოლოგია, რომელთანაც იგი შედარებით გვიან მივიდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ბრწყინვალედ დასძლია ისტორიული მეცნიერების ეს დარგი. მას არქეოლოგისათვის საჭირო თითქმის ყველა თვისება გააჩნდა – დიდი მოთმინების უნარი, აუჩქარებლობა, სიფრთხილე, ფიქსაციის არაჩვეულებრივი უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, დაუოკებელი ფანტაზია. იგი შესანიშნავი საველე მუშაკი იყო, ერთდროულად მხატვარი, არქიტექტორი, ფოტოგრაფი, პრეპარაციის შეუდარებელი ოსტატი, რასაც არავის ანდობდა და საკუთარი ხელით ასრულებდა ურთულეს საქმეს. ლალი დიდის მონდომებით სამუშაოს დასრულების შემდეგ აფიქსირებდა წერილობით თავის დღიურებში ყოველდღიურად გაწეულ შრომას. იგი ნელა, აუჩქარებლად მუშაობდა ძეგლზე, სრულიად მოკლებული იყო სიხარბის გრძნობას, სენსაციებს, რაც სამწუხაროდ არც თუ იშვიათი სენია არქეოლოგიაში. იგი თითოეულ ძეგლზე წლების მანძილზე თხრიდა და ამიტომაცაა, რომ თავისი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე სრულყოფილად მხოლოდ სამად სამი ძეგლი შეისწავლა – ქვაცხელები, შულავერის ნასახლარი ბორცვები და ბოლოს ბერიკლდეები.

და მაინც, სამუზეუმო საქმე ლალის მოღვაწეობაში უპირველესი იყო. განსაკუთრებით იტაცებდა მას საგამოფენო საქმიანობა. 60-იანი წლების დასაწყისში აღსრულდა ბოლოს და ბოლოს ოცნება და მისი ხელმძღვანელობით მუზეუმში ახალი არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეოლოგიური გამოფენა გაიხსნა. ძველი გამოფენის ნაცვლად მოეწყო სრულიად ახლებურად გადაწყვეტილი ექსპოზიცია. მთელი საექსპოზიციო მასალა დახშულ სივრცეში, კარადების შიდა განათებით იყო წარმოდგენილი. ლალის ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, ვიდრე გამოფენის მოწყობის ამ ახალ, თავისებურ ხერხს გაიტანდა. მაშინ ძნელად წარმოსადგენი იყო ჩაბნელებულ დარბაზებში, გარე განათების გარეშე ექსპოზიციის მოწყობა. ჩაბნელებულ სივრცეში, შიგნიდან განათებულ კარადებში, ფერად ფონზე გამოფენილი ნივთები მართლაც დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ლალი დიდად ნიჭიერ მხატვარ ავთო ვარაზთან ერთად არჩევდა და უფარდებდა ფერებს გამოსაფენ მასალას. ის ხომ თვითონაც ბუნებით მხატვარი იყო. მან სცადა კიდეც სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელება პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს მისი წადილი შეუსრულებელი დარჩა. მაგრამ, ამ განუხორციელებელ ოცნებას იგი ბუნებაში გასვლით იკმაყოფილებდა და შესანიშნავ ჩანახატებს, პეიზაჟებს ქმნიდა აკვარელით თუ ზეთის საღებავით. შეიძლება საქართველომ კიდევ ერთი ნიჭიერი მხატვარი დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ მეცნიერებამ, სამუზეუმო საქმემ მოიგო. წარმოდგენაც კი ძნელია თუ რა დიდი ამაგი დასდო ბატონმა ლალიმ მუზეუმს, ეროვნული კულტურის ამ დიდებულ საგანძურს, სადაც თავმოყრილია ჩვენი დიდი წარსულის ამსახველი კოლექციები, უტყუარი მოწმენი ჩვენი გარდასული დიდებისა. ამიტომ, იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საგამოფენო საქმეს და ყოველნაირად ცდილობდა ჩვენი უძველესი კულტურის წარმოჩენას. იგი კარგად გრძნობდა, რომ სწორედ დღეს, როდესაც საქართველო, დიდხანს ჩრდილში ყოფნის შემდეგ, კვლავ გამოჩნდა მსოფლიო ასპარეზზე როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანა, სწორედ ახლა ისე, როგორც არასდროს, დადგა დრო ჩვენი დიდი წარსულის ღირსეულად წარმოჩენისა. მისი ოცნება იყო ახალი, უფრო სრულყოფილი გამოფენის მოწყობა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა. მსოფლიოს უძველეს ხალხთაგან არც თუ ისე ბევრი შემორჩა ქართველთა ბადალი, რომლებმაც დღემდე შემოინახეს თავი. ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო ის ტერიტორია იყო, რომელიც ევრაზიის სივრცეში უძველესი ადამიანის ერთ-ერთი პირველი ადგილსამყოფელი იყო. აქედან მოკიდებული აქ ბინადარი მოსახლეობა უდიდეს კულტურას ქმნიდა და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ძველ სამყაროში. სწორედ ეს ამოძრავებდა უპირველეს ყოვლისა ლალი ჯავახიშვილს, როდესაც 50-იანი წლების ბოლოს ახალი, დიდი არქეოლოგიური გამოფენის მოწყობას ედგა სათავეში. მისი დაუღალავი შრომის შედეგად გამოფენამ დიდი აღიარება ჰპოვა და აღტაცებაში მოყავდა მნახველი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხანგრძლივმა მოღვაწეობამ დიდად გაზარდა მისი მეცნიერული ინტერესები. ლალის მეცნიერული ინტერესი მართლაც ფართო იყო ქვის ხანიდან მოკიდებული, საშუალო საუკუნეების ჩათვლით. ყოველი მისი მეცნიერული ნაშრომი გამოირჩევა განსაკუთრებული სიღრმით, განზოგადების ფართო უნარით, და ყოველი მათგანი ახალი სიტყვაა მეცნიერებაში, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუტანეს ავტორს.

ალექსანდრე ჯავახიშვილის ადრინდელი ნაშრომები ხელოვნების ისტორიის საკითხებს ეხება. იგი რამდენიმე ბრწყინვალე ნაშრომს აქვეყნებს, სადაც პირველად ეხება მხატვრული ხელოსნობის საკითხებს. მას მოცემული აქვს საიუველერო საქმის განვითარების გზების შესანიშნავი ანალიზი შუაბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, ანტიკური ხანის ჩათვლით. ალექსანდრე ჯავახიშვილი იკვლევს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ადრექრისტიანული ხანის საკულტომემორიალურ ძეგლებს და ამ თემაზე 1949 წელს ადგენს ნაშრომს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სამწუხაროდ ეს მისი შესანიშნავი გამოკვლევა ისევ და ისევ ზედმეტი მორიდების გამო გამოუქვეყნებელი დარჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

50-იანი წლების შუა ხანებიდან ლალი ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის ახალი ხანა იწყება. მუზეუმში მუშაობისას ჩამოყალიბდა მისი ფართო მეცნიერული ინტერესები საქართველოს უძველესი წარსულისადმი. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ იგი მიწის ზედა ძეგლების შესწავლიდან მთლიანად გადაერთო ქართულ მიწას ამოფარებულ ძეგლების კვლევაზე. მან არაერთი მეტად საყურადღებო ძეგლი გათხარა და შეისწავლა. იგი უბადლო საველე მუშაკი იყო და ველზე მუშაობა უდიდეს სიამოვნებას გვრიდა. მისი საყვარელი გასათხრელი ობიექტი ძველი ნამოსახლარი იყო, რომლის გათხრა საკმაოდ რთულია. ამ რიგის ძეგლების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩვენში სწორედ ლალი ჯავახიშვილმა დაუდო. მას ყოველთვის მხარში ედგა მისი მეუღლე, არქეოლოგი ლილი ღლონტი და მათი ერთობლივი მუშაობის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი იყო გათხრილი და შესწავლილი.

1954 წლიდან ლალი ჯავახიშვილი პირველად მონაწილეობს ურბნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ამიერიდან იწყება მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა არქეოლოგიაში. პირველი ძეგლი, რომელიც მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაითხარა, ურბნისის მახლობლად მდებარე ქვაცხელების ნამოსახლარი იყო, რომლის შესწავლას ათ წელზე მეტი მოანდომა. სწორედ ამ ძეგლზე მუშაობისას გამოვლინდა მისი დიდი შესაძლებლობა გამთხრელ-არქეოლოგისა. ლილი ღლონტთან თანაავტორობით დაწერილ ქვაცხელების ნამოსახლარისადმი მიძღვნილ სრულ მეცნიერულ ანგარიშში კარგად გამოჩნდა მასალის ღრმა ანალიზის უნარი. ნასოფლარი თითქმის მთლიანად გაითხარა, დადგენილი იყო მისი დაგეგმარება, არქიტექტურა, სამშენებლო საქმე, მეურნეობის ხასიათი და გაირკვა ფენათა განლაგება, სტრატიგრაფია, სოფლის არსებობის ხანგრძლივობა. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის არც ერთი ნამოსახლარი არც ჩვენში და არც სხვაგან ასე სრულად შესწავლილი არ არის. ამ ნამოსახლარზე გამოვლენილი მასალების მეცნიერული გაანალიზების შედეგად ახლებურად იყო დაყენებული მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა.

მაგრამ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ლალის მიერ 60-იანი წლების დასაწყისში მანამდე სრულიად უცნობი ე. წ. ადრესამიწათმოქმედო კულტურის აღმოჩენა და შესწავლა. ქვემო ქართლში, მარნეულის ველზე გამოვლინდა კულტურა, რომელიც დაახლოებით ორი ათასი წლით წინ უსწრებდა მტკვარ-არაქსის კულტურას. გაირკვა, რომ ძვ. წ. VI-V ათასწლეულებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში წინა აზიის სხვა რეგიონებთან ერთად გავრცელებული იყო საკმაოდ დაწინაურებული თავისებური ხასიათის ადრესამიწათმოქმედო ტომების კულტურა. რომ არა ლალის დიდი გამოცდილება და მონდომება, ძალიან გაჭირდებოდა ამ ურთულესი ნამოსახლარი ბორცვების შესწავლა. იმ დროის სოფელი შედგებოდა ალიზისაგან – გამოუმწვარი აგურისაგან ნაგები შენობებისაგან და მათი გამორჩევა მიწისაგან დიდ შრომასა და მოთმინებას მოითხოვდა. არაჩვეულებრივი საველე სამუშაოების და უაღრესად დიდი მონდომების შედეგად ლალიმ ბრწყინვალედ დასძლია ყველა სირთულე. მან პირველმა გამოიკვლია ამ კულტურის მეურნეობის ხასიათი, სამშენებლო საქმე, არქიტექტურა, არსებობის დრო და სხვა საკითხები.

ნამოსახლარ ძეგლებზე მუშაობის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ლალი ჯავახიშვილმა ბრწყინვალე მონოგრაფია გამოაქვეყნა, რომელიც ძვ. წ. V–III ათასწლეულების სამშენებლო საქმეს და არქიტექტურას ეძღვნება. აქ მთელი სისრულითაა შესწავლილი და ახლებურად განხილული ადრესამიწათმოქმედო და მტკვარ-არაქსის კულტურების რიგი ძირეული საკითხები. განხილული აქვს ამიერკავკასიის ამ ხანების თითქმის ყველა ძეგლი და წინაზიური მასალების ფართოდ გათვალისწინების შუქზე იკვლევს ამ კულტურის ბუნებას. ამიტომაცაა, რომ კავკასიის და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი კულტურით დაინტერესებული მკვლევრები ამ შესანიშნავ გამოკვლევას გვერდს ვერ აუვლიან. 1973 წ. ამ ნაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომის საფუძველზე ალექსანდრე ჯავახიშვილს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. ამ მონოგრაფიამ უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის და საერთოდ წინა აზიის უძველესი კულტურის შესწავლაში და მის ავტორს ჭეშმარიტად საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

ლალი ჯავახიშვილი ყოველთვის განსაკუთრებული გულისყურით იკვლევდა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე უძველესი ტომების ცხოვრებას, ყოფასა და სამეურნეო საქმიანობას, მათ ისტორიას და სხვ. სწორედ მიგნებულმა მეურნეობის ხასიათმა, დიდმა გამტანობამ გამოატარა ქართველთა წინაპარი ათასწლეულის მანძილზე და ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლო მათი სამშობლოდან აყრა და საერთოდ ისტორიის სარბიელიდან ამოგდება. ამაში ხედავდა იგი ძალას, რომელმაც მიაჯაჭვა ქართველი კაცი თავის მშობლიურ მიწა-წყალს, არ აღიგავა პირისაგან მიწისა, არ გაიზიარა ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთი უფრო ძლიერი ერების ბედი და დღემდე შემოინახა თავი.

ალექსანდრე ჯავახიშვილის ცხოვრება მის მიერ უკანასკნელ წლებში ბერიკლდეების ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალაზე მუშაობისას შეწყდა. ბერიკლდეების ნამოსახლარი, ისევე როგორც მის მიერ ადრე შესწავლილი ძეგლები, მეტად რთული და ძნელად გასათხრელი იყო. აქ ცხოვრება, ეტყობა, ადრე ჩასახულა და რამდენიმე ათასწლეულს გაგრძელებულა. იგი ჩვეული გატაცებით, მონდომებით, დიდი ინტერესით იკვლევდა ამ მრავალფენიან ძეგლს და ყოველნაირად ცდილობდა ამომწურავი ინფორმაციის მიღებას. მაგრამ, მეტისმეტი დახიანების გამო ეს ნამოსახლარი თუ საკულტო ხასიათის ძეგლი ამის საშუალებას ძნელად იძლეოდა. ბევრმა მეტად რთულად ასახსნელმა საკითხმა იჩინა თავი. ამ უთუოდ უნიკალური ძეგლის მნიშვნელობა გასცდა ამიერკავკასიის და საერთოდ კავკასიის ფარგლებს. მან დიდი ენერგია, მონდომება, დაუღალავი შრომა და სიბეჯითე შეალია ამ ძეგლის გათხრას. გათხრების დასრულების შემდეგ ლალი დიდი გატაცებით და ინტერესით, ისე, ალბათ, როგორც არასდროს, მუშაობდა აქ მოპოვებული მასალის შესწავლაზე. ჩქარობდა, თითქოს გრძნობდა მოახლოვებულ აღსასრულს. სამწუხაროდ, კარგად დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერარ შეძლო, სრულიად ცოტაღა დარჩა. ბოლო დროს, ისევ და ისევ თავისი ზედმეტი მორიდებულობისა და პასუხისმგებლობის გამო, იგი დიდ დროს ანდომებდა სადეპუტატო მოვალეობას, რაც აბრკოლებდა მის მეცნიერულ მუშაობას. ეს დაუსრულებელი ნაშრომი, ალბათ, ისეთივე ღრმა და დიდი ერუდიციის ნაყოფია, როგორც ყველა მისი გამოქვეყნებული გამოკვლევა.

ლალი ჯავახიშვილს თავისი ერის არა მარტო წარსული იზიდავდა, არამედ მისი აწმყოს და მომავლის ბედ-იღბალიც აწუხებდა, თუმცა ადრე იგი განზე იდგა პოლიტიკური ცხოვრებისაგან, რადგან არაფერი სწამდა და სჯეროდა მაშინ არსებული ხელისუფლებისა. მაგრამ, იმ დროსაც, როდესაც არც თუ ისე უსაფრთხო იყო რაიმე ზედმეტი ინიციატივის გამოჩენა, ლალი განზე არასოდეს დარჩენილა, თუკი საქმე მისი ერის ღირსებას ეხებოდა. თავის ერზე უსაზღვროდ შეყვარებული ვერ ურიგდებოდა და არაერთგზის წინ აღუდგა, იმ საოცარ ხანაში, არაერთ უსამართლო მოქმედებას. ეს იყო ქართული ენის შელახვასთან დაკავშირებით. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც წინ აღუდგა ამ უგუნურ გადაწყვეტილებას. მან, მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად, პირველმა აღიმაღლა ხმა აფხაზეთისათვის სამუზეუმო ექსპონატების გადაცემის საწინააღმდეგოდ და სხვ. ამიტომ, როდესაც განკითხვის ჟამი დადგა და განზე დგომა აღარ შეიძლებოდა, ლალი აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იგი ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო სახალხო ფრონტის ჩამოყალიბებისა. მაგრამ, როდესაც უთანხმოებამ თავი იჩინა, ლალი ჯავახიშვილმა სხვა წევრებთან ერთად დატოვა სახალხო ფრონტი. მიუხედავად ასაკისა, იგი აქტიურად ჩაერთო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის მტკიცედ დაადგა პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მიერ არჩეულ გზას და ამიტომ დათანხმდა დეპუტატობას პარლამენტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებით რბილი, ყველას მიმართ კეთილგანწყობილი, დამთმობი პიროვნება, თუ კი საქმე მისი ერის ინტერესებს შეეხებოდა, ხდებოდა უდრეკი და ყოვლად შეუვალი. ბატონი ლალი – ქართველი ერის ისტორიის უბადლო მკვლევარი – ერთგულად შეუდგა ახალი, თავისუფალი საქართველოს მშენებლობას. იგი თავგამოდებით იღვწოდა ქართული კულტურის აღზევებისათვის და საერთოდ ეროვნული საქმის წარმატებისათვის.

ლალი ჯავახიშვილის – თვალსაჩინო პატრიოტის, ბრწყინვალე პიროვნების, შესანიშნავი ინტელიგენტის წასვლა ამ ქვეყნიდან დიდი დანაკარგია ქართული მეცნიერებისათვის, უადრესად დიდი ტკივილია ერისა. ყოველგვარი ხმაურის გარეშე, მოკრძალებულად მან უთუოდ უდიდესი ღვაწლი დასდო ქართულ ისტორიულ მეცნიერებას, ეროვნულ კულტურას. იგი თავგანწირვით, უდრმესი ინტერესით და დიდი მონდომებით იკვლევდა ქართულ მიწას ამოფარებულ ძეგლებს, უტყუარ მოწმეებს ქართველი ერის დიდებული წარსულისა. ამ მიწაში მათ ძიებას შეალია ლალი ჯავახიშვილმა თავისი ნათელი სიცოცხლის მეტი ნაწილი.

ალ. ჯავახიშვილის შრომების სია

1. სტელა ასომთავრული წარწერით არქშიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 1944, №7, 1/3 თაბახი.

2. საქართველოს ადრექრისტიანული ხანის საკულტო-მემორიალური ძეგლები. ხელნაწერი. 1949. 10 თაბახი.

3. ნაციონალური ფორმის შესახებ ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1954, №1, 1 თაბახი.

4. წინაფეოდალური ხანის ქართული მხატვრული ხელოვნების ზოგიერთი საკითხი (შუაბრინჯაოს ხანა - ანტიკური ხანა). „საბჭოთა ხელოვნება“. 1956, №6; 1957, №6, 1 თაბახი.

5. ხაიშის განძი. „მნათობი“. 1958, №3, 1 თაბახი.

6. ბრინჯაოს ნივთების განძი სოფ. უდედან. „საბჭოთა ხელოვნება“. 1959, №4. 1 თაბახი. (თანაავტორი ტ. ჩუბინიშვილი).

7. ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1954-1958 წლებში მე-XVII უბანზე (ქვაცხელები) ჩატარებული მუშაობის ანგარიში. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახ. მუზეუმის VII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები. თბ., მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1959, ქართულ და რუსულ ენებზე (0,5 გვ.+0,5გვ.) (თანაავტორი ლ. ღლონტი).

8. ურბნისი I, ქვაცხელების (ტვლეპია ქოხის) ნამოსახლარზე ჩატარებული გათხრები (1954-1961 წწ). –„მეცნიერება“, 1962, 12 თაბახი (თანაავტორი ლ. ღლონტი).

9. Результаты Квемокартлийской археологической экспедиции (1965-1966). საქართველოს სსრ მეცნ. აკად. სახ. მეცნ. „მოამბე“, 1967, №3. 0,5 თაბახი (თანაავტორი ო. ჯაფარიძე).

10. Некоторые итоги полевых работ 1964 г. Урбнисской и Квирильской арх. экспедиции. საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე“. 1968, XXV-B. 0,5 თაბახი (თანაავტორები ლ. ღლონტი, გ. ჯავახიშვილი, ი. კიკვიძე, დ. თუშაბრამიშვილი).

11. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1967). საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. 1969, I.

12. უძველესი საცხოვრებელი შენობები საქართველოს ტერიტორიაზე, „ძეგლის მეგობარი“, 1968, №14. 0,5 თაბახი.

13. Результаты работ Квемокартлийской археологической экспедиции 1968-1969 гг. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. 1971, II, 0,5 თაბახი (თანაავტორი ო. ჯაფარიძე).

14. უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971. 6 თაბახი (თანაავტორი ო. ჯაფარიძე).

15. Результаты работ Квемокартлийской археологической экспедиции 1970-1971 гг. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. 1974, III, 0,5 თაბახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები. „ძეგლის მეგობარი“, 1973, 0,5 თაბახი (თანაავტორები ლ. ღლონტი, თ. კიღურაძე).

17. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V–III тыс. до н.э. „მეცნიერება”, 1975, 25 თაბახი.

18. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965–1971). „მეცნიერება“, 1975, 7 თაბახი (თანაავტორი თ. კიღურაძე).

19. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1972-1973 წწ.). საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. 1975, VII, 0,5 თაბახი (თანაავტორები ლ. ღლონტი, თ. კიღურაძე).

20. Антропоморфные фигуры Храмис Диди гора. საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე“. 1975, XXXI ბ. 0,5 თაბახი (თანაავტორები ლ. ღლონტი, თ. კიღურაძე).

21. Ювелирное искусство в древней Грузии (III т. до н.э.), вступительная статья альбома. Изд. „Аврора”, 1981. 1,5 თაბახი (თანაავტორი გ. აბრამიშვილი).

22. Premiers agricultureurs de l'Europe, ჟურნალი Historie et archeologie, №88, Paris, 0,5 თაბახი. (თანაავტორი თ. კიღურაძე).

23. ქარელის რ-ში ბერიკლდეებზე 1979-1987 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახ. მუზეუმის არქ. ექსპედიციები. 1986, VIII, 0.5 თაბახი (თანაავტორები ლ. ღლონტი, გ. ნემსაძე).

24. Южный Кавказ в VI-IV тыс. до н.э. сб. Кавказ в системе палеолитических культур Евразии. „მეცნიერება“, თბილისი, 1987, 0,5 თაბახი, (ი. ნარიმანოვთან და თ. კიღურაძესთან თანაავტოროობით).

25. Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита – поздней бронзы в Шида Картли–Бериклдееби, КСИА (кратк. сообщ. о докладах и полевых исследованиях ин-та археологии АНСССР). вып. 192, М., 1987.

26. Neolithikum und Chalkolithikum, წიგნში "Unter Wegs zum Goldenen Vlies", Saarbrücken, 1995, 0,7 თაბახი (თანაავტორი თ. კიღურაძე).

27. Der Siedlungshugel Schulaweris Gora, იმავე გამოცემაში 0,2 თაბახი.

28. Kwazchelebi, წიგნში "Unter wegs"..., 0,3 თაბახი.

29. იქვე საკატალოგე აღწერები №№ 301-303, 320-327.

30. A. Zavaxishvili, Ausgrabungen in Berikldeebi (Shidakartli), in: Georgica, helf, 21, UVK Universitatverlag, Konstanz, 1998.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ აბრამიშვილი

(1912–1996)

1996 წლის ოქტომბერში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გამოაკლდა ერთ-ერთი ღვაწლმოსილი მუშაკი, ნუმიზმატიკის განყოფილების უხუცესი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი თამარ აბრამიშვილი. მან თან წაიღო დიდი გამოცდილება და ცოდნა. ეს იყო პიროვნება, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა თავისი საქმე და ერთგული იყო არჩეული სპეციალობისა, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა ექსპონატების მოწესრიგებას და სკრუპულოზურად უვლიდა და პატრონობდა მათ. თ. აბრამიშვილი ნამდვილი მუზეუმის მუშაკი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

თ. აბრამიშვილი დაიბადა 1912 წ. სოფ. იტრიაში (ხაშურის რ-ნი). სკოლის დამთავრების შემდეგ 1935 წ. შევიდა თბილისის სახ. უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1939 წელს. 1934 წ. თ. აბრამიშვილმა დაიწყო მუშაობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჯერ ბიბლიოთეკარად, 1937 წლიდან – ისტორიის განყოფილების უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1958 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ნუმიზმატიკის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1951 წ. თ. აბრამიშვილმა დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე:„XIII–XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული)“. იგი ავტორია 32 გამოქვეყნებული ნაშრომისა, რომელთა შორის 4 მონოგრაფიაა:

1) XIII–XIV სს. დასავლეთ-ქართული ფული („კირმანეული“) 1939.,
2) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, 1965.
3) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი, 1974.
4) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლეთ-ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, 1984.

თ. აბრამიშვილი იყო სისტემატური და აქტიური მონაწილე მცხეთის, ძველ-ანაგის, კოლოთოს და ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიციებისა. სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად, თამარ აბრამიშვილი ასრულებდა დიდი მოცულობის საფონდო-სამუზეუმო სამუშაოს. ის იყო მცველი სამი ფონდისა: „ძველი ერანის მონეტები“, „ბიზანტიური მონეტები“ და „განძების ფონდი“. 1980 წლიდან თ. აბრამიშვილი საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე იყო, ხოლო 1985 წლიდან – შრომის ვეტერანი.

თ. აბრამიშვილი განსახიერება იყო ნამდვილი მუზეუმელისა. მისი სახით მუზეუმმა დაკარგა გამოცდილი ნუმიზმატი და მკვლევარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ო დ ა რ შ ო შ ი ტ ა შ ვ ი ლ ი . მუზეუმის ახალი კოლექციები (1989–1999) 131
თ ე მ უ რ შ ა რ ი ქ ა ძ ე , ა ლ ბ ე რ ტ კ ა ხ ნ ი ა შ ვ ი ლ ი . მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მემორიალური ნივთების ისტორიისათვის. 136
Т. Д. Ш а р и к а д з е , А. Н. К а х н и а ш в и л и . К истории мемориальных предметов М. Джамбакур-Орбелиани 143

გ ა მ ო ფ ვ ე ნ ე ბ ი

თ ა მ ა ზ კ ი ღ უ რ ა ძ ე. საქართველოს არქეოლოგიური გამოფენა გერმანიაში – „ოქროს საწმისის გზებით – არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოდან“ 144
თ ა მ ა ზ კ ი ღ უ რ ა ძ ე. გამოფენა ტელ-ავივში (ისრაელი) – „ოქროს საწმისის ქვეყანაში“ საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა (1991–1992წწ.) 150
თ ა მ ა ზ კ ი ღ უ რ ა ძ ე. გამოფენა „26 საუკუნე ერთად“ 152
დ ა ვ ი თ ჟ ვ ა ნ ი ა . საქართველოს ბუნების ისტორიის ამსახველი გამოფენა 154
გ ი ა ჯ ა ნ ბ ე რ ი ძ ე . სამხატვრო გამოფენები 156
ნ ო დ ა რ შ ო შ ი ტ ა შ ვ ი ლ ი . გამოფენა „აღმოსავლეთის ქრისტიანები“ საქართველოს გარეშე 158
ი ზ ო ლ დ ა ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი. მუსეუმის 1990–1998 წწ. ქრონიკა 161

ნ ე კ რ ო ლ ო გ ე ბ ი

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე (ლ ა ლ ი) ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი 175
თ ა მ ა რ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი (1912–1996) 182

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ი ს რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი: გ. ბ ო კ უ ჩ ა ვ ა , ი. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი
მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ლ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე
ტ ე ქ რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
კ ო რ ე ქ ტ ო რ ე ბ ი: ა. გ ო გ ე შ ვ ი ლ ი , ე. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი

გ ა დ ა ე ც ა წ ა რ მ ო ე ბ ა ს 15.11.99; ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ლ ი ა დ ა ს ა ბ ე ჭ დ ა დ 15.12.1999;
ქ ა ღ ა ლ დ ი ს ზ ო მ ა 70x108 1/16; ქ ა ღ ა ლ დ ი ო ფ ს ე ტ უ რ ი; ბ ე ჭ დ ვ ა ო ფ ს ე ტ უ რ ი;
პ ი რ ო ბ ი თ ი ს ა ბ ე ჭ დ ი თ ა ბ ა ხ ი 11.50; ს ა ა ღ რ ი ც ხ ვ ო-ს ა გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო თ ა ბ ა ხ ი 14.95;
ტ ი რ ა ჟ ი 200; შ ე კ ვ ე თ ა 270;

ფ ა ს ი ს ა ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ო

ს ა წ ა რ მ ო ო-ს ა გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა „მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა“

თ ბ ი ლ ი ს ი, 380060, დ. გ ა მ რ ე კ ე ლ ი ს ქ. № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა